 კვირის პალიტრა

ოჯახი

№32 (426)
27/VIII-13

ვის ეწყინა კალაძის დოჯახება

შეხვედრა, გამჟღავნებული გრძნობა და დაგეგმილი ვიზიტი

ანუ როგორ დასწყვიტეს გული ოთარ ტატიშვილს

ქეთათოს მეტამორფოზა

ქართველი ქურდი გოგონების ალსარება

„სახლში „ოტქიმანიებს" ვაკეთებ და იოგაში ვვარჯიშობ"...

საბჭოური პოდიუმი და „პაკაზისთვის" გადახდილი 80 მანეთი

ISSN 1987 - 5029

საცურაო კოსტიუმის ისტორია

რა საერთოა ბიკინისა და ატომურ ცდებს შორის

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ქვირის პალიტრა
ეზო
№32 (426)
7 - 13 აგვისტო, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

გამაღიზიანებელი თაყვანისმცემელი

„ჩამოყალიბებული აზრი არ მაქვს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი რჩეული. შეიძლება, ქერამ მომხიბლოს, შეიძლება – შავგვრემანმა. მთავარია, მამაკაცური თვისებები ჰქონდეს. არ მიყვარს ქალოია ტიპები“.

28

გაუხმაურებელი შემთხვევა

„ერთს ცოლი „გავუბოზე“ და როცა გაგდება დაუპირა, სიკვდილით დავემუქრე. სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა მის გვერდით ჩემი შიშით. თუმცა ისიც მოასწრო, რომ ჩემი თავი დააჭერინა და 7 წელი მის გამო ვიჯექი ციხეში“.

88

თავისუფალი თემა

ეზოს ვნილები

ყოველ ქმარ ცხო

■ საკაბარეტო
გამაღიზიანებელი თაყვანისმცემელი, ცრემლები „ქნოპკაზე“ და მოხერხებული „საკაბარეტოს“ პობი 28
■ აღსარება
ინგლისელი ქიგოლოს ბოპემური ცხოვრება 30
■ თინეიჯერული პონტები
✓ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი 32
✓ „თუ მათთან იცხოვრებ, ნერვები სულ მოშლილი გექნება“ 34
■ ჯანმრთელობა
✓ პოდაგრა 36
✓ რაზეა დამოკიდებული „სიმსუქნის გენის“ გაჩენა 37
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 39
✓ გზავნილები 55
■ ნამდვილი ამბავი
პლასტიკური ქირურგიის მადლი 71
■ პროფესია
„ნეპტუნის“ მიერ მაზუთიან კასრში მონათლული მეზღვაური 72
■ რომანი
სეფა კვარაცხელია. მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ მამაკაცი, სექსი და სიყვარული 80
✓ ქათმის მწვადი 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ ვარსკვლავები
ჯასტინ ტიმბერლეიკი — ფობიებით შეპყრობილი PLAYBOY 86
■ ფსიქერი
გაუხმაურებელი შემთხვევა და კანონიერი ქურდისთვის ხახვივით შერჩენილი საქმე 88
■ პრობლემა
პამაკი ნაძვნარში, ცეცხლიდან ამოღებული ფული და „მალიარი“ ფრანგი ტურისტი... 90
■ სიწმინდეები
საბურველით დაფარული სიწმინდე, ჰაერში მიმავალი ხატი და ცხოველმყოფელი წყარო 92
■ დაიჯესტი 94
■ ასპარეზი 96
■ კრიმინალი
„საშინელი და დაუჯერებელი ამბავია... უახლოესმა ადამიანმა გამწირა...“ 100
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ნეპტუნის“ მიერ მაზუთიან კასრში მონათლული მეზღვაური

„ზღვაში გასვლის წინ, მეზღვაურები აუცილებლად გადიან სამედიცინო შემოწმებას, იკეთებენ აცრებს და დაავადებებისგან დაცულნი არიან, მაგრამ თუ ადამიანი მაინც დაავადდება, მისი შეცვლა უახლოეს პორტში მოხდება“.

72

ქურდი გოგონების აღსარება

„ჩანთიდან ლევანის ნაჩუქარი „ბაბოჩკა“ ამოვიღე (რომელსაც ყოველთვის თან ვატარებდი), მძღოლს ყელზე მივაჭირე და ისეთი ცივი ხმით ვუბრძანე, — თანხა ჩემს ჩანთაში ჩადე-მეთქი, რომ საწყალ მოხუცს ფერი დაეკარგა...“

20

მამაკაცი, სექსი და სიყვარული

ფსიქოლოგიაშიც ასეა: არსებობს მოსაზრება, რომ ქალები სექსუალურად ინერტულნი არიან, მაგრამ ამ მოსაზრებას კონტრმოსაზრებაც აქვს: ქალი ხარბი და გაუმაძღარია; ის უფრო მეტ სიამოვნებას იღებს...

80

მორიელის ნიშანი



პირადი მცველი საბაზანოში შევიდა, თაკოს თვალები არ გაუხელია, ისევ ისე იჯდა და თმაში ბალზამს იზელდა. მხოლოდ ღიმილზე ეტყობოდა, რომ მისი შემოსვლა გაიგო. ქალი ელოდა, რას მოიმოქმედებდა მამაკაცი.

მოულოდნელად მისი ხელები ჰაერში აღმოჩნდა. ირაკლიმ თავისი ძლიერი ხელებით დაუჭირა მაჯები და მის ბალზამიან თითებს ტუჩებით მიეალერსა.

74

ტურისტული სააგენტო „პროვოკატორი-2008" ანუ „წადით, წადით!.."

ეს „წადით, წადით" ანტისახელისუფლებო ლოზუნგში არ ჩამომართვათ, ჩემი ტურისტული სააგენტოს სლოგანია. რა ვქნა, მეც მჭირდება დამატებითი შემოსავალი და საკუთარი ბიზნესი წამოვიწყე. მართალია, ორიგინალურობით ვერ დავიტრაბახებ, რადგან საქართველოში იმდენი ტურისტული კომპანიაა, თითომ რომ თითო კაცი გაუშვას დასასვენებლად, ქვეყანაში მარტო ტურისტული სააგენტოები დავრჩებით, მაგრამ თუ სწორად იმუშავებ, ფულს ამ საქმითაც იშოვი და კონკურენტებსაც გააკოტრებ.

რაც მართალია, მართალია, მეძვირე კი ვარ, მაგრამ სერვისიც არნახული მაქვს. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობამ მხოლოდ იდეის მიწოდებისთვის იმხელა თანხა წამიჰონორარა, რომ გითხრათ, მიჩივლებთ. მთელი პარლამენტი ბჭობდა, — ვინ სად წავიდეთ, რომ დავისვენოთო? მე ძველი ანეკდოტი გამახსენდა და მათ ვურჩიე: ჯონდი გაუშვით დასასვენებლად და ყველანი დაისვენებთ-მეთქი. ჰოდა, წამოვიდა ფულები...

ყველაზე დიდი პრობლემის წინაშე ოპოზიცია იდგა, რადგან დასასვენებლად წასვლას ვერ ბედავდნენ. მართალია, რასაც ესენი წუწუნებენ, — ამ მთავრობის ხელში შიმშილით ვიხოცებითო, კურორტებზე რა ნამუსით უნდა გამოჩენილიყვნენ?! ბოლოს, ჩემს ოფისს ეწვივნენ და ორი კურდღელიც დავაჭერინე: შევახსენე, 4 ოქტომბერს აჭარის საპარლამენტო არჩევნები ტარდება და თქვენი ადგილი ახლა იქ არის, რომ ამომრჩევლებთან კარგად იმუშაოთ და იმ პარლამენტში მაინც შეძვრეთ-მეთქი. ჰოდა, ახლა თან ისვენებენ და თან, საქმის კეთებაშიც ეთვლებათ: პარტიის ოფისი — „ინტურისტში", საარჩევნო შტაბი — ბუნგალოში, ამომრჩევლებთან შეხვედრები — პლაჟზე. დამეთანხმებით, რომ ამომრჩეველთან მუშაობა სწორედ პლაჟზეა ყველაზე ეფექტური, რადგან მხოლოდ იქ ჩანს შიშველი სიმართლე...

რა თქმა უნდა, კოლექტიური და პარტიული შეკვეთების გარდა, ინდივიდუალურ შეკვეთებზეც ვმუშაობ. დამსვენებელს ვუშვებ მსოფლიოს ნებისმიერ კურორტზე, ნებისმიერი ვადით. მთავარია, ფული წინასწარ გადაიხადონ, თორემ რაიმე რომ არ მოეწონოთ, მერე სად ვსდიო მაგათ? ფულს წინასწარ თუ არ გადაიხდიან, მაშინ პასპორტებს ვიტოვებ და თანდათან მიხდიან — რა ვქნა, პროვოკატორობიდან სუტენიორობამდე ერთი ნაბიჯი ყოფილა. იმდენი პასპორტი დამიგროვდა, საპასპორტო მაგიდაც გავხსენი და ესეც მესამე ბიზნესი... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ რად მინდა სხვისი პასპორტები, როცა ჩემი პასპორტიც ვიღაცას აქვს და აგერ ორი წელია, არ მიბრუნებს...

მოკლედ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობს ჩემს ტურისტულ სააგენტოს და სერვისითაც კმაყოფილები არიან. მაგალითად, კახი კალაძემ მთხოვა, — ცოლს ვირთავ და სადმე „სვადებნიში" ხომ ვერ გაგვიშვებთო. მას იტალიის საგზური მივეცი, კერძოდ, მილანის — ახალგაზრდა ბიჭია, ნახოს ქვეყანა!.. თან, ერთი ჩემი იქაური ახლობლის მისამართი და ტელეფონის ნომერიც მივეცი. მას ჯორჯო არმანი ჰქვია. კაი მკერავია და კახას ვუთხარი, — რაღაცას ჩაგაცმევს-მეთქი...

ახლა ამერიკის პრეზიდენტი დიდ თანხას მიგზავნის საჩუქრად, მისი ერთ-ერთი შტატის გადარჩენისთვის: ბატონი კახა ბენდუქიძე მაიამიზე აპირებდა დასვენებას და ძლივს გადავაფიქრებინე. მაიამი ხომ ფლორიდაშია, ფლორიდა კიდევ ნახევარკუნძულია და ისედაც ძლივსაა მიმაგრებული კონტინენტზე. ბატონი კახას იქ გადასვლა და ამ ნახევარკუნძულის ჩამოტეხა ხომ ერთი იქნებოდა — კაცს მინისტრის სავარძელმა ვერ გაუძლო და ნახევარკუნძული გაუძლებდა?!.

ცოტა კი გამინაწყენდა ბატონი კახა, მაგრამ ალტერნატიული კურორტი შევთავაზე და ბერმუდის სამკუთხედში გავუშვი — ჩაწვება შუაში, ცოტათი აქეთ-იქით გადასწევს კუნძულებს და ამ სამკუთხედის მუდმივი პრობლემაც მოიხსნება... ეჰ, ვინ იცის, რამდენი კარგი საქმე გამიკეთებია და კიდევ რამდენი მაქვს გეგმაში: კუკავას ურეკში გავუშვებდი — მოზარდის სახსრებს უხდება იქაური ქვიშა; ჯონდი ბაღათურიას — ახტალაში, რა იცი, იქნებ, თმა ამოუყვანოს; დავით აქუბარდიას გლდანის მერვე მიკრორაიონის იქით გავამგზავრებდი, რადგან მერვე მიკრორაიონის იქით, როგორც ამბობენ, მამალიც აღარ ყივის და ცოტას გამოიძინებდა კაცი... ასე რომ, ტურისტული სააგენტო „პროვოკატორი-2008" გირჩევთ: წადით, წადით, დასასვენებლად!..

პროვოკატორი

შადრევნით შაგრილებული პატარები, ბოხეული ბოდიარაზები და „ნაჩოროვანი“ ბებოები

სანამ სიცივე იყო და მზე ისე არ აცხუნებდა, როგორც დღეს, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმოდა გაბრაზებული ხალხის სიტყვები, — რად გვინდა ეს შადრევნები? შადრევანი ვაჭამოთ და ვასვათ ჩვენს შვილებს?! რას გვიშვრება ეს სააკაშვილი, შადრევნის და პარკების მეტს არაფერს რომ არ აკეთებს? თვითონ მარტო ამ სილამაზის ყურებით იძღობს კუჭს?.. ახლა კი ამ სიტყვებს იშვიათად თუ გაიგონებთ. პირიქით, ბევრი ნატრობს, თავის უბანში მსგავს შადრევნებსა და გასართობ ადგილებს. ისინი, ვინც ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებენ, დილიდან საღამომდე პარკში სხედან და მზეს ემალებიან, გაგრილებას ცდილობენ.

„არ მინდა, მთელმა ქალაქმა ნახოს, რომ შვილებს ამ მეთოდით ვაგრილებ“

ლიკა ქაჯაია

ყველაზე კარგად მაინც პატარები ერთობიან, რომლებიც შადრევნების ქვეშ დგანან და ჭყუმპალაობენ. ზოგიერთ პატარას წყლის ჭავლის ეშინია და ამიტომაც, გაუბედავად ეპარება წვეთებს, რომლებიც მართლაც რომ ყინულივით ცივია. არ ვიცი, შადრევანი ხალხს კუჭს უვსებს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ თითოეული მათგანის ირგვლივ უამრავი ადამიანი იყრის თავს. მოხუცებსაც სურთ წყლით გაგრილება, მაგრამ ამის უფლებას თავს ვერ აძლევენ და ამიტომაც, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ფეხებს იგრილებს...

ზურა პაპპ, *85 წლის:*

— ასეთი სიცხე ქალაქში ჯერ არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს. ჩვენს ეზოში (მე აქვე, ვერის ბაღთან ვცხოვრობ) ყოველთვის სიგრილე იყო, ახლა კი იქაურობას ცეცხლი უკიდია. ეს იმ კონდიციონერების თუ რაღაც ჯანდაბის ბრალია, რომელიც შეძლებულმა ადამიანებმა თითქმის ყველგან დააყენეს, მე კი ვენტილატორის საყიდელი ფულიც არ მაქვს და ამიტომაც უნდა გამოვიბუგო.

— როცა მთავრობა შადრევნებს აკეთებდა, პარკებსა და ბაღებს ალამაზებდა, ეს მოგწონდათ? თუ თქვენც სხვებივით აკრიტიკებდით ხელისუფლებას?

— როგორ არ მომწონდა, კაცო, მაგრამ სხვებივით მეც იმას გავიძახოდი, — მარტო ეს რას გვეყოფა-მეთქი? როცა გშია, არც შადრევანი გინდა და არც ქალაქის იერის გალამაზება გხიბლავს დიდად. ახლა კი, როცა ცხელა, ყველაზე მეტად აქ ყოფნა მიხარია. უკვე ყველა ამბობს, რომ თურმე, ესეც საჭირო ყოფილა. ხალხი უმადური არ არის, მაგრამ ურჩევნიათ, მაძღრები იყვნენ და სიცხის გამო ოფლი ღვარონ, სუნთქვა გაუჭირდეთ, ვიდრე შადრევნის ქვეშ გაგრილდნენ და შიოდეთ.

— აქ ხშირად მოდიხართ?

— კი, დილიდან საღამომდე აქ ვარ. მე მარტოხელა გახლავართ და სახლში რა უნდა ვაკეთო? აქ ხალხის თვალიერებით ვირთობ თავს, ვგრილდები და ბავშვების ყურებით ვტკბები. ღმერთმა საკუთარი შვილები არ მაღირსა და სხვებისას მაინც ვუყურო.

— ცოლი რატომ არ შეირთეთ?

— ეჰ, როცა ქალის მოყვანა შემეძლო, თავში ჭკუა არ მქონდა, მერე კი გავლატაკდი, თავს ძლივს ვირჩენდი და ცოლ-შვილი როგორ უნდა მერჩინა?! იმის იმედით, რომ ფულს ისევ ვიშოვიდი, დავბერდი და მერე ვინ გამომყვებოდა?!

— ახლა მარტო ბავშვების ყურებით ტკბებით თუ ქალებსაც ათვალიერებთ ხოლმე?..

— (*იცინის*) ჰო, კარგ ქალს რომ დავინახავ, თვალს მეც ვაყოლებ. ბებერი ვარ, ბრმა კი არა. სხვათა შორის, კარგი, ლამაზი თაობა მოდის. ამბობენ, — ძველად უფრო მადის აღმძვრელი ქალები იყვნენო, მაგრამ მერწმუნეთ, ძველებს ახლებიც არაფრით ჩამორჩებიან. უბრალოდ, არ მომწონს ის, რომ აქ ლამაზი ქალები სიგარეტს აბოლებენ, ცუდად იქცევიან. ქალმა კდემამოსილება არ უნდა დაკარგოს. ერთხელ, ვერის ბაღში მთვრალი წყვილი მოვიდა და შადრევნის მოედანზე ბავშვებს შეუვარდა; პატარები ლამის გადათელეს, მაგრამ ამას დიდად არ დარდობდნენ. მერე ბავშვების მშობლები აყვირდნენ და ის ორი ვიგინდარა ქვევით ჩამოაგდეს. აბა, მითხარი, ეს როგორი საქციელია? თან, კაცო, მარტო გაგრილება კი არა, შადრევნის ქვეშ კოცნაობაც მოინდომეს. გავგიჟდი. ან რანაირად კოცნიან ერთმანეთს? ლამის გადაყლაპონ ერთმანეთი, გაგიჟდები კაცი!.. მერე ის მთვრალი გოგო სულ შეიშალა ჭკუიდან — ტანისამოსი ისე მიეტმასნა, ყველაფერი უჩანდა და ისედაც ჭკუაამღვრეულ ბიჭს ზურგზე მოაჯდა. ასეთი ქალების არც სილამაზე მინდა და არც სხვა რამ, მაგრამ კარგ გოგონებს საქართველოში რა გამოლევს?!.

— ისე, ვერ ვიტყვით, რომ ვერის ბაღში ძალიან გრილა...

— ჰო, მაგრამ სახლში ყოფნას აქ ჯდომა ჯობს, სუფთა ჰაერს მაინც გადაყლაპავ და თვალს წყალს დაალევინებ.

— თქვენ ასაკის ადამიანები, ვერის ბაღის თავზე რომ პატარა სკვერია, იქ სხედან და ერთობიან. მათთან ერთად რატომ არ ხართ?

— ა, თქვენ ალბათ, ყომარბაზებს გულისხმობთ. იქ ძირითადად, კარტისა და ნარდის თამაშით ერთობიან და სხვათა შორის, ყომარი ფულზე მიდის. მე სათამაშო ფული კი არა, პურის ფული არ გამაჩნია და რომ არა ნათესავები, შიმშილით ამომძვრებოდა სული.

ზურა პაპას ნათქვამმა ისე დამაინტერესა, რომ ვერის ბაღის კიბეს ლამის სირბილით ავუყევი და იქვე მდებარე სკვერში, სკამზე ჩამოვჯექი.

— გოგონა, ძალიან გთხოვთ, აქ არ დაჯდეთ, — *მითხრა თეთრ პერანგში გამოწყობილმა მოხუცმა კაცმა და თან, მომიბოდიშა:* — ის ხალხი აქ უნდა გადმოვიდეს, იქ ვერაფერს ხედავენ, — და ხელი, ხის ჩრდილქვეშ მჯდომი მამაკაცების ჯგუფისკენ გაიშვირა.

— კი, მაგრამ რა უნდა დაინახონ?

— ეგ უკვე მაგათი საქმეა, შენ კი, თუ შეგიძლია, ეს სკამი დაგვითმე.

— სიამოვნებით, მაგრამ მე სად წავიდე?

— ხის ქვეშ ჯდომა არ გირჩევნია? აი, იმ ხის ძირას ჩამოჯექი, იქ უფრო გრილა.

მოხუცს დავემორჩილე, იქვე ახლოს მდებარე სკამზე მოვკალათდი და მამაკაცების ჯგუფს თვალთვალი დავუწყე. მალე ისინი მართლაც გადასხდნენ იმ ადგილას, საიდანაც ცოტა ხნის წინ ამაყენეს და თავიანთი საქმე განაგრძეს. ერთ-ერთმა მათგანმა რამდენჯერმე მომიბოდიშა და სანამ არ ვუყვირე, — *შემეშვით, არაა საჭირო ამდენი მობოდიშება-მეთქი,* — *არ მომეშვა. ასაკოვანი მამაკაცები კარტს თამაშობდნენ და ალბათ, სწორედ მისი გარჩევა უჭირდათ ჩრდილქვეშ (თუმცა, მინდა გითხრათ, რომ სულაც არ ბნელოდა). მალე ისიც შევნიშნე, რომ კარტის ქვეშ ფულს — 10 და 20-თეთრიანებს აცურებდნენ. აშკარა იყო, მოთამაშეები ერთმანეთს კარგად უგებდნენ ან ძალიან*

მცირე თანხაზე თამაშობდნენ, რადგან ყომარბაზებს არაფერი უგავდათ, თამაშს ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე აგრძელებდნენ. უბრალოდ, ზოგჯერ ვიღაცები მოდიოდნენ, ვიღაცები — მიდიოდნენ ანუ მოთამაშეები იცვლებოდნენ, მაგრამ მერე თავიანთ ადგილებს ისევ უბრუნდებოდნენ. ეტყობა, წაგებულები ფულის საშოვნელად მიდიოდნენ, ხოლო მოგებულთან თამაშს ახალმოსულები განაგრძობდნენ. მოთამაშეებთან, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი 50 წლის თუ იქნებოდა, მალე ახალგაზრდა ბიჭიც (18-20 წლის ძლივს იქნებოდა) „გაიჩითა“. მან შუბლზე ჩამოყრილი კულულები გაისწორა, იქვე მიგდებული, „ბორჯომის“ ბოთლი მიიყუდა, სკამზე ჩამოჯდა და ორლარიან ფსონს ჩამოვიდა. რაც მეტი დრო გადიოდა, სახეზე მეტი უკმაყოფილება ეტყობოდა და როცა ორლარიანს „ვადა ამოეწურა“, ისიც სადღაც გაუჩინარდა, მერე კი თავის ამფსონთან ერთად დაბრუნდა და ყომარი განაგრძო.

ძალიან მინდოდა, მოთამაშეებისთვის რამდენიმე კითხვა დამესვა, მაგრამ მათ ინტერვიუზე სასტიკი უარი მითხრეს და მეც იძულებული გავხდი, დავნებებულიყავი და ვინაიდან იქ სხვა საინტერესო არაფერი ხდებოდა და არც ვინმე აპირებდა წაგებული ფულის გამო აყალმაყალის ატეხას, არც არავინ არავის ატყუებდა, ფულს „სუფთად“ იგებდნენ, საინტერესო ამბების მოსაგროვებლად, ისევ ვერის ბაღს მივაშურე.

შადრევანთან ბავშვების რაოდენობა თანდათან მატულობდა. ერთმა ქალბატონმა 3 პატარა მოიყვანა, მათ ტანისამოსი გახადა და უთხრა, — წადით, მაგრამ ფრთხილად იყავით, არ წაიქცეთ, მე კი აქ დაგელოდებითო.

— არ გაცივდებიან? — *ვკითხე ქალს, რომელიც მოგვიანებით* **ანასტასიად** *გამეცნო.*

— რა გააცივებს?! ჯანმრთელი ბავშვები არიან.

— ჰო, მაგრამ წყალი ძალიან ცივია.

— აბა, რა ვქნა? აქ რომ ჩამოვდივართ, მათ ვეღარ ვაჩერებ. ბავშვებისთვის შადრევნის მოედანზე შესვლის უფლება რომ არ მიმეცა, ტირილით აიკლებდნენ აქაურობას. ძალიან უყვართ წყალი.

— ბავშვები დასასვენებლად არსად მიგყავთ?

— ფული რომ მქონდეს, სამივეს გავარიდებდი ქალაქის პაპანაქება სიცხეს და მეც დავისვენებდი ცოტას, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს და წელს როგორმე უნდა გავუძლოთ ამ ხვატს.

— თქვენ არ გაქვთ სურვილი, რომ შადრევნის ქვეშ გაგრილდეთ?

— სიამოვნებით გავგრილდებოდი, მაგრამ ახლა ბავშვებს რომ შევუერთდე, ვიღაცას გიჟი ვეგონები და შეიძლება, პატრულიც გამოიძახონ.

— ალბათ, ახლოს ცხოვრობთ.

— არა, თავისუფლების მოედანზე ვცხოვრობ.

— მაშინ, აქ რატომ მოხვედით? იქითაც ხომ არის ბაღები?

— თუ ალექსანდრეს ბაღს გულისხმობთ, არის, მაგრამ იქ შადრევანი არასდროს არაა ჩართული და რა მნიშვნელობა აქვს, იქ დავჯდები თუ სახლში?! ბავშვებს სადაც უხარიათ ყოფნა, მეც იქ მივიდივარ.

— ფილარმონიასთან რომ „მოცეკვავე შადრევანია“, ბავშვები იქაც კარგად ერთობიან_

— ჰო, მაგრამ აქ ყოფნა მირჩევნია. არ მინდა, მთელმა ქალაქმა ნახოს, რომ შვილებს ამ მეთოდით ვაგრილებ. მეც მაქვს თავმოყვარეობა...

— ნუთუ აქ ყოფნით თქვენი თავმოყვარეობა ილახება?

— აბა, რა. თუ შვილებს აჩენ, მათი რჩენისა და აღზრდის საშუალებაც უნდა გქონდეს. თავის დროზე მეც ვმუშაობდი, მაგრამ ახლა, სამი შვილი მყავს და ამისთვის ვერ ვიცლი, ვდიასახლისობ. ჩემი მუღლე მუშაობს, ოჯახის სარჩენად, წელზე ფეხს

შადრევანთან ბავშვების რაოდენობა თანდათან მატულობდა

მოხუცებსაც სურთ წყლით გაგრილება, მაგრამ ამის უფლებას თავს ვერ აძლევენ და ამიგომაც, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ფეხებს იგრილებს...

იდგამს, მაგრამ მისი ხელფასი მხოლოდ საჭმელში იხარჯება...

ამ დროს პატარა **ნინიკო** *მოგვიახლოვდა და დედამისს შესჩივლა:*

— ნატა ჩემს წაქცევას ცდილობდა და ყურადღება რატომ არ მომაქციე? იცოდე, ყველაფერს მამიკოს ვეტყვი და ის კუთხეში დაგაყენებს.

— ნინკო, რამდენი წლის ხარ? — ვკითხე პატარას, მაგრამ მან ყურადღება არ მომაქცია და თავის და-ძმასთან გაიქცა.

ანასტასია:

— აი, ასეთი შვილები მყავს (*იცინის*). ხომ ხედავ, როგორ დამემუქრა ყველაზე უმცროსი და აბა, წარმოიდგინე, ისინი აქ რომ არ მომეყვანა, რა დღეში ჩამაგდებდნენ!..

ამასობაში, მოედანზე „გემრიელად“ ჩაპუტკუნებული გოგონა შევნიშნე და ძალიან მომინდა, გამოვლაპარაკებოდი. ის მაისურით ჭყუმპალაობდა, რომელიც ტანზე ისე შემოეჭდო, რომ ყველა ნაკვთი უჩანდა. გოგონა თანატოლებთან ერთად კი არ დარბოდა, — დაძუნძულებდა და მთელი სხეული უთრთოდა. მას დიდხანს ვდიე, მაგრამ ვერაფრით მივაწვდინე ხმა. ამიტომაც, ბაღში მასთან ერთად მოსულ მამაკაცს ვთხოვე დახმარება, რომელიც გოგონას ძმა აღმოჩნდა.

— გაგიკვირდა, არა? ჰო, ჩვენ შორის სხვაობა 15 წელია. მისი ამქვეყნად მოვლინება არ მინდოდა, მაგრამ ახლა მასზე ჭკუას ვკარგავ, — *მითხრა გიომ და თავის პატარა დაიკოს გასძახა:* — **მარიამ,** აქ მოდი.

— უკვე უნდა წავიდეთ?

— არა, ამ გოგონას შენი გაცნობა უნდა.

მარიამი მოგვიახლოვდა და ძმას ჰკითხა:

— შენი საცოლეა და ამიტომ უნდა გამაცნო?

— არა, ჩემი საცოლე არ არის.

— აბა, რატომ უნდა გამაცნო?

— იმიტომ, რომ მოეწონე და უნდა დაგელაპარაკოს.

— რატომ მოგეწონე? — *ახლა მე მომიბრუნდა მარიამი.*

— იმიტომ, რომ ძალიან საყვარელი ხარ. მითხარი, აქ კარგად ერთობი?

— კი. ჩემი ძმა როცა სახლშია, სულ აქ მოვყავარ. ამ ბაღში ყოფნა მიყვარს.

— ყველაზე მეტად, აქ რა მოგწონს?

— ჭყუმპალაობა და კიდევ, ერთი ბიჭი მომწონს. აი, ის, — *მითხრა გოგონამ და თითი ისეთი გამხდარი ბიჭუნასკენ გაიშვირა, სიცილი ვერ შევიკავე.*

— რატომ იცინი? — *აშკარად ეწყინა მარიამს.*

— იმიტომ, რომ შენი შეყვარებული ძალიან მომეწონა. ის შენს ძმასაც მოსწონს?

— რომ არ მოსწონდეს, აქ არ მომიყვანდა, — *მითხრა გოგონამ და თავისი რჩეულისკენ გაიქცა, მუცლით დაეჯახა და მოედანზე წაქცია. ბიჭუნამ ტირილი დაიწყო, მარიამმა კი თავი ჩაღუნა და ბოდიში მოუხადა.*

ბავშვები დიდხანს ერთობოდნენ მოედანზე, მერე კი შესცივდათ და ისინი უფროსებმა მოედნიდან გამოიყვანეს. ნელ-ნელა ყველამ სახლისკენ აიღო გეზი და ბაღში მხოლოდ შეყვარებული წყვილები დარჩნენ, რომლებსაც ალბათ, განშორება ძალიან ეძნელებოდათ.

■

„ჩემოდნებზე დამჯდარი ველოდები 15 აგვისტოს“

გასული კვირის განმავლობაში საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალური თემა — დასვენება და საზაფხულო კურორტები გახლდათ. მართალია, კომპეტენტური პირები საქართველოს ზღვისპირეთს კარგ რეკომენდაციას არ უწევენ და დამსვენებლებს მთაში, ბორჯომში ან სურამში გამგზავრებას უფრო ურჩევენ, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა ბათუმსა და ქობულეთში მოსახვედრად თავს არ ზოგავს და ხშირ შემთხვევაში, იქ კრედიტით აღებული ფულითაც კი მიემგზავრება. ჩემს რესპონდენთა შორის, ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც მცირე ხელფასის ან სულაც, უმუშევრობის გამო, კურორტზე წასვლას საერთოდ ვერ ახერხებენ.

„იმის საშუალება არ გვაქვს, რომ მთელმა ოჯახმა კომფორტულად დავისვენოთ“

ხათუნა ბახტურიძე

თამუნა მარუაშვილი, *სტუდენტი, 23 წლის:*

— მთელი წელი ვაგროვებდი ფულს იმისთვის, რომ ბათუმში წავსულიყავი. ყველაფერი მზად მაქვს და ჩემოდნებზე დამჯდარი ველოდები 15 აგვისტოს.

— ზღვაზე ჩასაცმელად, ახალი სამოსი თუ შეიძინეთ?

— არა, იქ საკმაოდ ბევრი ფული დამჭირდება, ამიტომ ახალი ტანსაცმელი ვერ ვიყიდე, მაგრამ მაინც მაგარ „ფორმებში“ ვიქნები: რაღაცები დაქალებს გამოვართვი, რაღაცები — დეიდაშვილს და ზღვაზე ჩასაცმელი სამოსიც მოვაგროვე.

— მარტო მიდიხარ?

— არა, თანაკურსელები — რვა კაცი მივდივართ. იმედი მაქვს, კარგ დროს გავატარებთ. ისე, ცოტას ვნერვიულობთ კიდეც, გვეშინია — ვაითუ ფული არ გვეყოს!.. გოგოებს ფულის პრობლემა არ გვაქვს, ზოგი მთელი წელი ვაგროვებდით, ზოგს მშობლები აძლევენ. ბიჭები ბანკიდან კრედიტს იღებენ და ისე აპირებენ წამოსვლას, მაგრამ შეიძლება, ყველამ ვერ მოახერხოს სესხის აღება და რომელიმე მათგანი ჩვენი წასაყვანი გახდეს.

— სოფელი არსად გაქვთ?

— კი, როგორ არა?! დედაჩემი რაჭველია. მისი მშობლები ონის რაიონში ცხოვრობენ. მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. ულამაზესი სოფელი გვაქვს.

— მეგობრებთან ერთად, იქ რატომ არ მიდიხართ?

— ვაიმე, რას ამბობთ?! იქ რა მინდა?! მთელი წელი, ზაფხულის დადგომას ველოდი, რომ ზღვაზე წავსულიყავი. პლაჟს, ბარებსა და ბუნგალოებს მარტო სიზმარში კი არ ვხედავ, ცხადშიც მელანდება!..

ლალი გაზალი, *დიასახლისი, 40 წლის:*

— წელს ქალაქიდან გასვლას ვერ ვახერხებ. სამი შვილი მყავს, ოჯახში ფული მხოლოდ ჩემს მეუღლეს შემოაქვს. იმის საშუალება ნამდვილად არ გვაქვს, რომ მთელმა ოჯახმა კომფორტულად დავისვენოთ, თუნდაც საქართველოს რომელიმე კურორტზე. მირჩევნია, ბავშვები მაინც დავასვენო, სამივე, სკოლის მოსწავლეა და მთელი წლის შრომის შემდეგ განტვირთვა ხომ უნდათ! ჩემს თავს რაღას დავეძებ?!.

— ბავშვების სად უშვებთ?

— ბიჭი ფეხბურთზე დადის, მისი გუნდის წევრები ურეკში წავიდნენ. ბავშვს გულს ხომ ვერ დავწყვეტდი?! ფული ვისესხე და ისე გავუშვი. უფროსი გოგონა მეზობელმა (ღმერთი გაახარებს!) თავის სოფელში დაპატიჟა. უმცროსი შვილი ჯერჯერობით არსად გამიმგზავრებია.

— საშუალება რომ გქონდეთ, სად ისურვებდით დასვენებას?

— ანტალიაში დასვენება ოცნებად მაქვს გადაქცეული. ეს ჩვენთვის არის საოცნებო, თორემ ჩვენი პოლიტიკური ელიტისა და ბომონდის წარმომადგენლები არც იკადრებენ მანდ დასვენებას.

— ქალაქში თუ ახერხებთ სიცხისაგან თავის დაღწევას?

— კი, როგორ არა?! ხან კონდიციონერს ჩავრთავ, ხან — წყალს გადავივლებ. კიდევ კარგი, დენისა და გაზის პრობლემას აღარ გვაქვს და გაგრილების საშუალება მაინც გვეძლევა.

ნათია ხატური, *იურისტი, 29 წლის:*

— ზღვაზე ან მთაში წასვლას ვერ ვახერხებ. ჩემი დასვენება მშობლიურ სოფელ, აფენში (ლაგოდეხის რაიონი) სტუმრობით შემოიფარგლება. მართალია, იქაც ისე ცხელა, როგორც ქალაქში, მაგრამ გარემოს ხომ მაინც ვიცვლი?!

— ზღავზე ან მთაში დასვენებას რატომ ვერ ახერხებთ?

— ამის მიზეზი — უფულობაა. კიდევ კარგი, ბევრი მეგობარი მყავს და ზოგჯერ თავიანთ სოფლებში მეპატიჟებიან. მათი წყალობით, ნახევარი საქართველო მაქვს შემოვლილი. სულ რაღაც სამი დღეა, რაც ქიზიყიდან ჩამოვედი. უამრავი საინტერესო რამ ვნახე და ასე თუ ისე, დავისვენე კიდეც. ძალიან მინდა, ყაზბეგში ან ბორჯომში წასვლა, როგორც ჩანს, ამ სურვილს კიდევ დიდხანს ვერ შევისრულებ.

კობა კალანდაძე, *ავტომრბოლელი, 27 წლის:*

— დასასვენებლად, უკვე ვიყავი წასული ბათუმში და ძალიან კარგი დრო ვატარე, მაგრამ ფულიც ბევრი დავხარჯე.

— დასასვენებლად ყოველთვის ზღვაზე დადიხართ?

— თუ ფული მაქვს, ზღავზე მივდივარ, თუ არა და — გურიაში, ჩოხატაურის რაიონში მაქვს სოფელი და იქ ჩავდივარ. სიმართლე რომ გითხრათ, სულიერი დასვენებისთვის

ერთი კითხვა

— რომელია თქვენი საყვარელი კურორტი და როგორ ისვენებთ ზაფხულში?

მიხეილ ცაგარელი, *ასტროლოგი:*

— სანამ აფხაზეთში ჩასვლა შეგვეძლო, გაგრასა და ბიჭვინთაში ვისვენებდი ხოლმე. ეს კურორტები ძალიან მომწონდა. ბოლო წლებში ხან ბათუმს, ხან სარფს ვსტუმრობ. რაც შეეხება მთის კურორტებს, — წლების წინ, სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, ჯავაში ვისვენებდი. ახლა უპირატესობას სვანეთს ვანიჭებ. ამ კურორტების ჰავა და ენერგეტიკა დადებითია. კურორტზე ყოფნის დროს პასიურ დასვენებას ვამჯობინებ და სხვებსაც ამას ვურჩევ. კარგად იძინეთ, იცურავეთ და ბუნებას უცქირეთ.

„წინათ შვილებს ვმალავდი, ახლა შვილიშვილების მაღარჩენაზე ვზრუნავ...“

ცხინვალის რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობას უმძიმეს პირობებში უწევს ცხოვრება. საკუთარ სატკივარზე სალაპარაკოდ, ჩვენს რედაქციას სოფელ ვანათის ერთ-ერთი მკვიდრი, შუახნის მამაკაცი თავად დაუკავშირდა და ანონიმურობის დაცვის პირობით, საკუთარ სატკივარზე გულახდილად ილაპარაკა:

თამუნა კვინიკაძე

— მთელი სოფელი პანიკაშია. თითქმის ყოველდღე ვიკრიბებით, ვმსჯელობთ, მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობთ. სოფელ დმენისთან კოხათის პოსტია, რომელსაც ოსური მხარე აკონტროლებს. თუ ეს პოსტი არ გამოიარეთ, ისე ჩვენს სოფელში ვერ შემოხვალთ. სამხედროები გასვლის წინ გვაფრთხილებენ — ერთი კილოგრამი პომიდორიც კი არ შემოიტანოთო! ყველანაირი პროდუქტის, ფქვილის შეტანასაც კი გვიკრძალავენ. რა ვქნათ, შიმშილით დავიხოცოთ?!.

— რამდენი ხანია, რაც ამ მდგომარეობაში იმყოფებით?

— ორ კვირაზე მეტია. პოსტიდან ზოგჯერ, გორშიც არ გვიშვებენ — დაგვცინიან და უკან გვაბრუნებენ. თქვენ, როგორც ჟურნალისტმა, შემოსვლა რომ მოინდომოთ, არ შემოგიშვებენ. სოფელში „სასწრაფო დახმარება“ არ არის და წამალსაც ვერ იშოვი!..

— ექიმი არ გყავთ?

— ექიმი — არა, ექთანი გვყავს, მაგრამ წამალი არც მას აქვს.

— ადგილობრივი ხელისუფლება რას გეუბნებათ?

— გვპირდებიან, რომ ჩვენი პრობლემების გადაჭრაზე იზრუნებენ. ერთი კვირის წინ დიმიტრი სანაკოევსაც შევხვდით. გვანუგეშა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა უკეთესობისკენ მაინც არ იცვლება. ხელისუფლებას ვთხოვთ, რომ სხვა თუ არაფერი, პროდუქტის შემოტანასთან დაკავშირებული აკრძალვა მაინც მოიხსნას.

— ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა ხომ არ გაუარესდა?

— ჩვენ, უბრალო გლეხ ხალხს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. რაც აქ ხდება, განა, ეს ოსებს უნდათ?! ახლობლები მათაც ეხოცებათ და ჩვენც. სროლის ხმას რომ გავიგონებთ, აღარ ვიცით, სად დავიმალოთ. წინათ შვილებს ვმალავდი, ახლა — შვილიშვილების გადარჩენაზე ვზრუნავ. მითხარით, ეს არის ცხოვრება? 20 წელია, ასეთ დღეში ვართ!

სამხედროები გასვლის წინ გვაფრთხილებენ — ერთი კილოგრამი პომიდორიც კი არ შემოიგანოთო!

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— გამოსავალი — შერიგებაა. ომი კი არა, მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს.

■

და განტვირთვისთვის, ჩემი სოფელი ბათუმსაც კი სჯობია და ყველა სხვა საკურორტო ქალაქსაც, მაგრამ მე უფრო მხიარულება და აქტიური დასვენება მიყვარს; თანაც, ზღვაზე „დაზაგრული“, ლამაზი გოგონები დადიან... წელს შემეძლო, თურქეთში წავსულიყავი, იქ მეტი კომფორტი და სისუფთავეა, თან, ბათუმში დასვენებაზე უფრო ძვირი ნამდვილად არ ჯდება, მაგრამ საქართველოში უფრო „ჯიგრულად“ ვერთობი.

ლია კაპანაძე, *ფილოლოგი, 38 წლის:*

— მე ახალციხის რაიონში დავისვენებ, ბავშვს ზღვაზე უნდა წასვლა და ალბათ წავა კიდეც.

— თქვენ არ გინდათ ზღვაზე წასვლა?

— როგორ არ მინდა, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს. ჩემი მეუღლე სამსახურიდან გაათავისუფლეს და მუდმივი სამსახური აღარ აქვს. ხან რას აკეთებს, ხან — რას.

— ბავშვს რა სახსრებით უშვებთ დასასვენებლად?

— ჩემი შვილი სტუდენტია და თან მუშაობს. დასვენებისთვის საჭირო თანხა თავად მოაგროვა. ძალიან გვინდოდა, რომ ზღვაზე მთელი ოჯახი წავსულიყავით, მაგრამ რა ვქნათ, ვერ ვახერხებთ.

— ბოლოს როდის იყავით დასასვენებლად?

— უკვე 5 წელია, რაც კურორტზე არ ვყოფილვარ.

მარი გულაშვილი, *უცხო ენის სპეციალისტი, 30 წლის:*

— დასასვენებლად უკვე ვიყავი წასული დედოფლისწყაროს რაიონში, ჩემს სოფელ — არბოშიკში. ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს, მათი წაყვანა ძალიან მინდოდა იქ, სადაც კარგი ჰაერი და ნაძვნარი იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამის საშუალება არ გვაქვს.

— მეუღლე არ მუშაობს?

— მეუღლე მუშაობს, სამხედრო მოსამსახურეა, მაგრამ კომუნალურ გადასახადებში საკმაოდ დიდი თანხა მიდის, თანაც, ჩვენს პატარებსაც ბევრი რამ სჭირდებათ... ძალიან მიყვარს ზღვა, ბუნება, მაგრამ რაც გავთხოვდი, საკურორტო ადგილებში ვეღარ დავდივარ. ძალიან ლამაზად მახსენდება ის დრო, როდესაც დაქალებთან ერთად, ურეკში ვიყავი.

ლაშა ხარშილაძე, *მეწარმე, 37 წლის:*

— მე ვერ მივდივარ დასასვენებლად, მაგრამ მინდა, მეუღლე და შვილი გავუშვა. ჯერ ვერ გადამიწყვეტია, სად წავიყვან, ამ საკითხზე ოჯახში სერიოზული დავა გვაქვს: მეუღლეს ურეკში უნდა წასვლა, მე წინააღმდეგი ვარ, იმიტომ, რომ სანაპირო ჭუჭყიანია, თან, ხმაურიანი ადგილია და ბავშვი იქ ვერ დაისვენებს.

— თქვენ რა მიზეზით ვერ ახერხებთ წასვლას? სამსახურიდან ვერ თავისუფლდებით?

— სამსახურიდან ერთი კვირით ან ათი დღით განთავისუფლება პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მეც რომ წავიდე, ეს მეტ ხარჯთან იქნება დაკავშირებული. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ახლა ძალიან მჭირდება დასვენება.

■

„მხარა, ეთნიკური აფხაზები კონფლიქტის მოგვარებაში დიდ როლს შეასრულებენ“...

ბევრი მათ „ომის შვილებს“ უწოდებს. ასეთი „სტატუსი“ აღიზიანებთ კიდეც, მაგრამ ზოგჯერ ღიმილითაც ხვდებიან. მართალია, მშობლიურ ქალაქში სულ რაღაც 11 წელი იცხოვრეს, მაგრამ იქაურობა მათთვის მაინც მშობლიურია. ერთმანეთს 16-წლიანი პაუზის შემდეგ შეხვდნენ. ამ შეხვედრის ადგილსაც სიმბოლური სახელი აქვს — რესტორანი „აფხაზეთი“...

შეხვედრა 16 წლის შემდეგ და ქართველი და აფხაზი დევნილები ჩეხეთში

ლალი პაპასკირი

სალაპარაკო ძალიან ბევრი ჰქონდათ, მთავარი თემა — აფხაზეთი, ბავშვობის მოგონებებია. ომამდელი ცხოვრების ყველა წვრილმანს იხსენებდნენ: ვინ ვის გვერდით იჯდა, ვინ ვის აწიწკნიდა კიკინებს... არც პირველი „შატალო“ დავიწყნიათ; ისიც კი ახსოვდათ, თუ როგორ გაუწყრა კლასის დამრიგებელი ერთადერთ მოსწავლეს, რომელიც დანარჩენებს არ გაჰყვა...

ომზე არაფერი უთქვამთ. საუბარს დევნილობაში გატარებული წლებით განაგრძობდნენ. ზოგი, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების იმედს დღემდე არ კარგავს, ზოგი ამ საკითხს პესიმისტურად უყურებს და უახლოეს 20 წელიწადში შინ დაბრუნების იმედი არ აქვს... ზოგმა საზღვარგარეთ აიწყო ცხოვრება, თუმცა საბოლოოდ საქართველოში დაბრუნება აუხდენელ ოცნებად რჩება; ზოგი აქ დარჩა და ოჯახსაც მოეკიდა; ზოგს კი თვალებში ბავშვობის დროინდელი სიყვარულის ჭინკები უთამაშებდა, თუმცა სკოლის მერხიდან გამოყოლილი გრძნობის გამხელას მაინც ვერ ბედავდნენ...

ჩემმა რესპონდენტმა, რომელიც ამ წვეულებაზე გავიცანი, იმის მსგავსი გზა გამოიარა, რაც დანარჩენმა დევნილებმა: ოთხი სკოლა გამოიცვალა... წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია... მერე გაუმართლა და სწავლა ჩეხეთში, პრაღის სამეფო (კარლ VI-ის სახელობის) უნივერსიტეტში გააგრძელა. წვალებით, შრომითა და დიდი ძალისხმევით, წარმატებებსაც მიაღწია. ჩეხეთში საქართველოს საელჩოში მუშაობის დროს, იმ აფხაზებსაც შეხვდა, ვინც ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ, ოღონდ — არა მხოლოდ დოკუმენტურად, არამედ შეგნებითაც...

***გოჩა ოჩიგავა** სამშობლოში დოქტორის სტატუსით დაბრუნდა. ჩემს კითხვაზე, — თუ რატომ დაბრუნდა? — ცოტა არ იყოს გაოცებულმა მიპასუხა: მიმაჩნია, რომ გარკვეული გამოცდილება დავაგროვე და ასეთ დროს ჩემს ქვეყანას უფრო ვჭირდებიო. ვერაფერს იტყვი, სწორი შეფასებაა, თუმცა ვის როგორ უფასდება პატრიოტიზმი, ამის განსჯა ძნელია...*

— აკადემიის დამთავრების შემდეგ, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველთათვის გაიმართა კონკურსი, რომელშიც ჩემთან ერთად, კიდევ ოთხმა სტუდენტმა გაიმარჯვა. ჩეხეთში ენის შემსწავლელი, ერთწლიანი კურსები გავიარეთ და სპეციალობის მიხედვით, რამდენიმე საგანში მოვემზადეთ. ეს იყო საკურორტო ქალაქი პოტებრადში. მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირეთში არ მდებარეობს, მაინც რაღაცით ჰგავს გაგრას... სტუდენტები იქ თითქმის მთელი მსოფლიოდან იყვნენ ჩამოსული, ძირითადად კი — პოსტსაბჭოთა სივრციდან. მოსამზადებელი კურსის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე კარლის უნივერსიტეტში, რომელიც პრაღაში მდებარეობს. დედაქალაქი, პოტებრადთან შედარებით, გაცილებით ხმაურიანი ქალაქია. სტუდენტებს შორის ნორმალური ურთიერთობა იყო. გამონაკლისს რუსები წარმოადგენდნენ — ცდილობდნენ, ყველასთვის ეგრძნობინებინათ, რომ დანარჩენებზე მაღლა დგანან, სულ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ დიდი სახელმწიფოს შვილები არიან და ჩეხურად ლაპარაკსაც თაკილობდნენ, რაც ადგილობრივებს აღიზიანებდა. ჩეხებს ძალიან უყვართ საკუთარი ქვეყანა.

— ადგილობრივები როგორ აფასებენ ჩეხეთისა და სლოვაკეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფას?

— ჩეხეთ-სლოვაკეთის გაყოფა თავის დროზე, მშვიდობიანად, პოლიტიკოსებს შორის შეთანხმების შედეგად გადაწყდა. მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ძირითადად, ახალგაზრდა თაობისთვის, ეს მისაღებია. უფროსების თქმით კი უკეთესი იქნებოდა, ჩეხეთსა და სლოვაკეთს კვლავაც ერთ სახელმწიფოდ რომ ეარსება: ასეთ შემთხვევაში ის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და განვითარებული ქვეყანა იქნებოდაო... ჩეხი ხალხი ჩვენგან გასხვავებით, უფრო დინჯია. ამასთანავე, სხვა ერების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ძალიან ფრთხილობენ. ასეთი დამოკიდებულება ალბათ, მათი ისტორიული წარსულით შეიძლება აიხსნას. ისინი ყოველთვის ვიღაცის უღელქვეშ იყვნენ: ჯერ — ავსტრია-უნგრეთის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში, მერე — გერმანელი ნაცისტების მიერ იყვნენ დაპყრობილი, შემდეგ — რუსების მიერ ძალით თავს მოხვეული, მძიმე რეჟიმის პირობებში... რუსეთის პოლიტიკისადმი იქ დიდი აგრესია იგრძნობა.

— რამდენად ტრადიციულია ჩეხი ხალხი?

— ახლობლების წევრების მიმართ მზრუნველობა და ჩვენთვის დამახასიათებელი დამოკიდებულება მათთვის უცხოა. მისვლა-მოსვლას ძალიან ოფიციალური სახე აქვს, უფრო მეტიც — ნათესავებთან „ვიზიტი“ წინასწარ შეთანხმებით ხდება და მკაცრად განსაზღვრულია. მაგალითად, ერთხელ ჩემს მეგობარს ბებიამ დაურეკა და უთხრა, — შაბათ-კვირას შენთან მოსვლა მინდა, თუ არის შესაძლებელი და რა წამოგიღოო? შვილიშვილმა უპასუხა, — შენი მიღება მხოლოდ შაბათს შემიძლიაო, — თან, პირადი ჰიგიენის

ნივთები და იმ საკვების წყება ჩამოუთვალა, რომელიც ბებიას უნდა მიეტანა მისთვის. ამ ყველაფერს გაოცებული ვუსმენდი, ის კი თვალს მიკრავდა... წარმოუდგენელია, დაბადების დღეზე ნათესავი მივიდეს — ამ დღეს იუბილართან მხოლოდ უახლოესი მეგობრები ან თანამშრომლები იკრიბებიან.

— გოჩა, რამდენად რთული იყო იქაურ უნივერსიტეტში სწავლა?

— საკმაოდ რთული იყო, როგორც სწავლა, ისე მისაღები გამოცდების ჩაბარება. თუმცა ძირითადი პრობლემა ჩემთვის, ენობრივი ბარიერი იყო: ის, რაც ქართულ აკადემიაში წლების განმავლობაში მქონდა ნასწავლი, კარლის უნივერსიტეტში ჩეხურად უნდა ჩამებარებინა. რაც შეეხება თვით უნივერსიტეტს, მას დიდი ისტორია აქვს: 1348 წელს, კარლ VI-მ, რომის იმპერატორმა და ჩეხეთ-მორავიის გაერთიანებული მიწების მეფემ დააფუძნა და ის დღესაც საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობს ცენტრალურ ევროპაში. თავიდან სულ რამდენიმე ფაკულტეტი ჰქონია, მათ შორის იურიდიულიც. როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს უპრობლემოდ იღებენ სამსახურში. ყველა სტუდენტი ირჩევს მისთვის საინტერესო პროგრამას და მისი ათვისებისას, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობის საშუალებაც ეძლევა. მე ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო ავირჩიე და მაინტერესებდა პოლიციის როლი ამ სფეროში. კონსულტაციები გავიარე ჩეხეთის სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებთან და მათი სპეციალური მიწევით, სასამართლო სხდომებსაც ვესწრებოდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ქალთა და ბავშვთა უფლებები.

— საქართველოს საელჩოშიც მოგიწია მუშაობამ...

— დიახ, ეს ჩემი არჩევანი იყო. რადგან საერთაშორისო სამართლის კუთხით ვაპირებდი საკუთარი ცოდნის გამდიდრებას, დიპლომატიური გამოცდილება აუცილებლად მჭირდებოდა. სტუდენტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, სად გაივლის პრაქტიკას. ამავე დროს, ეს ენის სრულყოფილად შესწავლაში მიწყობდა ხელს. კარგა ხანს საქართველოს საელჩოში რეფერენტი და პრესის მიმომხილველი ვიყავი. ვესწრებოდი პოლიტიკურ შეხვედრებს და დისკუსიებს. ამ სფეროში ყველა წვრილმანს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ყველაფერი დიპლომატიის კულტურაზე მეტყველებს... უკვე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია — საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა სამართლის დარგში და სამართლის დოქტორის ტიტულიც მომანიჭეს.

— აფხაზებიც, საელჩოში მუშაობის დროს გაიცანი?



მჯერა, რომ დადგება დრო და ემიგრანტი აფხაზები კონფლიქტის მოგვარებაში დიდ როლს შეასრულებენ

— დიახ. რაღაც საბუთები დასჭირდათ და საქართველოს საელჩოს მიმართეს, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონდათ. საქმე ის არის, რომ ისინი აფხაზობენ, მაგრამ აფხაზეთი ომამდე დატოვეს და, არა შემთხვევით, არამედ შეგნებულად, ქართველებთან ომს აარიდეს თავი (რამდენადაც ვიცი, თქვენს ჟურნალს აფხაზეთში კითხულობენ და ამიტომ, მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მით უმეტეს, რომ იმ ხალხს აფხაზეთში ნათესავები ჰყავთ); პრაღაში გახსნილი აქვთ რესტორანი, რომელსაც ჰქვია „სოხუმი“ და არა — „სუხუმ“... ჩემდა გასაოცრად, როცა მათ გაიგეს, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქართველი ვარ, ძალიან თბილად შემხვდნენ. საელჩოში რამდენჯერმე გვქონდა დისკუსია და შეხვედრა, აფხაზეთის კონფლიქტის თემაზე და ისინი ყოველთვის ესწრებოდნენ ამ შეხვედრას. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბოლო დისკუსია, რომლის ორგანიზატორი — ჩეხეთში ქართული სათვისტომო იყო. თუ არ ვცდები, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ. არ ვიცოდი, თუ ამ შეხვედრაზე აფხაზებიც იქნებოდნენ და მით უმეტეს არ ველოდი იმას, რომ რუსეთის ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით ჩვენს მოთხოვნას ისინიც გაიზიარებდნენ... ერთ-ერთ სოხუმელ აფხაზთან, რომელიც ასაკით დიდია, ძალიან კარგი, თბილი ურთიერთობა მაქვს. ხშირად მიყვებოდა, როგორ ცხოვრობდა და მეგობრობდა ქართველებთან. მისი და დღესაც სოხუმში ცხოვრობს და ანტიქართული განწყობილებით გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმისშვილი — ამ კაცის ქალიშვილი ქართველზეა გათხოვილი.

— რა გზას ხედავენ ისინი აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად?

— კონფლიქტის მოგვარებაში პოლიტიკოსების ნაკლებად სჯერათ, უფრო სახალხო დიპლომატიის იმედი აქვთ. თან კატეგორიულად ამბობენ, რომ ჩვენთან ურთიერთობისას შუამავალი არ სჭირდებათ. მიაჩნიათ: საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ შეხვედრები, მაგრამ თვითონ არ ჩაერიონ, რადგან ამ ორ ხალხს ერთმანეთთან სალაპარაკო ბევრი აქვს... დავიწყოთ იმით, რომ ისინი ქართველების მოთხოვნას ეთანხმებიან. ის ხალხი სამშობლოში დაბრუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს, თუ იქ ქართველი დევნილები დაბრუნდებიან. ამავდროულად, ამბობენ, რომ ქართულ-აფხაზურ მოვლენებზე პასუხი ვიღაცამ უნდა აგოს. ამასთანავე აღიარებენ, რომ ეს იყო ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ შემდეგ, არასწორი მიმართულება მიიღო და აფხაზები შეცდნენ, შეცდომები დაუშვეს ქართველებმაც... მათი თქმით, ომი ორივემ წააგო და მას ერთადერთი გამარჯვებული ჰყავს — რუსეთი... ხშირად ასეთი რამეც მომისმენია მათგან: ჩვენი სურვილიც რომ არ ყოფილიყო, რუსეთი ერთმანეთს ვერ გადაგვკიდებდაო... იმასაც დასძენენ: ამ ომში უფრო მეტად, აფხაზები დავზარალდით — გენოფონდი გაგვინადგურდაო... არც ის მოსწონთ, რაც დღევანდელ აფხაზეთში ხდება... საკუთარ ხალხს ქართველების მიმართ გამოვლენილ სისასტიკეშიც ადანაშაულებენ. ამიტომაც მჯერა, რომ დადგება დრო და ემიგრანტი აფხაზები კონფლიქტის მოგვარებაში დიდ როლს შეასრულებენ. ■

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 98

ერთი კითხვა

— რომელია თქვენი საყვარელი კურორტი და როგორ ისვენებთ ზაფხულში?

ჯემალ ღაღანიძე, *მსახიობი:*

— დასასვენებლად, ახალგაზრდობაში უფრო ხშირად დავდიოდი. ზღვაც მიყვარს და მთაც, გააჩნია, რა განწყობილებაზე ვარ. საქართველოში უამრავი ლამაზი ადგილია. კურორტებიდან უპირატესობას ქობულეთს ვანიჭებ.

თამუნა კვინიკაძე

ნანკა კალატოზიშვილი შეუყვარებულია

ჟურნალისტი – ჯაბა კილაძე
რესპონდენტი – ნანკა კალატოზიშვილი

— ნანკა, როგორ ხარ, გენაცვალე?

— კარგად, საყვარელო.

— ძალიან ცხელა და თბილისს რატომ შემორჩი?

— ლევან წულაძე ჩეხოვის პიესას დგამს და რეპეტიციები გვაქვს.

— შემდეგ?

— შემდეგ დასასვენებლად წავალ, მაგრამ სად, ჯერ არ ვიცი, არ დამიგეგმავს.

— ტელესივრცეში ანუ „არტ-ბულვარში“ რა ხდება?

— ბოლო გადაცემა ჩავწერეთ. ახლა ვისვენებთ.

— ფილმებში არ გიღებენ, ასეთი ნიჭიერი და ლამაზი რომ ხარ?!.

— ცოტა ხნის წინ შოთიკო კალანდაძემ ნოველაში გადამიღო. მითხრა, რომ პარალელურად, ეს კადრები ერთ-ერთი სიმღერის კლიპისთვისაც უნდა გამოეყენებინა. ბოლოს, როცა კლიპი ვნახე, არ მომეწონა. წინდაუხედავად მოვიქეცი: ჯერ ის სიმღერა უნდა მომესმინა და მერე მიმეცა თანხმობა.

— ნანკა, რამდენიმე ჩვენებაზე მყავხარ ნანახი. გირჩევ, მოდელობას მიჰყო ხელი.

— რა სისულელეა?! როცა მეგობრები მთხოვენ, ჩვენებაზე მაშინ გამოვდივარ.

ახლა ვისვენებთ

— ეს საქმე ძალიან კარგად გამოგდის. ვიღაცები პოდიუმზე სხეულებს „დაათრევენ“, შენ კი საოცარი შარმი გაქვს.

— ჩვენებაზე ყოველთვის ისეთ ფეხსაცმელს მაცმევენ, რომელიც იატაკზე სრიალებს. თან, მე და ქუსლები ერთმანეთთან ვერ „ვმეგობრობთ“. სულ დაძაბული ვარ, ამას ვერ მამჩნევ ხოლმე?

— ვერა. იმ ადამიანებს (მათი აზრი გასათვალისწინებელია), რომლებთან ერთადაც ვყოფილვარ იმ ჩვენებაზე, სადაც გამოდიოდი, შენთან დაკავშირებით აღმოხდენიათ — ვაა!!!

— (*იცინის*) მართლა?!.

— დამიჯერე, სიმართლეს ვამბობ. აღნიშნეს, — ბევრ მოდელს სჯობიაო. სხვა შენკენ რა ხდება?

— მნიშვნელოვანი არაფერი. „მაკბეტში“ უნდა მეთამაშა, მაგრამ მუსკომედიის თეატრში რემონტის გამო, რეპეტიციები ვერ დავიწყეთ. დოი თავისებური ინტერპრეტაციით დგამს ამ სპექტაკლს. ძალიან საინტერესოა, მომწონს.

— საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლასაც ხომ არ გეგმავთ?

— შემოდგომაზე საფრანგეთში მივდივართ და მარჯანიშვილის თეატრში პანტომიმის ჟანრში დადგმული სპექტაკლი „სალომეა“ მიგვაქვს.

— სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი ვერ ვნახე, არადა, ყველა აღფრთოვანებულია.

— მართლა ძალიან მაგარია. თურმე სიტყვების გარეშეც, ყველაფრის თქმა შესაძლებელია.

— შენ კარგი პლასტიკა გაქვს, როლზე მუშაობა არ უნდა გაგჭირვებოდა.

— თავიდან მეგონა, ვერ შევძლებდი, მაგრამ სირთულეები ნელ-ნელა დავძლიე. მინდა, მსგავს სპექტაკლში კიდევ ვითამაშო.

— ნანკა, რამ შეიძლება გამოგიყვანოს წონასწორობიდან?

— უზრდელობამ. როცა მეუზრდელებიან, ჭკუა „მეკეტება“ და საზიზღრობებს ვაკეთებ და თუ იმ ადამიანის მტკივნეული წერტილი ვიცი, ზუსტად იმ წერტილში ვუმიზნებ.

— გასაგებია. რომელ ქვეყანაში წახვიდოდი სამოგზაუროდ?

— ესპანეთსა და იაპონიაში.

— ეს ქვეყნები რითი გხიბლავს?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესპანეთი ხომ ალმოდოვარის ქვეყანაა!.. იაპონიაში მოგზაურობა კი იმიტომ მინდა, რომ იაპონური პოეზია მიყვარს. მაინტერესებს, ასეთი მდიდარი ფანტაზია საიდან აქვთ. იქნებ, გონება მეც

მსახიობები — ნანკა კალატოზიშვილი და ჯაბა კილაძე ჩვენს რუბრიკაში მოვიწვიეთ. მართალია, ჟურნალისტობას ადვილად გაართვეს თავი, მაგრამ ჯაბამ აღნიშნა, რომ ეს საკმაოდ რთული როლი აღმოჩნდა... იმ დროს, როცა ნანკასა და ჯაბას დიალოგი იწერებოდა, „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლს ცნობილი ექიმი და ტელესერიალის — „შუა ქალაქში“ — მსახიობი ოთარ ტატიშვილი ესტუმრა. ეზოში ჯაბას მანქანა შევნიშნე და მივხვდი, რომ აქ იყო, — გვითხრა. წყვილს რამდენჯერმე საუბარშიც ჩაეჭრა, მე კი პატარა საყვედური მითხრა. რატომ შემომწყრა სერიალის მთავარი გმირი და ვისი ნახვა გაუხარდა ყველაზე მეტად — ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

საღ აპირებს ის ჯაბა კილაძესთან ერთად წასვლას

გამეხსნას (*იცინის*)... კიდევ, ესპანური ცეკვის შესწავლაც მინდა.

— რა მაგის პასუხია და, პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ნორმალური. მოძრაობის წესებს არ ვარღვევ. ერთხელ, სპექტაკლზე მაგვიანდებოდა, ვჩქარობდი და შეცდომა დავუშვი. გამაჩერეს, ჩემი მდგომარეობა ავუხსენი, სპექტაკლზეც დავპატიჟე, მაგრამ დრო არ ჰქონდათ და ვერ მოვიდნენ. კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება: სახლში ვბრუნდებოდი; მთავარი ქუჩიდან რომ გადავუხვიე, ჩემმა ძაღლმა, რომელიც მანქანაში მყავდა და სულ დახტოდა, „დალნი“ ამინთო. ამ დროს პატრულმა გამაჩერა. ავუხსენი, — ჩემი ბრალი არ არის, ძაღლმა ამინთო-მეთქი. — ქალბატონო ნანკა, ნასვამი ხომ არ ხართ? ჩაბერეთო, — და სპეციალური აპარატი მოიტანეს. ნასვამი არ ვიყავი. როცა საჭეს ბავშვთან ერთად ვმართავ, ნასვამი არასდროს ვჯდები-მეთქი, — ვუთხარი. გაუკვირდათ, — აქ ბავშვი სად არისო? მე კი ჩემს სპანიელზე მივუთითე (*იცინიან*).

— მოდი, შენთვის ყველაზე მაგარი და შთამბეჭდავი ზაფხული გაიხსენე. დასასვენებლად, ვისთან ერთად დადიხარ?

— დასასვენებლად, მეგობრებთან ერთად დავდივარ. ყველაზე კარგად 6-7 წლის წინანდელი ზაფხული მახსენდება. მაშინ ნორჩი გოგო ვიყავი. ქობულეთში ვისვენებდით. შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემი მეგობრები წამოვიდნენ და მარტო დავრჩი, მაგრამ იქ იმდენი ნაცნობი იყო: ბუნგალოს მეპატრონე, დიჯეი, მიმტანიც კი, რომ თავი მარტო არ მიგრძნია.


შეყვარებული ვარ...

— ამჟამად შეყვარებული თუ ხარ?

— შეყვარებული ვარ...

— ვინ არის? რას საქმიანობს? როგორ გაიცანი? — მსგავს კითხვებს არ დაგისვამ. მეც არ მიყვარს, როცა პირად ცხოვრებაზე მეკითხებიან. ახლა მითხარი, ვინ არის შენთვის ყველაზე კარგი პარტნიორი სცენაზე?

— ბევრი მსახიობი სპექტაკლში მარტო თამაშობს, ზოგიერთი კი ისე, რომ თავისი თამაშით პარტნიორსაც ეხმარება. ასეთები არიან: დუტა, ნიკო გომელაური, ბაია დვალიშვილი.

— ეს — ჩვეულებრივ სპექტაკლებში, მაგრამ როცა უსიტყვოდ თამაშობ და სათქმელს „სხეულის ენით“ ამბობ?

— როლანდ ოქროპირიძე. ისე, მე და შენ ერთად არასდროს გვითამაშია სცენაზე. ვგრძნობ, კარგი პარტნიორი იქნები.

ჟურნალისტი – ნანკა კალატოზიშვილი
რესპონდენტი – ჯაბა კილაძე

— ჯაბა, შენ რატომ ხარ თბილისში?

— რაღაც საქმეები მაქვს. მოვაგვარებ და დასასვენებლად მერე წავალ.

— სერიალში — „შუა ქალაქში“ რა ხდება?

— ახლა ვისვენებთ. სექტემბრიდან გადაღებები კვლავ განახლდება.

— გავრცელდა ჭორი: „შუა ქალაქში“ „იმედზე“ აღარ გავაო. ამაზე რას იტყვი?

— არა მგონია, სხვა არხზე გადავიდეთ. ვფიქრობ, „იმედში“ დავრჩებით.

— ძალიან სასაცილოები ხართ. მთელი ქალაქი თქვენი ტექსტებით ლაპარაკობს. მამაშენმა, თემურ კილაძემაც ითამაშა. მასთან მუშაობა ხომ არ გაგიჭირდა?

— მამამ რამდენიმე სერიაში ითამაშა. ის მსახიობია, მაგრამ რჩევებს მე ვაძლევდი (*იცინის*).

— დედა რეჟისორი გყავს, მოკლედ, ცხოვრება აწყობილი გაქვს. დედაშენის სპექტაკლში ნათამაშები არ გაქვს?

— დედასთან (*ციცინო კობიაშვილი. — ავტ.*) სპექტაკლში — „მშვიდი ძახილი ოკეანეში“ — ვითამაშე. არ მინდოდა, მაგრამ მაინც. მშობელთან, როგორც რეჟისორთან მუშაობა ადვილი არ არის.

— შენს ტელეგმირზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა? რაც არის, ეგ არის, ცხოვრებაში მისგან სრულიად განსხვავებული ვარ. (*ამ დროს, ყველასთვის მოულოდნელად, იმ ოთახში, სადაც ინტერვიუ იწერებოდა, ოთარ ტატიშვილი შემოვიდა. ეზოში ჯაბას მანქანა შევნიშნე და მივხვდი, რომ აქ იყო, მაგრამ დღეს ჯაბასთან შეხვედრაზე მეტად, ნანკას ნახვა გამიხარდაო, — თქვა და გავიდა*).

ნანკა:

— ოთარი ძალიან მაგარი ადამიანია. კარგად თამაშობს, მსახიობი მეგონა. როცა გავიგე, რომ

ოთარი ძალიან მაგარი ადამიანია

ექიმია, შოკში ჩავვარდი.

— მერედა, როგორი ექიმი?! კლინიკაშიც მუშაობს და სტუდენტებიც ჰყავს.

— საოცარი იუმორის გრძნობა აქვს... ჯაბა, რომ არა მსახიობობა, რა პროფესიას დაეუფლებოდი?

— არ ვიცი. ბავშვობიდანვე ფეხბურთი მიყვარდა, მაგრამ ფეხბურთელი არ გამოვიდოდი.

— მოდელი?

— არა. განა იმიტომ, რომ მოდელობა „ტეხავს“, არა...

— ქართველი მოდელი ბიჭები სცენაზე ისეთი დაძაბულები დადიან, მგონია, ახლა ჩამოსტებიან და იყვირებენ-მეთქი. რისი სარეკლამო სახე იქნებოდი?

— ო!!! არაერთი ბრენდის, უფრო — ტანსაცმლის.

— რომელი დიზაინერი გიყვარს?

— სიამოვნებით ვიქნებოდი „არმანის“ სახე.

— კახი კალაძეს რომ გამსგავსებენ, შენთვის არ უთქვამთ?

— როგორ არა?! ეს უფრო, ჩემი სტუდენტობის დროს იყო, გრძელ თმას ვატარებდი. ერთხელ ერთ-ერთ ლუდის ბარში შევედი. იქ მყოფებმა

ატეხეს ყვირილი — კახი კალაძე მოვიდაო!.. თან, იმ დღეს ფეხბურთის სათამაშოდ ვიყავი და სპორტული მაისური მეცვა. მე და კალაძეს შორის დიდი განსხვავებაა. ის ათლეტურია.

— **სულ დარბის და იმიტომ!**

— სამაგიეროდ, სცენაზე ვერ ითამაშებს.

ამ დროს, **ოთარ ტატიშვილმა** *უკვე მეორედ შემოგვიღო კარი და მე მომმართა:*

— მე შენ გაგებუტე, აღარ გელაპარაკები.

— **რატომ?**

— ნანკა თუ მოგყავდა რედაქციაში, რაღა ჯაბას ახვედრებდი?! მე ვერ დამირეკე? რამდენი ხანია, ამ ადამიანის გაცნობა მინდა, მაგრამ მე მაგის ბედი სად მაქვს?! გუშინაც, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ელენე თევდორაძესთან წამიყვანა (*ოთარმა ხელი ჩაიქნია და გავიდა*).

ნანკა:

— **ჯაბა, ოდესმე თუ გინადირია?**

— არა, ვერ წარმომიდგენია, შველი რატომ ან როგორ უნდა მოკლა?!. აი, თევზაობა კი ძალიან მიყვარს.

— **რატომ? თევზი არ გეცოდება?**

— თვითონ პროცესი მსიამოვნებს.

— **როგორი თინეიჯერი იყავი?**

— ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამოვირჩეოდი.

— **ალკოჰოლის დალევა გიყვარს?**

— დალევა — არა, ბილიარდის თამაში მიყვარს.

— **რატომ? რომ დალევ, მეორე დღეს ცუდი „პახმელია“ გაქვს?**

— ვცდილობ, იმდენი არ დავლიო, რომ მეორე დღეს ცუდად ვიყო.

— **სიმთვრალეში ხასიათი გეცვლება?**

— უფრო უკეთესი ვხდები. აგრესიული ადამიანი ისედაც არა ვარ.

— **ვისთან ერთად გიყვარს დასვენება?**

— მეგობრებთან ერთად. წელს დასასვენებლად, კახა მიქიაშვილთან ერთად წავალ.

— **ვინ არის შენი საყვარელი მწერალი?**

— მიხეილ ჯავახიშვილი, ვაჟა-ფშაველა... ბავშვობიდანვე ბევრს ვკითხულობდი. პოეტებიდან გამორჩეულად, გალაკტიონი მიყვარს.

— **რომელ რეჟისორთან იმუშავებდი სიამოვნებით?**

— ალმოდოვართან. ამ რეჟისორს ძალიან კარგი ხედვა აქვს.

— **ვაიმე!!! ალმოდოვართან მუშაობა მეც მინდა. წამოდი, მასთან ერთად წავიდეთ!..**

— წავიდეთ!.. ■

„ნარინჯისფერი ქობულეთი“ და სასამართლოს დარბაზში ჯდომით დაკარგული დრო

„საინტერესო ფაქტების მომსწრენიც ხშირად ვხდებით და სასანდალებშიც ვეხვევით...“

ამ ბოლო დროს ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ რეგიონული მედია, როგორც არასდროს, ისე გაძლიერდა. ჟურნალი „გზა“ დაინტერესდა, თუ რა პირობებში უწევთ სხვადასხვა რეგიონის ჟურნალისტებს მუშაობა. ამჯერად, ჩვენი სტუმარი ქობულეთის გაზეთების – „ჩემი ქობულეთისა“ და „აჭარა P.S.“-ის რედაქტორი, **ჯემალ მეგრელიძეა**.

ხათუნა ბახტურიძე

— **ბატონო ჯემალ, აჭარის ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი პრესა რაიმე ზეწოლას ან გავლენას ხომ არ განიცდის?**

— ორი წლის განმავლობაში, ქობულეთში ადგილობრივი პრესა არ არსებობდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, ბაზარი აგვეთვისებინა და ძველი, საფოსტო მომსახურება აღგვედგინა. სხვათა შორის, ადგილობრივი მმართველობა ამ წამოწყებას აღტაცებით შეხვდა. გაზეთ „ჩემს ქობულეთში“ გავაკეთეთ SMS-ფოსტა, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი მოსახლეობა გვიკავშირდება და თავისი პრობლემების შესახებ გვიამბობს. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ მკითხველის არც ერთი შენიშვნა, თხოვნა და საჩივარი ხელისუფლების მხრიდან რეაგირების გარეშე არ რჩება.

— **ქობულეთის მოსახლეობა ყველაზე ხშირად, რა პრობლემით მოგმართავთ?**

— ძირითადად, გზების, ქუჩების და ეზოების მოწესრიგებას ითხოვენ. მართალია, ისინი პირად პრობლემებზე თითქმის არ გვაწუხებენ, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ქობულეთელებს დალხინებული ცხოვრება აქვთ. ბევრს ძალიან უჭირს... რაც შეეხება პოლიტიკურ გაზეთს — „აჭარა P.S.“ — მასზე აჭარის ხელისუფლება აშკარა ზეწოლას ახორციელებს. როგორც ჩანს, კრიტიკა, თუნდაც — ობიექტური, ჩინოსნებისთვის აუტანელია. სულ ცოტა ხნის წინ სასამართლოშიც კი გვქონდა საქმე.

— **რა საკითხთან დაკავშირებით?**

— პრობლემა ბინათმშენებლობას ეხებოდა. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №38-ში, „პორტმა“ ააშენა მრავალსართულიანი სახლი, რომელსაც ეზო არ აქვს, პირდაპირ ქუჩაში დგას. ეს მობინადრეებისათვის, განსაკუთრებით — ბავშვებისთვის ძალიან სახიფათოა: ადვილი შესაძლებელია, სადარბაზოდან გამოსულ ადამიანს ავტომობილი დაეჯახოს. ერთ-ერთი ასეთი ავარიის მომსწრე პირადად გახლდით. ჩემი თვალით დავინახე, როგორ დაეჯახა სადარბაზოდან გამოსულ ბავშვს მანქანა. ახლა, ამ სახლის გვერდით კიდევ ერთი ბინის მშენებლობა დაიწყო, რაც სეისმოლოგიური და



გავაკეთეთ SMS-ფოსტა, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი მოსახლეობა გვიკავშირდება და თავისი პრობლემების შესახებ გვიამბობს

სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით, დაუშვებელია. ჩვენ ეს პრობლემა გავაშუქეთ. სტატიაში კონკრეტული ადამიანი ან ფირმა არ გვიხსენებია, მაგრამ სამშენებლო კომპანიამ სასამართლოში გვიჩივლა. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცოდით, თუ ამ მშენებლობით ეს კომპანია იყო დაინტერესებული. მართალია, პროცესი მორიგებით დასრულდა, მაგრამ სასამართლოს დარბაზში ჯდომით ძალიან ბევრი დრო დაგვაკარგვინეს.

— ამ შემთხვევაში ხელისუფლება რა შუაშია?

— ვფიქრობთ, რომ ამ კომპანიას ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები მართავენ.

— ერთი მხრივ, ხელისუფლება მხარს გიჭერთ, მეორე მხრივ კი ცდილობს, ზეწოლა განახორციელოს?

— გაზეთებს — „ჩემი ქობულეთი“ და „აჭარა P.S.“ სხვადასხვა სუბიექტად აღიქვამს.

— ჟურნალისტური გამოძიების ჩატარების შესაძლებლობა თუ გაქვთ?

— როგორ არა! სხვათა შორის, რევოლუციამდელ პერიოდში ჩვენი გაზეთის აქტიურმა მუშაობამ და კრიტიკამ ძალიან ბევრ თანამდებობის პირს დააკარგვინა სავარძელი. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს სიტყვას ანგარიშს აღარ უწევენ.

— ადგილობრივი მკითხველი უმთავრესად, რით ინტერესდება — სკანდალით, პოლიტიკით თუ შემეცნებითი წერილებით?

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ძალიან პრეტენზიული მკითხველი გვყავს. ისინი კორექტურულ შეცდომასაც კი არ გვაპატიებენ. თემატური თვალსაზრისით, პოლიტიკა და შემეცნებითი წერილები აინტერესებთ. ხშირად, „ესემესების“ საშუალებით გვთხოვენ, რომ ქობულეთის ისტორიაზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ამ მოთხოვნას აუცილებლად გავითვალისწინებთ.

— თბილისში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს თუ აშუქებთ?

— კი, ვაშუქებთ. დედაქალაქში ჩვენი კორესპონდენტიც გვყავს. საინფორმაციო სააგენტოებთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ. ისე, თბილისში მომხდარი მოვლენების კრიტიკა აქ უფრო ადვილია, იმიტომ, რომ გამომდავებელი ნაკლებია. ჩვენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო გვაქვს პრობლემები. მინდა, აღვნიშნო ისიც, რომ აჭარის მთავრობა პრესასთან საერთოდ არ თანამშრომლობს.

— რას გულისხმობთ?

— არც ერთ სხდომაზე და საინტერესო ღონისძიებაზე არ გვიწვევენ. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი საბჭოს წევრები ძალიან დიდი კრიტიკის ქარცეცხლში გავატარეთ, მისი თავმჯდომარე ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების ობიექტი გახდა, ისინი ჩვენთან თანამშრომლობენ...

— თქვენი მედიაჯგუფი რაიმე ღონისძიებებს თუ ატარებს?

— ჩვენი მედიაჯგუფი ფესტივალის — „ნარინჯისფერი ქობულეთი“ დამფუძნებელია. ეს ღონისძიება შარშან შემოდგომაზე პირველად ჩავატარეთ და ამ ფესტივალისთვის წელსაც ვემზადებით.

— როგორ ფიქრობთ — საქართველოს დანარჩენი რეგიონების პრესისგან რით გამოირჩევით?

— საქართველოს ყველა რეგიონში გამომავალი ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი ჩემი მეგობარია. დამეგობრებაში იმ ფაქტმაც შეგვიწყო ხელი, რომ რეგიონული მედიისათვის სემინარები საკმაოდ ხშირად იმართება. ვინაიდან აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა, თავისი მთავრობა და უზენაესი საბჭო ჰყავს, მოვლენების აღწერის თვალსაზრისით, ჩვენ მეტი გასაქანი გვაქვს, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში მოღვაწე ჟურნალისტებს. საინტერესო ფაქტების მომსწრენიც ხშირად ვხდებით და სკანდალებშიც ვეხვევით. მართლა ვერ წარმომიდგენია, რა მასალებზე მუშაობენ კახეთის, თერჯოლის ან გორის ჟურნალისტები...

■

ინტერბიზნესაკადემია
AIB
INTERBUSINESSACADEMY

ინტერბიზნესის აკადემია

მანათლებლობა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული ინტერბიზნესის აკადემია აცხადებს მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრისა და მაგისტრატურის I კურსზე.

აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან და მასში გაერთიანებულია ბიზნესის, ეკონომიკის, სამართლის, მედიცინის, ხელოვნებისა და სხვა ფაკულტეტები.

ინტერბიზნესის აკადემიის დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს 102 სახელმწიფოს მიერ.

მის: თბილისი, აუარავიშვილის გამზ: 66 დ

ტელ: 605 423, 615 423

სრული ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

„ზაფხულის კინოსკოლა“ – ქართული კინოს გაღვასაჩენად გამიზნული ნაბიჯი

ქართული კინოს ასაღორძინებლად გამიზნული ნაბიჯი — ასეა განსაზღვრული საგანმანათლებლო პროექტის — „ზაფხულის კინოსკოლა“ — ამოცანა და დანიშნულება. ამ პროექტის მეშვეობით, მომავალ კინემატოგრაფისტებს შესაძლებლობა ეძლევათ, გადაიღონ ფილმი და ამასთანავე, პროფესიონალურ დონეზე შეისწავლონ კინოგადაღება, ამ პროცესში კი მათ უფროსი თაობების კოლეგები დაეხმარებიან. „ზაფხულის კინოსკოლის“ ორგანიზატორები არიან: კომპანია „სინეტექი“, საერთაშორისო კომპანია „კოდაკი“, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“ და მედიასახლი „კვირის პალიტრა“. დანარჩენს, ამ პროექტის ერთ-ერთ ორგანიზატორი, კინორეჟისორი ზურა მაღალაშვილი მოგვითხრობს.

ეთო ყორღანაშვილი

— დიდი ხანია, რაც საქართველოში ასეთი პროექტის განხორციელების საჭიროება არსებობს. ჩვენთვის ძალიან მტკივნეული იყო, რომ არ გვქონდა შესაძლებლობა, სტუდენტებს კინოწარმოების შესწავლაში დავხმარებოდით. როგორც კი ამ პროექტის განხორციელების საშუალება მოგვეცა, მაშინვე საქმეს შევუდექით: მაისში გადავწყვიტეთ და დღეს უკვე ფილმებზე მუშაობა მიმდინარეობს.

— რა არის „ზაფხულის კინოსკოლის“ მთავარი მიზანი?

— ორი მიზანი გვაქვს: ერთი ის, რომ სტუდენტებმა ფილმის გადაღება პროფესიონალურ დონეზე შეისწავლონ და მეორე — არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ქართული კინო ფეხზე დავაყენოთ. იმედია, ჩვენი პროექტი ქართული კინოს აღორძინების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მცხოვრები სტუდენტები ვერც ერთ სასწავლებელში ვერ იღებენ პრაქტიკულ განათლებას — არა აქვთ საჭირო ტექნიკური ბაზა, სცენარისტებთან მუშაობის საშუალება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ სასწავლებლების პრობლემა არაა — კინოში მოღვაწე ადამიანები სტუდენტებზე ყოველთვის ზრუნავდნენ.

— სხვადასხვა სასწავლებელში ვიდეოფირით სწავლება ხომ მიმდინარეობს?

— დიახ, მაგრამ ვიდეოფირი არ გაძლევს იმის საშუალებას, რომ კინოში სრულყოფილი პროფესიონალური გზა გაიარო. ამ პროექტში სტუდენტები კინოფირზე იმუშავებენ. ტექნიკა, რომელიც ჩვენ გვაქვს, კომუნისტური მმართველობის პერიოდში — როცა ქართული ფილმებით ძალზე განებივრებული ვიყავით, არ ჰქონდათ. ასე რომ, ახალგაზრდები კარგ პირობებში იმუშავებენ. ჩვეულებრივ, სტუდენტები საკურსო და სადიპლომო ფილმებისთვის თავად წერენ სცენარს, ამ პროექტში კი მათ პროფესიონალი სცენარისტები დაეხმარებიან. იგივე ითქმის მხატვრებზე, რეჟისორებზე, ოპერატორებზე და სხვა კინემატოგრაფიული სფეროების სპეციალისტებზე.

— თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტებისთვის რაიმე გადასახადი ხომ არაა დაწესებული?

— არანაირი გადასახადი არ ეკისრებათ, პირიქით — იქით ვეხმარებით და ხანდახან იმაზეც მწყდება გული, რომ გზის ფულს თავადვე იხდიან: ვიცი დღევანდელი ახალგაზრდების მატერიალური მდგომარეობის შესახებ — ზოგისთვის ტრანსპორტის ხარჯიც კი მძიმე ტვირთია... „ზაფხულის კინოსკოლა“ კომერციული პროექტი არ გახლავთ.

— პროექტში მონაწილე სტუდენტების შერჩევა რა პრინციპით ხდება?

— ძალიან ლიბერალური პრინციპით: მოგვიტანეს სინოფსისი — სცენარის მოკლე შინაარსი და მასში ერთი ხელჩასაჭიდი წინადადებაც რომ გვენახა, გასაუბრების შემდეგ, ახალგაზრდას პროექტში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევდით. მთავარი — მონდომება და საქმის სიყვარულია.

— სტუდენტთა შემოქმედებითი ჯგუფი უკვე მთლიანადაა დაკომპლექტებული?

— მოკლემეტრაჟული მხატვრული ფილმის წარმოების შესაძლებლობა 70 სტუდენტს ექნება. ამჟამად, მუშაობაში 40 ახალგაზრდაა ჩართული — მხატვრები, ოპერატორები, რეჟისორები. სექტემბრიდან პროექტს კომპოზიტორები და კრიტიკოსებიც შეუერთდებიან.

— თქვენს პროექტში მონაწილეობა რომ მივიღო, აუცილებელია, სამხატვრო აკადემიის, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ან კონსერვატორიის სტუდენტი ვიყო?

— არა, უბრალოდ, სხვა სასწავლებლებში არ მივსულვარ და მათთვის არ მითქვამს „ზაფხულის კინოსკოლის“ შესახებ, თორემ თუ შესაბამის ფაკულტეტზე სწავლობენ და ამ პროექტში მონაწილეობის სურვილი აქვთ, კი, ბატონო, მოიტანონ სინოფსისები და გავესაუბრე-

ერთი კითხვა

— რომელია თქვენი საყვარელი კურორტი და როგორ ისვენებთ ზაფხულში?

ნინო მიქელაძე, *ლევან გაჩეჩილაძის მეუღლე:*

— ყველაზე საყვარელი კურორტი? (*ფიქრობს*) სიმართლე გითხრათ, კონკრეტულად რომელიმეს დასახელება მიჭირს. ბევრგან ყოფნა მომწონს. ზღვა — ზაფხულში, მთა — ზამთარში შეუცვლელია. მაგრამ ლევანი თხილამურებზე ვერ დგება და მთაში დასვენება ნაკლებად უყვარს. წელს მთელი ოჯახი საგურამოში ვართ. დასასვენებლად სად წავალთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

ბით. ჩვენთან პოლონეთის ინსტიტუტის სტუდენტებიც არიან. პროექტის შესახებ მათ თვითონ გაიგეს და შემოგვიერთნდნენ...

— ლექცია-სემინარები ახლაც მიმდინარეობს?

— არა. სემინარები 1-ელი ივლისიდან 2 აგვისტომდე ჩატარდა. ახლა მთლიანად პრაქტიკულ სამუშაოზე გადავედით. პირველი ფილმის — „წითელი ლენტი“ — გადაღება რამდენიმე დღეში დასრულდება. ახლა უკვე მეორე ფილმზე მუშაობა მიმდინარეობს. როგორც გითხარით, ზოგი სცენარი ჯერ ისევ დამუშავების პროცესშია.

— სცენარები რა თემაზე იწერება?

— „მშვიდობით, იარაღო!“ — ახალგაზრდებმა ასეთი ლოზუნგი აირჩიეს.

— „ზაფხულის კინოსკოლა“ ერთჯერადი პროექტია?

— წესით, ასეთი პროექტი ყოველწლიური უნდა იყოს, უფრო მეტიც: ვიღაცა შემოდგომაზე უნდა იღებდეს ფილმს, ვიღაცა — ზამთარში. „ზაფხულის კინოსკოლა“ — პირობითი სახელწოდებაა. უბრალოდ, სწორედ ზაფხულში დავიწყეთ პროექტის განხორციელება და ეს სახელი ამიტომ დავარქვით.

— პროექტის პრეზენტაციაზე ითქვა, რომ საქართველოში ფილმის დასაფინანსებლად რამდენი ინვესტორიც ჩამოვიდა, ყველა გაიქცაო. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— არ ვიცი, რომელ ინვესტორზეა ლაპარაკი, მაგრამ ალბათ, რაღაც სხვანაირი ინტერესი ჰქონდათ... ამ საკითხში ცოტა ღრმად ვიხედები. უცხოელი ინვესტორი ჩამოვა და უკან გაიქცევა, რადგან არ გვყავს — ხმის ოპერატორი, დეკორაციის მშენებელი, ბუტაფორი. იმ უცხოელს, ფილმის გადაღებისას, ვთქვათ, ფრთები რომ დასჭირდეს, მის დასამზადებლად, საზღვარგარეთ წასვლა ხომ არ უნდა მოუხდეს?!. არა გვაქვს სათანადო დონის პავილიონი... მხოლოდ ლამაზი ბუნება, მთები და ზღვა სხვაგანაც არის. მთავარი — პროფესიონალიზმია. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელმაც ყველაზე მეტი ვალდებულება უნდა იკისროს, უფროს თაობასთან და ახალგაზრდებთან ერთად, ყველაფერი უნდა ვიღონოთ ქართული კინოს გადასარჩენად. „ზაფხულის კინოსკოლის“ მონაწილე სტუდენტების დიდი იმედი მაქვს. ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან. მათ სულ ვუმეორებ, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრონ. თუ ერთად ვიმუშავებთ, ყველაფერს შევძლებთ.

***სანდრო ჯაფარიძე** და **ტატო კოტეტიშვილი** „ზაფხულის კინოსკოლაში“ ჯერ ფილმის გადაღების წინა — ე.წ. მოსამზადებელ პერიოდს გადიან და მალე ფილმის გადაღებასაც შეუდგებიან.*

სანდრო:

— თეატრალურ უნივერსიტეტში სარეჟისოროზე — მხატვრული კინოს ფაკულტეტზე ვსწავლობ. სტუდენტებს ამ პროექტის შესახებ შეგვატყობინეს და მონაწილეობაც შემოგვთავაზეს... ეს წინადადება სიამოვნებით მივიღე. „მშვიდობით, იარაღო!“ — სცენარი ამ თემაზე უნდა დაგვეწერა. დავწერე. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დამირეკეს და მითხრეს: თქვენი სცენარი მიღებულიაო. ძალიან გამიხარდა და ტატოს დავურეკე. მერე ტატოსაც გაუხარდა...

გიორგი მარგველაშვილი, ზურა მაღალაშვილი და ელდარ შენგელაია

ზურა მაღალაშვილი პროექტის პრეზენტაციაზე გამოსვლისას

ტატო:

— ამ პროექტის შესახებ სწორედ სანდროსგან შევიტყვე. მან თავისი ფილმის გადაღებაზე მიმიწვია, როგორც ოპერატორი. მე და სანდროს ადრეც გვიმუშავია ერთად. ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოპერატორმა, რეჟისორმა და საერთოდ, მთელმა შემოქმედებითმა ჯგუფმა კარგად გაუგონ ერთმანეთს. კინოოპერატორის პროფესიას პოლონეთში ვეუფლები. საქართველოში ჩამოსვლა ცოტა არ იყოს, გვიან მომიხდა და შესაბამისად, პროექტშიც გვიან ჩავები. ცუდი არ იქნებოდა, რომ მოსამზადებლად უფრო მეტი დრო გვქონოდა, რადგან კინოფირზე ვმუშაობთ. ვიდეოფირზე მუშაობა გაცილებით იოლია — შენი შრომის საბოლოო პროდუქტს მონიტორზე ნახავ. კინოფირზე მუშაობის დროს კი, მის გამჟღავნებას უნდა დაელოდო და შენი ნამუშევრის ნახვა მხოლოდ მთელი რიგი ლაბორატორიული პროცესების შემდეგ შეგიძლია. ამიტომ სასურველია, უფრო მომზადებული შეუდგე მუშაობას...

— ე.წ. უფრო მობილიზებული ხართ?

— რა თქმა უნდა! ფირი ძვირია — 7 ლარი კი არ ღირს, როგორც კასეტა... საქართველოში ძალიან რთულია, რომ სტუდენტმა რამე გააკეთოს. ეს პროექტი საშუალებას გვაძლევს, ვისწავლოთ, პროფესიონალებთან ერთად ვიმუშაოთ. კომპანია „სინეტექი“ საჭირო ტექნიკით უზრუნველგვყოფს... საქართველოში კარგი ბუნებაა — მთაც არის და ზღვაც. მაგალითად, ჩეხეთი ფილმის გადასაღებად საჭირო პირობების მიხედვით, ევროპაში ყველაზე ხელსაყრელი, იაფი ქვეყანა იყო; შესაძლებელია, რომ საქართველომაც ასეთი ფუნქცია შეიძინოს. ამჟამად, ჩვენთან კინოსთვის ბეგარის მოხსნაზეც ლაპარაკობენ. ეს, რა თქმა უნდა, კარგია: კინოწარმოების მიზნით, ბევრი ხალხი ჩამოვა, პროფესიონალიზმის დონეც ამაღლდება. აქ ტექნიკური პერსონალი „იაფია“ — ცხოვრების დონე დაბალია, ხალხს დაბალი ხელფასები აქვს... „ზაფხულის კინოსკოლაში“ მეორე ფილმზეც ვაპირებ მუშაობას, ოღონდ — სხვა რეჟისორთან. ჩვენთან კონკურსი იყო და სანდროს ორი სცენარი რომ შემოეტანა...

სანრო:

— ორი სცენარი შემოვიტანე, მაგრამ მხოლოდ ერთი გავიდა.

— ტატო, პოლონეთში სწავლის დონით კმაყოფილი ხარ?

— დიახ, კმაყოფილი ვარ. იქ მთელი წლის განმავლობაში გვასწავლიან, ექსპერიმენტებს გვატარებინებენ... „ზაფხულის კინოსკოლა“ იმიტომაა კარგი, რომ მცირე დროში ბევრი რამის სწავლის საშუალებას იძლევა.

სანდრო:

— უცხოეთში არ მისწავლია, მაგრამ იქ სწავლით მაინც კმაყოფილი ვარ (*იცინის*). ჩემი უნივერსიტეტის კრიტიკას არ დავიწყებ. უბრალოდ, ვიტყვი იმას, რომ ეს პროექტი უფრო მეტ გამოცდილებას გვაძლევს. კინოფირი მაინც სულ სხვაა... იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის, გვექნება ახალი პროექტები, ახალი ფილმები და სანდრო და ტატო ყველაზე მაგარი რეჟისორი და ოპერატორი იქნებიან!

— წარმატებებს გისურვებთ!

— დიდი მადლობა!

როდის ვეარ იცვამს ქეთათო ბოკლე კაბებს

„თუკი ქალის სხეული პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას მოითხოვს, უკან არ უნდა დაიხიოს. ჯერჯერობით, მე ეს არ მჭირდება, მაგრამ თუ ოდესმე დამჭირდა, მერწმუნეთ, დახმარებისთვის აუცილებლად სპეციალისტს მივმართავ“, — მითხრა ქეთათომ, რომელიც თურმე, ბავშვობიდანვე ყველასგან განსხვავებულად იცვამდა.

„სახლში ოჯახი ვგავდეთ და „ოცვიმანიებს“ ვაკეთებ“

მარეხ ჭონიშვილი

— ქეთათო, სურათების გადაღება გიყვარს?

— კი. ყოველთვის ვცდილობ, საინტერესო მომენტი ფირზე აღვბეჭდო.

— საკუთარ ფოტოალბომს ხშირად ათვალიერებ?

— იშვიათად, მაგრამ როცა ძველ ფოტოებს ვათვალიერებ, ის მომენტი მახსენდება, რაც მასზეა აღბეჭდილი. ასევე, ვადარებ, თუ რაოდენ განსხვავებული ვარ წინა წლებთან შედარებით და ა.შ.

— იმიჯს ხშირად იცვლი?

— ალბათ, კი, მაგრამ ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ ვერც ვგრძნობ.

— როგორი ბავშვი იყავი?

— ძალიან ნაზი. სხვათა შორის, მოხუცებთან ყოფნა მიყვარდა და ამიტომაც, დიდ დროს ბებიასთან და მის მეგობრებთან ვატარებდი, მათთან ერთად სასეირნოდ პარკში დავდიოდი და კიდევ, მოხუცებს აერობიკაში ვავარჯიშებდი (*იცინის*). ჩემი ასაკის გოგონებთან კარგი ურთიერთობა არ მქონდა, ბიჭებთან უფრო ვმეგობრობდი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მათაც ხშირად ვეჩხუბებოდი. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ შინაურ ცხოველებს აწვალებდნენ.

— პრანჭია თუ იყავი?

— ძალზე პრანჭია ბავშვი ვიყავი, მაგრამ მეტიჩარა არასოდეს ვყოფილვარ. ერთხელ ბაკურიანში ვისვენებდი, სადაც ასაკით ჩემზე უფროსი ბიჭი მომეწონა — მაშინ 5 წლის ვიყავი, ის კი სტუდენტი იქნებოდა. იმ ბიჭს ვეპრანჭებოდი და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მისი ყურადღება მიმექცია.

— მაკიაჟის გაკეთება რა ასაკიდან დაიწყე?

— ბალერინა ვარ, 7 წლიდან სცენაზე ვდგავარ და აქედან გამომდინარე, სასცენო მაკიაჟს პატარაობიდანვე მიკეთებდნენ. ძალიან მიყვარდა წითელი პომადა და მას სკოლაშიც კი ვისვამდი. რა თქმა უნდა, მასწავლებლები ამის გამო მიბრაზდებოდნენ, პომადის წასმას მიკრძალავდნენ, მაგრამ ძალზე ჯიუტი ვიყავი და მათ შენიშვნებს არ ვითვალისწინებდი (*იცინის*).

— თმის შეღებვა რა ასაკიდან დაიწყე?

— 13 წლის ვიყავი, პირველად თმა

ამ დროს ირაკლი ახალი გარდაცვლილი იყო

წითლად რომ შევიღებე, ამის შემდეგ კი თითქმის ყოველ ორ კვირაში ერთხელ ვიღებავდი. ახლობლები დამცინოდნენ, — რა ფერად-ფერადი თმა გაქვსო. მიყვარს ექსპერიმენტების ჩატარება. ალბათ, გახსოვთ, ერთი პერიოდი თავი გადაპარსულიც მქონდა.

— ახლობლებმა რა გითხრეს, თავი რომ გადაიპარსე?

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რას ამბობდნენ. ალბათ, ბევრს უკვირდა ან არ მოსწონდა, მაგრამ სხვისი აზრი მე არ მაინტერესებდა.

— თანატოლებისაგან რით გამოირჩეოდი?

— მათგან განსხვავებით, ყოველთვის არაორდინარულად მეცვა: ხელით ნაქარგი მოკლე კაბა, ძველებური „ბასანოშკები“ და საწვიმარი ლაბადა. ასევე, ვიცვამდი „ზაგარნი“ ფერის „ჩულქებს“, რომელიც ფეხზე კარგად არ მაგრდებოდა და მძვრებოდა. ამის გამო ხშირად მიწევდა სადარბაზოებში შესვლა და მისი გასწორება (*იცინის*). ძალიან მომწონდა ბებიის შლაპები. აი, ამ სურათში სწორედ მისი შლაპა მახურავს.

— ამ სურათში კი ძალიან მოწყენილი ხარ...

— ჰო, აშკარად მეტყობა, რომ მოწყენილი ვარ. ამ დროს ირაკლი ახალი გარდაცვლილი იყო. მისი სიკვდილ-

ყოველთვის ვცდილობ, საინტერესო მომენტი ფირზე აღვბეჭდო

ჩემი ასაკის გოგონებთან კარგი ურთიერთობა არ მქონდა

ძალზე პრანჭია ბავშვი ვიყავი

მახსოვს, დიდი ოქროს რგოლები მეკეთა

იდან ორმოცი დღეც არ იყო გასული.

— ძალიან ბევრი ფოტო ირაკლისთან ერთად გაქვს გადაღებული.

— თითქმის ყველა კონცერტის დროს ვიღებდით სურათებს. ეს სურათი კი ბოლო კონცერტზეა გადაღებული, რომელიც კლუბ „16 რაუნდში“ ჩატარდა. ბევრი ხალხი იყო მოსული და ჩვენც ბოლომდე დავიხარჯეთ. ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტი მე და ირაკლის მოსკოვში გვქონდა. ეს დღე და ეს კონცერტი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მაშინ მივხვდი, თუ რამხელა სიამოვნების მიღება შეიძლება მუსიკისგან. იმ დღიდან ჩემს პროფესიას, ბალერინობას თავი დავანებე და მუსიკის სამყაროში გადმოვინაცვლე. შარვალი, რომელიც ამ სურათში მაცვია, ხან მე მეცვა, ხან — ირაკლის... ძალიან ლამაზი დღე იყო და ჩვენც ბედნიერები ვიყავით.

— ქეთა, ტანსაცმელს დიზაინერებთან იკერავ თუ მაღაზიაში ყიდულობ?

— ტანსაცმლის არჩევაზე დიდხანს არასოდეს ვფიქრობ. ისეთი ადამიანებიც მაღიზიანებს, ვინც მთელ დროსა და ენერგიას იმაზე ფიქრში ატარებს, თუ რა ჩაიცვას. ამას მე იოლად ვუყურებ. შეიძლება, ჩვეულებრივ მაღაზიაში შევიდე და იქ ისეთი ტანსაცმელი აღმოვაჩინო, რომელიც ძალიან მომიხდება.

— ყურები რა ასაკში გაიხვრიტე?

— 12 წლის ვიყავი. მახსოვს, დიდი ოქროს რგოლები მეკეთა. შემდეგ ეს საყურეები სკოლაში მომპარეს და გული დამწყდა. ჩემი შვილი 5 წლისაა და ყური უკვე გახვრეტილი აქვს.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— ხან ყოველდღე დავდივარ, ხან კი შეიძლება, ორი თვე ისე გავიდეს, სალონში არც შევიდე. ამჟამად, თმას სპეციალური სარჭებით ვიმაგრებ, ამას კი არანაირი სილამაზის სალონი არ სჭირდება.

— ოდესმე თუ გიფიქრია, რომ პლასტიკური ოპერაცია გაგეკეთებინა, საკუთარ გარეგნობაში რაიმე შეგეცვალა?

— ამ საკითხზე ხშირად ვფიქრობ. მსგავსი რაღაცეების წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. თუკი ქალის სხეული პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას მოითხოვს, მან უკან არ უნდა დაიხიოს. ჯერჯერობით, მე ეს არ მჭირდება, მაგრამ თუ ოდესმე დამჭირდა, მერწმუნეთ, დახმარებისთვის სპეციალისტს აუცილებლად მივმართავ.

— ყოველთვის ფორმაში ხარ. ამას როგორ ახერხებ?

— თავის მოვლის განსაკუთრებული მეთოდი არ მაქვს, უბრალოდ, შეძლებისდაგვარად ვცდილობ, კარგად გამოვიყურებოდე. მიმაჩნია, თუ ქალი საკუთარ თავს და იმ გარემოს სცემს პატივს, სადაც ტრიალებს, ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს.

— რას ურჩევდი მანდილოსნებს, რომ მათ სილამაზე და მომხიბვლელობა შეინარჩუნონ?

— ყველა თავისებურად ლამაზია. შეეცადონ, ინდივიდუალობა არ დაკარგონ, იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით და ბევრი იარონ, რადგან ეს ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

— სპორტულ დარბაზში თუ დადიხარ?

— არ მიყვარს სპორტული დარბაზები და ამიტომაც, იქ არასოდეს შევდივარ. სახლში იოგაში ვვარჯიშობ და „ოტჟიმანიებს“ ვაკეთებ.

— დასასვენებლად არსად მიდიხარ?

— ჯერ თბილისში საქმეები მაქვს. როცა მოვიცლი, აგარაკზე, ბავშვთან ერთად წავალ, შემდეგ კი დასასვენებლად ზღვაზე გავემგზავრები.

— და ალბათ, გაირუჯები კიდეც.

— მზეზე წოლის ნებისყოფა არ მაქვს. ამიტომაც, სოლარიუმის ხშირი სტუმარი ვარ. ძალიან თეთრი გახლავართ და თუ არ გავირუჯე, მოკლე კაბებს ვერ ვიცვამ. თუმცა, ძალიან არასოდეს ვშავდები. „ზაგრის“ პეწი ის არის, რომ კანის ფერი ოდნავ გქონდეს შეცვლილი. ■

ახლობლები დამცინოდნენ, — რა ფერად-ფერადი თმა გაქვსო



შარვალი, რომელიც ამ სურათში მაცვია, ხან მე მეცვა, ხან — ირაკლის...

ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტი მე და ირაკლის მოსკოვში გვქონდა

თითქმის ყველა კონცერტის დროს ვიღებდით სურათებს

თუ არ გავირუჯე, მოკლე კაბებს ვერ ვიცვამ

აი ამ სურათში ბებიის შლაპა მახურავს

ქურდი გოგონების ალსარება

ბოლო პერიოდში საქართველოში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბევრს უბიძგა ქურდობისკენ. შიმშილი, სიცივე, უფულობა — ეს ის მიზეზებია, რის გამოც, ახალგაზრდა გოგონებიც კი ქუჩაში ქურდობით ირჩენენ თავს, მაგრამ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებმაც ეს საქმიანობა არა შიმშილის და გაჭირვების გამო, არამედ იმიტომ დაიწყეს, რომ ფუფუნებასა და კომფორტს შეჩვეულებმა, სიმდიდრის გარეშე ცხოვრება ვერ შეძლეს, მანქანას შეჩვეულებმა სამარშრუტო ტაქსში თავი არაკომფორტულად იგრძნეს და ა.შ.

„მეშინია, გათხოვების შემდეგაც არ გამიჩნდეს მოპარვის სურვილი..."

სოფო ჭონიშვილი

თათა, *26 წლის:*

— თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი მშობლები მდიდარ ადამიანებად მიიჩნეოდნენ — მამას საკუთარი ბიზნესი ჰქონდა, დედაც კარგ ადგილას მუშაობდა. უზრუნველად ვცხოვრობდი, რასაც ვინატრებდი, ყველაფერი მქონდა. სკოლა რომ დავამთავრე, მამამ „მერსედესის" ჯიპი მაჩუქა. თანატოლებში გამორჩეული ვიყავი, გარეგნობაც მშვენიერი მქონდა და სწავლითაც კარგად ვსწავლობდი. დედისერთა გახლავართ და რა თქმა უნდა, მშობლებმა გამანებივრეს. სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ჩავაბარე, უფასოზე მოვხვდი, რითიც ჩემი მშობლები კიდევ უფრო გავახარე. ისინი ამაყობდნენ, ასეთი ნიჭიერი და კარგი შვილი რომ ჰყავდათ. იმ ზაფხულს მამამ დასასვენებლად ანტალიაში, მეგობარ გოგონასთან ერთად გამიშვა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო პერიოდი იყო. 5-ვარსკვლავიან სასტუმროში ვცხოვრობდით. სწორედ იქ გავიცანი ლევანი. ის სიმპათიური, განათლებული, მდიდარი მამიკოს შვილი იყო. 2 კვირის განმავლობაში ერთმანეთს არ მოვცილებივართ და ურთიერთობა თბილისშიც გავაგრძელეთ. მართალია, უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ლევანის გარდა ზედაც არავის ვუყურებდი. ის ჩემს მშობლებსაც გავაცანი. დედამ ამაყად მითხრა, — იმედს არასდროს და არაფერში მიცრუებ, კარგი შვილი ხარო. მოკლედ, მშობლებმა არჩევანი მომიწონეს... ჩემი ცხოვრება ზღაპარივით მიდიოდა და ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს დავკარგავდი... ერთ საღამოს მამა შინ უხასიათოდ დაბრუნდა და საკუთარ ოთახში ჩაიკეტა. ეს ამბავი ცუდად გვენიშნა. მამა კარგა ხანს ლაპარაკისგან თავს იკავებდა, მაგრამ დედამ აიძულა, ჩვენთვის უგუნებობის მიზეზი გაემხილა. მან გვითხრა, — საკმაოდ სოლიდურ თანხაში „გადავვარდი" და ამიტომაც, ცოტა ეკონომიურად უნდა ვიცხოვროთო. მივხვდი, საქმე უფრო ცუდად იყო, ვიდრე მამა ამბობდა და მართალიც აღმოვჩნდი: ერთი კვირის შემდეგ ჩემი „მერსედესი" გაყიდეს — ორ ავტომანქანას ვეღარ შევინახავთო, მერე მამამ თავისი მანქანა, ცოტა ხანში კი სახლიც გაყიდა. ჩვენ საცხოვრებლად სოფელში, ბებიასთან და ბაბუასთან წავედით იმ იმედით, რომ სექტემბერში, დედის სამსახურის წყალობით, დაბალპროცენტიან კრედიტს ავიღებდით და ბინას დავიგირავებდით, მაგრამ ეს ყველაფერი ოცნებად დარჩა... საბოლოოდ, დედამ და მამამ გადაწყვიტეს, სოფელში დარჩენილიყვნენ. ჩემი მშობლები სოფელში გაზრდილები არიან და ამიტომაც, იქაურობასთან შეგუება არ გასჭირვებიათ, ჩემთვის კი ეს ტრაგედიის ტოლფასი იყო. ამას თან ისიც დაერთო, რომ როცა ლევანმა ჩემი გაჭირვების შესახებ გაიგო, ჩემზე გული აიცრუა. თავდაპირველად დღეში ერთხელ მირეკავდა, მოვალეობის მოხდის მიზნით, მერე კი ტელეფონის ნომერიც შეცვალა, რომ არ შემეწუხებინა. ამის შემდეგ დავრწმუნდი, არ ვყვარებივარ და მიხედავად იმისა, რომ თვითონაც შეძლებული ოჯახის შვილი გახლდათ, მხოლოდ ჩემი ფული და ქონება აინტერესებდა... სექტემბერში მამამ თბილისში ჩამომიყვანა და ჩემი თავი ნათესავებს ჩააბარა. არ მინდოდა, ჯგუფელებს ჩემი გასაჭირის შესახებ რაიმე სცოდნოდათ და ყველაფერს საგულდაგულოდ ვმალავდი. ვერაფრით ვეგუებოდი იმას, რომ სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი, მაგიჟებდა ის, რომ სილამაზის სალონში შესვლა არ შემეძლო და ა.შ. მართალია, მშობლები ფულს მიგზავნიდნენ, მაგრამ ის არაფერში მყოფნიდა. ამას თან ისიც ემატებოდა, რომ მამის იმედი აღარ მქონდა. ის სოფელს იმდენად შეეჩვია, იქიდან წამოსვლაზე აღარც ფიქრობდა. როცა არდადეგებზე მათთან ჩავედი, მითხრა: კარგი შვილი ხარ. კარგად უნდა ისწავლო და მერე, ოჯახიც შექმნა, მე კი აქ ვიქნები, სახლი მაქვს და კარი, პურის ფულსაც ვშოულობ; შვილო, თბილისისკენ გახედვაც აღარ მინდაო. ამის მოსმენას სიკვდილი მერჩივნა. სანამ მამა გულს გადამიშლიდა, ვფიქრობდი, რომ საბოლოოდ ხელს არ ჩაიქნევდა და ცხოვრებას ისევ ისე ლამაზად მომიწყობდა, როგორც ადრე, მაგრამ თურმე, ვცდებოდი. ეჰ, კარგა ხანია მივხვდი, რომ დაკარგულის დაბრუნება ძნელი ყოფილა. ჰოდა, გამოსავლის ძებნა დავიწყე... ერთ საღამოს ტელევიზიასთან ტაქსი გავაჩერე. ჩანთაში ბოლო 10-ლარიანი მქონდა და აქედან 4 ლარი ტაქსის მძღოლისთვის უნდა მიმეცა. 6 ლარით რა უნდა მექნა, აღარ ვიცოდი, რადგან მშობლებისგან თვის ბოლომდე აღარაფერს ველოდი. ამ ფიქრებში გართული „ტაქსისტმა" გა-

მომაფხიზლა, — გოგონი, მოვედითო. მძღოლს ფული ხელის კანკალით მივაწოდე, მან კი ხურდის დასაბრუნებლად ჯიბიდან იმდენი ფული ამოიღო, რომ გავიფიქრე, — ნეტავ, ეს ფული ჩემი იყოს-მეთქი და ჩემდა უნებურად, ჩანთიდან ლევანის ნაჩუქარი „ბაბოჩკა“ ამოვიღე (რომელსაც ყოველთვის თან ვატარებდი), მძღოლს ყელზე მივაჭირე და ისეთი ცივი ხმით ვუბრძანე, — თანხა ჩემს ჩანთაში ჩადე-მეთქი, რომ საწყალ მოხუცს ფერი დაეკარგა, ხმა აუკანკალდა და მითხრა: თუ გინდა, 20 ლარს გაჩუქებ, ყველას ვერ მოგცემო... შემეცოდა, მაგრამ რა მექნა, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა. — რასაც გეუბნები, ის გააკეთე-მეთქი, — ერთხელ კიდევ ვუღრიალე და ფული უკვე ჩანთაში მედო. მანქანის კარი სასწრაფოდ გამოვაღე და გავიქეცი. ვგრძნობდი, ვიღაც მომდევდა და რომ დავეჭირე, არ დამინდობდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჩემს საქციელს უკვე ვნანობდი, მაგრამ უკან დახევას რა აზრი ჰქონდა?! ერთ-ერთ სადარბაზოში შევვარდი. დავინახე, ბუნკერის კარი ღია იყო და შიგ შევხტი. მართალია, საშინელი სუნი იდგა, მაგრამ რას დავეძებდი? თვალებზე ცრემლები მომადგა, ჰაერი არ მყოფნიდა. მესმოდა, კიბეზე ვიღაც ადი-ჩადიოდა — იმ ბერიკაცმა დამინახა, სადარბაზოში რომ შევვარდი, მაგრამ ის ვერ იფიქრა, ბუნკერში თუ დავიმალებოდი. სადარბაზოდან დაახლოებით 1 საათის მერე გავბედე გამოსვლა. საათს დავხედე — უკვე ღამის პირველი საათი იყო. შიშისგან ფეხები მიკანკალებდა. ცენტრალურ ქუჩამდე ძლივს მივაღწიე, ტაქსი გავაჩერე და სახლში წავედი. შინ მისულს თავის მართლება არ დამჭირვებია. ვთქვი, რომ დაბადების დღეზე ვიყავი... ნაყაჩაღარი ფული მეორე დილით დავთვალე — 215 ლარი იყო. ერთი კვირა თავი იმ ფულით გავიტანე, შემდეგ კი სხვა ტაქსის მძღოლი დავაყაჩაღე. ჩემი მსხვერპლები ყოველთვის ასაკოვანი მამაკაცები იყვნენ. ამ ხელობის წყალობით, ყველაფერი ძველებურად მქონდა — კარგად ვიცვამდი, სილამაზის სალონებში, ბარებში დავდიოდი და ა.შ. სხვათა შორის, დღემდე ასე ვცხოვრობ, მშობლებს კი ჰგონიათ, ვმუშაობ. არ ვიცი, ასე როდემდე გავაგრძელებ, მაგრამ ეს საქმიანობა კარგს რომ არაფერს მომიტანს, ვიცი. შეყვარებული მყავს, მაგრამ მან ჩემი საქმიანობის შესახებ არაფერი იცის. ის ლევანივით მდიდარი არ არის, მაგრამ საკმაოდ შეძლებული ოჯახიდანაა, თვითონაც მუშაობს და კარგი ანაზღაურებაც აქვს. ალბათ, მალე ცოლად გავყვები და ამ საშინელებას თავს დავანებებ. ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები, ქურდობა რის გამო დავიწყე-მეთქი? და ამ დროს სინდისი მქენჯნის. მე ხომ არც მშიოდა და არც — მციოდა, მაგრამ ეტყობა, ფუფუნებაში გაზრდილი გოგონასათვის ეს საკმარისი არ იყო. თან, მაშინ „თავშიც მიქროდა“. ამ ასაკში ალბათ, მსგავს რაღაცას არ დავიწყებდი. მაგრამ არა, მე ხომ სიღარიბეში ცხოვრება არ შემიძლია! მირჩევნია, თავი მოვიკლა, ვიდრე რაღაც ელემენტარული მენატრებოდეს. მეშინია, გათხოვების შემდეგაც არ გამიჩნდეს მოპარვის სურვილი, რადგან ამბობენ, — ამ ყველაფერმა მიჩვევა იცისო...

ელისო, *19 წლის:*

— უკვე იმდენი რამ გადავიტანე, ყველაფერი რომ მოგიყვეთ, არც კი დაიჯერებთ. სკოლა სამტრედიის რაიონში დავამთავრე. საუკეთესო მოსწავლედ მივიჩნეოდი და დღე და

ღამე ვმეცადინეობდი. მამა ინვალიდია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, დედა კი ვენახსა და ყანაში მუხლჩაუხრელად მუშაობს, მაგრამ არაფერი გამოსდის — წლიდან წლამდე ოჯახის გამოსაკვებად სამყოფი სიმინდი და ლობიოც ვერ მოჰყავს. ხშირად მშიერი დავწოლილვარ დასაძინებლად, მაგრამ საკუთარ თავზე არ ვნერვიულობდი, ჩემი პატარა და-ძმები უფრო მეცოდებოდა... თანატოლებში გართობა და მხიარულება მენატრებოდა. როცა არ ვმეცადინეობდი ანუ თავისუფალი დრო მქონდა, დედას ვეხმარებოდი. ერთადერთი ძროხა გვყავდა, რომელიც ჩვენი ოჯახის მარჩენალი იყო — ყველს კვირიდან კვირამდე ვაგროვებდით და ბაზრობის დღეს რაიონში ვყიდიდით... სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე ფიქრს აზრი არ ჰქონდა და მეც, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ სამსახური მეშოვა, რათა ოჯახს დავხმარებოდი. ერთხელ დედას რაიონში, ყველის გასაყიდად გავყევი. ქუჩაში მიმავალმა შევნიშნე, ერთ-ერთი მაღაზიის კარზე განცხადება იყო გამოკრული. ახლოს მივედი და წავიკითხე, — მაღაზიაში დამლაგებელი სჭირდებოდათ. დედას ვთხოვე, — შევალ და ვიკითხავ, რა პირობები აქვთ და იქნებ, მიმიღონ. ამხელა გოგო ვარ და მრცხვენია, ქუჩაში გახუნებული, ნახევრად გაცრეცილი ტანსაცმელი რომ მაცვია-მეთქი. დედას თვალებზე ცრემლი მოადგა და გამიშვა. მაღაზიაში მითხრეს, — თუ დაკისრებულ მოვა-

კალეიდოსკოპი

„საშემოდგომო“ – ბრიტანელი დეპუტატებისთვის

კონსერვატიული პარტიის წევრ ბრიტანელ პარლამენტარებს ხელმძღვანელობამ საზაფხულო არდადეგების დროს 38 წიგნის წაკითხვა დაავალა. პოლიტოლოგიის, ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების თემაზე დაწერილი ლიტერატურის გაცნობა მათ ოქტომბრის დამდეგამდე მოუწევთ. კომპანია BBC-ს შეფასებით, ამ პარტიული დავალების მიზანი, ინტელექტუალური დონის ამაღლება და „ახლებურად აზროვნების“ უნარის გაღვივება გახლავთ... ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, სიაში შეტანილია ბოლო დროს გამოცემული წიგნები, რომლებშიც, როგორც მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, ასევე წინა წლების — ე.ი. უახლესი ისტორიის მოვლენებია გაშუქებულ-გაანალიზებული. საინტერესოა, რომ სიაში, ექსპრემიერ ტონი ბლერის მოგონებებიცაა შესული, რაც ბევრ ადამიანში ირონიას იწვევს... ■

ლეობას კარგად შეასრულებ, დღეში 5 ლარს გადაგიხდითო. უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან ჩემთვის 5 ლარი დიდი ფული იყო. მთელი ღამე სიხარულით არ მძინებია. დილის 9 საათზე უკვე რაიონში ვიყავი და მუშაობაც დაწყებული მქონდა. ბოლოს, მუშაობით ისე დავიღალე, რომ სოფლის ავტობუსამდე ძლივს მივედი. ჩემ გვერდით ხანში შესული ქალი დაჯდა. ცოტა ხანში ჩამეძინა. თვალი რომ გავახილე, შევნიშნე, გვერდით მჯდომსაც ეძინა. რატომღაც, თვალი მისი ლამაზი ჩანთისკენ გამექცა. გავიფიქრე, — ასეთ მოხუცს ეს ჩანთა უნდა ჰქონდეს და მე, ახალგაზრდა გოგოს დახეულიც მენატრებოდეს-მეთქი? შევნიშნე, ჩანთის პატარა ჯიბე გახსნილი ჰქონდა. ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და ჩავიხედე — სიხარულისგან თვალები გამიფართოვდა, შიგ ბევრი ფული ედო. უცებ, იმ ქალის ძალიან შემშურდა და თავში საშინელი აზრი მომივიდა, მომინდა, ის ფული ჩემი ყოფილიყო და მალე, ქალბატონის კუთვნილმა თანხამ ჩემს ჯიბეში გადმოინაცვლა. ვერ გეტყვით, მისთვის ხელის ხლება როგორ გავბედე, მაგრამ ამისკენ აშკარად, რაღაცამ მიბიძგა... ავტობუსს სახლამდე აღარ გავყევი, იქვე გავაჩერებინე და ჩამოვედი. იმ საღამოს შინ გვიან დავბრუნდი, ბავშვებს ტკბილეული მივუტანე, ხოლო მეორე დღეს, რაიონში ჩასულმა, ჩემთვის ლამაზი ტანსაცმელიც ვიყიდე. სახლში ზედმეტი კითხვა არავის დაუსვამს, რადგან ყველამ იცოდა, რომ ვმუშაობდი. ამის შემდეგ ქურდობას შევეჩვიე — მაღაზიის დალაგების მერე, ყოველთვის მეორე „სამსახურში“ მივდივარ. როცა საკუთარ თავთან მარტო ვრჩები, ბევრს ვტირი, მაგრამ რა ვქნა, ამ საქმეს ვერ შევეშვები, რადგან სწორედ ამის წყალობით ამოისუნთქა ჩემმა ოჯახმა — საღამოს ყველა მშვიდად იძინებს, შიმშილით არც ერთს კუჭი აღარ ეწვის, მამისთვის წამლებს ვყიდულობ (ადრე, იმის გამო, რომ წამალი არ ჰქონდა, მისი კივილი მთელ სოფელს ესმოდა). ვიცი, ერთ დღეს დამიჭერენ და მთელ რაიონში მომეჭრება თავი, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს — 5 ლარით ოჯახს ვერ ვარჩენ, ქურდობა კი იოლი გამოსავალი ყოფილა. თანაც, მე ხომ იმისთვის არ ვქურდობ, რომ ფუფუნებაში ვიცხოვრო. იმედია, ოდესმე, ჩემს ცხოვრებაში რაღაც შეიცვლება და ცოდვების მონანიებასაც შევძლებ...

ნათია, *25 წლის:*

— ამ თემაზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ვიღაცის ჯიბეში ჩავძვრებოდი, მაგრამ ყველაფერი სიდუხჭირემ და აუტანელმა გაჭირვებამ გამაკეთებინა. სკოლა რაიონში დავამთავრე. ბავშვობიდანვე იმაზე ვოცნებობდი, რომ განათლებული და მდიდარი ადამიანი გავმხდარიყავი, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ იმედი გამიცრუვდა — მშობლებმა სწავლის გაგრძელებაზე უარი მითხრეს, ამის საშუალება არ გვაქვსო. მათ უნდოდათ, რომ გავთხოვილიყავი და ოჯახი შემექმნა. ერთ ჩვენს სოფელ ბიჭს ვუყვარდი, მე კი მეზიზღებოდა, ვერ ვიტანდი. ის ბიჭი ყოველდღე მამაჩემთან მოდიოდა და ეხვეწებოდა, — ნათია ცოლად გამაყოლეთო. ჩემს მშობლებს სასიძო მოსწონდათ და მიჩიჩინებდნენ, — შეძლებული ოჯახი აქვს და გაჰყევიო. ერთ დღეს დედას განვუცხადე: გათხოვებას თუ დამაძალებთ, თავს მოვიკლავ-მეთქი. ამის შემდეგ შემეშვნენ, ამ თემაზე აღარ მელაპარაკებოდნენ. ჩემს მეზობლად ერთი მარტოხელა მოხუცი ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, რადგან თუ რამე გაუჭირდებოდა და დამიძახებდა, დაუზარებლად ვეხმარებოდი. მან იცოდა, რომ სწავლის გაგრძელება მინდოდა. ჰოდა, ერთხელაც მითხრა, — შენთვის სიურპრიზი მაქვს, ოღონდ, ჯერ არავის უთხრაო. თურმე, თბილისში თავისი დისთვის დაურეკავს და უთქვამს: მარტო ცხოვრობ, არავინ გყავს. ხომ იცი, ნათია რა კარგი გოგოა. ჰოდა, აცხოვრე შენთან, სწავლის გაგრძელება უნდა და თბილისში არავინ ჰყავსო... მოკლედ, ერთი წლის მერე ნათელა დეიდას თბილისში ვესტუმრე. ამის გამო ჩემი მშობლები ძალიან გაბრაზდნენ და სოფლიდან წამოსვლის წინ მომახალეს: იცოდე, ჩვენ გზის ფულსაც ვერ გამოგიგზავნითო. მთავარი იყო, მისაღები გამოცდები ჩამებარებინა, დანარჩენზე კი არც ვფიქრობდი. იმედი მქონდა, რომ ქალაქში რაიმე სამუშაოს ვიშოვიდი. გამოცდები მართლაც, წარმატებით ჩავაბარე. ნათელა დეიდა ძალიან კარგად მექცეოდა, ყურადღებას არ მაკლებდა და თავდაპირველად, გზის ფულსაც მაძლევდა, ერთი ხელი ტანსაცმელიც მიყიდა... ლექციების შემდეგ სამსახურის საძებნელად დავდიოდი, მაგრამ ვერაფერი ვიშოვე. ზამთრის მოახლოებამ შემაშინა, რადგან თბილი ტანსაცმელი არ მქონდა, ნათელა დეიდას კი ვეღარ შევაწუხებდი. ის კი არა, უკვე ჭამისაც მრცხვენოდა, რადგან სახლში ერთი პურიც ვერ მიმქონდა. გადავწყვიტე, თუ სამსახურს ვერ ვიშოვიდი, სწავლისთვის თავი დამენებებინა და სოფელში დავბრუნებულიყავი. ამის შესახებ ნათელა დეიდასაც ვუთხარი, მან კი წინააღმდეგობა გამიწია. მითხრა: მართალია, იმდენი მეც არ მაქვს, რომ ყველანაირად დაგეხმარო, მაგრამ სოფელში დაბრუნებაზე მაინც არ იფიქრო! ახლა ერთ ფეხსაცმელს გიყიდი, მერე რაღაც კიდევ იქნებაო... მეორე დღეს, ნათელა დეიდას ნაჩუქარი ფულით ბაზრობაზე წავედი და ძალიან ლამაზი „ჩექმა“ ვიყიდე. უამრავი რამ მომეწონა, ყველაფერს დახარბებული ვუყურებდი. თვალი ღია ფერის ქურთუკმა მომჭრა, რომელსაც საკმაოდ სიმპათიური, ჩემი ასაკის გოგონა ირგებდა ტანზე. მისი ძალიან შემშურდა და გავიფიქრე, — რა ბედნიერია, რაც უნდა, იმას რომ ყიდულობს-მეთქი. ფიქრებში გართული გოგონას მივუახლოვდი და შევნიშნე, რომ მისი ჩანთა დახლზე უყურადღებოდ იდო. ვერ გეტყვით, იმწუთას რა დამემართა, გონებაამღვრეულმა ჩანთას ხელი დავავლე, გავიქეცი, სამარშრუტო ტაქსი გავაჩერე და სახლში მივედი... გონს მოსულმა ბევრი ვინერვიულე. წარმოვიდგინე, ის გოგო ქურთუკს რომ ვეღარ იყიდდა და სინდისმა შემაწუხა. ჩანთა მთელი ორი დღე ხელუხლებლად იდო, ვერ ვხსნიდი, რაღაც მაკავებდა. მესამე დღეს როგორც იქნა, გავბედე და გავხსენი — შიგ 100 ლარი იდო. იმ ფულით თბილი ტანსაცმელი ვიყიდე, ნათელა დეიდა კი მოვატყუე, — მუშაობა დავიწყე-მეთქი. მას შემდეგ ამ საქმემ გამიტაცა, მთელი სტუდენტობა თავს ქურდობით ვირჩენდი და ნათელა დეიდასაც ვეხმარებოდი... უნივერსიტეტი წარმატებით დავამთავრე და მოპარული ფულებით უცხო ენაც ვისწავლე. ღმერთის წყალობით, ცოტა ხანში სამსახური ვიშოვე. ამის შემდეგ ქურდობას თავი კი დავანებე, მაგრამ ჩადენილი ცოდვების გამო ძალიან ვიტანჯები. ყოველდღე ეკლესიაში დავდივარ, ყველა გაჭირვებულს, მათხოვარს ვეხმარები და ვცდილობ, ჩემი ცოდვები როგორმე მოვინანიო. ნათელა დეიდამ თავისი ბინა ჩემს სახელზე გადააფორმა. მითხრა: რომ მოვკვდები, შენ უნდა დამიტირო... დღეს ყველაფერი მაქვს — ბინაც, საკუთარი ავტომობილიც, კარგი სამსახურიც, მაგრამ ბედნიერი მაინც არ ვარ. მშობლებმა გაიგეს, რომ ცხოვრება კარგად ავიწყვე და ახლა ხშირად მირეკავენ. თურმე, დედ-მამას ვენატრები და ვუყვარვარ კიდეც. სასაცილოა, არა?! მათზე გული საშინლად ამიცრუვდა. ისინი ცოტათი მაინც რომ დამხმარებოდნენ, ქურდობას არ დავიწყებდი...

MK

საქართველოში სამოდელო ბიზნესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში არსებობდა. უფრო მეტიც, არა მხოლოდ არსებობდა, არამედ, ყვაოდა კიდეც. როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები იხსენებენ, მოდური სამოსის ახალი კოლექციის ჩვენება მოდების სახლ „პირიმზეში“ კვირაში ორჯერ მაინც ეწყობოდა. „პაკაზის“ ასეთი სიმრავლე ალბათ, ნებისმიერ თანამედროვე დიზაინერს შეშურდებოდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა პერიოდში პოდიუმზე უმეტესწილად, მასობრივი წარმოების სამოსის დემონსტრირება ხდებოდა და არა ექსკლუზიური მოდელების. ქალბატონი ლია როგაბაძისა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ვეტერანი ქართველი მოდელია. მართალია, ნახევარ საუკუნეზე მეტია, პოდიუმზე არ გაუვლია, მაგრამ თავი ისე უჭირავს, როგორც ნამდვილ ტოპმოდელს...

საბჭოური პოდიუმი, ვეტერანი მოდელი და „პაკაზისთვის“ გადაცდილი 80 ანეთი

ემა ტუხიაშვილი

— ოდესაში დავიბადე. დედაჩემი პოლონელი, პროფესიით მსახიობი გახლდათ, მამა კი — ქართველი, სამხედრო მოსამსახურე. ბავშვი ვიყავი, როდესაც მშობლები გაიყარნენ. მამა საქართველოში დაბრუნდა და მეც თან წამომიყვანა. მუსიკალური ნიჭით ბავშვობიდან ვიყავი დაჯილდოებული და წარჩინებით დავამთავრე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ერთხელ, მეგობარ გოგონებთან ერთად, კონსერვატორიიდან სახლში ვბრუნდებოდი. გზად შუახნის მამაკაცმა გამაჩერა, სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის პროფესორად გამეცნო და შემომთავაზა, მოდური სამოსის ჩვენებაში მიმელო მონაწილეობა, რომელიც მოდების სახლ „პირიმზეში“ ხშირად იმართებოდა. გაგიკვირდებათ, მაგრამ მოდური სამოსის ჩვენება ყოველ შაბათს და კვირას ეწყობოდა. ახალი კოლექციის სანახავად უამრავი ადამიანი მოდიოდა. იცით, ვინ იკრიბებოდა მოდების სახლში?! — ჩვენებას თბილისის საუკეთესო საზოგადოება ადევნებდა თვალყურს.

— მამაკაცი მოდელები მაშინაც იყვნენ?

— ქართულ პოდიუმზე მამაკაცის ნახვა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მოდელი მამაკაცი მრავლად ჰყავდა.

— ძირითადად, ვისი კოლექციის ჩვენება ეწყობოდა ქართულ პოდიუმზე?

— უმეტესწილად, ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი მოდელების, რომლებიც მასობრივი მოხმარების საგანი იყო და საქართველოში არსებულ ფაბრიკებში იკერებოდა. იმ დროს ასეთი სამოსის შეძენა ხელმისაწვდომ ფასად, ნებისმიერ მაღაზიაში შეიძლებოდა.

— მოდელებს როგორი ანაზღაურება გქონდათ?

— ერთი ჩვენებისთვის 80 მანეთს გვიხდიდნენ, ხოლო თუ გასათხოვარი, უშვილო იყავი, გასამრჯელოდან 5 მანეთს გიკავებდნენ. გათხოვილ და შვილიან ქალს კი იმხანად, რომელი ოჯახი მისცემდა პოდიუმზე გამოსვლის უფლებას?!.

— ალბათ, ნახევარი საუკუნის წინ მოდელი სულ სხვა პარამეტრებით ფასდებოდა...

— მაშინაც დიდი მნიშვნელობა ექცეოდა მოდელის სიმაღლეს, წონას, სხვა ფიზიკურ მონაცემებს. შესაძლოა, ასე სკრუპულოზურად არ გვიზომავდნენ წელისა და თეძოს გარშემოწერილობას, მაგრამ მახსოვს, რომ მოდელს 46 ზომა სამოსი უნდა მორგებოდა. სხვათა შორის, ჩემი ქალიშვილიც მოდელია და ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი კაბებიდან ზოგი ვიწროც კი აქვს. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: იმხანად პლასტიკური ქირურგია ნაკლებად იყო ვინმესთვის ცნობილი, ამიტომ ის მოდელები, ვისაც მცირე ზომის მკერდი ჰქონდათ, სასურველ ფორმებს ბიუსტჰალტერში ჩალაგებული ბამბის ქულებით აღწევდნენ.



— ქალბატონო ლია, როგორც ვიცი, პროფესიით მსახიობი ბრძანდებით...

— დიახ, დავამთავრე თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და მქონდა ბედნიერება, ინსტიტუტის სცენაზე მეთამაშა სპექტაკლებში: „სილვა“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „კრაზანა“ და სხვა. არაჩვეულებრივი, მდიდრული კოსტიუმები მქონდა. თეატრის სცენაზე ჩემი პარტნიორი იყო ამირან ამირანაშვილი, ამჟამად — დეკანოზი ამირანი.

— ისევ მოდას დავუბრუნდეთ: თქვენს დროს მოდური იყო მინიქვედაბოლოები...

— მინი მართლაც, ძალზე მოდური იყო. კაბის სიგრძე 30-40 სმ-ს არ აღემატებოდა. ახლა ასე ჩაცმული რომ გახვიდე თბილისის ქუჩებში, შესაძლოა, ვინმემ შენზე ცუდი იფიქროს. ნურავის ეწყინება, მაგრამ მაშინდელ თბილისში გაცილებით დახვეწილი საზოგადოება იყო.

— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ...

— არ დაგიმალავთ, მამაკაცების ყურადღებით ნამდვილად განებივრებული ვიყავი. ზოგი თავის გრძნობებს ხელზე ამბორით გამოხატავდა, ზოგი ყვავილების თაიგულს მიძღვნიდა, ზოგიც — შოკოლადს მჩუქნიდა, რადგან იცოდნენ, რომ ძალიან მიყვარდა... ერთი თაყვანისმცემელი მყავდა, გამოჩენილი ქართველი ექიმის ვაჟი (მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ). სპექტაკლის შემდეგ კულისებში მომაკითხა და ერთი მიხაკი მომართვა, თან დასძინა, — ეს თქვენდამი ჩემი დიდი სიყვარულის ნიშნადო. რადგანაც თაყვანისმცემელთა გულუხვობით განებივრებული ვიყავი, ყმაწვილის ორიგინალური ჟესტი მის სიძუნწედ მივიჩნიე და ამიტომაც, როცა რესტორანში დამპატიჟა, არ გავყევი...

— ქალბატონო ლია, დღესაც მშვენივრად გამოიყურებით...

— სამი უმშვენიერესი ქალიშვილის დედა და ბებია ვარ. აი, ჩემს ასაკს კი მაინც არ გაგიმხელთ, რადგან ერთგული ვრჩები პრინციპის — ქალს ასაკს არ ეკითხებიან. ■

ჩისი თამაშდროსი სვაძდა ოიშოის სადოვგრძელოს ცნობილი მოაზროვნე

დღეს ის თითქმის ყველა ჟანრის ლიტერატურას დიდი ინტერესით ეცნობა, მაგრამ იყო დრო, როცა ისტორიული რომანებითა და ფანტასტიკით გახლდათ გატაცებული. ქართველი მწერლებიდან ძალიან უყვარს გურამ დოჩანაშვილი, განსაკუთრებით კი მისი „სამოსელი პირველი“ მოსწონს. მიიჩნევს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ამ დონის ნაწარმოები ბევრი არ მოიძებნება. ნოდარ დუმბაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ერნესტ ჰემინგუეის წიგნებს ხშირად ხელმეორედ უბრუნდება. უმეტესწილად, საღამოს საათებში, ძილის წინ კითხულობს. კითხვაზე — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? მცირე პაუზის შემდეგ მპასუხობს: „ბევრ პერსონაჟთან ურთიერთობის სურვილი მაქვს. მაგალითად, სიამოვნებით ვითევზავებდი სან-დიეგოსთან („მოხუცი და ზღვა“) ერთად, ხოლო ილიკოსთან და ილარიონთან — ვიხუმრებდი“. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარია კლუბის „რა? სად? როდის?“ წევრი, ცნობილი მოაზროვნე ოთარ საბაშვილი.

„ნადირობა ჩემი ჰობია...“

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო ოთარ, როგორც ვიცი, ნადირობა თქვენი ჰობია.

— დიახ.

— მსმენია, რომ მონადირეები თავს გადახდენილი ამბების თხრობისას, ხშირად ტყუილსაც იგონებენ. ასეა?

— (*იცინის*) ეს ყველას არ ეხება, მაგრამ შენი ნათქვამი სიმართლისგან შორს ნამდვილად არ არის. მე ამას, ამბის უფრო საინტერესოდ მოყოლის სურვილს დავარქმევდი. მონადირე უმეტესად, არამონადირეს ატყუებს, რადგან იცის, „კოლეგა“ ტყუილს მიუხვდება.

— თქვენი თავგადასავლებიდან ერთ-ერთი ეპიზოდი გაიხსენეთ.

— სიმართლე გითხრა თუ ტყუილი (*იცინის*)?

— ალბათ, ჩვენს მკითხველებს შორის მონადირეებიც არიან. ასე რომ, ტყუილს მიგიხვდებიან.

— ბევრისთვის ნადირობა ცხოველის კვლასთან ასოცირდება. არადა, ასე არ არის. ბავშვობაში მთამსვლელობით ვიყავი გატაცებული. ბევრი საინტერესო თავგადასავალი გადამხდენია. ერთხელ, მეგობრებთან ერთად კახეთში, იხვებზე სანადიროდ წავედი. დავითგარეჯისკენ მიმავალ გზაზე მარილიანი, პატარა ტბებია. დავინახეთ, რომ იხვების დიდი გუნდი აფრინდა, 70-80 ფრინველი მაინც იქნებოდა. სამივემ ვესროლეთ და 5 იხვი ჩამოვარდა. ტბის მეორე მხარეს, იხვების გადმოსატანად გავეშურეთ. ჩემი ერთი მეგობარი დაწინაურდა, მოკლული იხვი აიღო და რას ხედავს?.. იხვს ნახევრად გადაყლაპული ლიფსიტას კუდი მოუჩანდა. ჩემმა მეგობარმა ფრინველს ნისკარტი გაუხსნა და თევზი ამოიყვანა, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და საცოდავად ფართხალებდა. მაშინვე ტბაში გავუშვით. ამ ამბის შემდეგ, იმ თევზის თამადობით, იღბლის სადღეგრძელოს ვსვამდით.

თამუნა კვინიკაძე

— ვინ იყო ბედისა და იღბლის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში?

— ფორტუნა.

— დაასახელეთ ზღვის დიდი ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია.

— პინგვინი.

— რომელი ნახევარკუნძულია იაპონიის და ყვითელ ზღვებს შორის მოქცეული?

— (*ფიქრობს*) კორეის ნახევარკუნძული.

— რომელ სახელმწიფოშია სტონჰენჯი — ქვის ხანის ყველაზე სახელგანთქმული კომპლექსი ევროპაში?

— დიდ ბრიტანეთში.

— ლადო გუდიაშვილის მოგონებების მიხედვით, 1919 წელს, რუსთაველის თეატრის სარდაფში პოეტებმა კაფე გახსნეს, სადაც ახალ ლექსებს კითხულობდნენ. იქვე გამოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. რა ერქვა ამ კაფეს?

— „ქიმერიონი“.

— „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზე-და.“ ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— გავიხსენებ (*ფიქრობს*)... რაფიელ ერისთავი.

— რა ერქვა არზაყანის ცხენს კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“?

— არ მახსოვს.

— არაბია.

— ეს უნდა გამომეცნო!

— ცნობილი ფრანგი მწერალი გი დე მოპასანი 1893 წელს, დამბლით გარდაიცვალა. რომელი ქართველი მწერალი გარდაიცვალა ამავე წელს, ამავე ავადმყოფობით?

— არ ვიცი.

— ალექსანდრე ყაზბეგი. რიგით მერამდენე იყო დავითი, რუსუდანის ძე?

— VI.

— რას ეძახიან რქებმოგრეხილ ხარს კორიდაზე?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— აფეიტადოს. სამეგრელოს რომელი რაიონიდან იყო კონსტანტინე გამსახურდია?

— აბაშიდან.

— ის 914 წელს არაბებმა აწამეს, მაგრამ ქრისტიანობაზე უარის თქმას სიკვდილი არჩია. ვინ იყო ეს გმირი მოწამე?

— აბო თბილელი.

— რომელმა მწერალმა აღწერა მისი წამება?

— იოანე საბანისძემ.

— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის მამას?

— მამას რა ერქვა, არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ შვილს დაჩი ერქვა.

— გორგასლის მამას მირდატი, მირდატის მამას კი არჩილი ერქვა. II მსოფლიო ომის დროს, რომელმა ქართველმა მებრძოლმა დაიმსახურა იტალიის ეროვნული გმირის წოდება?

— ფორე მოსულიშვილმა.

— რა ჰქვია ფილმს, რომელიც რეზო თაბუკაშვილმა ამ თემას მიუძღვნა?

— ეს ფილმი ნანახი მაქვს (*ფიქრობს*), მაგრამ სახელს ვერ ვიხსენებ.

— „ალპური ვარსკვლავი“. რამდენი სახმელეთო მეზობელი ჰყავს კანადას?

— 1. ეს არის აშშ.

— სად მდებარეობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეზიდენცია?

— ზუსტად არ მახსოვს, მგონი, მოსკოვში.

— ცდებით. მინსკში. რომელი სრუტეა მსოფლიოში ყველაზე განიერი?

— (*ფიქრობს*)...

— მიგანიშნებთ, ეს სრუტე ყოფს სამხრეთ ამერიკასა და ანტარქტიდას.

— მაინც ვერ ვიხსენებ.

— მეორე მინიშნებას გეტყვით — იგი ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს აერთებს.

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ.

— დრეიკის სრუტე. ვატიკანი, მალტა, ანდორა, სან-მარინო — ჩამოთვლილი „ჯუჯა სახელმწიფოებიდან“ ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი?

— თუ შეიძლება, ერთხელ კიდევ გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) ანდორა.

— ეს ქვეყანა კი ყველაზე დიდ ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი მნიშვნელოვანი მდინარე არ მიედინება. რომელია ეს ქვეყანა?

— ვერ გეტყვი.

— საუდის არაბეთი. ბელორუსია, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს?

— ავსტრია.

— რამდენი ორნიშნა რიცხვი არსებობს?

— (*იცინის*) 90.

— რამდენ ცენტნერს უდრის 49 ტონა?

— 490 ცენტნერს.

— რა რიცხვზე უნდა გავყოთ 2, რომ მივიღოთ 8?

— 0,25-ზე.

— ვინ არის მსოფლიოში აღიარებული ფილმის — „ნათლიის“ რეჟისორი?

— ფრენსის ფორდ კოპოლა.

— ვინ მიიჩნევა ამჟამად კანადის სახელმწიფოს მეთაურად?

— ბრიტანეთის დედოფალი.

— ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ის ცალთვალა გოლიათი იყო, გამოქვაბულში ცხოვრობდა და ბობოქარი ხასიათით გამოირჩეოდა. რა ერქვა მას?

— ციკლოპი.

— ვინ არის ამერიკის „თავისუფლების ქანდაკების“ ავტორი?

— ეს ქანდაკება პარიზშია დამზადებული, ავტორის გვარს კი ვერ ვიხსენებ.

— ფრედერიკ ბარტოლდი. მან ქანდაკება 1886 წელს დაამზადა. „ბიბლიის“ მიხედვით, რა ერქვა აბრაამის ცოლს?

— არ მახსოვს.

— სარა. ამ დაწესებულებას სიცილიაში „კოზა ნოსტრა“ ჰქვია. როგორ ითარგმნება იგი ქართულად?

— „ჩვენი საქმე“.

— რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?

— (*ფიქრობს*)...

— მიგანიშნებთ. ეს ფილმი 1948 წელს, ავქსენტი ცაგარელის პიესის — „ხანუმას“ მიხედვით არის გადაღებული.

— „ქეთო და კოტე“.

— ინდოეთი, კორეა, ავღანეთი, კამბოჯა — ამ ქვეყნებიდან, რომელში არ არის განვითარებული სარკინიგზო ტრანსპორტი?

— ავღანეთში.

— რა იყო იოსებ გრიშაშვილის ნამდვილი გვარი?

— (*ფიქრობს*) მამულაიშვილი.

— რომელი ხის ფოთოლია გამოსახული კანადის სახელმწიფო დროშაზე?

— ნეკერჩხლის.

— მსოფლიოს რომელ ქვეყანაში დგას მინის პირამიდა?

— საფრანგეთში, პარიზში.

— ეს მარცვლოვანი მცენარე სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის მცხოვრებთათვის ძირითად საკვებ პროდუქტს წარმოადგენს. ის ჩინეთში ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნეში მოჰყავდათ. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?

— ბრინჯზე.

— რომელ ქვეყანაში გაიხსნა პირველი დისნეილენდი?

— ამერიკაში.

— რომელი რელიგიის მიმდევრები არიან ტიბეტელი ბერები?

— ბუდიზმის.

— რა ჰქვია აღდგომის წინა კვირას?

— ვნების შვიდეული.

— როგორი სახელმწიფო წყობაა ესპანეთში?

— კონსტიტუციური მონარქია.

— იმპრესიონიზმი, როგორც მიმართულება ხელოვნებაში, XIX საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში წარმოიშვა. რომელი ფრანგული სიტყვა დაედო საფუძვლად ამ სახელწოდებას?

— „შთაბეჭდილება“.

— რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?

— ვაიმეე... ეს რომ ვერ გავიხსენო, სირცხვილია!

— ეს სიტყვები ერთ-ერთი იგავ-არაკიდან მოდის.

— (*ფიქრობს*) „ძალა ერთობაში“.

— რა ერქვა ადამის ძეს, რომლის შთამომავალიც იყო დავით წინასწარმეტყველი?

— არ ვიცი.

— სეითი. დაასრულეთ ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის სიტყვები: „კეთილშობილი ადამიანი ფიქრობს მხოლოდ მოვალეობაზე, სულმდაბალი კი მხოლოდ...“

— „...საკუთარ თავზე“.

— ...მხოლოდ სარგებელზე“.

■

ერუდიტი +

ბუნების ფანტაზია ამოუწურავია. *ცნობილია ჰეპელა სფინქსი — „მკვდარი თავი“, რომელსაც ზურგზე ადამიანის თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები აქვს გამოხატული (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში); ობობა ციკლოსმიას (ფლორიდაში) ზურგზე მკაცრი გამომეტყველების ადამიანის სახე აქვს გამოხატული; იაპონური ცხრაფეხას — დორიაეს ჯავშანზე აღბეჭდილია სამურაების პორტრეტი, იაპონური თევზის — სალანტის თავზე კი ტოკუგავას კლანის გერბი.*

ოკეანეებში 16000 სახეობის ცხოველი ბინადრობს.

რეპრუა — ყველაზე მოკლე მდინარეა მსოფლიოში. *იგი საქართველოში, გაგრასთან ახლოს, მიწისქვეშეთიდან გამოედინება. მისი სიგრძე 20 მეტრია, წყლის ტემპერატურა კი 10 გრადუსი გახლავთ.*

ყველაზე ხანგრძლივი მზის ნათება დედამიწაზე *აღინიშნა აღმოსავლეთ საჰარაში (აფრიკა). აქ მზე წელიწადში 4300 საათს ანათებს, რაც დღეში თითქმის, 12 საათს უდრის.*

ინტერნეტის მეშვეობით გალვივებული ნოსტალგია და „დაბრუნებული ქართველობა"

„ყოველთვის გენატრებოდეს, სადაც ხარ — არ გედგომებოდეს, ყვავილი ყვავოდეს და სუნი არ ჰქონდეს, საჭმელს ჭამდე და გემო არ ჰქონდეს, სილამაზეს ხედავდე და ვერ აღიქვამდე, წლები გადიოდეს და შენ კიდევ, მოგონებებით ცხოვრობდე... საკუთარი არ გაგაჩნდეს სახლი, კუთხე, რომელიც შენია..." — ამ სიტყვებს, რომლებიც გერმანიაში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა, სამშობლოს მონატრების გამოსახატავად თქვა, ალბათ უცხოეთში მცხოვრები ბევრი ჩვენებური გაიმეორებდა... **ნინო გონაშვილი** 12 წლის იყო, როცა მისი ოჯახი სარატოვში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ 10 წლის შემდეგ გოგონამ იქაურობა დატოვა და სამშობლოში მარტო დაბრუნდა.

თორნიკე ყაჯრიშვილი

— ნინო, საიდან ხარ წარმოშობით?

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვედი საქართველოში. ქიზიყის ულამაზეს სოფელ არბოშიკიდან.

— რამდენი წელია, რაც საქართველოში არ ყოფილხარ? როგორ გაიხსენებ იქ ცხოვრების პერიოდს?

— თითქმის 10 წელია. 15 წლის წინ თუ რა მდგომარეობა იყო აქ, ალბათ ყველას ახსოვს. ცხოვრება ძალიან ჭირდა და მამა სამუშაოდ სარატოვში წავიდა. შემდეგ, დედაჩემი და ჩემი პატარა ძმა წაიყვანა, რამდენიმე წლის შემდეგ კი — მე და ჩემი მეორე ძმაც. პირველი წლები ურთულესი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. მთავარი პრობლემა — ენობრივი ბარიერი და გაკვეთილების დაზეპირება იყო. სკოლაშიც გულთბილად არავინ დამხვედრია. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი და ძალიან გაუგებარი იყო ჩემთვის იქაურების ცივი დამოკიდებულება. მასწავლებელი ყოველთვის აკეთებდა აქცენტს ჩემს წარმომავლობაზე და ბავშვებს ეუბნებოდა: მას ბევრი არ მოეთხოვება, იმიტომ, რომ ქართველიაო... ეს ყველაფერი ჩემთვის ძალზე მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ამავე დროს, სტიმულიც მომცემიც და თუ თავიდან სამებზე ვსწავლობდი, საბოლოოდ, სკოლა ხუთებზე დავამთავრე. სამაგიეროდ, რუსულ ენასთან ყოველდღიურმა შეხებამ თავისი გავლენა მოახდინა და უკვე რუსულად ვაზროვნებ, სიზმრებშიც კი რუსული მესმის... მშობლები კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ სახლში ქართულად გველაპარაკა. მაგრამ როცა შინ არავინ იყო, მე და ჩემი პატარა ძმა მაინც რუსულად ვლაპარაკობდით.

საქართველოში ვცხოვრობ და ამის გამო არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს

— ნოსტალგია არასდროს გქონია?

— საქართველო რომ დავტოვე, მეხუთე კლასში ვიყავი. თავიდან ბებია და პაპა, ნათესავები, მეგობრები, რომლებნენ აქ დავტოვე, ძალიან მენატრებოდნენ. მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ... თანდათან შევიცვალე. მართალია, სახლში საკმაოდ ბევრი ქართული ფილმი და სიმღერა გვქონდა, მაგრამ — ვუყურებდი და ნოსტალგია მეძალებოდა-მეთქი, რომ გითხრა, — არ ვიქნები მართალი. ცხადია, ქართველი რომ ვიყავი, ამით ყოველთვის ვამაყობდი და არასდროს მასვენებდა ეს გრძნობა. როდესაც მე და ჩემი სხვადასხვა ეროვნების მეგობრები (რუსი, ჩინელი, უკრაინელი და ა.შ.) ვიკრიბებოდით და მშობლიურ ქვეყანაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ყოველთვის სიამაყით აღვნიშნავდი, რომ საქართველოდან ვარ... სარატოვში ქალაქის ცენტრში პარკია, რომელსაც „გამარჯვების პარკს" ეძახიან. ძალიან დიდი ტერიტორია უკავია და ეროვნული უმცირესობებისთვის სოფელი-მუზეუმია გაშენებული. ამ „სოფელში" ცხრამეტი ქვეყნის სახლი დგას, მათ შორის — ქართული, ორსართულიანი აგურის შენობა. დღესასწაულებს იქ მცხოვრები ქართველების უმრავლესობა, ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილები და ტრადიციული კერძებით, იქ აღვნიშნავდით. როგორც გითხარი, უკვე რუსულად ვაზროვნებდი და დიდი ნოსტალგია ნამდვილად არ მქონდა...

— რამ გადაგაწყვეტინა საქართველოში დაბრუნება?

— აქ დაბრუნებაზე ფიქრი, როცა პაპაჩემი გარდაიცვალა, მაშინ დავიწყე. მამაჩემის მამას — ნიკო გონაშვილს ძმა არ ჰყავდა; არც მამაჩემს ჰყავს. მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩემთვის გონაშვილების გვარი მხოლოდ ჩემი ძმებით შემოიფარგლებოდა და სურვილი გამიჩნდა, მეპოვა მოგვარეები, რომლებიც ჩემი წინაპრების ფუძიდან მოდიოდნენ. ინტერნეტში („აისიქიუში"), გონაშვილის გვარით დარეგისტრირებული სამი ადამიანი ვიპოვე და ერთ-ერთს — ბექას დავეკონტაქტე. პირველი, რაც მივწერე, იყო: გონაშვილო, საიდან ხარ-მეთქი? — არბოშიკიდანო, — მიპასუხა. კარგად მახსოვს, ამ დროს საქართველოში შუქი წავიდა და ჩვენი კავშირი გაწყდა. მეორე დღეს რომ დავუკავშირდი, ვკითხე, — რომ გითხრა, მეც გონაშვილი ვარ, როგორი რეაქცია გექნება-მეთქი? მისმა პასუხმა ძალიან ამაღელვა: ძალიან გამიხარდებოდა, ჩაგიხუტებდიო... თანდათან გაირკვა, რომ ერთი და იმავე წინაპრების შტოს მივეკუთვნებოდით, რამაც ძალიან გამახარა. როდესაც გაიგო, რომ 10 წელი არ ვყოფილვარ საქართველოში და ქართულად თითქმის ვეღარ ვლაპარაკობდი,

რუსულად დაწერილი კითხვების ქართულ თარგმანს მიწერდა და მეუბნებოდა, — აბა, გაიმეორეო. ხანდახან პასუხს არ მცემდა, ვითომ არ ესმოდა რუსული. სულ მეუბნებოდა, — მანდ რა გინდა? აქ ჩამოდიო. იმდენს მელაპარაკებოდა საქართველოზე, რომ ქართული საინფორმაციო გამოშვებების ყურება დავიწყე... შეიძლება ითქვას, ბოლო ერთი წელი უკვე საქართველოს ცხოვრებით ვცხოვრობდი. ძალიან ბევრი ქართული ფილმი და სიმღერის კრებული გადმოვწერე ინტერნეტიდან და ხშირად ვუყურებდი და ვუსმენდი. ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე. ერთი სიტყვით, სწორედ ბექამ გამიმძაფრა ის გრძნობა, ქართველი რომ ვარ და გადაწყვეტილების მიღებაშიც დამეხმარა. აქ ჩამოსვლის შემდეგ კი ბევრი მოგვარე გავიცანი და საბედნიეროდ, დღეს უკვე აღარ ვფიქრობ, რომ ჩემი გვარი მარტო ჩემი ძმებით შემოიფარგლება. საქართველოში ვცხოვრობ და ამის გამო არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს.

— მშობლები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?

— მანამდე არასდროს მითქვამს, საქართველოში დაბრუნება და იქ ცხოვრება მინდა-მეთქი, მაგრამ როცა ამის სურვილი გამოვთქვი, ჩემებს ძალიან გაუხარდათ. თავიდან შიშობდნენ, აქ მარტოს როგორ უნდა მეცხოვრა. ახლა ყოველდღე საათობით ვლაპარაკობთ. მას შემდეგ, რაც დავბრუნდი, უკვე სამჯერ იყვნენ მშობლები ჩამოსული, მაგრამ მაინც ძალიან მენატრებიან. ჩვენი სატელეფონო საუბარი ყოველთვის ასე მთავრდება: „როდის ჩამოხვალთ?“ მინდა, ჩამოვიდნენ და ყველამ ერთად ვიცხოვროთ.

— შენს ძმებს აქ დაბრუნების სურვილი არა აქვთ?

— უფროს ძმას ბიზნესი აქვს და ვფიქრობ, ჯერჯერობით ვერ მოახერხებს ჩამოსვლას. უმცროსმა სკოლა წელს დაამთავრა და მშობლებს უნდოდათ, რომ თბილისის კონსერვატორიაში გაეგრძელებინა სწავლა. სწორედ ამ მიზეზით, რამდენიმე კვირის წინ იყო ჩამოსული თბილისში. ჩააბარა გამოცდები და უკვე კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტია. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და სარატოვის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტშიც ჩააბარა. სარატოვში ცნობილი მომღერალია; მუსიკალურ წრეებში მოსკოვშიც იცნობენ და კრემლის დიდ საკონცერტო დარბაზში ერთ-ერთ კონკურსზე სიმღერა — „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“ — აქვს შესრულებული. რუსეთის ფედერაციის ნიჭიერი ბავშვების ენციკლოპედიაშიც არის შესული და პრეზიდენტის სტიპენდიითაც სარგებლობს. მეც და მით უმეტეს, გიოს, ხშირად გვეკითხებიან, თუ ვინ არის ჩვენთვის, დიდი ჰამლეტ გონაშვილი? ახლო ნათესავები არა ვართ, მაგრამ ვიცი, რომ ერთი სალოცავი გვაქვს, რაც ნათესაურ კავშირზე მიუთითებს... მეამაყება, რომ მე პირველმა გადავდგი ის ნაბიჯი, რომელიც საბოლოოდ, ჩემი ოჯახის წევრებსაც დააბრუნებს საქართველოში.

მეამაყება, რომ მე პირველმა გადავდგი ის ნაბიჯი, რომელიც საბოლოოდ, ჩემი ოჯახის წევრებსაც დააბრუნებს საქართველოში

— როგორ წარმოგედგინა — სახლი, მეგობრები, ნათესავები და აქ ცხოვრება, 10 წლის შემდეგ?

— რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ყველაფერი ისე არ დამხვდებოდა, როგორც დავტოვე, მაგრამ ამისთვის მზად ვიყავი. სახლი ისეთივე დამხვდა, როგორიც მახსოვდა... თავდაპირველად, მეგობრები მოვინახულე. მართალია, ყველა ვერა, მაგრამ ვინც ვნახე, ისეთი ბავშვური სახეები ჰქონდათ შერჩენილი, როგორიც სკოლის პერიოდში გადაღებულ სურათში... თავიდან ცოტათი გამიჭირდა, მაგრამ შემდეგ შევეცადე, აქაური ცხოვრების რიტმს ავყოლოდი. ვერავითარი იმედგაცრუება ვერ მაიძულებდა, უკან დავბრუნებულიყავი, ჩემი თავის იმედიც მქონდა. სარატოვში სარეკლამო მენეჯმენტის ფაკულტეტი დავამთავრე და ამჟამად, საყოფაცხოვრებო მაღაზიათა ქსელის ბრენდ-მენეჯერი ვარ.

— სამომავლოდ რას აპირებ? ტრადიციულ ქართულ ოჯახს შექმნი?

— აუცილებლად ტრადიციულ ქართულ ოჯახს შევქმნი და ქართველ შვილებს აღვუზრდი ჩემს სამშობლოს. ერთ-ერთი ჩამოსვლის მიზეზიც სწორედ ეს იყო.

— რას ეტყოდი იმ ქართველებს, რომლებიც დღეს საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ?

— იამაყეთ იმით, რომ ქართველები ხართ და რაც შეიძლება მალე დაუბრუნდით სამშობლოს, თქვენ მას ძალიან სჭირდებით. ჩემი ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ მივმართავ — მალე ჩამოდით! ■

10 წლის მატადორი საფრანგეთში საგასტროლოდ არ შეუშვეს

ქალაქ არლიში, კორიდის უსისხლო სახეობის სანახაობით, ნორჩი მექსიკელი მატადორი უნდა წარმდგარიყო, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ სანახაობაზე ნებართვა არ გასცა. მიშელ ლაგრავერე პენიჩე, მეტსახელად — მიჩელიტო 6 წლის ასაკიდან გამოდის არენაზე და განვლილი 4 წლის მანძილზე უკვე 60 ხარი ჰყავს მოკლული(!). ფრანგულმა ხელისუფლებამ უარის მიზეზად, უსაფრთხოება დაასახელა. მას, ბუნებრივია, მხარი აუბა „კორიდის საწინააღმდეგო ასოციაციამ“, რომლის წარმომადგენელმა განაცხადა: „იმის გათვალისწინებითაც კი, რომ კორიდის ამ სახეობაში წარმოდგენის ბოლოს ხარს არ კლავენ, მაინც დაუშვებელია მისი გამართვა, რადგან არსებობს იმის საშიშროება, რომ 30 კგ წონის ბავშვმა 200-კილოგრამიანი პირუტყვისგან ტრავმა მიიღოს“. სააგენტო „ფრანს-პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მიჩელიტომ ასე შეაფასა ეს აკრძალვა: „ეს იგივეა, რაც ნებისმიერი ბიჭისთვის — ფეხბურთის თამაშის აკრძალვა...“

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. უმწიფარ ყურძენს ისრიმი ჰქვია.
2. „ერქვანი“ და „გუთანი“ სინონიმებია.
3. აშტარაკი ქალაქია ერევნიდან 13 კილომეტრის დაშორებით.
4. „ისტორია უჩიტ ტომუ, ჩტო ონა ნიჩემუ ნე უჩიტ“, — ამბობენ რუსები.
5. უჯრედის უსქესო გამრავლებას გაყოფის ან კვირტვის გზით, აგამოგონია ჰქვია.
6. დიდი ბრიტანეთის სამეფო გვარდიის ცხენოსანთა უნიფორმა 51 დეტალისგან შედგება.
7. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ ლუვრის ექსპონატთა სიაში 779 ნომრით ირიცხება.
8. „საუკეთესო იდეები ცხენზე ჯდომისას მომდიოდა თავში“, — ამბობდა რონალდ რეიგანი.
9. კომოდოს ვარანის ზრდასრული მამრი 250 კილოგრამს იწონის. იგი ყველაზე დიდი ხვლიკია დედამიწაზე.
10. „მშვიდობით იარე“, — ასე ეღერს ქართულად, საყოველთაოდ ცნობილი მისალმება „სალამ ალეიქუმ“.
11. „სანამ ბაღში ბალი მქონდა, ვიყავ სალამ ალეიქუმ, ბაღში ბალი გამითავდა, არც სალამ, არც ალეიქუმ“, — ამბობს ქართული ანდაზა.
12. „ამერიკელებმა ახლახან გადაიღეს ტრილერი „უნისიონნიე ნეგრომ“, — „ამტკიცებს“ ევგენი პეტროსიანი.
13. ყველა დროის ყველაზე გრანდიოზული ნაგებობა — ხეოფსის პირამიდა, ერთადერთია შვიდ საოცრებათაგან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

14. „სადად და საინტერესოდ მოსაუბრე ადამიანი“, — ამ სიტყვებით მოიხსენიებენ ხოლმე გელა ჩარკვიანს.
15. რუსეთის მოსახლეობის ერთი მესამედი სიგარეტს ეწევა. რუსეთში თამბაქოს სამომხმარებლო ბაზარი 20 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.
16. 1997 წელს მონღოლეთში ცხენების რაოდენობა აღემატებოდა ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობას. 3360000-იან მოსახლეობას 3400000 ცხენი ჰყავდა.
17. წარწერა ქვაზე რუსული ზღაპრის თანამედროვე ვარიანტში: „ნაპრავო პოიდიოშ — კონია პოტერიაეშ, ნალევო პოიდიოშ — გოლოვუ პოტერიაეშ, ვპერიოდ პოიდიოშ — ობ კამენ დოლბანიოშსია!“
18. დ’არტანიანს მსახური პორთოსმა უშოვა. მან ნახა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხიდზე იდგა, წყალში აფურთხებდა და აკვირდებოდა, როგორ ჩნდებოდა წყლის

მამალიზიანებელი თაყვანისმცემელი, ცრემლები „კნოპკაზე“ და მოხერხებული „საპატარძლო“ ჰიპი

„მთელი ცხოვრება დიეტაზე ვარ“...

„მცირედიც რომ მაწყენინონ, მაშინვე ტირილს ვიწყებ. ახლობლები ხშირად მეუბნებიან, — ცრემლები „კნოპკაზე“ გაქვსო“, — მითხრა მომღერალმა თიკა ვჩამგურიამ. მან თავის დადებით და უარყოფით თვისებებზე გულახდილად ილაპარაკა. თიკას არ მოსწონს „ქალოია“ მამაკაცები. ის ღია ცის ქვეშ გამართულ დიდ და გრანდიოზულ ქორწილზე ოცნებობს.

მარეხ ჭონიშვილი

— მყავს დედა, მამა და ორი და. მამა მუშაობს, დედა — დიასახლისია. დები გათხოვილები არიან. უკვე ორი დისშვილი მყავს, მესამეს კი აგვისტოში ველოდებით.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 17-ის.

— **ჰოროსკოპით რა ხარ?**

— თევზები. ჰოროსკოპის არ მჯერა და არც ვკითხულობ. მეუბნებიან, — თევზები საკმაოდ უცნაური და ცივი ადამიანები არიანო. მაგრამ ამას არ ვეთანხმები, რადგან ცივი ადამიანი ნამდვილად არ ვარ.

— **თიკა, რა პროფესიას გინდა, რომ დაეუფლო?**

— ამ თემაზე ლაპარაკი ჯერ არ მინდა. საქართველოში სწავლის გაგრძელებას არ ვაპირებ, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ სასწავლებლად საზღვარგარეთ ვერ წავედი, ტელე-რადიოჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარებ.

— **თიკა, რას მიიჩნევ შენს კარგ თვისებად?**

— ძალიან მიზანდასახული, ერთგული, კარგი მეგობარი და მესაიდუმლე ვარ.

— **უარყოფით თვისებებზე რას იტყვი?**

— ისევე, როგორც ყველას, დადებითთან ერთად, უარყოფითი თვისებები მეც მაქვს. ხანდახან ვზარმაცობ და სკოლაში წასვლა მეზარება. გვიან ვიძინებ, ღამით კომპიუტერთან ვზივარ ან ფილმებს ვუყურებ. ამიტომაც, დილის 9 საათზე ადგომა ჩემთვის კატასტროფის ტოლფასია. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ ნებისყოფა არ მაქვს. მაგალითად, როცა დიეტას ვიცავ, მას ხშირად ვარღვევ ხოლმე.

— **ახლაც დიეტაზე ხარ?**

— (*იცინის*) მთელი ცხოვრება დიეტაზე ვარ.

— **მავნე ჩვევა თუ გაქვს?**

— ფრჩხილებს არ ვიკვნეტ და როცა ვხედავ, რომ ამას სხვა აკეთებს, ძალიან ვღიზიანდები. სიგარეტს არ ვეწევი, არც ალკოჰოლურ სასმელებს ვეტანები. მეგობრის დაბადების დღეზე ან ახალ წელს შეიძლება, ერთი ჭიქა შამპანური დავლიო.

— **ადრე სარძლოს იმის მიხედვით არჩევდნენ, თუ როგორი მეოჯახე იყო. შენ როგორი დიასახლისი ხარ?**

— სამზარეულოში ფუსფუსი მიყვარს, მაგრამ არ მიშვებენ — ყველაფერს სვრიო. ახლა კი ვცდილობ, აღარ მისაყვედურონ: როცა რაღაცას ვამზადებ, თან ვალაგებ. რეცხვა არ მიყვარს. დაუთოება ჯერ არ მიცდია. ამ პრობლემებს დედა მიგვარებს. თუმცა, მოუხერხებელი ნამდვილად არ ვარ და თუ დამჭირდა, თავს ამ საქმესაც შესანიშნავად გავართმევ. ჩემი ოთახის და კარადის დალაგება ძალიან მიყვარს.

— **რომელი კერძი გამოგდის ყველაზე კარგად?**

— ძალიან გემრიელ სალათებს ვამზადებ. ჩემი და — ნინო კარგი კულინარია და როცა ის სამზარეულოშია, სულ უკან დავდევ, მისგან რაღაც რომ ვისწავლო. დედა კი უფრო, ტრადიციულ კერძებს ამზადებს.

— **თიკა, როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— ჩამოყალიბებული აზრი არ მაქვს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩემი რჩეული. შეიძლება, ქერამ მომხიბლოს, შეიძლება — შავგვრემანმა. მთავარია, მამაკაცური თვისებები ჰქონდეს. არ მიყვარს ქალოია ტიპები.

— **უცნაური თაყვანისმცემელი თუ გყოლია?**

— ერთი უცნაური თაყვანისმცემელი მყავდა, რომელიც სამი წლის განმავლობაში მირეკავდა და მელაპარაკებოდა. ამ ბიჭმა ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა. სად ვიყავი, რას ვაკეთებდი. ერთ მშვენიერ დღეს კი რეკვა შეწყვიტა და ვერ გავიგე, ვინ იყო.

— **მისი ასეთი საქციელი არ გაღიზიანებდა?**

— თავიდან მეც ველაპარაკებოდი, მეგო-

ბრებთან ერთად ამით კარგად ვერთობოდი, მაგრამ რეკვას რომ მოუხშირა, უკვე მაღიზიანებდა და ტელეფონს ვუთიშავდი.

— რამ შეიძლება წონასწორობიდან გამოგიყვანოს?

— თავხედ ბიჭებს ვერ ვიტან — ისეთებს, გოგონებთან ურთიერთობა რომ არ იციან და უხეშობენ. ამ დროს ძალიან ვბრაზობ ხოლმე.

— როდესაც მამაკაცი მოგწონს, რას აკეთებ იმისათვის, რომ თავი მოაწონო?

— ასეთი სიტუაცია არ მქონია. არ მომწონს, როცა გოგო აქტიურობს. მიმაჩნია, რომ პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადმოდგას, ქალმა კი თავი დაიფასოს. ცოტა ხნის წინ საბერძნეთში ვიყავი და იქაური თანატოლები შეგვეკითხნენ: თქვენთან, საქართველოში, როგორ ხდება, გოგო აქტიურობს თუ ბიჭი?.. როცა ვუთხარით, რომ ჩვენთან პირველ ნაბიჯს ყოველთვის მამაკაცი დგამს, ძალიან გაუკვირდათ და გვითხრეს: ახლა ყველგან მოდაშია, რომ გოგომ უნდა იაქტიუროსო.

— თიკა, რამდენად ტრადიციული ხარ და მოგწონს თუ არა ქართული ტრადიციები?

— ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღვიზარდე და აქედან გამომდინარე, ტრადიციულიც ვარ. ჩემმა მშობლებმა ყოველთვის იციან, სად ვარ და რას ვაკეთებ. ბევრ ჩემს თანატოლს მშობლების ასეთი ყურადღება აღიზიანებს და ამბობს: XX საუკუნეა და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, ეს რა მშობლების საქმეაო. მე კი პირიქით, მათი ყურადღება მსიამოვნებს — მე და დედას ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ის ჩემი მეგობარია და ჩემი ყველა საიდუმლო იცის.

— ტრადიციის მიხედვით, შენმა საქმრომ შენი ხელი მამაშენს უნდა სთხოვოს...

— რა თქმა უნდა, ოჯახში უნდა მოვიდეს და ჩემი ხელი ითხოვოს. მან ყველაფერი ისე უნდა გააკეთოს, როგორც წესია. თუმცა, ეს დრო რომ დადგება, ამ ყველაფერზე ძალიან ბევრს ვიცინებ.

— შენი ქორწილი როგორი გინდა, რომ იყოს?

— ძალიან მინდა, უცხოელების მსგავსად, ქორწილი ღია ცის ქვეშ მქონდეს და ბევრი სტუმარი გვეწვიოს. ასეთი ბედნიერი დღე ადამიანის ცხოვრებაში ერთხელაა და ამიტომ დასამახსოვრებელიც უნდა იყოს. ასევე, ყველა გოგოს ოცნებაა, რომ თავის ქორწილში განსაკუთრებულად ლამაზი იყოს.

— საქორწილო მოგზაურობაში რომელ ქვეყანაში წახვიდოდი?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ალბათ, მე და ჩემი მომავალი ქმარი ერთად გადავწყვეტთ, რომელ ქვეყანაში ვიმოგზაუროთ.

— გოგო რომ თხოვდება, მზითევს ატანენ. შენ თუ გაქვს მზითევი?

— (*იცინის*) მზითევს წინასწარ არ ვამზადებ. ვიცი, როცა გავთხოვდები, ჩემი მშობლები ბევრ საჩუქარს გამიკეთებენ და დარწმუნებული ვარ, მათ ჩემი გათხოვება ძალიან გაუჭირდებათ.

— შენი მომავალი ქმრის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?

— ფული მთავარი ნამდვილად არ არის, მაგრამ ოჯახის შესაქმნელად საჭიროა. პირადად მე, მანამ არ გავთხოვდები, სანამ ჩემი ფული არ მექნება. არ მინდა, ქმრის ხარჯზე ვიცხოვრო. ასე უნდა ფიქრობდეს ჩემი ქმარიც.

— მტირალა ხარ?

— ძალიან. სულ მცირეც რომ მეწყინოს, მაშინვე ტირილს ვიწყებ. ხშირად მეუბნებიან, — ცრემლები „ჯოპკაზე“ გაქვსო.

— ჰობი თუ გაქვს?

— ჩემი ჰობი ცურვა და თხილამურებზე სრიალია. სპორტული ცხოვრება ძალიან მიყვარს.

— ეჭვიანი ხარ?

— ძალზე ეჭვიანი ვარ. ვფიქრობ, ეს ჩემი ერთ-ერთი ცუდი თვისებაა. ახლა ვცდილობ, ეს ცუდი თვისება დავძლიო.

— კარიერას და ოჯახს შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოს, რომელს აირჩევდი?

— როცა გათხოვებას გადავწყვეტ, ჩემს ქმარს წინასწარ ვეტყვი, რომ ასეთი არჩევანის წინაშე არასოდეს დამაყენოს, რადგან ჩემთვის ორივე მნიშვნელოვანი იქნება. ბავშვობიდან სცენაზე ვდგავარ და სიმღერის გარეშე ვერ ვიცხოვრებ. ჩემმა ქმარმა ეს უნდა გაითვალისწინოს.

— ქალისა და მამაკაცის ქორწინებამდე ურთიერთობის შესახებ რა აზრის ხარ?

— XXI საუკუნეა და ვისაც როგორ უნდა, თავის პირადულს ისე წარმართავს. არავის განსჯის უფლება არ მაქვს, მაგრამ მე ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და ჩემთვის ეს მიუღებელია.

— ოჯახის შექმნის შემდეგ ქმრის ოჯახთან იცხოვრებ?

— კარგია, თუ იმის საშუალება იქნება, რომ ცალკე, დამოუკიდებლად ვიცხოვროთ. მაგრამ თუკი ჩემი მეუღლის ოჯახში ცხოვრება მომიწევს, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

— დედამთილს „დედას“ დაუძახებ?

— მე ერთი დედა მყავს და იმის გარდა „დედას“ ვერავის დავუძახებ.

— ქმარმა რომ მოგთხოვოს?

— არ უნდა მომთხოვს! რა საჭიროა, „დედის“ დაძახება?! მთავარია, პატივი ვცე და დავაფასო, ამას კი აუცილებლად გავაკეთებ.

— ამ ინტერვიუს შემდეგ დარწმუნებული ვარ, ბევრი თაყვანისმცემელი გამოგეხმაურება. რომელიმეს თუ შეხვდები და გაესაუბრები?

— თუ საქართველოში ვიქნები, რა თქმა უნდა, შევხვდები. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

P.S. *აი, ასეთი მომხიბვლელი „საპატარძლო“ გვყავს. თიკას თაყვანისმცემლებს საშუალება გეძლევათ, გამოეხმაუროთ ტელეფონის ნომერზე: 8(55) 45-48-50. წარმატებებს გისურვებთ!* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეროვნული ფალიერ **ფუბის წიგნაკიდან:**

ზედაპირზე რკალები. ეს საქმიანობა, პორთოსის აზრით, მის მშვიდ ხასიათსა და გამჭრიახობაზე მიუთითებდა. პორთოსი იქვე გაურიგდა მას და თავის მეგობარს მიჰგვარა.

19. მოკლული დათვის კბილის გრძივად გადაჭრით, შესაძლოა, მისი ასაკის დადგენა — ჭრილზე, როგორც ხის გადანაჭერზე, შეიძლება წლიური რგოლების დათვლა.

20. ანდრია ბალანჩივაძეს, ძმის — ჯორჯ ბალანჩინის გარდაცვალება დაგვიანებით აცნობეს და ყველანაირად შეუშალეს ხელი, დაკრძალვაზე გამგზავრებულიყო: საგარეო საქმეთა სამინისტროში ბოლო წუთებში უთხრეს, — ამერიკაში გამგზავრება თუ გსურს, ძმის გარდაცვალების ცნობა წარმოადგინეო.

21. ილია რეპინს სუფთა ჰაერზე ძილი კარგი ჯანმრთელობის საწინდრად მიაჩნდა, და ოჯახის წევრებს აიძულებდა, ყინვაშიც აივანზე დაეძინათ. ამ და უამრავი სხვა მსგავსი ახირების გამო მხატვარს საბოლოოდ, ცოლი გაექცა.

22. „ტიტანიკის“ კაპიტანი ერთ-ერთ საუკეთესო კაპიტნად მიიჩნეოდა ზღვაოსანთა შორის. ეს რეისი ასეც და ისეც, უკანასკნელი იყო მის ცხოვრებაში — მის შემდგომ იგი პენსიაზე გასვლას აპირებდა.

23. ქალებში ხშირად იბადება გრძნობა, რომელსაც ფსიქოლოგები ჟანა დ'არკის კომპლექსს უწოდებენ. ამგვარი კომპლექსის მქონე პირს უჩნდება დაუძლეველი სურვილი, დაეხმაროს ადამიანს, რომელსაც უჭირს მატერიალურად, მორალურად, ტრავმირებულია, დაჭრილია თუ დაჩაგრული. ზოგიერთი მამაკაცი შეგნებულად სარგებლობს ამით.

24. მილანის ქუჩებში მოსეირნე კომპოზიტორი პუჩინი შეჩერდა მეარღნესთან, რომელიც უკრავდა ნაწყვეტს მისი ოპერიდან „ბოჰემა“. „ეს ცოტა სწრაფად უნდა დაუკრა“, — უთხრა მან მეარღნეს. მეორე დღეს მეარღნე იდგა იმავე ადგილზე, უკრავდა იმავე ნაწყვეტს, მაგრამ არღნის გვერდზე ამჯერად წარწერა ჰქონდა მიმაგრებული: „პუჩინის მოწაფე“.

25. იტალიელი კომპოზიტორი როსინი ერთ ოჯახში სადილად მიიწვიეს. დიასახლისს სუფრა ისე მომჭირნედ ჰქონდა გაშლილი, რომ მსუნაგი კომპოზიტორი სადილის შემდეგ, ფაქტობრივად, მშიერი დარჩა. „გთხოვთ, ისევ მობრძანდეთ ჩვენთან სადილად!“ — უთხრა ქალმა. — „სიამოვნებით, — მიუგო როსინიმ, — თუნდაც დღესვე!“

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲟᲘᲒᲝᲚᲝᲡ ᲑᲝᲰᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

თანამედროვე ჟიგოლოს ცხოვრება მთლად იავარდით როდია მოფენილი. თუნდაც, დღევანდელი დღე ავიღოთ: „ჯენტლმენი“, რომელზეც ქვემოთ უნდა გიამბოთ და რომლის პროფესიული ფსევდონიმიც „გოლდენია“, ნაბახუსევზე გახლავთ და საკმაოდ შეწუხებულია. გუშინ საღამოს, მშვენიერ ქალბატონებთან პაემნებს შორის, ზომაზე მეტი შამპანური მიირთვა, ამიტომ ახლა ჩემ წინ თვალებამოწითლებული ზის და აზრის მოკრებაც საკმაოდ უჭირს.

ეს ვაუბატონი წასამხრებას მოდურ ლონდონურ სასტუმრო Sanderson-ში ამჯობინებს, სადაც, მისი თქმით, ძალიან კონცეპტუალური სადილებია, რომლებზეც მხოლოდ პოპულარული ნორვეგიული წყლის — Voss-ის დაყოლებაა მიღებული. „აქ ეს თუ გადაგარჩენს“, — ხვნეშის გოლდენი, შემდეგ თავისთვის და ჩემთვისაც თითო ბოკალ ვარდისფერ ღვინოს უკვეთს და უმალ ცოცხლდება.

გოლდენი თავის მემუარების წიგნ — „ჟიგოლოსა“ და საკუთარ მუსიკალურ შემოქმედებაზე სასაუბროდ შემხვდა. წიგნი უპირატესად ქალთა აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი და „ლიტერატურული ზანგების“ მიერ „სექს-ბლოკბასტერის“ მგზნებარე სტილშია შეთხზული. მისი კითხვისას თვალწინ ქვეცნობიერად ბექჰემივით მზემოკიდებული, ოქროს ჯინჯილებასხმული, წარმოსადეგი ქერათმიანი მამაკაცი წარმოგიდგება, მაგრამ სინამდვილეში გოლდენი საკმაოდ განათლებული, მაღალი და გამხდარი, 30 წლის მუქი, ხვეულთმიანი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელიც ყველაზე მეტად, ალბათ, წიგნის მაღაზიის გამყიდველს წააგავს. მას 1980-იანი წლების სტილის დამაინტრიგებელი ტანსაცმელი — პირისფერი სელის პიჯაკი, Levi's-ის შემოტკეცილი ჯინსი და თეთრი ჩოგბურთის ფეხსაცმელი აცვია.

თავისუფალ დროს გოლდენი ჯაზს უკრავს. „განა ვინმეს შეუძლია, თავს ჯაზის პიანისტობის ნება მისცეს და შიმშილით სული არ ამოხდეს? — სევდაშეპარული ხმით კითხულობს იგი. — ეს მომაკვდავი პროფესიაა და დიდ ფულს ვერასდროს მაშოვნინებს. არა, რა თქმა უნდა, შემეძლო, პიცით მევაჭრა და აღებული ფულით მუსიკას სერიოზულად გავყოლოდი“... — ოხრავს იგი. მაშ, სხეულით ვაჭრობა რატომღა არჩია? რატომ გახდა ჟიგოლო და ლოგინში დემონსტრირებულ თავის „შესანიშნავ ხელოვნებაში“ ქალებისგან ათასნაირ საჩუქარს (ოღონდ, არა ფულს! — დაბეჯითებით უსვამს ხაზს იგი) იღებს?

თავად გოლდენს მიაჩნია, რომ ის მეძავი კი არა, რაღაც თანამედროვე დენდის მსგავსი უფროა. „ამ საქმეში ნელ-ნელა, ცდებისა და ინტერესის გამო ჩავები. უბრალოდ, ყოველდღე ცხრიდან ექვსამდე მუშაობა ვერაფრით წარმომედგინა. თანაც, გართობა და დროს ტარებაც ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს“. გოლდენი უოკინგში, პროლეტარულ ოჯახში დაიბადა. ლონდონში მიდლექსის უნივერსიტეტის ჯაზის განყოფილებაზე სასწავლებლად ჩამოვიდა და დედაქალაქის ღამის ცხოვრებაშიც უმალ თავით გადაეშვა. ცოტა ხანში კი ერთ დროს სერიოზულ მუსიკოსობაზე მეოცნებე სტუდენტი გრეგი (პასპორტის მიხედვით გოლდენს სწორედ ასე ჰქვია) ქალბატონების გამრთობ „ოქროს ბიჭუნად“, Golden Boy-დ ანდა უბრალოდ Golden-ად იქცა.

ოქროს ბიჭუნა პაემნებისთვის ფართო საზოგადოების ყურადღებით ნაკლებად განებივრებულ ადგილებს ირჩევს და ირწმუნება, ჩემს კლიენტ ქალებსაც ასეთივე გემოვნება აქვთო. ამ ქალების უმეტესობა ოცდაათ წელსაა გადაცილებული. „უბრალოდ ისინი უფრო მდიდრები და გავლენიანები არიან, — მშვიდად მიხსნის გოლდენი, — მათ ბევრად მეტი ფული აქვთ, ვიდრე 20-30 წლის ქალებს“. გოლდენით ძირითადად ის საქმიანი ქალები ინტერესდებიან, რომელთაც მამაკაცებთან სერიოზული ურთიერთობისთვის დრო უბრალოდ არ რჩებათ. „ჩემგან ისინი გართობასა და მხიარულ თავგადასავლებს ელიან, მე მათგან — საკრედიტო ბარათებს. ზოგჯერ როცა ერთსა და იმავე რესტორანში სამი დღის მანძილზე და, თანაც, ერთმანეთის მიყოლებით სამ სხვადასხვა ქალთან ერთად შევდივარ და უცვლელად Dom Perignon-ს ვუკვეთ, ოფიციანტები უცნაურად მაშტერდებიან“. როგორც ჩანს, „მდიდარი ქალბატონებისთვის განკუთვნილი იდეალური აქსესუარის“ როლი გოლდენს არავითარ შინაგან პროტესტს არ უჩენს. წიგნში თავის კლიენტებს ფრიად „მეტყველი“ სახელებით მოიხსენიებს და ისინიც კინოგმირი ქალების სტანდარტულ ტიპაჟებს უფრო მოგაგონებენ: „ქალბატონი ანტუანეტი“ ჰემსტედიდან, ქალბატონი „სატრასტო ფონდი“ ლონდონიდან, „სახელგანთქმული იქსი“ ნიუ-იორკიდან, „მადმუაზელ მემკვიდრე“ პარიზიდან და ა.შ...

გოლდენი უამრავი ქალის კმაყოფაზე მყოფი მამაკაცი-ხარჭაა და საკუთარ „ტყავზე“ ცდის ყველაფერ იმას, რისი გადატანაც მრავალი წლის მანძილზე მხოლოდ ქალებს უწევდათ. „ვფიქრობ, ჩვენ, პოსტმოდერნის ეპოქის მამაკაცებს, ამასთან შეგუება მოგვიწევს“, — უდრტვინველად ასკვნის იგი. მის წიგნში, ფილმ „ლამაზი ქალიდან“ (რომელსაც ამ შემთხვევაში ალბათ, „ლამაზი მამაკაცი“ უნდა ერქვას) ლამის პირდაპირ ნასესხებ ერთ-ერთ სცენაში, თხემით ტერფამდე ბიზნესქალბატონი „მის ალფა“ „ოქროს ბიჭუნას“ ეუბნება — შენ ჩემი სათამაშო ხარო და გოლდენიც იძულებულია, ამ როლს შეეგუოს. სანაცვლოდ კი ამავე ქალისგან ნიუ-იორკის მეხუთე ავენიუზე მდებარე Saks-ში ნაყიდ 20 ათასდოლარიან ტანსაცმელს მიიღებს. „მის ალფა“ ლოგინშიც თავად არის ყველაფრის ინიციატორი. „თუ სამსახურში ვინმე იმის თქმას გამიბედავს — რაღაცის გაკეთების უფლება იმიტომ არ გაქვს, რომ ქალი ხარო, მე მას სასამართლოში ვუჩივლებ. მაშ, სექსი რატომღა უნდა იყოს გამონაკლისი?“ — კითხულობს წიგნში „ქალბატონი ანტუანეტი“.

ერთ-ერთი ასეთი თავშესაქცევი შეხვედრისას გოლდენი ღამეში ათას გირვანქა სტერლინგზე მომუშავე პრივატცეკვების პროფესიონალმა შემსრულებელმა ქალმა „მოხსნა“. გოლდენის წიგნში ამ თავს „მამაკაცებსაც შეუძლიათ პრივატ-ცეკვების შესრულება“ ჰქვია. „მის სტრიპტიზიორი ქალისთვის“ გოლდენის ერთი თვალის შევლებაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, თუ ვისთან აქვს საქმე. ცოტა ხანში ეს უცნაური წყვილი გარეუბანში მდებარე „მის სტრიპტიზიორი ქალის“ გემოვნებით მოწყობილ სახლში განმარტოვდება. ბოლოს კი ქალი გოლდენს საკუთარი წვივსაკრავის ქვეშიდან გამოღებულ და ჯერაც მისი სხეულის ამ ნაწილის სითბოშენარჩუნებულ 300 გირვანქა სტერლინგს ჩაუთვლის და ემშვიდობება...

„გამოდის, რომ ნაღდ ფულს მაინც იღებთ,“ — რომ იტყვიან ფაქტზე ვიჭერ ჩვენს გმირს. „არა. ფული უხამსობაა, — გულღიად ეღიმება საკუთარ ღვინის ბოკალში მაცქერალ გოლდენს, — იმ ქალმა ფული სექსში კი არა, სტრიპტიზის შესრულებაში გადამიხადა“. მართლაც, წიგნში დეტალურადაა აღწერილი ის მომენტი, როცა „ეკოლოგიურად სუფთა თაფლით ჩატარებული სცენის“ შემდეგ გოლდ-

MK

ენი „მის სტრიპტიზიორი ქალის“ გარდ-ერობიდან „ნასესხები“ ცილინდრის, წვივსაკრავებისა და ბუმბულის ბოას ამარა ვნებიანად როკავს...

გოლდენის ჩვეულებრივი სამუშაო დღე რომელიმე ფეშენებელურ რესტორანში ლანჩით იწყება, რაშიც ფულს, რაღა თქმა უნდა, თავად არასდროს იხდის. დილაობით კი ნებივრობა — როიალზე დაკვრა, სამეცნიერო ფანტასტიკის წაკითხვა, მუსიკის აუჩქარებლად მოსმენა უყვარს. ეს ყველაფერი ხანდახან საღამომდეც ანუ ვახშამსა და რომელიმე კლუბში დანიშნულ მნიშვნელოვან პაემნამდე გრძელდება.

„მყავს მუდმივი კლიენტი ქალები, რომელთა ნომრებიც სპეციალურ წიგნაკში მაქვს ჩაწერილი და კიდევ — გოგონები, რომლებიც მოდიან და მიდიან ანუ ბოიფრენდთან განხეთქილების შემდეგ მირეკავენ, — მიხსნის გოლდენი, — საერთოდაც მიმაჩნია, რომ ჟიგოლოს გამოძახების საშუალება ნებისმიერ ქალს უნდა ჰქონდეს“.

გოლდენის ძირითადი კლიენტები შეძლებული საქმიანი ქალები — რიელტორები, პრესატაშეები, მოდის სამყაროს წარმომადგენლები არიან. „ისინი თავიანთ ბედს თავადვე განაგებენ, — შუბლზე ჩამოყრილ ჯიუტ თმას ისწორებს გოლდენი, — ქალებს უბრალოდ, ჩემთან დროის გატარება სურთ. როგორც წესი, გათხოვილ ანდა ისეთ ქალებთან, რომლებსაც ვინმესთან სერიოზული ურთიერთობა აქვთ, საქმეს არასდროს ვიჭერ. სულაც არ მინდა, მათმა გამხეცებულმა ქმრებმა ან ბოიფრენდებმა მდიონ“.

ხანდახან გოლდენს „არასამუშაო ლანჩებიც“ აქვს. ასეთი რამ, როგორც წესი, მაშინ ხდება, როცა ის მისსავე მდგომარეობაში მყოფი მოდელების, შეძლებული მამაკაცების ახალგაზრდა ცოლების, ანდა იმ ნორჩი გოგონების საზოგადოებაში ერთობა, რომლებსაც მდიდარი ასაკოვანი მფარველები ჰყავთ. „ჩვენ შესანიშნავად ვატარებთ დროს და ეს დროს ტარება სექსის ირგვლივ არასდროს ტრიალებს. — კვლავ დინჯად „მანათლებს“ გოლდენი, — მათმა ქმრებმა და ბოიფრენდებმა იციან, რომ მე მათ ქალებს არასდროს წავგვრი, რადგან მათ შენახვას ვერაფრით შევძლებ“.

ერთმა ჟიგოლომ, რომელთანაც გოლდენი ხშირად სვამს ხოლმე და მასთან თავის ერთობას „დენდების პროფკავშირადაც“ მოიხსენიებს, ახლახან თავისზე უფროს, ქმარგაცილებულ მდიდარ ქალზე იქორწინა. „ის მხოლოდ პრესტიჟისთვის შერჩეული ქმარია, თუმცა ამით ორივე ბედნიერია“, — ამბობს გოლდენი. „ქმრის სტატუსი პრესტიჟისთვის“ მართლაც მაცდუნებელია, მაგრამ გოლდენს ისიც პირდაპირ შუბლზე აწერია, რომ ასეთ შემთხვევაში „საქორწინო შეთანხმებაც სავალდებულოა!“ „ვფიქრობ, საკუთარ პიკს უკვე მივაღწიე. ამიტომაც მინდა, რაც შეიძლება მალე გავხდე ფინანსურად დამოუკიდებელი“, — ამბობს იგი და ამ სურვილის განხორციელებაში ალბათ, წიგნში აღებული ავანსი — 50 ათასი გირვანქა სტერლინგიც ძალიან შეუწყობს ხელს. თანაც, უკვე საკუთარი „შედევრის“ ეკრანიზაციის უფლების გაყიდვაზეცაა ლაპარაკი...

და აი, ბოლო, მაგრამ საკვანძო კითხვაც: როგორ მიიღეს წიგნი გოლდენის მშობლებმა, რომლებიც აგერ უკვე 33 წელია, ძალიან ბედნიერადაც ცხოვრობენ?. „ჩემს მშობლებს აქამდე ის უბრალო მუსიკოსი ვეგონე, რომელსაც ბევრი მეგობარი ქალი ჰყავს, — ამბობს გოლდენი, — ამიტომაც ეს წიგნი მათთვის ერთგვარი სიურპრიზი იყო. თუმცა ჩემით მაინც ამაყობენ. ისინი მართლაც სასწაული ადამიანები — პროლეტარული ბოჰემის ჭეშმარიტი წარმომადგენლები არიან“...

ჟიგოლოები ყველა დროში არსებობდნენ. იტალიაში მათ Puttano-დ, იაპონიაში — Hosuto-დ, კარიბის პლაჟებზე კი მოხიბვლელი ტერმინით Sanky-Panky მოიხსენიებენ. გოლდენის თქმით, ეს მოვლენა მხოლოდ იმ ფაქტის დასტურია, რომ მამაკაცების უმეტესობა ლოგინში არაფრად ვარგა: „ქალები მეუბნებიან, რომ ბევრი მამაკაცი უიმედოდ უუნარო და ეგოისტია. ჩემი წარმატება კი იმით აიხსნება, რომ ქალის თანაგრძნობა შემიძლია და იმის შანსსაც ყოველთვის ვაძლევ, რომ ლოგინში თავად იყოს ეგოისტი. მე ქალების მოსმენა და გაგებაც ვიცი. ბევრი მამაკაცი კი ყველაფერთან ერთად, ძალიან ჩლუნგიცაა და მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, რაც თავად აინტერესებს“.

„ქალთან მანამ არ ვწვები, სანამ მასთან ნამდვილ ფსიქოლოგიურ სიახლოვეს არ ვიგრძნობ“... — რჩება თუ არა ამ სიტყვების შემდეგ გოლდენი ჩვეულებრივ ჟიგოლოდ? მით უფრო მაშინ, როცა მის წიგნში, სტერეოტიპების, ცნობილი დიზაინერებისა და „უმაღლესი სინჯის“ გენიტალიების გვერდით, პერიოდულად ისიცაა აღწერილი, თუ როგორ ეძებს იგი თავის „ერთადერთ მისს“, რომელიც საბოლოოდ ლიტერატურული კაფეს ოფიციანტი აღმოჩნდება. ფინალში კი ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ამ ლამაზი და ინტელექტუალი ოფიციანტის გულისთვის გოლდენმა შეიძლება, საკუთარ ცოდვილ ცხოვრებაზეც კი თქვას უარი...

თუმცა სინამდვილეში ეს ისტორია დიდხანს არ გაგრძელებულა, რაშიც გოლდენს თუ დავუჯერებთ, თავად ბრალი თითქმის არ მიუძღვის. „ცხოვრების მარტოობაში დასრულება ნამდვილად არ მსურს“, — ოხრავს იგი.

თუმცა ეს ალბათ, არც ემუქრება, რადგან მისი ტელეფონი უკვე ისევ გაბმულად რეკავს. ლანჩი სრულდება და მასში ფულს ამჯერად Times-ი იხდის. ჩვენი გმირი კი შებინდებულზე, დასავლეთ ლონდონში კიდევ ერთ ქალაბატონს მიაკითხავს. გოლდენს იმედი აქვს, რომ მისი საქმიანი აქტივობის ბუმი გაგრძელდება: „აღვირახსნილი ფუფუნების დროში დენდი ყოველთვის ფასობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეკონომიკური კრიზისიც პირველებს შეგვეხება...“

ამონარიდი გოლდენის წიგნიდან „ჟიგოლო“

„ყოველმა თაამედროვე დენდმა შეთავაზებული ინტიმური მომსახურების არსის გამომხატველი საკუთარი სტილი, იმიჯი უნდა აირჩიოს. ჩემი სტილი ელეგანტური მაცდურობისა და როკვარსკვლავის თავაშვებულობის ნაზავია. მოცემული მომენტისთვის წელში გამოყვანილი ტყავის პიჯაკისა და ჰერანგის ტარებას ვამჯობინებ. რაღა თქმა უნდა, ჟიგოლოსთვის მთავარი, ფეხსაცმლის სწორად შერჩევაა. გამოცდილებამ მასწავლა, რომ უხეიროდ შერჩეული ფეხსაცმელი ქალის ლიბიდოზე დაახლოებით ისევე ნეგატიურად მოქმედებს, როგორც გამოუცდელი ენა. ახლა ყველა ქალი, პირადი მდივნებით დაწყებული და სუპერვარსკვლავებით დამთავრებული, ლამაზმანიკიურიანი სამი თითის კომბინაციით იცილებს თავიდან ცუდად ჩაცმულ ღიპიან მამაკაცს და ირჩევს ჟიგოლოს, რომელიც მას გვერდსაც დაუმშვენებს და მართალია, არა უფასოდ, მაგრამ დროსაც შესანიშნავად გაატარებინებს.

ჩვენ რომელიმე უსახური სასტუმროს ტუმბოზე დატოვებულ რამდენიმე დაჭმუჭნილი 50-გირვანქა სტერლინგიანი კუპიურის შესახებ როდი ვლაპარაკობთ. როგორც უკვე გითხარით, ქალები ცხოვრების სტილს ხარბდებიან. მათ ბუტიკებში შეძენილი ტანსაცმლის ტარება, პრიალა ჟურნალები, ელიტურ რესტორნებში შეკვეთილ სუფრასთან ჯდომა და ის მამაკაცი სურთ, რომელიც ცხოვრების ასეთ წესს შეესატყვისება. მათ კარგად ესმით, რომ ყველაფერი კარგი, კარგი ფულიც ღირს. ქალები ჩემს საბანკო ანგარიშს კი არ ავსებენ, ჩემი ცხოვრების წესს აფინანსებენ. იმის გამო, რომ ისინი ფულს ხელზე არასდროს მაძლევენ, ხშირად უცნაურ მდგომარეობაში ვვარდები: პაემანზე პირველი კლასის თვითმფრინავით (რა თქმა უნდა, არა საკუთარ ხარჯზე) მივფრინავ; შემდეგ კი შინ დაბრუნებული, იძულებული ვარ, კაფეში როიალს მივუჯდე, რათა სათანადოდ სადილობა შევძლო. დიახ, უცნაურად ჟღერს, მაგრამ როგორც თავადვე აღმოვაჩინე, ქალებს, პირველ რიგში, სწორედ უკიდურესობებით ნაქსოვი ასეთი ბოჰემური ცხოვრება აინტრიგებს“... ■

როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი

კახა კალაძის ცოლს ქმრის წართმევით ემუქრებიან

ლიკა ქაჯაია

კითხვაზე — თუ როგორი ბიჭები მოსწონთ გოგონებს და როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი მამაკაცი? — მოზარდებმა სიამოვნებით გაგვცეს პასუხი. გოგონები ასახელებდნენ არა მარტო ცნობილ ქართველ მამაკაცებს, არამედ უცხოელ ვარსკვლავებსაც და თავიანთ შეყვარებულებსაც.

ნათია, *17 წლის:*

— მომწონს ისეთი მამაკაცები, რომელთაც ქალის პატივისცემა იციან. მაგალითად, მანდილოსანს გზას დაუთმობენ, ტრანსპორტში პირველად თავად არ ადიან, ცდილობენ, ქალს სიამოვნება მიანიჭონ და ისინი სიურპრიზებით გაანებივრონ. აი, ასეთია იდეალური მამაკაცი.

მაიკო, *16 წლის:*

— ჩემი აზრით კი ბედნიერება მხოლოდ ამაში არ არის. კაცმა თავი ქალად უნდა გაგრძნობინოს და ამისთვის საჭიროა, რომ ზოგჯერ, უხეშიც იყოს. სხვანაირად ვერ მიხვდები, გვერდით კაცი გყავს თუ აფერისტი, გაუგებარი სქესის არსება.

ნათია:

— კარგი, რა, რას ამბობ? იმისთვის, რომ იგრძნო, გვერდით ნამდვილი მამაკაცი გყავს თუ არა, აუცილებელია, მან გირტყას და გიყვიროს? მგონი, თავისი სიძლიერის დამტკიცება სხვანაირადაც შეუძლია და ამისთვის უხეშობა აუცილებელი არ არის.

მაიკო:

— ჰო, მაგრამ თუ ქალს მამაკაცის რიდი არა აქვს, ის ყველაფერზე წამსვლელია.

ნინიკო, *17 წლის:*

— თქვენს ფილოსოფოსობაში არ ჩავერევი, მაგრამ მე ძალიან მომწონს ისეთი ტიპები, როგორიც მაიკლ დუგლასია. აი, ნამდვილი კაცი ეგ არის!

მაიკო:

— შენ ის გარეგნულად მოგწონს, მაგრამ ხომ არ იცი, როგორი ხასიათი აქვს, ქალების პატივისცემა იცის თუ არა და ა.შ.

ნინიკო:

— მასზე ბევრი რამ წამიკითხავს და სხვათა შორის, შეიძლება, მე მასზე ბევრად მეტი რამ ვიცოდე, ვიდრე შენ შენი შეყვარებულის შესახებ იცი.

მაიკო:

— ასეთი ლაპარაკი არ გვინდა, რა!

ნათია:

— კახა კალაძე ძალიან მომწონს და მას სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად, მაგრამ დამასწრეს.

ელენიკო, *17 წლის:*

— მერე, შე ქალო, რა გაწუწუნებს?! დაელოდე, მისნაირი ტიპები ცოლებს მალმალე იცვლიან და როცა იმ გოგოს გაეყრება, მერე შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. მოკლედ, უნდა ჩაუსაფრდე, რა.

მაიკო:

— ან სულაც, მოდი, მოვიტაცოთ. ისე, ხომ მაგარი იქნება?

ნინიკო:

— ჰო, პოპულარული გოგონები გახდებით, მაგრამ ამ საქმეში ჩემი დახმარების იმედი ნუ გექნებათ.

მაიკო:

— ვითომ, რატომ? ძალიან პატიოსანი გოგო ხარ და სხვის ქმრებზე არ ნადირობ?

ნინიკო:

— ამაში ეჭვი არ შეგეპაროს.

ნათია:

— კარგით, რა, რომელიმე მაინც იყოთ რაღაცის გამკეთებლები. ვიღაცას ეგონება, რომ ამ საკითხზე სერიოზულად ვფიქრობთ. ერთბაშად, ხვალ არ მოვიტაცოთ ჩემი გულის მურაზი (*იცინიან*).

ელენიკო:

— და რომ მოვიტაცოთ?

ნათია:

— მერე, მაგაზე კარგი რა იქნება? მოვიტაცებთ და ცოლად გავყვები. მერე დავჯდეს, ის გრძელფეხება მოდელი და ივიშვიშოს.

მერიკო, *16 წლის:*

— კარგით, რა, არ გრცხვენიათ? რა სისულელეებზე ლაპარაკობთ? ხომ ვიქნებით იმის ღირსები, რომ ლიკამ ის გოგო მოგვიყვანოს და ჩვენი თავი გააპუტვინოს?

ნათია:

— ნეტავ, მაგას ვეღირსებოდე, იმ გრძელფეხებას ვინმე მომიყვანდეს და ნახავდით, ვინ იქნებოდა გაბუტული (*იცინიან*).

ელენიკო:

— კარგი, თემა შევცვალოთ. მე ზაზა ფაჩულია მომწონდა, მაგრამ მერე, გემოვნება შემეცვალა. ახლა ძალიან მომწონს ბრედ პიტი. მასზე უგონოდ ვარ შეყვარებული, და სხვათა შორის, თუ ჩემს ოთახში შემოხვალთ, ამას თავადვე მიხვდებით — ყველგან მისი პლაკატია გაკრული და თითოეულს ჩემი ტუჩების კვალი ეტყობა (*იცინის*).

მერიკო:

— ჰოდა, რაღა გიჭირს. შეიძლება, შენ გამო ჩამოვიდეს და ქართული ტრადიციისამებრ, შენს მშობლებს შენი ხელი სთხოვოს (*იცინიან*). ბრედ პიტის რა მოგახსენო, მაგრამ მამაკაცი ისეთი უნდა იყოს, როგორიც ჩემი შეყვარებულია.

— და როგორია შენი შეყვარებული?

— მაღალი, ლამაზი, ათლეტური აღნაგობის. მის გვერდით თავს ნამდვილ ქალად ვგრძნობ. ბიჭები ჩემკენ თვალსაც ვერ აპარებენ, მისი შიშით.

— ანუ ნამდვილი მამაკაცის ყველას უნდა ეშინოდეს?

— აბა, რა. ჰოდა, მითხარით ახლა, ვის ეშინია ბრედ პიტის ან კახა კალაძის? — არც არავის. ამიტომაც, ჯობს, ჩუმად იყოთ.

ელენიკო:

— მერწმუნე, არც შენი შეყვარებულის ეშინიათ კალაძესა და პიტს და კიდევ, მგონი, მათ შენი დასაწუნი არაფერი აქვთ. სხვათა შორის, ჩემი შეყვარებული მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ის იდეალური მამაკაცია.

— რატომ, რას უწუნებ?

— არა, ყველაფერი აქვს, რაც ქალს ბედნიერებისთვის სჭირდება — ყურადღებიანია, პატივს მცემს, გარეგნულადაც არ დაიწუნება, ფულიც აქვს, მაგრამ „მარილი“ აკლია.

მაიკო:

— შენ ხომ მყავხარ იდეალური ქალი და...

ელენიკო:

— ამას არ ვამბობ. მე იდეალური რომ ვიყო, მას ვერ შევიყვარებდი, ჩემსავით იდეალურს დავუწყებდი ძებნას.

ნათია:

— ჰოდა, სასურველი მამაკაცის ძებნაში ამოგხდებოდა სული (*იცინიან*).

— თქვენ თქვით, რომ კალაძისნაირი კაცები ოჯახს მალე ანგრევენ. ასე რატომ ფიქრობთ?

ელენიკო:

— იცი, ასეთ ადამიანებს ყველაფერი ფეხზე ჰკიდიათ. მათთვის ცოლის მოყვანა და მასთან განშორება არაფერს ნიშნავს. ისინი გაევროპელებულები არიან და ქართულ წესს — რომ თუ ოჯახს შექმნი, მთელი ცხოვრება მეორე ნახევრის ერთგული უნდა იყო, არაფრად აგდებენ.

ნინიკო:

— მართალია, ცნობილი ადამიანებისთვის რატომღაც, ეს პრობლემას არ წარმოდგენს.

— ასე რატომ ლაპარაკობთ? კახასთვის იქნებ, ოჯახი წმიდათაწმიდა რამ არის? მას თქვენთვის ამის საბაბი ხომ არ მოუცია?

მაიკო:

— მართალია, არ მოუცია, მაგრამ ასე ფარულად შექმნილი ოჯახები — ვგულისხმობ იმას, რომ ის და მისი ტურფა თავიანთ ურთიერთობას არ ამჟავნებდნენ, მყარი ვერ იქნება. ისე, შევეშვათ, რა, კალაძეს...

ნინიკო:

— მართალი ხარ. სხვა სალაპარაკო არაფერი გვაქვს? მე ძალიან მომწონს ბენ აფლეკი, ქართველებიდან — დათო კიკალიშვილი.

მერიკო:

— მე ლევან უჩანეიშვილიც ძალიან მომწონს. კარგი ტიპია. ვგიჟდები ამ კაცზე და მას სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად, მაგრამ ეჰ...

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი მამაკაცი?

ნათია:

— ის დავით აღმაშენებელივით ახოვანი, დაკუნთული და ნამდვილი კაცური კაცი უნდა იყოს.

ელენიკო:

— მაგალითად, ისეთი, როგორიც დავით კირკიტაძე ან ზაზა გოროზიაა (*იცინის*)? შენ რა იცი, როგორი იყო დავით

აღმაშენებელი? იქნებ, მხოლოდ ლეგენდაა ის, რომ ახოვანი იყო და სინამდვილეში, დაბალი, მაგრამ ნამდვილი მებრძოლი და ყველა სხვა მამაკაცური ღირსებით დაჯილდოებული ადამიანი იყო?..

მერიკო:

— ქართველ მამაკაცს ულვაში არ უნდა ჰქონდეს? ეს რატომ გამოგვრჩა?

კახა კალაძე ძალიან მომწონს და მას სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად

ნინიკო:

— ულვაშიც უნდა ჰქონდეს და წვერიც. აბა, ისე ხომ დაკარგა სინდის-ნამუსი?

მაიკო:

— ჰოდა, ჩვენს ბიჭებს ამიტომაც აქვთ ნიკაპზე თხის კუდივით გამობმული ქინქლები? ეჰ, საით მიდიხარ, საქართველოვ, და მერე კიდევ იტყვიან, ქართველი გოგონების ჩაცმის სტილი არ მოგვწონს, ბიჭები კი მშვენივრად გამოიყურებიანო.

ელენიკო:

— ვინც მაგას იტყვის, ენა უნდა ამოაძრო!

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ბევრი ბიჭი დღეს ქუჩაში ისეთი ჩაცმული დადის, შეიძლება, ცუდად გახდე. ზოგჯერ მართლა ვერ ვხვდები, ჩემ წინ გოგო მიდის თუ ბიჭი.

ნათია:

— ისე დაიგრიხებიან, გეგონება, მთელი ცხოვრება ტანვარჯიშსა და პოდიუმზე დადიოდნენ. ნამდვილი ქართველი მამაკაცი ლუარსაბ თათქარიძე იყო (*იცინიან*).

მერიკო:

— რას გულისხმობ?

ნათია:

— ვგულისხმობ იმას, რომ ჭამა-სმა უყვარდა. კაცური კაცი ღვინოს ხარივით უნდა სვამდეს და ერთ ჭამაზე ერთი ცხვარი არ ჰყოფნიდეს. მოკლედ, ქონიანი კაცები გვინდა, ქონიანი.

მაიკო:

— ლოგინში რომ არ დაგვეკარგონ, არა (*იცინიან*)?! ჰოდა, მასეთი კახაა, ბენდუქიძე და კიდევ, დენი დე ვიტო, მაგრამ ის ძალიან დაბალია... ქართველი კაცი, პირველ რიგში, ვაჟკაცური ტიპი უნდა იყოს. მას არ უხდება ტანის გრეხა, ტონალური კრემები, ფეხზე გამობმული „ცეპოჩკები“ და ა.შ. არა მგონია, ლამაზი იყოს, როცა ქართველ კაცს ცხვირი ან ენა აქვს გახვრეტილი.

ელენიკო:

— უი, რა დებილი ვარ. გახვრეტილმა ენამ, იცით, ვინ გამახსენა? — გიორგი ქორქია. ძალიან მომწონს ეგ კაცი, მასზე ვაფანატებ.

მაიკო:

— კარგი ტიპია, მაგრამ მასაც ენა აქვს გახვრეტილი და მამაჩემს სახლში ასეთი სიძე რომ შეუვიდეს, ინფარქტი დაემართება.

მერიკო:

— ყველას, ვინც დავასახელეთ, ეგ ადამიანი ნამდვილად სჯობია. ასევე, ძალიან მომწონს დიტო ლაგვილავა. მაგარი საყვარელია.

ნათია:

— გეთანხმები, მას ძალიან ლამაზი თვალები აქვს, მაგრამ ვაჟკაცობის ბევრი არაფერი ეტყობა.

მერიკო:

— აბა, დაკუნთულები სტალონე და ვანდამი არიან და მათზე ილაპარაკე (*იცინის*).

ნათია:

— ამ მსახიობებს დამიწუნებ, ხომ იცი და რომ შემოგთავაზონ, ცოლად არც ერთს გაჰყვები...

ნინიკო:

— უსინდისო ვიყო, თუ რომელიმე მათგანს გავყვე ცოლად. ამას მირჩევნია, ლუი დე ფიუნესის მეუღლე მერქვას. სხვა თუ არაფერი, მაცინებს მაინც.

ელენიკო:

— უი, გოგოებო, მარიო ჩიმარო დაგვავიწყდა. მის ცოლობაზე რომელი იტყოდით უარს?

ნათია:

— ვაღიარებ, მასზე უარს ვერაფრით ვიტყოდი.

მაიკო:

— თუ ისეთი დებილია, როგორიც სერიალებში, მაშინ მის ცოლობას მირჩევნია, კვაზიმოდოს გავყვე. მის გვერდით თავს უფრო დაცულად ვიგრძნობ.

ნათია:

— ასე ნუ ამბობ, მაგარი კაცია. მის გამო ჩემს შეყვარებულსაც კი ვეტყოდი უარს.

მერიკო:

— მე კი შეყვარებულს არც ერთი კაცის გამო არ ვკრავდი ხელს.

ნინიკო:

— ჰო, ერთბაშად, ჰოლივუდის ვარსკვლავები არ ჩამოვიდნენ და ფეხები არ დაგიკოცნონ რომელიმეს. ამის ილუზია ბავშვობაშიც არ მქონია.

ელენიკო:

— სამაგიეროდ, ქორქი ხომ მაგარი ტიპია? იმედია, ამაში არ შემედავებით. ეჰ, ნეტავ, მას ვინმე გამაცნობდეს და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნებოდი.

მამაკაცის ეტალონი ჩემთვის ბაგონი გივი სიხარულიძეა

მაიკო:

— მამაკაცის ეტალონი ჩემთვის ბატონი გივი სიხარულიძეა. აი, ნამდვილი კაცური კაცი, არაფერი ეშლება. მაგარი ტიპია. ცოტა ახალგაზრდა რომ იყოს, სიამოვნებით დავუახლოვდებოდი.

ნათია:

— და ერთბაშად, შენს მახეში არ გაგება. იცი, რა მაგარი ცოლი ჰყავდა?!

მერიკო:

— კიდევ, იცით, ვინ მომწონს? — რატი დურგლიშვილიც კარგი ტიპია. ქართველია, რა.

ნათია:

— ხომ იცით, ჩვენ უცხოელი კაცები მოგვწონს, მაგრამ მერწმუნეთ, რუსი ქალები ჩვენს კაცებზე აფანატებენ, ყველაზე მახინჯიც კი ურჩევნიათ თავიანთ გაპრანჭულ კაცებს.



კარგი ტიპია, მაგრამ მასაც ენა აქვს გახვრეტილი

ნინიკო:

— აუ, მართლა, ვალერი მელაძე ცუდი ტიპია? სიცოცხლეა, საოცრად კაცური ტიპი.

მაიკო:

— „დაცემა“ გამოხედვა აქვს, ეგრევე შოკში ჩაგაგდებს. თურმე, „ვიაგრას“ ქალებს ეჩალიჩება. ისინი კი მაგარი ნაშები არიან, მათ ბევრი ვერ „აბამს“, თურმე.

ელენიკო:

— რა ვიცი, გემოვნებაზე არ დაობენ...

ნათია:

— მართალი ხარ, გემოვნებაზე არ დაობენ და შეიძლება, ის ტიპები, ვისი სახელიც ჩვენ ვახსენეთ, ვიღაცებს მაგარ ბანძებად მიაჩნდეთ, მაგრამ ყველამ, ვინც ჩვენს ნაბოდვარს წაიკითხავთ, აღიარეთ, რომ ჩამოთვლილ ტიპებთან ქორწინებაზე ვერც ერთი თქვენგანი ვერ იტყოდით უარს.

მერიკო:

— ჰოდა, ეს ნაბოდვარი ჩვენმა შეყვარებულებმაც თუ წაიკითხეს, სასაცილოდ რომელს გვექნება საქმე, მაგასაც ვნახავთ. აი, მერე ვიგებებთ უხეშობასაც და მამაკაცურ ძალასაც (*იცინიან*).

„თუ მათთან იცხოვრებ, ნერვები სულ მოუღლელი გექნება“

„გზის“ №31-ში დაიბეჭდა კახელო-616-ის მესიჯი. შეგახსენებთ, გოგონა პირველი კურსის სტუდენტია, თბილისში თელავიდან ჩამოვიდა და ნათესავის ოჯახში ცხოვრობს. „თავიდან უხაროდათ, მათთან რომ ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა, აშკარად მბრძანებლური ტონით მელაპარაკებიან... გადავწყვიტე, სწავლას თავი დავანებო და რაიონში წავიდე“, — გვწერდა გოგონა, რომელიც თავის კიდევ ერთ პრობლემაზე ამახვილებდა ყურადღებას: „ერთ წელიწადში ორმა დაქალმა მიღალატა, ერთ-ერთმა „ლოვეც“ კი „ამახია“. ალბათ, გადამეტებული მეგობრობაც არ ვარგა“.

„შეიძლება, რაიონში განებივრებდნენ, მაგრამ დიდ ქალაქში ასე არ ხდება“

მოსამართლე ლაშა:

„სამწუხაროდ, ჩემი ნათესავებიც ასეთები არიან. ბიცოლაჩემმაც ერთი ამბავი ამიტეხა, — ნათესავებში უჩვენოდ რატომ დადიხარო? მაგრამ მერე, ამის გამო, ბიძაჩემმა ლამის სახლიდან გააგდო. შენც გირჩევ, დახმარებისთვის ბიძას მიმართო. კახელო, ყველას არ ენდო და სწავლას არ შეეშვა. კარგი იქნება, თუ ვინმე თელაველ გოგოს მოძებნი და ბინას ერთად იქირავებთ“.

აზიელი:

„რატომ ირთულებ ცხოვრებას? თუ ვინმე ვერ შეგეწყობა, გაეცალე!.. რაც შეეხება შენს მეგობრებს, ნუთუ, ყველა ასეთი მოღალატე აღმოჩნდა? თუ ასეა, დაივიწყე ისინი და ცხოვრებას გაუღიმე. მერწმუნე, დღეს ღირსეულები ძალიან ცოტანი არიან, რაღაც ყველას აკლია. ნიჭსა და ტანლანტს, მით უფრო, სიმდიდრეს ჩალის ფასი აქვს, ადამიანს ადამიანურობა თუ არ გააჩნია. ადამიანურობა რომ არა, რა დათრგუნავდა შურსა და ვერაგობას, ღვარძლსა და უზნეობას, უმადურობასა და კაცთმოძულეობას? ამიტომაც, იყავი ადამიანი. შემეხმიანე“.

ქეთი, *20 წლის:*

„ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ამჟამად მეც თბილისში ვცხოვრობ და მიხარია, სწავლას ერთ წელიწადში რომ მოვრჩები. ჩემი მამიდაშვილის ხელში სტუდენტობის გემო ვერ გავიგე. ახლა ჩემს ქალაქში ვარ, მაგრამ აქაც ვეღარ ვძლებ, სახლსაც გადავეჩვიე. მინდა, საცხოვრებლად ცალკე გადავიდე, მაგრამ ვიცი, ჩემები ქირით ცხოვრების უფლებას არ მომცემენ. ვოცნებობ, მუშაობა დავიწყო და არავის ბატონობის ქვეშ არ ვიყო. რადაც უნდა დაგიჯდეს, სწავლა არ მიატოვო. ღმერთს ებარებოდე!“

ჩუბი:

„მართალია, პირადად არ გიცნობ, მაგრამ შენს „ესემესებს“ „გზავნილებში“ ხშირად ვკითხულობ და დარწმუნებული ვარ, შენნაირი იუმორის პატრონი ცუდი ადამიანი არ იქნები. ის, რომ სტუდენტი ხარ, უკვე მიღწევაა. ბინა რამდენიმე თანაკურსელთან ერთად რომ იქირაო, არ გაწყობს? სიამოვნებით შემოგთავაზებდი ჩემთან ცხოვრებას, მაგრამ... დაქალებს ჩემთვისაც ულალატიათ, მაგრამ ხომ იცი, ყოველი განსაცდელი უფლის გაკვეთილია და მათ გამო ნერვიულობა არ ღირს. წარმატებებს გისურვებ! ჰო, მართლა, სიამოვნებით გაგიცნობდი“.

MISS:

„ნაცნობი სიტუაციაა. იცი, რა უნდა ქნა? — ჯგუფელები შეამხანაგდით და ბინა ერთად იქირავეთ. რაც არ უნდა კარგი ნათესავი გყავდეს, ოჯახის წევრად დიდხანს მაინც ვერ აგიტანს. მათი სახლიდან რომ გადახვალ, შენ მიმართ ისე მოლბებიან, გაგიკვირდება, ხოლო თუ მათთან იცხოვრებ, ნერვები სულ მოშლილი გექნება და ერთმანეთს ვერასდროს შეეწყობით. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები. წარმატებები!“

იკუშკები:

„გული მწყდება, ასეთ ცუდ სიტუაციაში რომ ხარ, მაგრამ ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება და სწავლას გააგრძელებ. რაც შეეხება „დაქალებს“, მათზე გული არ დაგწყდეს. მეგობრები მეც ახლახან დავკარგე. მათ ღალატით დიდი ხანია, მიღალატეს, მაგრამ ახლა ზედმეტი მოუვიდათ და ეს ვეღარ ავიტანე. მერწმუნე, ცხოვრების ბოლოს ერთი ან ორი მეგობარი თუ შეგვრჩება, ესეც დიდი ბედნიერებაა. ცუდად არ გამიგო, მაგრამ მთავარი ხარისხია და არა — რაოდენობა. ბოლომდე ნურავის ენდობი, განსაკუთრებით კი იმ გოგოს, ვინც შენი საყვარელი მამაკაცის საწოლში შეტყუებას ცდილობს. წარმატებები!“

ლომუა:

სიმართლე გითხრა, შენი არ მჯერა. მაპატიე, თუ ვცდები, მაგრამ რატომღაც, მგონია, რომ ტყუილების გუდას მოხსენი თავი. 17 წლის ბავშვუნა რა „ლოვეს“ „ახევაზე“ ლაპარაკობ? შენ სწავლა არ გინდა და ამიტომაც იმიზეზებ რაღაცებს. უსწავლელი კი მერწმუნე, 87 წლისაც ასაკშიც ისეთივე ცუდი მეზღაპრე იქნები, როგორიც დღეს ხარ. მაპატიე, თუ ცუდად გამომივიდა. უფალი გაფარავდეს და გწყალობდეს“.

თუფაძა:

„ფარ-ხმალი არ დაყარო, ბოლომდე იბრძოლე და იმ ბიჭებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, მათი ლაპარაკი „დაიკიდე“. ჰო, დაქალების ჭორაობასაც არ მიაქციო ყურადღება. გახსოვდეს, შენი განსჯის უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს. თუ გინდა, დამიკავშირდი“.

აგათა:

„ამბობ, რომ გათამამებული გოგო ხარ. ალბათ, მშობლების მიერ მოცემული თავისუფლება ბიძის ოჯახში შეგეზღუდა და ნერვები ამიტომაც გეშლება. შენ მოგწონს თუ არა, როცა მათთან ცხოვრობ, რაღაცები უნდა მოითმინო. ისინი ვალდებულნი არიან, ყურადღება მოგაქციონ და გაკონტროლონ, თორემ პატარა უსიამოვნებაც რომ შეგემთხვეს, ყველა მათ გაამტყუნებს და ამას, პირველ რიგში, შენი მშობლები გააკეთებენ... დაქალებთანაც შენი ხასიათის გამო მოგივიდოდა უთანხმოება. შეიძლება, იმ რაიონში, საიდანაც წარმოშობით ხარ, შენი მშობლების, ოჯახის, ახლობლების გამო პატივს გცემდნენ და განებივრებდნენ, მაგრამ დიდ ქალაქში ასე არ ხდება“.

ნატრული-17:

„მეც შენნაირი ვარ. ალბათ, ჩვენ სხვანაირი, გადამეტებული მეგობრობა ვიცით და სხვებისგანაც იმავეს მოვითხოვთ... ბიძაშვილებს დაელაპარაკე და თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, დედას ან მამას სთხოვე, საცხოვრებლად შენთან ერთად, თბილისში გადმოვიდნენ. იცოდე, სწავლას თავი არ დაანებო. ხომ ხედავ, ბევრი ვერ აბარებს მისაღებ გამოცდებს. წარმატებები! გკოცნი. თუ გინდა, მომწერე და ვიმეგობროთ“.

ლალიტა:

„ბანაკში მივდივარ და არ ვიცი, უთქვენოდ რა მეშველება... კახელო, მამაშენს უნდა დაელაპარაკო. სწავლას თავი არ დაანებო, თორემ მერე, სანანებელი გაგიხდება. როგორმე შეგუე იმ აზრს, რომ ქირით მარტომ უნდა იცხოვრო“.

პანკუშკა:

„მერწმუნე, მარტო ცხოვრებაში ცუდი არაფერია. ის კი არა და, ასე, სწავლასაც მეტ დროს დაუთმობ და ნერვებსაც არავინ მოგიშლის. მპუა“.

ილინი:

„კახელომ გამაკვირვა... პატარა ქალუკა, მეც 17 წლის ვიყავი, მარტო ცხოვრება რომ დავიწყე, თანაც — ქირით. ახლა ვსწავლობ, 2 ადგილას ვმუშაობ და წარმატებული მომავლისთვის ვიბრძვი, შენ კი მშობლებიც ამოგიდგებიან მხარში. სანამ რამეს გადაწყვეტ, კარგად უნდა დაფიქრდე. მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო ცხოვრება არ გინდა, სწავლისთვის თავის დანებება არ ღირს. რაც შეეხება შენს მეგობრებს, მათ გამო არ ინერვიულო. ასეთები გადაგვიტანია? :)) ისე კი მერწმუნე, ზომიერებაშიც ზომიერებაა საჭირო“.

მის რეალი:

„კახელოს ვენაცვალე... მაქვს პატივი იმისა, რომ მას პირადად ვიცნობდე და მართლაც, უსაყვარლესი გოგოა. მარ, ვინც მიგატოვა, შენი ღირსი არ იყო. ღმერთმა შენნაირი ხალხი ამრავლოს!“

გრუზინკა:

„თუ მშობლები გიყვარს, მათ გამო რაღაცეები უნდა დათმო და გასაჭირსაც გაუძლო. როგორც თქვი, აქ შენი მომავალი წყდება და ამისთვის მსხვერპლის გაღება აუცილებელია. კახელო, მიყვარხარ და გკოცნი“.

„ნამდვილმა სიყვარულმა არც კანონიერი ქურდის შიში იცის და არც არაფრის...“

„გზის“ №31-ში დაიბეჭდა გოგონას მესიჯი, რომელმაც თავი ჯულია რობერტსად გაგვაცნო. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ უყვარს ადამიანი, რომელიც თანამდებობის პირია. მას გოგონას მიმართ სიმპათიები კი ჰქონდა, მაგრამ მისი ნათესავის, კანონიერი ქურდის შეეშინდა და უკან დაიხია. „მას შემდეგ, რაც ის გავიცანი, 4 წელი გავიდა. ჰო, ჩემს მესიჯებს აღარ პასუხობს“.

„არ მიყვარს ისეთი ქალები, თავს რომ ისულელებენ“

გრუზინკა:

„უყვარხარ და ამიტომაც წავიდა შენგან. ასე მოქცევა ყველას კი არ შეუძლია. მის ადგილას სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, თავის გზააბნეულ სამყაროში ჩაგითრევდა. გაუგე მას და დაუფასე საქციელი. იყავი ბედნიერი“.

ეშმაკუნა:

„ეტყობა, იმ ტიპს არ უყვარდი, თორემ ეგრე ადვილად არ დაგმიმობდა. ვფიქრობ, ნამდვილმა სიყვარულმა არც კანონიერი ქურდის შიში იცის და არც არაფრის. თანაც, მესიჯებზეც არ გპასუხობს. ალბათ, გაგიჭირდება, მაგრამ უნდა დაივიწყო“.

აზიელი:

„რა ქნა, ჯულია და დაივიწყეეე. მშიშარა ადამიანებს ვერ ვიტან. აბა, ჰე, ბედნიერად!“

MISS:

„აჰაა. ჯულია, შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ ბევრი კითხვა გამიჩნდა. რატომ ხარ დარწმუნებული, რომ შენი ნათესავის შეეშინდა? იქნებ, შენთან ურთიერთობა მისთვის უბრალოდ, ფლირტი იყო? იქნებ, ცოლიანია? თუ მესიჯებზე არ გპასუხობს, ვერ ვხვდები, რატომ არ ურეკავ და არ არკვევ ურთიერთობას? თუ თქვენ შორის არაფერი გამოვა, შეეცადე, ყურადღება სხვაზე გადაიტანო. აბა, სხვა რა უნდა ქნა?..“

მაკო:

„თუ იმ კაცს მართლა უყვარხარ, არავისი შეეშინდებოდა. იქნებ, საერთოდ დაავიწყდი, აღარ ახსოვხარ? დაივიწყე და ვინმე სხვა შეიყვარე. თბილისში ბევრი კარგი ბიჭი დადის“.

იკუშკები:

„შენი „ესემესი“ წავიკითხე, მაგრამ ვერ გავიგე, რა ხდება შენს თავს. მართლა ვერ ვხვდები, რა გჭირს. შეყვარებული ხარ? მონატრების საშინელი განცდა დაგეუფლა? შენთან ბევრი კითხვა დამიგროვდა... გირჩევ, არარეალურ ფიქრებს თავი დაანებო და მიწაზე დაეშვა. არა მგონია, შენი თანამდებობის პირი შენით სერიოზულად იყოს დაინტერესებული. თუ მესიჯებზე არ გპასუხობს, უთავმოყვარეო ხომ არ ხარ, კიდევ რომ წერ? შენთვის მასზე ფიქრიც კი შეურაცხმყოფელი უნდა იყოს! უკაცრავად, თუ ზედმეტი მომივიდა, მაგრამ არ მიყვარს ისეთი ქალები, თავს რომ ისულელებენ“.

ლომუა:

„ყველას მოგესალმებით. კარგა ხანია, ზღაპრების არ მჯერა და მით უმეტეს, შენს ჩამოუყალიბებელ ზღაპარს ვერ დავიჯერებ. ამდენი სისულელე მარტომ მოიფიქრე? „მალადეც“, შენ. შვილო, ჯერ გაიზარდე, ჩამოყალიბდი და მერე იფიქრე ასეთ რაღაცებზე. მეცოდები. P.S. ლიკუშ, გთხოვ, დამიბეჭდე“.

GOOD TEO:

„გირჩევ, ის პიროვნება დაივიწყო. მას რომ ჰყვარებოდი, არაფრის შეეშინდებოდა და არ მიგატოვებდა. შენ მესიჯებს წერ, ის არ გპასუხობს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ აინტერესებ. გირჩევ, მშიშარა კაცი „დაიკიდო“. გკოცნი ბევრს“.

პანკუშკა:

„მას რომ ჰყვარებოდი, შენზე უარს ვერაფერი ათქმევინებდა. ჩემო კარგო, გულს ნუ გაიტეხ. გაკოცეეე“.

„ჩემი მშობლები რომ არ მეცოდებოდნენ, თავს მოვიკლავდი“

უცნობი:

„გამარჯობათ. თქვენი დახმარება მჭირდება. „გზის“ მეშვეობით გავიცანი ბიჭი, რომელსაც თავიდანვე ვუთხარი, რომ მისი შესაფერისი არ ვარ, რადგან ქართველი არ გახლავართ და თან — ფეხი მტკივა. მეგონა, დამიჯერა. ჩვენი ურთიერთობა ხუთიანზე აეწყო. ის ბიჭი ხელისგულზე მატარებდა. მხოლოდ ის მკითხა: რა გვარი ხარო? და როცა ვუთხარი, არ დამიჯერა, — ნუ მატყუებო. ჰოდა, სწორედ ამის გამო ვიჩხუბეთ და დავშორდით. იქნებ, სულაც არ უნდა მეთქვა არაფერი და ის ბიჭი ტყუილებით „გამომეჭირა“, ხოლო როცა ფაქტის წინაშე დადგებოდა, ძალით „შემეტენა“ ჩემი თავი?!. მაგრამ არა, ასე ვერ მოვიქცეოდი. ახლა რა ვქნა? ჩემი მშობლები რომ არ მეცოდებოდნენ, თავს მოვიკლავდი. რატომ ვისჯები სიმართლისთვის? რატომაა ცხოვრება ასეთი სასტიკი? მირჩიეთ, ეს ბიჭი როგორ დავივიწყო? გთხოვთ, მიშველეთ“.

„ბევრი მეგობარი გოგო მყავს, მაგრამ ვერავინ შევიყვარე...“

რუსთავი, *17 წლის:*

„მოგესალმებით. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, არც ვსვამ და არც ვეწევი. გარეგნობითაც ნორმალური გახლავართ. მართალია, ბევრი მეგობარი გოგო მყავს, მაგრამ ვერავინ შევიყვარე და ჩემი პრობლემაც სწორედ ის არის, რომ არავის ვუყვარვარ. არადა, ძალიან მინდა, შეყვარებული მყავდეს. გოგონები ჩემგან მხოლოდ მეგობრობას მოითხოვენ. ვინ იცის, იქნებ, სხვანაირად უნდა ვიცხოვრო, მაგრამ მე ჩემი ცხოვრების სტილი მომწონს და მისი შეცვლა არ მინდა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? თქვენი იმედი მაქვს. წინასწარ გიხდით მადლობას“.

***P.S.* მაშ ასე, თუ უცნობისა და რუსთავის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

პოდაგრა

„პოდაგრა“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად „ფეხის ხაფანგს“ ნიშნავს. აღნიშნული ტერმინი ამ დაავადებისთვის დამახასიათებელ, ქვემო კიდურების სახსრის უპირატეს დაზიანებას უსვამს ხაზს. საქართველოში პოდაგრა ოდითგანვე, ნიკრისის ქარის სახელწოდებით იყო ცნობილი.

პოდაგრა ანუ პოდაგრული ართრიტი ქრონიკული დაავადებაა და ნივთიერებათა ცვლის მოშლით გამოწვეულ პათოლოგიებს მიეკუთვნება. ამ დროს ადგილი აქვს შარდმჟავას ცვლის მოშლას, რის გამოც, სისხლში მისი შემცველობა მატულობს და ლაგდება ქსოვილებში, ძვლებსა და სახსრებში. პოდაგრა უპირატესობას კიდურების წვრილ სახსრებს ანიჭებს. ნადებებისგან ფორმირდება ე.წ. პოდაგრული კვანძები (ტოფუსები). სხვათა შორის, პოდაგრა სისხლძარღვებსაც აზიანებს (განსაკუთრებით, ღვიძლის და გულის), რის შედეგადაც ვითარდება სკლეროზული ცვლილებები — კერძოდ, ზიანდება შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოები.

თუ თქვენ იგრძენით მწვავე, ინტენსიური ტკივილი სახსარში და შეამჩნიეთ, რომ ფეხი შეწითლდა, შეშუპდა, გახურდა და ამასთანავე, ნებისმიერ მოძრაობას თან სდევს დამახასიათებელი ხრაშუნი, შესაძლოა, ეს პოდაგრის შეტევა იყოს. პოდაგრული ართრიტის შეტევა ვითარდება უეცრად, უმეტესად — ღამით. ავადმყოფი იღვიძებს ტერფის დიდი თითის არეში ძლიერი ტკივილის გამო, სახსარი სწრაფად (რამდენიმე საათში) სივდება, კანი ჰიპერემიულია, დაჭიმულია და მბზინავი. ხშირად, გაფართოებული ვენებიც კი მოჩანს. შესივებული ქსოვილები მკვრივია, ტემპერატურა მომატებულია და სახსარში ყოველგვარი მოძრაობა მტკივნეულია. ჩვეულებრივ, კრიზისი გრძელდება რამდენიმე საათიდან 10-12 დღემდე და თანდათანობით (ერთ-ორ კვირაში) ცხრება. ამის პარალელურად ქრება შეშუპება და სახსრის ფუნქცია მთლიანად აღდგება. მწვავე კრიზის დროს, ავადმყოფს შეიძლება, სუბფებრილური (37-38) ტემპერატურა ჰქონდეს, მაგრამ თუ მსხვილი სახსრებია დაზიანებული, მაშინ ტემპერატურა მაღალია.

პოდაგრული კრიზისის ჩათავების შემდეგ ავადმყოფი თავს გამოჯანმრთელებულად გრძნობს, მაგრამ გარკვეული დროის მერე შეტევა კვლავ მეორდება. მისი სიხშირე და ინტენსივობა თითოეული ავადმყოფისათვის ინდივიდუალურია: ზოგს სახსროვანი კრიზისი უმეორდება (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ), მაგრამ ტკივილი არაა ძლიერი და შრომისუნარიანობას დიდი ხნით არ აქვეითებს, ზოგს კი ძლიერი ინტენსივობის, ხშირი შეტევები აქვს, რაც ადრეულ ინვალიდობას იწვევს. თუ პირველი რამდენიმე შეტევა ტერფის პირველი თითის წინატერფფალანგთაშუა სახსარს აზიანებს, შემდგომი შეტევები უკვე სხვა სახსრების დაზიანებას იწვევს, ხოლო თუ დაავადების დასაწყისში ძირითადად, ერთი სახსრის ანთებასთან გვაქვს საქმე, შემდგომში პოდაგრის მწვავე შეტევა ერთდროულად, ორი ან რამდენიმე სახსრის დაზიანებით მიმდინარეობს.

პირველი სახსროვანი კრიზიდან 3-5 წლის შემდეგ, პოდაგრა გადადის ქრონიკულ ფორმაში, მაგრამ ეს პერიოდი შეიძლება, 10-15 წლამდეც გაგრძელდეს. დაავადების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, შეტევებს შორის პერიოდი მცირდება და პროცესში თანდათანობით ხდება ახალი სახსრების ჩართვა. ამასთან, ავადმყოფისთვის შეუმჩნევლად წარმოიქმნება პოდაგრისათვის დამახასიათებელი კვანძები (ტოფუსი). დროთა განმავლობაში მატულობს სახსრების მყარი დაზიანებები, ყალიბდება ტიპური ქრონიკული პოლიართრიტის სურათი — სახსრების დეფიგურაცია და დეფორმაცია ძვლების წანაზარდების ხარჯზე, თითების ქვეამოვარდნილობები, კონტრაქტურები, სახსრების უხეში ხრაშუნი, მოძრაობის შეზღუდვა. ასეთ ავადმყოფს უჭირს მოძრაობა, უქვეითდება ან სრულიად ეკარგება შრომის უნარი.

ტოფუსი შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის (როგორც მუხუდოს მარცვლის, ასევე — ვაშლისოდენა). კანქვეშა, ზედაპირულად მდებარე ტოფუსი არის თეთრი ფერის, მკვრივი კონსისტენციის და უფრო ხშირად წარმოიქმნება ყურის ნიჟარებზე, თვალის სკლერაზე ან იდაყვების არეებში, ხოლო შედარებით იშვიათად ხელის მტევნის, ტერფის თითებზე და ა.შ. ტოფუსი ხშირად რბილდება, თავისთავად იხსნება და გადმოდინდება თეთრი, კბილის პასტის მაგვარი მასა. მისი მიკროსკოპული გამოკვლევისას ნახულობენ შარდმჟავა ნატრიუმის კრისტალებს. ჭრილობა ძალიან იშვიათად ინფიცირდება, რაც შარდმჟავა მარილების ბაქტერიოციდული ეფექტით (ამ ეფექტს განაპირობებს მჟავე რეაქცია) უნდა აიხსნას.

პოდაგრას აქვს საშიში გართულება (ყველაზე ხშირად, თირკმლებს აზიანებს). შეიძლება განვითარდეს: შარდკენჭოვანი დაავადება, პიელონეფრიტი, გლომერულონეფრიტი ან თირკმლის უკმარისობაც კი, რაც ხშირად, სიკვდილის მიზეზი ხდება.

გახსოვდეთ! პოდაგრის ვერაგობა იმაში მდგომარეობს, რომ დაავადების ადრეულ სტადიაშივე შეინიშნება პერიოდული შეტევები, რასაც ავადმყოფები დიდ ყურადღებას არ აქცევენ, რადგანაც ის ყოველგვარი მედიკამენტის გარეშე, თავისთავად გაივლის. პოდაგრის დიაგნოზის დადგენა 5-8 წლის შემდეგ ხდება, როცა ის უკვე მთელ ორგანიზმში „საქმიანობს“ და მისი სასტიკი „ხელი“ ყველაფერს სწვდება.

ბოლო ხანებში შეიმჩნევა პოდაგრით

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ
ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ
ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ
ᲔᲚᲕᲐ

ქ. თბილისი
ოსლაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ამის მიზეზი გახლავთ:

- სიმსუქნე, დაკავშირებული არასწორ კვებასთან (ცხოველური წარმოშობის მაღალკალორიული პროდუქტების სიჭარბე კვების რაციონში). საქმე ისაა, რომ პურინები (ორგანიზმში შარდმჟავას წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო) ძირითადად, ცილოვან პროდუქტებში შედის (მაგალითად, ხორცი), ხოლო საკვების სახით მათი ჭარბი მიღება სისხლში შარდმჟავას შემცველობის მომატებას იწვევს. ალკოჰოლური სასმელები ამძიმებს მდგომარეობას, რადგან ანელებს თირკმლების მიერ ამ მჟავების გამოყოფის პროცესს. სხვათა შორის, გადამეტებულ დიეტას ანალოგიურ შედეგამდე მივყავართ.
- ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, შაქრიანი დიაბეტი.
- პოდაგრისადმი გენეტიკური წინასწარგანწყობილება ანუ როცა ორგანიზმში ჭარბი რაოდენობის შარდმჟავას წარმოქმნა ხდება და თირკმლები მათ გამოყოფას ვერ ასწრებს.

პროფილაქტიკა

მიიღეთ რაც შეიძლება ნაკლები ხორცი, ხორციან კერძებთან ერთად არ მიიღოთ ალკოჰოლი. საერთოდაც, ალკოჰოლით გატაცება არ ღირს. მის ნაცვლად ჯობს, ხილისა და ბოსტნეულის წვენები მიირთვათ, რაც სასარგებლოცაა და გემრიელიც.

იცხოვრეთ აქტიური ცხოვრების წესით — დაკავდით აქტიური სპორტის სახეობებით (სირბილი, ფრენბურთი თუ სხვა) და არ დაგავიწყდეთ სახსრების მსუბუქი მასაჟი.

ყურადღება!!! პოდაგრის შეტევების დროს სახსრების მასირება არ შეიძლება!

დიაგნოზი

თუ თქვენ პერიოდულად გაწუხებთ სახსრის ტკივილი, მიმართეთ რევმატოლოგს. პოდაგრის დიაგნოზის დასაზუსტებლად არსებობს სპეციალურად შემუშავებული სქემა, რომელიც პრაქტიკულად, შეცდომას გამორიცხავს. გახსოვდეთ, რაც უფრო ადრე გამოვლინდება დაავადება, სრული გამოჯანმრთელების მეტი შანსი გაქვთ.

პოდაგრის მკურნალობა უნდა ტარდებოდეს კომპლექსურად. იგი მოიცავს მწვავე კრიზისის კუპირებას, ართრიტის ჩაქრობის შემდეგ ბაზისური პრეპარატების დანიშვნას, დიეტოთერაპიას, ფიზიოთერაპიას, ბალნეოლოგიურ კურორტებზე მკურნალობას, ორთოპედიულ ოპერაციებს.

მწვავე სახსროვანი კრიზისის დროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა წოლითი რეჟიმი, დაზიანებული კიდურის ოდნავ მაღლა აწევა და აუცილებელია დიეტოთერაპია.

რაც შეეხება მედიკამენტოზურ მკურნალობას, სახსროვანი შეტევის კუპირებისთვის გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული (ინდომეტაცინი, დიკლოფენაკი, კოლხიცინი, იბუპროფენი და სხვა), იშვიათად კი სტეროიდული (გლუკოკორტიკოსტეროიდები) საშუალებები. მსხვილი სახსრების ანთებითი პროცესის დროს, როდესაც ვითარდება გამოხატული სინოვიტი, იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც, დასაშვებია გლუკოკორტიკოსტეროიდების ერთჯერადი სახსარშიდა ინიექცია.

მწვავე პოდაგრული კრიზისის ჩამთავრების შემდეგ, ავადმყოფს უნდა დაენიშნოს ე.წ. ბაზისური თერაპია, რომელიც ხორციელდება ურიკოდეპრესანტების (ალოპურინოლი, მილურიტი, თიოპურინოლი და სხვა) და ურიკოელიმინატორების (ანტურანი, ეტამიდი, ბენემიდი) მეშვეობით.

ყურადღება!!! გვერდითი მოვლენების ასაცილებლად მკაცრად დაიცავით პრეპარატების მიღების წესი და დოზირება.

დიეტა

პოდაგრის მკურნალობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტის მკაცრად დაცვას. აუცილებელია დღეში 3 ლიტრამდე სითხის მიღება: სითხის ნაკლებობა იწვევს თირკმლების მუშაობის შეფერხებას და შესაბამისად, სისხლში შარდმჟავას შემცველობის მატებას.

კვების რაციონი უნდა შეიცავდეს: რძეს და რძის პროდუქტებს, თეთრ და შავ პურს, შაქარს, თაფლს, ბოსტნეულის და მარცვლეულის წვნიანს, ფაფებს, ნებისმიერ ტკბილ ხილს, ლიმონს, სტაფილოს, კიტრს და სალათას.

ერთი კვირის განმავლობაში შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ: 2 კვერცხი, 200 გ ხორცი, 200 გ უცხიმო თევზი. შეგიძლიათ გამოიყენოთ დაფნა და ძმარი. შეამცირეთ სუფრის მარილის მიღება დღეში 6-8 გრამამდე (ეს ნახევარ ჩაის კოვზზე ოდნავ მეტია).

მკაცრად იკრძალება: სუნელი, ხორცის ნახარში, შემწვარი და შებოლილი ხორცი, შემწვარი თევზი, თევზის წვნიანი, თევზის კონსერვი, სოკო, პარკოსნები, ისპანახი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, ალკოჰოლური სასმელი.

განტვირთვის დღე!

კვირაში ერთხელ შიმშილობა გამოაცხადეთ. დილით გაიკეთეთ გვირილის, სალბის და წყლის სამყურასგან მომზადებული თბილი ნაყენის ოყნა. განტვირთვის დღეს სვით მხოლოდ წყალი, საღამოს გაიმეორეთ ოყნა. მეორე დღეს იკვებეთ ჩვეულებრივ, მაგრამ ხორცის, თევზისა და კვერცხის გარეშე. ეცადეთ, ასე 2 თვე მაინც გაძლოთ.

სიახლეები

რაზეა დამოკიდებული „სიმსუქნის გენის“ გაჩენა

მრავალწლიანი ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე, ინგლისელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ „სიმსუქნის გენის“ გაჩენა შემთხვევათა 90%-ში დამოკიდებულია თავად ადამიანს და მის ცხოვრების წესზე.

მეცნიერებმა შეისწავლეს მადაზე მოქმედი გენები, კერძოდ, ის გენები, რომელთა მუტაციის (შეცვლა) შედეგად, ადამიანს დანაყრების შეგრძნება არ უვითარდება და იგი ჭამას აგრძელებს.

დანაყრების დადგომის შესახებ ტვინს სიგნალს უგზავნის ჰორმონი ლეპტინი, ტვინი კი თავის მხრივ, მადას „ბლოკავს“. არსებობს ამ ჰორმონის გამომმუშავებელი გენი და როცა ამ გენს რაღაც წესრიგში არ აქვს, მაშინ ტვინს არ მიეწოდება სიგნალი და ადამიანი თავს ვერ ანებებს ჭამას.

დაავადება სისხლის ანალიზით დგინდება. ის უჩვენებს, რომ ლეპტინის დონე ნულოვანია. გენეტიკოსებმა უკვე შექმნეს ხელოვნური ლეპტინი, რომელიც სიმსუქნით დაავადებულებში სწორედ ისე შეჰყავთ, როგორც დიაბეტიანებში — ინსულინი. მკურნალობის დადებითი შედეგებიც მიღებულია. კერძოდ, ორგანიზმში ლეპტინის შეყვანიდან მესამე დღეს მადა ქვეითდება და წონაში კლებაც იწყება.

ლეპტინის უკმარისობით გამოწვეულ სიმსუქნეს მეცნიერები მონოგენურს უწოდებენ. იგი ბავშვის დაბადების პირველსავე თვეებიდან ვლინდება. ასეთ ადამიანებს ერთი წლის ასაკში უკონტროლო მადა და ჭარბი წონა აქვთ. თუ ჭარბი წონა მხოლოდ 5-5,5 წლის ასაკში ვლინდება, მაშინ აქ გენები არაფერ შუაშია და საკმარისია, მშობელმა თვალყური ადევნოს ბავშვის კვებას და აიძულოს, ბევრი იმოძრაოს.

თუ ადამიანის სიმსუქნის მიზეზი გენშია, მაშინ მან უნდა შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი. პირველ რიგში, უნდა იკვებოს ნაკლებად ცხიმიანი პროდუქტებით, მეორე — უარი თქვას კანფეტებზე, ფუნთუშეულზე, ნამცხვრებსა და ყველაფერ კალორიულზე და მესამე — ბევრი იმოძრაოს.

ზოგადი ნარკოზის გვერდითი ეფექტების მექანიზმი ამოცნობილია



ზოგად ნარკოზს შეუძლია, ადამიანის არა მარტო ღრმა ძილში გადაყვანა, არამედ ოპერაციის შემდეგ, ტკივილის შეგრძნებების გაძლიერებაც.

ჯორჯთაუნის (აშშ) უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებმა მეცნიერულ დონეზე ახსნეს ზოგადი ნარკოზის პარადოქსული მოქმედება (ნარკოზი ტკივილის შეგრძნებებს აქრობს ოპერაციის დროს, მაგრამ მისი დასრულების შემდეგ, როგორც კი ნარკოზის მიწოდება წყდება, თავს იჩენს ძლიერი ტკივილის შეგრძნება). ამერიკელი მკვლევრები შესრულებული სამუშაოს შესახებ მეცნიერულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ანგარიშში შეეხნენ ზოგადი ნარკოზის მოქმედების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც ადრე, გაუტკივარების ამ მეთოდის ფართოდ გამოყენების მიუხედავად, მეცნიერების მხრიდან მაინც უყურადღებოდ რჩებოდა.

დღესდღეობით გამოყენებული ზოგადი სანარკოზე საშუალებების უმრავლესობა იწვევს ორგანიზმში მისი შეყვანის ადგილის ან ინჰალაციური ნარკოზის გამოყენების შემთხვევაში, ზემო სასუნთქი გზების გაღიზიანებას. მართალია, ეს საშუალებები თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, მაგრამ ააქტიურებს პერიფერიული ნერვული სისტემის ე.წ. ნოციცეპტურ (ტკივილის) ნერვულ უჯრედებს. ამიტომ ანესთეზიოლოგები წინასწარ აძლევენ პაციენტებს ანთებისა და ტკივილის დამთრგუნველ საშუალებებს და მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებენ ზოგად ნარკოზს.

დღემდე არ იყო ცნობილი არც ზოგადი სანარკოზე წამლების ნეირონებზე მოქმედების მექანიზმი და არც ოპერაციის შემდეგ ხანგრძლივი ტკივილისა და ანთების მიზეზი. ადამიანის და ზოგი ცხოველის ნერვულ უჯრედებში არსებობს ორი სპეციფიკური რეცეპტორი — TRPV1 და TRPA1, რომელიც ზოგერთ ბუნებრივ ეთერზე, კერძოდ — ნივრისა და მდოგვის ეთერზეთებზე რეაგირებს.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ამ რეცეპტორებს, საანესთეზიო საშუალებებზე რეაგირებაც შეუძლია. ეს ჰიპოთეზა სწორი აღმოჩნდა. მართლაც, რეცეპტორი TRPA1 (მას ზოგჯერ, მდოგვის ზეთის რეცეპტორსაც უწოდებენ), რომელიც ტკივილის მექანიზმში ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, უშუალოდ მოქმედებს ზოგად სანარკოზე საშუალებებზე და პასუხისმგებელია ორგანიზმში ტკივილის შეგრძნებებისა და ნარკოზის სხვა უსიამოვნო შედეგების განვითარებაზე. ყოველივე ამის დადასტურება, თაგვებზე ჩატარებული ცდებით მოხერხდა. საცდელ მღრღნელებს, რომელთაც ხელოვნურად ჰქონდათ ზემოთ ხსენებული რეცეპტორი მოშორებული, ნარკოზის შემდეგ ტკივილის შეგრძნება არ განუვითარდათ.

ამერიკელ მედიკოსთა აღმოჩენამ ახალი, უფრო ნაკლებად უვნებელი სანარკოზე საშუალებების შექმნის პერსპექტივას გაუხსნა გზა. ასეთი პრეპარატების ძებნა საჭიროა იმ წამლებს შორის, რომლებიც TRPA1 რეცეპტორებზე არ მოქმედებს. ასეთი წამლები არსებობს, მაგრამ ძირითადი დანიშნულების მხრივ, ნაკლებად ეფექტურია. თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა ნამდვილად შესაძლებელია.



თქვენთვის, ქალბატონებო!

ქუჩაში მიუფოფინებული შვილის ამბავი

მარი ჯაფარიძე

1977 წლის 13 მარტი. ხევსურეთი. ბუნება იმ გოგონას განრისხებული მშობელივით ბობოქრობდა, რომელიც მაღალმთიანი სოფლის, ერთ-ერთი პატარა სახლის ეზოში ჩადგმულ ბოსელში მშობიარობდა.

— ქარიშხალი და კოკისპირული წვიმა ერთმანეთში ირეოდა, ცა თითქოს ჩამოქცევას ლამობდა, — *იხსენებს ქალი, რომელიც ფეხმძიმეს ამშობიარებდა. ის ახლა ღრმად მოხუცია და თბილისში, შვილებთან ცხოვრობს. ასაკის მიუხედავად მეხსიერება არ ღალატობს და ყველაფერი გუშინდელი დღესავით ახსოვს:* — გოგონა დაიბადა, რომელიც მშობიარის მშობლებს, მათივე მოთხოვნით, მაშინვე გადავეცი. მელოგინე ტიროდა და მთხოვდა, ბავშვი მასთან დამეტოვებინა, მაგრამ მე უფლება არ მქონდა, მის მშობლებს შევწინააღმდეგებოდი. ჩვენებური წესის მიხედვით, მელოგინე 40 დღის განმავლობაში ბოსელში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ახალგაზრდა ქალი შემეცოდა. თანაც, ვიცოდი, რომ მისი მშობლები უკანონოდ დაბადებული ბავშვის გაშვილებას გეგმავდნენ და გოგონას რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ცოტა მოღონიერდა, გაქცევაში დავეხმარე.

მელოგინეს ნინო ერქვა და არაფრის დიდებით ბავშვის მამის ვინაობის გამხელა არ სურდა. მან ბებიაქალს გული მაშინ გადაუშალა, როცა ის მშობლებისგან მალულად საჭმელს უზიდავდა, ნინო რომ ფეხზე დაეყენებინა. ნინო სტუდენტი იყო. ზაფხულში, სოფელში არდადეგებზე ჩასულმა ლამაზი, ასევე ქალაქიდან ჩასული ბიჭი გაიცნო, რომელიც მასავით სტუდენტი იყო და ხევსურეთში, ექსპედიციაში იმყოფებოდა. მათი ურთიერთობა თბილისშიც გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ცოლიანი იყო, მასთან ფიზიკურ სიახლოვეზე მაინც დათანხმდა. ახლა კი თავისი ქმედების შედეგს იმკიდა.

20 მარტს, გამთენიისას, ბებიაქალის დახმარებით, ნინომ სახლიდან ბავშვი მოიპარა, ჩვრებში გაახვია და ქალაქისკენ მიმავალ გზას დაადგა. კარგა ხანს იარა ფეხით. უკვე გათენებული იყო, სატვირთო მანქანამ რომ გაუჩერა და ბავშვიან ქალს დახმარება შესთავაზა.

— როცა მანქანაში ჯდებოდა, მადლობის ნიშნად გადამკოცნა და ტირილით მითხრა — *გოგონას შენს სახელს, თამარს დავარქმევ და როცა გაიზრდება, ვეტყვი, რომ შენი მადლიერი უნდა იყოს, მშობელი დედა რომ არ დაკარგაო. ამის შემდეგ როგორ გაგრძელდა ნინოს ცხოვრება, არავინ იცოდა, რადგან სოფელში აღარასოდეს გამოჩენილა. მისი მშობლები დაიხოცნენ, დედმამიშვილი კი არ ჰყოლია, დედისერთა იყოო,* — *დაასრულა მოხუცმა ამბის თხრობა.*

მოხუც თამართან ჩემთან ერთად სწორედ ნინოს შვილი, თამარი იმყოფებოდა. ის უკვე 35 წლისაა, საკუთარი ოჯახი აქვს და ნინოს მოძებნას ცდილობს. დიახ, საკუთარი დედის მოძებნას, რომელმაც 4 წლის

ასაკში, შუა ქუჩაში მიატოვა და გაუჩინარდა.

— მართალია, პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ გამომაწყო დედამ ახალ კაბაში. თმაზე უზარმაზარი ბაფთა გამიკეთა. მეგონა, ცირკში, ზოოპარკში ან სადმე სასეირნოდ მივყავდი, რადგან



ასე სწორედ მაშინ გამომპრანჭავდა ხოლმე, მაგრამ ძალიან მიკვირდა, დედა რომ ცხარე ცრემლით ტიროდა. ხელი ჩამჭიდა და გზას ჯერ ფეხით გავუყევით, მერე მანქანაში ჩავსხედით — ალბათ ტაქსი იყო და ცენტრალურ ქუჩაზე გავედით. ერთ-ერთი მაღაზიის წინ გავჩერდით. დედამ ჯიბეში რაღაც ქაღალდი ჩამიდო და გამაფრთხილა, არ დამეხია. მეორე ჯიბეში ქაღალდის ფული და 3 ცალი შოკოლადი ჩამიკუჭა, გულში ჩამიკრა და მითხრა, რომ თვითონ მაღაზიაში შევიდოდა, მე კი გარეთ უნდა დავლოდებოდი. თავი მორჩილად დავუქნიე და იქვე, ბორდიურზე ჩამოვჯექი, — *მიამბობდა თვალცრემლიანი თამარი.*

ბავშვი ქუჩაში დარჩა, ნინო კი გაუჩინარდა. თამარი დედას მოთმინებით ელოდა და რომ აღარ გამოჩნდა, თვითონაც მაღაზიაში შევიდა. უზარმაზარი, რამდენიმესართულიანი მაღაზია ფეხდაფეხ მოიარა. დედის პოვნის იმედი რომ გადაეწურა და მიხვდა, დაიკარგა, ტირილი მორთო. ბავშვს უამრავი ადამიანი შემოეხვია გარს. ეკითხებოდნენ, სად ცხოვრობდა, რა ერქვა, როგორ დაიკარგა, დედამისი როგორ გამოიყურებოდა. უცხო ადამიანები მის დახმარებას ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ, დედა რომ არ გამოჩნდა, ბავშვს ერთი ქალი გამოელაპარაკა, გულში ჩაიხუტა, გარშემო მყოფებს უთხრა — შინ წავიყვან, დავაძინებ, ხვალ კი დედამისს მოვძებნი და შვილს დავუბრუნებო.

თამარი მორჩილად გაჰყვა უცნობ ქალს.

— ის ქალი ძალიან მომეწონა. თეთრი პირისახის, ლამაზი ქალი იყო და რომ ჩამეხუტა, მეგონა, დედაჩემი მეფერებოდა. ამიტომ, შინ გაყოლაზე უარი არ მითქვამს. მისმა ბინამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე და დედა პაწაწინა ოთახში ვცხოვრობდით, ტუალეტი ეზოში გვქონდა, სამზარეულო კი — საერთო, სადაც მუდამ უამრავი ხალხი ირეოდა. აქ კი ძალიან გამიკვირდა, როცა ვნახე, რომ ტუალეტი სახლში ჰქონდათ და სამზარეულოშიც ჩემი ლამაზი ქალბატონის მეტი არავინ იყო.

ლამაზ ქალბატონს ქეთევანი ერქვა და გაუთხოვარი გახლდათ. ტირილითა და ემოციებით დაღლილ თამარს ძილი მოერია. ქეთევანმა აბანავა და დასაძინებლად უზარმაზარ საწოლში ჩააწვინა.

— ვიდრე დავიძინებდი, დავინახე, როგორ დაკეცა ჩემი ლამაზი კაბა და ჯიბიდან გადმოვარდნილი ქაღალდი (რომელიც დედამ დამიტოვა) გაშალა. ინტერესით ვადევნებდი თვალყურს, რადგან დედამ მითხრა, არ დახიოო და მეშინოდა, ქეთევანს შემთხვევით ის ქაღალდი არ დახეოდა. ისიც მახსოვს, როგორ ატირდა მისი წაკითხვის შემდეგ.

„კეთილო ადამიანო, ბავშვი, რომლის ჯიბეშიც ამ წერილს აღმოაჩენ, ჩემი შვილია, რომელიც მარტომ გავზარდე. ახლა კი სხვადასხვა გარემოების გამო, იძულებული ვარ, ის რუსთაველის ქუჩაზე, უნივერმაღის წინ დავტოვო, რომ კეთილმა ადმიანმა მისი პოვნა და აღზრდა შეძლოს. ბავშვს თამარი ჰქვია და გვარად დ... ძეა, სანზონაში მცხოვრები გივი დ...ძის შვილი. 1977 წლის 13 მარტსაა დაბადებული, სოფელ ბ...ში. ეს ჩემი მშობლიური სოფელია, რომელიც ხევსურეთში მდებარეობს.

შუა ქუჩაში, ღვთის ანაბარად ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს სულსა და გულს ვტოვებ და გევედრები, უცნობო ადამიანო, თუ შენ ვერ შეძლებ ბავშვის აღზრდას, ის კეთილი ადამიანის ხელში მოახვედრე. თვალცრემლიანი ვტოვებ საკუთარ შვილს და უფალს ვევედრებ მის მომავალს. ღმერთო, მაპატიე...

14 ივლისი, 1981 წელი.

ნინო“.

ეს წერილი თამარმა რამდენიმე თვის წინ წაიკითხა და უამრავი კითხვა გაუჩნდა. ის დღემდე ქეთევანთან ერთად ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ მას „დედას“ ეძახის, ყოველთვის ახსოვს, რომ სხვისი შვილია, არასოდეს დავიწყებია ის დღე, როცა „დაიკარგა“ და მას შემდეგ ყველა ქალში დედას ეძებდა.

ქეთევანმა თამარი საკუთარი შვილივით შეიყვარა. მას კარგი სამსახური ჰქონდა. ისეთი, კომუნისტური წყობილების დროს ფულის საშოვნელ „დაზგად“ რომ მიიჩნეოდა და საკმაოდ დიდი გავლენითაც სარგებლობდა. ამის გამო, თამარის შვილად ასაყვანი საბუთების გამზადება არ გასჭირვებია. შვილობილს არაფერს აკლებდა, სათანადო განათლებაც მიაღებინა და სამსახურიც უშოვა. თვითონ მთელი ცხოვრება გაუთხოვრად დარჩა და მისი ერთადერთი სათქმელი და რჩევა თამარისთვის ის გახლდათ, რომ ოჯახი აუცილებლად შეექმნა.

— ღმერთმა მე შენი თავი მაჩუქა, მაგრამ ყველას ასე ხომ არ უმართლებს, ქალისთვის

ქმარი არა, მაგრამ შვილი აუცილებელიაო, — ეტყოდა ხოლმე.

თამარს მუდმივად აწუხებდა პასუხგაუცემელი კითხვები — რამ აიძულა დედამისი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა? თავის მოკვლა ხომ არ ჰქონდა გადაწყვეტილი? ცოცხალია თუ არა? სად არის ნინო და თუ ცოცხალია, რატომ არ მოძებნა შვილი წლების განმავლობაში?

— ვფიქრობდი, რომ თუ დედას ოდესმე შევხვდებოდი, ყველაფრის პატიებას შევძლებდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან უჭირდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩემი მიტოვების გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. წერილის წაკითხვისთანავე მისი მოძებნა გადავწყვიტე. ამის შესაძლებლობა მანამდე არ მქონდა, რადგან არანაირ ინფორმაციას ჩემი წარსულის, გვარის, წარმოშობის შესახებ არ ვფლობდი. ახლა კი რეალური შანსი გამიჩნდა, რომ მშობლები მეპოვა.

პირველი, რაც თამარმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ იმ სოფელს მიაკითხა, სადაც დაიბადა. ბებია-ბაბუის ნასახლარიც მოინახულა, მოხუც ხალხს ფრთხილად გამოჰკითხა ყველაფერი და ბებიაქალ თამარის თბილისური ადგილსამყოფლის შესახებაც იქ შეიტყო.

ახლა პირველი ნაბიჯის გადადგმა და თამარის მონახულება იყო საჭირო, მაგრამ მარტო მისვლა ვერ გაბედა. მე სწორედ იმის გამო დამიკავშირდა, რომ თავისი გასაჭირის შესახებ მოეთხრო და თამართანაც მივყოლოდი.

...მოხუცისგან წამოსულ თამარს ახალი კითხვები გაუჩნდა. თუ დედას მისი მიტოვება თავიდანვე არ ჰქონდა გადაწყვეტილი და მშობლების სახლიდანაც კი მოიპარა, რომ შვილს არ დაშორებოდა, მაშ, რა მოხდა 4 წლის შემდეგ? რამ აიძულა ნინო, ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა?

— ახლა უფრო ვრწმუნდები, რომ დედაჩემმა თავი მოიკლა და მე იმიტომ დამტოვა კეთილი ადამიანების იმედად. მამა უნდა მოვძებნო, იქნებ, სიკვდილის წინ მას დაუკავშირდა და რაიმე ინფორმაცია მოეპოვებოდეს?

მამის ძებნა ერთად დავიწყეთ. არქივში საჭირო ინფორმაცია მოვიძიეთ (როგორ — ამის მოყოლა საინტერესოდ არ მეჩვენება) და საჭირო მისამართი მოვძებნეთ.

კარი ოციოდე წლის გოგონამ გაგვიღო. როდესაც თამარის მამის სახელისა და გვარის მამაკაცი ვიკითხეთ, გვითხრა:

— ჩემი მამამთილი შინ არ არის, სამსახურშია და ყოველთვის გვიან ბრუნდება. თუ გნებავთ, ტელეფონის ნომერს მოგცემთ.

ბატონ გივის სამსახურში მივაკითხეთ. ის ერთ-ერთი სოლიდური სასურსათო მაღაზიის მფლობელი აღმოჩნდა. ინტერესით შეგვათვალიერა და კაბინეტისკენ გაგვიძღვა. ვხედავდი, როგორ უცახცახებდა ხელები თამარს და როგორი ინტერესით აკვირდებოდა მამის ზურგს.

— გისმენთ, — *გვითხრა ბატონმა გივიმ, როცა დავსხედით.*

ჩემი და თამარის შეთანხმებისამებრ, საუბარი მე დავიწყე:

— ბატონო გივი, ისეთი ამბავი გვაქვს სათქმელი, რომელმაც შესაძლოა, შოკში ჩაგაგდოთ. ამიტომ, მგონი, ჯობს, აი, ეს წერილი წაიკითხოთ და ყველაფერს თავად მიხვდებით.



ჭაღარა, სიმპათიური მამაკაცი თავაუღებლივ კითხულობდა იმ წერილს, რომელიც ნინომ შვილს ჯიბეში ჩაუდო. ხელები უცახცახებდა. წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა, მაგრამ თავს ზევით არ სწევდა. შემდეგ ორივე შეგვათვალიერა, დაგვაკვირდა და შვილი ამოიცნო...

მამა-შვილის შეხვედრა გულის ამაჩუყებელი გახლდათ. თამარი გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა.

შემდეგ გვიამბო, რომ მისი არსებობის შესახებ არაფერი უწყოდა.

— რომ მცოდნოდა, ალბათ, ოჯახს არ დავანგრევდი, მაგრამ უყურადღებოდ არც შენ დაგტოვებდი, მოგხედავდი და არაფერს გაგიჭირვებდი. ნინოსთან პირნათელი ვარ, ის არასოდეს მომიტყუებია, ლამაზი გოგო იყო და თვალი დავადგი. ვხვდებოდი, რომ მასაც მოვწონდი. მისთვის არ დამიმალავს, რომ ოჯახი მქონდა და ისიც იცოდა, რომ მათ ვერ მივატოვებდი, მაგრამ ჩემთან ურთიერთობაზე უარი ამანაც ვერ ათქმევინა. რამდენიმე თვის შემდეგ ნინო დაიკარგა და ვერსად მივაგენი. მანამდე მეუბნებოდა, რუსეთში ვაპირებ წასვლასო და ვიფიქრე, რომ ჩემგან გაქცევა და იქ წასვლა ამჯობინა. თურმე რაში ყოფილა საქმე...

იმავე საღამოს თამარი შინ დაპატიჟა და ოჯახს გააცნო.

— ყველა კეთილი ღიმილით შემხვდა. მივხვდი, რომ წინასწარ იცოდნენ, ვინ ვიყავი. კარგად მიმიღეს და დარწმუნებული ვარ, მათი სახლის კარი მუდამ ღია იქნება ჩემთვის. მამას ქეთევანიც გავაცანი.

თამარმა მამა მოძებნა, მაგრამ იმედი, რომ დედის შესახებ რაიმეს შეიტყობდა, არ გაუმართლდა.

საქმეში ბატონი გივი ჩაერთო და 2 კვირის შემდეგ უკვე ვიცოდით, სად ცხოვრობდა 1956 წელს დაბადებული ნინო გ...ური. ახლა მხოლოდ მასთან მისვლა და იმის დადგენა იყო საჭირო, მართლაც ეს ქალი იყო თუ არა თამარის დედა თუ უბრალოდ, სახელისა და გვარის დამთხვევას ჰქონდა ადგილი.

ნინოსთან ვიზიტი ამ კვირაში შედგება და შედეგს მომავალ კვირაში გაგაცნობთ.

მეგობრისთვის ნახუქარი შვილი

მარინა ბაბუნაშვილი

როცა მან ჩემთან მოსვლა გადაწყვიტა, თბილისში სპეციალურად იყო ჩამოსული — ფსიქოლოგთან თერაპიულ კურსს გადიოდა. ახლობლებმა არ იცოდნენ, რომ გაზეთში მინდა ჩემი ამბის გამოქვეყნება, ამიტომ, თუ შეიძლება, რაღაცებს (მათ შორის სახელებს) შევცვლიო. — მითხრა ამ რამდენიმე წლის წინ, რედაქციაში მოსულმა ჩემმა რესპონდენტმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პროვინციული ქალაქიდანაა. დარდით და წუხილით სავსე იყო...

ამბავი პირველი შეცვლილი გადაწყვეტილება და სინანული

დიანას ტკივილი მართლაც მოუშუშებელი აღმოჩნდა... ეს ამბავი „კვირის პალიტრაში“ 2005 წლის 1-ელ აგვისტოს დაიბეჭდა სათაურით — „დღესაც გამუდმებით ბავშვის ტირილი მესმის“. მისი დარდი გასხვისებულ შვილთან იყო დაკავშირებული; მან ეს საკუთარი



სურვილით გააკეთა, თანაც, არა ფულის გამო, არამედ — ახლობლების სიხარულისა და ბედნიერებისთვის.

ამონარიდი წერილიდან: „... დარდმა და ფიქრმა გამანახევრა. 39 წლის ქალი 60-ისას დავემსგავსე... ვიცი, რომ ჩემს მდგომარეობას ვეღარაფერს ვუშველი, მაგრამ რა ვქნა, ბავშვს ვერ ვივიწყებ, იმ შეცდომას კი თავს ვერ ვაპატიებ... ახლობლებმა ექიმები დამახვიეს. დღემდე ფსიქოტროპულ წამლებს ვსვამ, მაგრამ... გამუდმებით მესმის ბავშვის ტირილი. ვერა და ვერ ამოვიგდე თავიდან ის აზრი, რომ შევცდი, სამადლო კი არა, საშინელი საქმე გავაკეთე... ზოგჯერ მეტისმეტი დარდისგან გონებას ვკარგავ, გული მიმდის. მეც და ყველამაც ძალიან კარგად ვიცით ამის მიზეზი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ვეღარაფერს შევცვლი“.

ქალის მწარე თავგადასავალი ასე დაიწყო:

დიანა და ფატი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. დიანა სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა, ოჯახურ საქმეში ჩაეფლო და სწავლაზე აღარც უფიქრია. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას უკვე 3 შვილი ჰყავდა და კიდევ აპირებდა გაჩენას. ამბობდა, — ღმერთი რამდენსაც მომცემს, იმდენს გავაჩენო. რაც შეეხება მის მეგობარ ფატის, იგი თბილისში წავიდა და „სწავლას გადაჰყვა“. დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ: სამსახური და საქმე კარგია, მაგრამ ქალისთვის უმთავრესი მაინც დედობა და ოჯახიაო. განსაკუთრებით, დიანა ნერვიულობდა მასზე, ფატი ხომ უკვე 30 წლის იყო!..

დიანას უფროსი მაზლი წლები იყო უკვე, რაც რუსეთში ცხოვრობდა. მშობლები ძალიან განიცდიდნენ გივის გადახვეწას. იგი იშვიათად ჩამოდიოდა საქართველოში, არც ცოლშვილი ჰყავდა. დიანას აზრი დაებადა... მისი და რეზოს მეოთხე შვილის მონათვლა „დაემთხვა“ ფატისა და გივის შეხვედრას. გივის ისე მოეწონა ფატი, რომ რძალს უთხრა: აქედან მოსკოვში ფატის გარეშე არ დავბრუნდებიო. მის მშობლებს კი უნდოდათ, შვილი საბოლოოდ დაებრუნებინათ, მაგრამ რაღას დაეძებდნენ, რაკიღა ქართველ ქალზე დაქორწინება გადაწყვიტა. გავიდა სამი წელი. ერთხელ, ახლობლების სანახავად ჩამოსულმა ფატიმ დიანას დარდი გაუზიარა: გივისთან უბედნიერეს ქალად ჩავთვლიდი თავს, მაგრამ უშვილო ოჯახი რა ოჯახია — ჩემი ქმარი უშვილოა; გივიც და მეც ერთ გადაწყვეტილებამდე მივედით — გვინდა, ბავშვი ავიყვანოთო. ამ დროს დიანა მეხუთე ბავშვზე იყო ორსულად. სწორედ მაშინ გაუელვა — მე ხომ მალე მეხუთე უნდა გავაჩინო; ამაზე დიდი მადლი რა იქნება — მეგობარს და მაზლს ბავშვს ვაჩუქებ, ღვიძლი შვილივით გაზრდიან, არაფერს მოაკლებენ, მეც მშვიდად ვიქნები. იმათ კი ეცოდინებათ, რომ პატარა მათი სისხლი და ხორციაო. ორი დღის ფიქრის მერე თავისი ნააზრევი სიხარულითაც კი გაუზიარა მეგობარს. ლამის ჭკუიდან გადავიდა ფატი — აღარ იცოდა, ბედნიერებისგან ეტირა თუ ეცინა... გადაწყდა, დიანა მეხუთე შვილს გააჩენდა თუ არა, მაზლსა და მეგობარრძალს მისცემდა... მანამდე

არც ერთ შვილზე ისე არ გართულებია მშობიარობა, როგორც ამაზე... ბავშვიც სუსტი დაიბადა და ახალი მშობლები იძულებული გახდნენ, 6 თვე საქართველოში დარჩენილიყვნენ. მთელი ეს პერიოდი დიანა ძუძუს აწოვებდა პატარას. ბოლო ხანს ბავშვი მის დანახვაზე ჭყლოპინებდა, მისკენ იწევდა. მიხვდა დიანა, შეცდომა დაუშვა, რამდენიც უნდა გაეჩინა, ყველას თავის შეუცვლელი ადგილი ჰქონდა... მიხვდა, მაგრამ ყველაფერი გვიანი იყო, გადაწყვეტილების შეცვლა ფატისა და გივის გაანადგურებდა.

...6 თვის მერე წავიდნენ ფატი და გივი, თან წაიყვანეს პატარა გიორგი — დიანას უზარმაზარი სევდა.

გავიდა დრო, მაგრამ დიანამ ვერაფრით შეძლო იმ აზრთან შეგუება, რომ გიორგის მისი კი არა, სხვისი შვილის სახელი ერქვა და ბავშვი ფატის ეძახდა „დედას“. მან მეექვსეც გააჩინა, მაგრამ მასზე ზრუნვამ მაინც ვერ გაუნელა გიორგიზე ფიქრი და სევდა. იგი ნანობდა იმ მადლს, რომლითაც მაზლი და მეგობარი გააბედნიერა...

ამბავი მეორე

შოგვიანებით ბავშვს ყველაფერს ეტყვიან

ცუდ დღეში ჩავარდა დიანა. ხშირად ტიროდა, ადგილს ვერ პოულობდა. ოჯახის წევრები ფიქრობდნენ, რომ დრო დაავიწყებდა დარდს, მაგრამ ასე არ მოხდა. ქალი ღამეებს თეთრად ათენებდა. გამუდმებით ბავშვის ტირილი ჩაესმოდა. მეექვსე შვილის გაჩენის მერეც რომ არ გამოუსწორდა მდგომარეობა, ექიმთან მიიყვანეს... ექიმმა დაასკვნა, მონატრებისგან სჭირს ასეო. რეზოც წუხდა მომხდარზე, ცოლიც ეცოდებოდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ არ იქნებოდნენ მართლები, ფატისა და გივისგან ბავშვი რომ წამოეყვანათ. რეზომ გადაწყვიტა, დიანა მოსკოვში წაეყვანა და ბავშვი, როგორც ბიძაბიცოლას, ისე მოენახულებინათ. ბიჭი 4 წლის იყო მაშინ...

დიანა:

— იმ 4-წლიანი ტანჯვის მერე, რაც გიორგი გავაჩინე, მოსკოვში გატარებული 10 დღე იყო ყველაზე ბედნიერი. ბავშვი ბაღში დადიოდა, მაგრამ ჩემი თხოვნით, აღარ წაუყვანიათ. ისეთი თბილი და მოსიყვარულე იყო, გვერდიდან აღარ მშორდებოდა, „ბიცოს“ მეძახდა. ვატყობდი, ფატი და გივი ნერვიულობდნენ, მაგრამ არც რეზო იყო კარგ დღეში. წამოსვლისას მაზლი დამპირდა, ზაფხულში ჩამოვალთ და დიდხანს დავრჩებითო. როცა ზაფხული დადგა, დაგვირეკეს და გვითხრეს, აგარაკი შევიძინეთ მოსკოვთან ახლოს და სახლის მოწყობით ვართ დაკავებულიო. მკურნალობის მერე ცოტათი დავწყნარდი, ახლა კი ისევ დამეწყო ნერვიული აშლილობა. რეზომ შეუთვალა, დიანა ცუდადაა, ბავშვი ენატრება, თქვენ თუ ვერ ჩამოგყავთ, მე ჩამოვალ მოსკოვში და წამოვიყვანო. კვლავ უარი გვითხრეს...

როგორც იქნა, ჩამომიყვანეს ბავშვი. მთელი ჩვენი ოჯახი ზედ დავკანკალებდით გიორგის. ისე შეგვეჩვია, ფატის გამოუცხადა, აქ მინდა დარჩენა, მოსკოვში აღარ წამოვალო.

— თქვენმა შვილებმა იცოდნენ, რომ გიორგი მათი ძმა იყო?

— სანამ გიორგი ჩვენთან იყო, უფროსის გარდა, ყველამ ისე იცოდა, რომ ბიძაშვილი ჩამოუვიდათ მოსკოვიდან. მერე, როცა წაიყვანეს, ყველასთვის გამუღავნდა საიდუმლო.



— როგორც ვიცი, ისინი კვლავ მოსკოვში ცხოვრობენ. რას აპირებთ? გიორგისთვის საიდუმლო საიდუმლოდ დარჩება?

— ძალიან მინდოდა, რომ ბავშვს მალე გაეგო სიმართლე, მაგრამ ფატიმ და გივიმ გადაწყვიტეს, რომ მოგვიანებით უთხრან. — ჯერ კიდევ პატარაა, ბევრ რამეს ვერ გაიგებს, ცოტა წამოიზარდოს და ყველაფერს მოვუყვებითო. სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დაველოდოთ.

— ქმრის ნათესავები რას ამბობენ? მხარს უჭერენ, თქვენს საერთო გადაწყვეტილებას?

— უმრავლესობა მხარს უჭერს, რადგან მათ ახსოვთ, თუ რა დღეები გამოვიარე. მხოლოდ დედამთილმა შემომაპარა საყვედური: სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდი, მანამდე უნდა გეფიქრა იმ სირთულეებზე, რომელიც შეიძლებოდა გაშვილებას მოჰყოლოდაო.

— რა უპასუხეთ?

— ვერაფერი. მართალი იყო. ადრე თუ მე ვეცოდებოდი, ახლა გივი და ფატი ებრალება. — წარმომიდგენია, როგორ ნერვიულობენ, ვაითუ, გიორგიმ აღარ ინდომოს მათთან ყოფნაო.

— თქვენ როგორ ფიქრობთ — შეიძლება, ასე მოხდეს?

— არ ვიცი, არა... ჩემთვის მთავარია, გიორგი გულში ჩავიკრა და „დედა“ დამიძახოს, ხან მათთან იქნება, ხან — ჩემთან.

— მას შემდეგ, რაც ორივე მხარემ ეს გადაწყვეტილება მიიღეთ, უფრო დამშვიდდით, არა?

— პირველად რომ გესაუბრეთ, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, გამოგიტყდებით და სიცოცხლეც კი არ მინდოდა. ახლა კი იმედი გამიჩნდა — ადრე თუ გვიან, ჩემი შვილი დამიბრუნდება. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბიჭმა გამზრდელებს ზურგი არ შეაქციოს...

თეას ამბავს ბევრი მანდილოსანი გამოეხმაურა. ჩვენმა ერთ-ერთმა მკითხველმა მეუღლის წერილები მოიტანა და მითხრა: თეას მსგავსად, მეც თბილ და სიყვარულით სავსე წერილებს ვიღებდი ქმრისგან; ის მკვლელობის ბრალდებით ივდა ციხეში, მაგრამ ბოლოს, როცა ამას არ ველოდით, საქმე ჩვენდა სასიკეთოდ შემობრუნდა, ის გამართლდა და გათავისუფლდა. თეას ამბავს რომ ვკითხულობდი, ცრემლები ვერ შევიკავე. კიდევ კარგი, ჩემი ამბავიც ასე ტრაგიკულად არ დამთავრდა. ჩემი ქმარი ახლა მონასტერშია, დაფიცებული ჰქონდა, რომ თუ გათავისუფლდებოდა, ერთ წელს მონასტერში გაატარებდა. ის ოქტომბერში დაგვიბრუნდება.

წერილები ციხიდან

„მე მისი მჯერა“

„...შენ კარგად მიცნობ, არ ვარ ჩხუბისთავი, არც შფოთი მიყვარს, მაგრამ მაშინ არ გამოდიოდა ჩაურევლობა. არაკაცური იქნებოდა, ძმაკაცს არ გამოვსარჩლებოდი. სულ მსაყვედურობდი, — ყველგან შენ როგორ უნდა იყო გარეულიო?! რა ვქნა, ეკუშ, ეგრეა, რა, არ გამოდის სხვანაირად. მე მაინც მგონია, ახალი ადვოკატი უნდა ავიყვანოთ, სხვანაირად არ გამოვა“...

„...იცი, რას გეტყვი? თუ შენ ან დედაჩემს ჩემი არ გჯერათ, ჩემში ეჭვი გეპარებათ, აღარაფერი მინდა. ნურც ადვოკატს აიყვანთ, ნურც საჭმელს შემომიგზავნით... ვამბობ იმას, რაც მოხდა და სულ ამას გავიმეორებ — ის კაცი მე არ მომიკლავს. იქ იყო ხალხი და ჰკითხონ. ხომ არ დაბრმავდებოდა ყველა? ვიცი, ძნელია, მოკლულის მხარესთან მისვლა და ლაპარაკი, მაგრამ იმ უბედურს სამი კაცი კიდევ ახლდა...“

„...პატიებას გთხოვ, ეკუშ, ბოდიში. არ უნდა ავფეთქებულიყავი ეგრე, შენც „დაგგრუზე“ და სხვებიც. რაც არის, ეგ არის, მოხდეს, რაც მოსახდენია. ნუ გეშინია, მაგრად დავდგები. ადამიანი ასეთ მძიმე წუთებში იწრთობა. გავუძლებ ყველაფერს. მთავარია, შენ, ნიკუშა და ჩემები იყოთ კარგად“.

„...სულ სხვანაირი გავხდი, გეფიცები შენს თავს. ლოცვის წაკითხვის მერე საშინელებად აღარ მეჩვენება არც ეს კედლები, არც ამდენი ჩაშავებული პატიმარი. ყველაფერს ისე ვუყურებ, როგორც უფლის ნებას და... ვმშვიდდები. მიყვარხარ, ეკა, ძალიან მიყვარხარ. თუ უფალმა ინება და რასაც ვფიქრობ, ის მოხდა, გეფიცები, სულ სხვანაირ სანდროს დაგანახვებ“...

ამრიგად, ეკას მეუღლე ახლა მონასტერში იმყოფება და გარე სამყაროსთან კავშირს მხოლოდ პრესის მეშვეობით ინარჩუნებს.

— მისი საყვარელი ჟურნალია „გზა“, გაზეთი კი — „კვირის პალიტრა“. ასე რომ, თუ ამ წერილებს დაბეჭდავთ, მისთვის ეს დიდი სიურპრიზი იქნებაო, — გამიმხილა ეკამ. მას ეტყობა, რომ მიუხედავად პრობლემებისა,

ცხოვრების აღარ ეშინია, რამეთუ იქ, ერთ-ერთ მამათა მონასტერში მყოფი ადამიანი ეიმედება და მისი სჯერა.

„ის ადამიანი არაა შესაცოდი, რომელიც თავს იღუპავს“

მკითხველები თეას მოკლე მესიჯებითაც გამოეხმაურნენ და თავთავიანთი აზრი გაგვიზიარეს:

„ნარკომანია საშინელი სენია. ერთს კი არ ანადგურებს, ყველას სპობს... ჩემს მეზობლად ოდესღაც მშვიდი ოჯახი ცხოვრობდა. ამ ოჯახის შუათანა შვილი განარკომანდა, დანარჩენებს კი ნერვები აღარ უვარგათ. ზოგჯერ ისეთ დღეში აგდებს თავისიანებს, ხალხში გამოსვლისა რცხვენიათ. მთელი გულით შემებრალა თეა. **თარო, 32 წლის**“.

„გული დამწყდა, როცა წერილი — „შენი შეცდომით შვილს ცხოვრებას ნუ გაუმწარებ“ — წავიკითხე. განა, გუჯას არ შეეძლო, ნებისყოფა გამოეჩინა და გადაეგდო წამალი? მაგრამ ის სუსტი აღმოჩნდა. თირკმლის ტკივილი არაფერ შუაშია, ეს მხოლოდ საბაბი იყო იმისთვის, რომ თავი გაემართლებინა. თეა, მაპატიე, რომ ასე მკაცრად განვსჯი თქვენს ცხოვრებას, მაგრამ რადგან სამზეოზე გამოიტანე, ე.ი. მკითხველის აზრიც გაინტერესებს. ჩემი აზრი კი ასეთია — რა ვქნა, არ მეცოდება ნარკომანი. **მეგი. 48 წლის, თელავი“.**

„ჩემი მეუღლეც ციხეშია და ისიც ასეთ წერილებს მწერს. ყოველ წაკითხვაზე ვტირი. ძალიან მიჭირს მის გარეშე, მაგრამ გაგიკვირდებათ და არ ვნანობ, რომ იქაა. იქაურმა რეჟიმმა ერთიანად გამოასწორა, თავის შეცდომებზე დააფიქრა, ბევრ ცუდზე თქვა უარი და ეკლესიური გახდა. ისეთი გამოცვლილია, ყოველ შეხვედრაზე მაოცებს. მადლობა უფალს, რომ ამ განსაცდელით უარესისგან მიხსნა. მარინა, გმადლობ, ასეთი თბილი და ცხოვრებისეული ამბების მოწოდებისთვის. მეც მომინდა თქვენთან საუბარი, მაგრამ ჯერჯერობით მზად არ ვარ. **ლია, რუსთავი**“.

„მე ციხეც გამოვცადე და ნარკომანის ცოლობაც. 12 წლის მანძილზე კი არ ვცხოვრობდი, უბრალოდ, ვარსებობდი და როცა მივხვდი, რომ ჩემი უაზრო მოთმინებით შვილებს ფსიქიკას ვუნგრევდი, მივიღე გადაწყვეტილება, ქმარს გავშორებოდი. **ელისო**“.

„თეა, შენმა ამბავმა ამატირა. ძალიან შემებრალე და გული დამწყდა, რომ ასეთი ტკბილი და ლამაზი ოჯახი დაგენგრა. მაინც ნუ ჩაიქნევ ხელს. შენ ხომ შვილი და შვილიშვილი გყავს. **ლეილა ნაცვლიშვილი, თელავი**“.

მკითხველის წერილები

მკითხველებს ყოველთვის აინტერესებთ ცხოვრებისეული ამბები. სწორედ მათი ინტერესი წარმოადგენს ერთგვარ „ხიდს", რომელსაც „კვირის პალიტრა" და „ტბა" ერთმანეთს კიდევ უფრო დააკავშირა. რუბრიკებს — „თქვენთვის, ქალბატონებო" და „ცხოვრება" — უკვე უამრავი ადამიანი ელოდება.

„ისე გადაგვარდა, მტყუან-მართალი ვერ გაურჩევია"

— უცნაურია ეს ცხოვრება, ზოგს მრავლად აქვს ისეთი რამ, რაც სხვას არ გააჩნია, მაგრამ არ აფასებს. ზოგი კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მოკლებულია უმთავრესს, რაც ყველა ადამიანს სჭირდება, სულის გასათბობად, — გვწერს **თბილისელი დარეჯან ხურციძე** — „კვირის პალიტრაში" წავიკითხე წერილი — „მამის გაცნობამ იმედი გამიცრუა" — და გული დამწყდა, ვინ იცის, მერამდენედ. გოგონამ, რომელიც მამამ მიატოვა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ ქვეყანას არ იყო მოვლენილი, მამის გაცნობა მოისურვა. მეტიც, დედას და ბებიას აუჯანყდა, — ალბათ, თქვენ არ იყავით მასთან მართალი, თორემ ის არ მიგვატოვებდაო... ჩემი ძმისშვილი კი, რომელსაც 8 წლის მანძილზე გადავყევით და ყველაფერი ძალიან კარგად ახსოვს, ახლოსაც აღარ გვიკარებს. სულ მიკვირს, ნუთუ ამ ბიჭში (იგი უკვე 21 წლისაა) ჩვენი სისხლი ან გენი სულ არ არის, რომ ერთხელ არ მოისურვა მამის, ბებია-ბაბუის, მამიდის და მამიდაშვილების ნახვა?! რა შთაუნერგეს ამისთანა, რომ ხელი გვკრა და ჩვენი ხსენება აღარ უნდა?! სანამ ჯერ კიდევ პატარა იყო (ჩემი ძმისა და რძლის გაშორების მერე), მივდიოდით სკოლაში და ვნახულობდით, ის კი გაგვირბოდა. ყველა გვანუგეშებდა და გვაიმედებდა: გაიზრდება, დაღვინდება და თვითონვე მოვა თქვენთანო. გაიზარდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, როცა მე და ჩემი ძმა მის სანახავად მივედით, უხეშად მოგვიგდო: თავი დამანებეთ, მე თქვენ აღარ მჭირდებითო. არადა, იცით, რა კარგი ბავშვი იყო?! როგორ ვუყვარდით ყველანი, ერთი დღეც ვერ ძლებდა ჩვენ გარეშე. ჩემი ძმის ოჯახურ საქმეებში ძალიან ცუდად ერეოდნენ რძლის მშობლები და ნათესავები. სწორედ მათი დიდი „დამსახურებაა", რომ ჩემს ძმას ოჯახი დაენგრა, ჩვენი ბიჭი კი ისე გადაგვარდა, მტყუან-მართალი ვერ გაურჩევია. მისი მობრუნების იმედი თითქმის დაკარგული მაქვს, მაგრამ ყველაფერს მაინც ვერ ვყრი წყალში... ჩვენს ოჯახში 8 წელი იზრდებოდა, კარგად ახსოვს სითბო, სიყვარული და მასზე ზრუნვა; იქნებ, სასწაული მოხდეს და ის პატარა ნაპერწკალი ჩვენდა სასიკეთოდ აალდეს".

სიყვარულისგან ჭკუადაკარგული კაცი

„ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ვიხალისეთ თქვენს „გამოსწორებულ ორიანზე" („კვირის პალიტრა", 28 ივლისი), — თავის შეხედულებებს გვიზიარებენ **დეა და ნატო მელაძეები ბათუმიდან,** — მე და ჩემი და ტყუპისცალები ვართ. ჩვენს კლასში იყო ერთი ძალიან ლამაზი გოგო, ხათუნა. იგი დღესაც ჩვენი მეგობარია. ყველას გვაქვს ოჯახი (34 წლისანი ვართ). ხათუნა ერთ ჩვენს სკოლელს ძალიან უყვარდა, ის კი არაფრად აგდებდა. მხოლოდ ერთხელ, ისიც თავისი შეყვარებულის გასაბრაზებლად, გაჰყვა კინოში დათოს (სახელს შევცვლით, თორემ ისედაც გაგიჟებულია კაცი...) და იმასაც მეტი რა უნდოდა, ჩემი საცოლეაო, — ხათუნაზე ამბობდა. მერე ხათუნა იმას გაჰყვა, ვინც უყვარდა. და დარჩა ჩვენი დათო ხახამშრალი. ძალიან განიცდიდა და ყველას გვეცოდებოდა, მაგრამ აბა, რით შეგვეძლო შველა? გავიდა დრო. დათო რუსეთში წავიდა და დაიკარგა. ხათუნას ქმარი კი უცხოეთშია, ხათუნა ხშირად ახერხებს მასთან ჩასვლას, ხან შვილებს გზავნის. სამუდამოდ კი არ მიდის, რადგან ძალიან კარგი სამსახური აქვს, თან მშობლების ერთადერთი ქალიშვილია და მათი დატოვება არ სურს. დათო ერთი წლის წინ კვლავ გამოჩნდა ჩვენს ქალაქში. ხათუნა რომ ნახა, კვლავ გადაეკეტა ჭკუა. თითქმის იგივე სიუჟეტი განვითარდა, როგორიც ზემოთ ხსენებულ წერილშია მოთხრობილი, ოღონდ აქ კაცმა იაქტიურა. ორი თვის მანძილზე ხათუნას ყოველდღე ისეთ სიურპრიზებს ახვედრებდა, ქალი გაოგნებული იყო (არც მან, არც ჩვენ არ ვიცოდით მისი დაბრუნების შესახებ). ვერ ხვდებოდა, ვის უნდა მოემზადებინა მისთვის ასეთი საჩუქრები. თან ყველა საჩუქარს ეწერა: „უცნობისგან". მერე, როცა ქალაქში ვნახეთ, თვითონაც გამოტყდა, რომ სიურპრიზების ავტორი თავად იყო. ხათუნას შეხვედრა სთხოვა. ქალიც დათანხმდა. დათომ ოცნების კოშკები ააგო და საქმე ძალიან გამწვავდა. როცა ხათუნამ უარი უთხრა: მე ქმარი და შვილები მყავს, თანაც, არ მიყვარხარო, — იცით, რა ამბავი ატეხა? დათომ ხმები დაყარა, — ქმრის ეშინია, თორემ სიყვარულით მე ვუყვარვარო. ერთი ნათესავი გაიყოლა და ხათუნას მშობლებთან მივიდა მათი ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. ხათუნა საშინლად გაბრაზდა და დაუპატიჟებელი სტუმარი გარეთ გააბრძანა. დათომ კი იცით, რა თქვა? თუ ჩემი ცოლობა არ უნდოდა ან საჩუქრებს რატომ იღებდა, ან ბარში რატომ გამომყვაო?.. მოკლედ, ყველა მივხვდით, რომ სიყვარულის ნიადაგზე, კაცმა აურია. ახლა 3-4 თვეა არ გამოჩენილა და გვიკვირს, სადაა აქამდე? ვიცით, რომ ასე იოლად არ შეურიგდება ბედს, მაგრამ ის კი აღარ ვიცით, რისი იმედი აქვს. ნოდარ დუმბაძის გმირისა არ იყოს, — მართლაც, სიყვარულს რას გაუგებ?!.

„რატომ ვარ მარგოსული?"

„13 წლის რომ გავხდი, პირველად მაშინ მოვწიე სიგარეტი. დედაჩემიც ეწეოდა და მას მივბაძე. უფროსებთან და ჩემს ტოლებთან ურთიერთობა მიჭირდა და ვიფიქრე, სიგარეტი მიშველიდა, მაგრამ მოვტყუვდი. დედა კი, როცა ეს გაიგო, მეჩხუბა. მას ახსოვდა, რომ ამ მავნე ჩვევის გამო მეზობლები ცუდი თვალით უყურებდნენ, მაგრამ მე ჯიუტად, მის ჯინაზე ვმოქმედებდი. ახლა სადაცაა, 16-ის გავხდები და სულ ვფიქრობ, — იქნებ, მაშინ როგორ მიჭირდა, იქნებ, სიგარეტი მეგონა „გამოსავალი", რატომ არავინ დამიდგა გვერდში, ჩხუბით კი არა, ტკბილი სიტყვით რატომ არ გამომკითხეს, რა მიჭირდა ან რა მაწუხებდა?

შარშან, მშობლები ავარიაში დამეღუპნენ. დეიდაჩემმა გადაწყვიტა, ჩემთან ეცხოვრა, მაგრამ მე ვერ ვიგუე მათან ერთად ყოფნა და ვთხოვე, მარტო დავტოვებინე. გულჩათხრობილი, უკარება და ცივი ხარო, — მითხრა და კარი გაიხურა. ახლა მარტო ვცხოვრობ ამ ჩემს დიდ სახლში, დეიდაჩემი სახარჯო ფულს მაძლევს ხოლმე. სკოლაში დავდივარ და კარგადაც ვსწავლობ, მაგრამ ის აუხსნელი გრძნობა არა და არ მტოვებს. ამხანაგებთანაც ვარ ხოლმე, მაგრამ მაშინაც მარტო ვარ. **თაჯო, 15 წლის. თბილისი".**

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61ან ელფოსტით: **mbabunashvili@mail.ru**

ფედერიკო ფელინი ჯულიეტა მაზინასთან ერთად გაპოგონილ საყვარელი ცხოვრება

ფედერიკო ფელინი და ჯულიეტა მაზინა

როდესაც იტალია ფედერიკო ფელინის ეთხოვებოდა, მთელ ქვეყანაში მოძრაობა შეჩერდა, ყველა რადიომ და ტელევიზიამ მუშაობა შეწყვიტა; რამდენიმე ათასი ადამიანი მის ნეშტს უკან მიჰყვებოდა და კერპს რომიდან, ზღვისპირა ქალაქში — რიმინში, საგვარეულო მამულში აპლოდისმენტებით მიაცილებდა.

ჯულიეტა მაზინა ცრემლებს არ მალავდა და თანაგრძნობას ცნობილი, მომხიბვლელი, დაუცველი ღიმილითა და მზერით იღებდა. თვითონ ფელინი ამბობდა, რომ ეს დაკარგული ძაღლის მზერა იყო.

5 თვის შემდეგ ჯულიეტამ პომის ჰოსპიტლიდან რიმინამდე იგივე გზა გაიარა. მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ ფედერიკოს სიკვდილის შემდეგ ჯულიეტა საერთოდ აღარ ლაპარაკობდა. მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა — „ფედერიკოს გარეშე არ ვარსებობ“.

ბომბი 1 წლის შემდეგ გასკდა. „მე ვიყავი ფედერიკო ფელინის უკანასკნელი, საყვარელი ქალი და ჯულიეტა მაზინამ ამის შესახებ იცოდა“, — განაცხადა ჰოლანდიელმა მწერალმა ქალმა, როზიტა სტენბეკმა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნის — „სიყვარულის ხედების“ პრეზენტაციაზე.

წიგნის სიუჟეტი უბრალოა: ახალგაზრდა ქალბატონი რომაულ „დოლჩე ვიტას“ აღწერს, სადაც მეგზურობას მწერალი ედუარდე (დრამატურგ ალბერტო მორავიას პროტოტიპი) და რეჟისორი — მარჩელო ლეონი (ფედერიკო ფელინის პროტოტიპი) უწევენ.

რომაული ორგიების აღწერისას როზიტას მორცხვობა არ გამოუჩენია. ერთ სიუჟეტში ედუარდე, მარჩელო და როზიტა „სამისთვის განკუთვნილ საღამოს“ აწყობენ. მამაკაცები ერთმანეთის მიყოლებით ეუფლებიან ქალს და ეს სცენები დაწვრილებითაა აღწერილი. გარდა ამისა, როზიტა ირწმუნება, რომ ფელინი ბისექსუალი იყო.

როზიტა მართლაც იცნობდა ფელინისა და მაზინას (მან „ჯინჯერი და ფრედი“-ში ეპიზოდური როლიც ითამაშა), რაც სკანდალურ წიგნს სიმართლის ელფერს სძენს.

სტენბეკის გულახდილობა იტალიელებმა შეურაცხყოფად და ნაციონალური სიწმინდის შელახვად მიიღეს და როზიტა წიგნის გამოსვლისთანავე მიივიწყეს, მაგრამ ყველას სურდა სცოდნოდა, უყვარდათ თუ არა სინამდვილეში მათ კერპებს ერთმანეთი თუ მათი კავშირი მხოლოდ 2 კარიერისტის ბინძური გარიგება იყო.

მშობლებზე საუბრის დროს, ფელინის ყველაზე დიდ სიამოვნებას მათი სიყვარულის მითის გახსენება ჰგვრიდა. პატარაობისას კი საკუთარ თავზე გაუგონარ ამბებს თხზავდა. ამბობდა, რომ სულ 3 წიგნი ჰქონდა წაკითხული და ფეხბურთი არასოდეს უთამაშია, ცუდად სწავლობდა, სიამოვნებით ჰყვებოდა გამოგონილი წამების სცენების შესახებ, თუ როგორ აყენებდა მასწავლებელი კუთხეში დაყრილ სიმინდის მარცვლებზე მუხლებით. მისი მეგობრები კი ირწმუნებიან, რომ ფედერიკო ამ ყველაფერს იგონებდა.

პატარა ფედერიკოს მთავარი მტერი ბიძა იყო, რომელიც ყველაზე ადრე მიხვდა, რომ ბავშვი ფანტაზიორობდა და მისი მონაყოლი სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფედერიკოს ჯულიეტა უგონოდ იმის გამო შუყვარდა, რომ ის მამაკაცს თავისავე გამოგონილ სამყაროში ცხოვრების უფლებას აძლევდა. ის მალე მიხვდა, რომ ფედერიკოს ყველაზე მეტად რეალური ცხოვრება სძულდა, თავისი უბრალო სცენარით. გარედან მაყურებლისთვის შესაძლოა, რთული ყოფილიყო იმის გარკვევა, ცოლქმრის ცხოვერბაში სად მთავრდებოდა რეალობა და სად იწყებოდა თამაში.

ერთხელ, მეგობრების წრეში სადილობის დროს ფედერიკომ ჯულიეტას ჰკითხა: „გახსოვს, ავსტრალიაში რომ ვიყავით?“ ყველამ იცოდა, რომ არც ერთი ავსტრალიაში ნამყოფი არ იყო.

ჯულიეტამ კი წარბშეუხრელად უპასუხა: „კი, საყვარელო, იქ ძალიან გემრიელად ამზადებდნენ შემწვარ კარტოფილს“.

მათ ერთად ითამაშეს ცხოვრების მხიარული სპექტაკლი და მოსაწყენი რეალობა ერთ დიდ, საინტერესო თავგადასავლად აქციეს.

ფედერიკომ და ჯულიეტამ ერთმანეთი 1943 წელს, რადიოში, პირდაპირი ეთერის დროს გაიცნეს. ჯულიეტა მაშინ 18 წლის იყო და უკვე ერთ-ერთი, ძალიან პოპულარული რადიოწამყვანი გახლდათ. ფელინი მასზე 3 წლით უფროსი იყო, ადგილობრივ გაზეთში კარიკატურისტად მუშაობდა და ფილმისთვის სცენარს წერდა. სურათის სიუჟეტი სიყვარულზე იყო აგებული, სადაც მთავარი გმირი მომავალ ცოლს, გაცნობის მიზნით სურათს სთხოვს, შემდეგ ვახშმად პატიჟებს და 2 კვირის შემდეგ მასთან საცხოვრებლად გადადის.

ზუსტად ასე მოიქცა ფედერიკო. მან პოპულარულ რადიოწამყვანს კინოსინჯებისთვის ფოტო სთხოვა და მეორე დღეს რესტორანში დაპატიჟა.

— ფედერიკოს ჩემზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, — ჰყვებოდა ჯულიეტა, — უბრალოდ, მეგობრული ყმაწვილი იყო და მეტი არაფერი.

ჯულიეტამ შინ ისადილა (აბა, საცოდავ კარიკატურისტს ფული საიდან ექნებოდა?!) და პაემანზე ისე წავიდა. ვიდრე ფედერიკო მიმტანს შეკვეთას აძლევდა, ჯულიეტა მდიდრული რესტორნის ინტერიერს ათვალიერებდა და ფიქრობდა, რომ ეს ახალგაზრდა ყმაწვილი ნამდვილი გიჟი იყო, რადგან მას ფული 1 ფინჯანი ყავისთვისაც არ ეყოფოდა. როდესაც ახალგაზრდებს ჩეკი წარუდგინეს, ფედერიკომ აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან ბანკნოტების დასტა. „იმის შემდეგ ფედერიკოს ჯიბეში ამხელა თანხა არასოდეს მინახავს“, — მოგვიანებით იხსენებდა მაზინა.

ამ შეხვედრიდან 2 კვირის შემდეგ, მათ ნიშნობაზე განაცხადი გააკეთეს, რის შემდეგაც ფედერიკო საცხოვრებლად ჯულიეტასთან, დეიდა ჯულიას სახლში გადავიდა.

დეიდა ჯულია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მან ჯულიეტა 4 წლის ასკიდან აღზარდა, სწორედ მან აღმოაჩინა გოგონაში მსახიობური მონაცემები და რომის ბოჰემაში ადგილის დამკვიდრებაშიც დაეხმარა.

საქორწილო ცერემონია უსაფრთხოების მიზნით კიბის ბაქანზე ჩატარდა — ფედერიკოს ჯარში წასვლა ემუქრებოდა და ამის გამო კათოლიკურ ეკლესიაში მისვლას თავი აარიდა. ცერემონია ისე კონსპირაციულად ჩატარდა, რომ „ავე მარია“ მხოლოდ ფედერიკოს ერთმა მეგობარმა იმღერა. ჯვრისწერის შემდეგ ახალგაზრდები კინოთეატრში წავიდნენ, სადაც, კონფერანსიემ პუბლიკას ახალდაქორწინებულებისთვის აპლოდისმენტების მიძღვნა სთხოვა. ეს იყო ფედერიკოს საქორწილო საჩუქარი.

ფელინი ცოლს სიურპრიზებს ამის შემდეგაც არ აკლებდა. ყველაზე სამახსოვრო და ძვირფას საჩუქრად ჯულიეტა 2 როლს მიიჩნევდა, რომელიც ფილმებში — „გზა“ და „კაბირიის ღამეები“ ითამაშა.

ქორწინებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ჯულიეტა კიბიდან დაგორდა და მუცელი მოეშალა, ერთი წლის შემდეგ კი ვაჟი გააჩინა. თუმცა, 2 კვირის შემდეგ ახალშობილი გარდაიცვალა. ამის შემდეგ წყვილს შვილი აღარ შესძენია.

ქორწინების შემდეგ ფედერიკო ძველებურ ცხოვრებას აგრძელებდა — მიდიოდა ყველა ბოჰემურ შეხვედრაზე და სამონტაჟოში ათენებდა ღამეებს. ჯულიეტამ მის ყველა მეგობარს სახლის კარი გაუღო. თუმცა, ხშირად მეუღლის მეგობრები ქალები იყვნენ ხოლმე.

ფედერიკო ცოლს არაფერს უმალავდა და საკუთარი რომანების შესახებაც გულახდილად უამბობდა. მეგობრები იხსენებდნენ, რომ თუ ფედერიკო რამეს დააშავებდა, ამის შესახებ ჯულიეტა ერთ-ერთი პირველი, თვით ქმრისგან იგებდა ხოლმე.

ჯულიეტა დაეხმარა ქმარს, რომ



ფედერიკო ფელინი და მარჩელო მასტროიანი

ცნობილ რეჟისორს, რობერტო როსელინის ფედერიკო თავის თანაშემწედ აეყვანა. მოგვიანებით ფედერიკო იტყვის, რომ როსელინი მხოლოდ და მხოლოდ მარეგულირებელი იყო, რომელიც გზაზე გადასვლაში დაეხმარა. „განა ეს ცოტაა?“ — აღნიშნა ჯულიეტამ.

ჯულიეტა როსელინის ვახშმად იწვევდა, მასთან ერთად რომის ქუჩებში დასეირნობდა და კინემატოგრაფის გარდა ყველა თემაზე ელაპარაკებოდა.

გასაკვირი არ არის, რომ როდესაც როსელინიმ ფილმის — „ადამიანური ხმა“ მეორე ნაწილზე მუშაობა დაიწყო, მან თანაშემწედ ფედერიკო აიყვანა. აქედან დაიწყო ფელინის კარიერა.

მაზინამ დაჟინებით მოითხოვა, რომ ფედერიკოს თავისი პირველი ფილმი — „ვარიეტეს ცეცხლი“ გადაეღო. საჭირო თანხის მოძიებაში როსელინი დაეხმარა. მას შემდეგ ფელინის არც ერთი

ფილმი ჯულიეტას გარეშე არ გამოსულა. ისინი სცენარს მანამდე განიხილავდნენ, ვიდრე ფედერიკო წერას დაიწყებდა. მსახიობებს როლებზე ჯულიეტა ამტკიცებდა, გადასაღები ადგილების შესარჩევადაც ის მიემგზავრებოდა და გადამღებ ჯგუფს მუდმივად თან დაჰყვებოდა.

თავდაპირველად ფედერიკოს სურდა, რომ ყველა ფილმში მთავარი როლი მხოლოდ ჯულიეტას ეთამაშა. მთავარმა როლებმა ფილმებში — „გზა“ და „კაბირიის ღამეები“ მაზინას დიდი წარმატება მოუტანა. ის ნიჭიერ მსახიობად აღიარეს, რამდენჯერმე „ოსკარიც“ მიიღო და ხელსაყრელ კონტრაქტებსაც სთავაზობდნენ, მაგრამ ის ჰოლივუდის ყველაზე მაცდურ წინადადებასაც კი უარყოფდა.

მეგობრები იხსენებდნენ, რომ ფილმზე მუშაობის დროს ფედერიკოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცოლის აზრი იყო. თუ ჯულიეტა გადასაღებ მოედანზე არ იყო, ფედერიკო მას შინ ურეკავდა და უმნიშვნელო საკითხსაც კი უთანხმებდა. ისინი ხშირად კამათობდნენ, მაგრამ არა როგორც რეჟისორი და მსახიობი, არამედ, როგორც ცოლი და ქმარი.

ფილმ „სატირიკონის“ გადაღების დროს ისინი სერიოზულად წაკამათდნენ, რის გამოც მაზინა გადაღებებზე აღარ მიდიოდა. ფელინი ცოფდებოდა და ფილმის დასრულებაზე უარს ამბობდა. ჯულიეტა გადასაღებ მოედანზე მაშინ გამოჩნდა, როცა ყველაზე რთულ ეპიზოდს იღებდნენ. ირგვლივ დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. ჯულიეტა მივიდა, ფედერიკოს მიესალმა, კუთხეში მიჯდა და საქსოვი მოიმარჯვა. მესამე ცდამ გაამართლა და გადასაღები მოედანი, სცენარის მიხედვით, მტვერმა და ქვის წვიმამ დაფარა, თავაწყვეტილმა ცხენებმა ლამის კამერები გადათელეს. მას შემდეგ, როცა ფელინიმ დაიძახა — „გადაღებულია“, ჯულიეტამ თვალები დახარა და ქსოვა დაიწყო.

ჯულიეტა კინოვარსკვლავი ვერ გახდა. მისი პროფესიული ბედი ერთი რეჟისორის 4 ფილმით შემოიფარგლა. ეს ძალიან ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაპარაკია დიდებულ მსახიობზე და ძალიან ბევრია, თუ გავიხსენებთ, რომ ლაპარაკია ფელინის მიერ გადაღებულ ფილმებზე.

1963 წელს, მოსკოვის კინოს საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი ფელინის ფილმმა, „8 1/2“ მოიპოვა, მაგრამ პრიზის გადაცემის ცერემონიაზე მაესტრო არ გამოცხადდა. ამბობენ, როდესაც გაიგო, რომ ფილმის პრემიერაზე ხრუშჩოვს ჩაეძინა, ჯულიეტასა და მეგობრების თანხლებით სტუმრად წავიდა.

ფელინის შეეძლო, კულისებში შევარდნილიყო და ყველასთვის უცნობი ნიკიტა მიხალკოვის წინ, რომელმაც რომის თაეტრში „მექანიკური პიანინო“ დადგა, მუხლებზე დაცემულიყო. შეეძლო, პრესკონფერენციისთვის დარბაზი ყველაზე ძვირად ღირებულ რესტორანში დაექირავებინა.

ის თავის ცნობილ, წითელ შარფებს საუკეთესო, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ძვირიან ატელიეში უკვეთდა, არ აინტერესებდა, აკლდა ცოლს რამე თუ არა, ჰქონდა თუ არა ტანისამოსი და ბრილიანტის სამკაულები.

ჯულიეტა იღიმებოდა, ეკონომიას აკეთებდა, ფედერიკოს გადაღებებზე მიჰყვებოდა, მისი მგზავრობისა თუ ცხოვრების ხარჯებს ისტუმრებდა.

კინემატოგრაფის განვითარებაში გაწეული ღვაწლისთვის მიღებული საიუბილეო „ოსკარი“ ფედერიკოსთვის უკანასკნელი პრიზი აღმოჩნდა, რომლის გადაცემის დროსაც, მან დარბაზს თვალი მოავლო და ჯულიეტას გასძახა — „ნუ ტირი!“ ყველა კამერა და დარბაზსა თუ სცენაზე მყოფი ადამიანი ჯულიეტას მიაშტერდა. ჯულიეტას კი გული უფრო ამოუჯდა და აქვითინდა.

— იდიოტი უნდა იყო, — თქვა კომპოზიტორმა ნინო როტამ, როცა მთელი იტალია ქალბატონი სტენბეკის რომანს განიხილავდა, — რომ ამდენი წლის განმავლობაში ათიათასობით თვალი აკვირდებოდეს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას და ვერ მიხვდნენ, ყალბია თუ არა მათ მიერ გამოხატული გრძნობა. მათ არაფერი ჰქონდათ დასამალი, მათ ერთმანეთი მთელი გულით უყვარდათ.

პროტოლა

„ანა, ნეტავ არ ახურებდე, რა. გაჰყევი მაგ კაცს ცოლად, ხომ ხედავ, შენ გარშემო ყველა გიჟი და გადარეულია. მაგნაირ მამაკაცს ვერ შეხვდები. თუ შენ არ გინდა, ჩვენ დაგვითმე. ანანო“.

„ანა, ნეტავ შენი ქმარი ძალიან გაბრაზდება, ალენასთან ერთად რომ დაგინახავს? მაინტერესებს, რა მოხდება. ან ერთმანეთს როგორ წარუდგენ. ვაუ, ჩხუბი თუ აიწია, მერე ნახე... გორი-გორი“.

„ანას უთხარით, რომ თავს ნუ იფასებს. ალენა მაგარი კაცია და გაჰყვეს ცოლად. ქალების უმეტესობა სწორედ ეგეთ კაცზე ოცნებობს და მაგან რა თავი გამოიდო?“

„ანას საქციელი არ მომწონს. ალენა მართალია. თუ ქმარი არ უნდა, მაშინ ცალკე იცხოვროს, მაგრამ მგონი, არც მახოს დაკარგვა უნდა. ცხოვრებითა და ქონებით გაზულუქებული ქალია და თვითონაც არ იცის, რა უნდა. არც თავისუფლება ეთმობა და არც ალენას ხელიდან გაშვება უნდა. გადაწყვიტოს, ბოლოს და ბოლოს და ან ასე ქნას, ან — ისე. ძალოსანი“.

„გამაჩერეეეთ! თორემ ანას გავწიწკნი. რა უნდა მაგ ქალს? მაიცდამაინც დათოს უნდა აურიოს ცხოვრება? დათო ალენასთან ვერ მოვა, ეგ კიდევ დროს წელავს. ახლა მახოსაც გააცნობს ალენას და მერე იცხოვრებენ ერთ თბილ და დიდ ოჯახად“.

„ანაზე ვგიჟდები, ისე მომწონს. უარს არ ვიტყოდი, რომ მასავით მეცხოვრა. ფული, ქონება, მანქანა, ბიზნესი, სამსახური, კარგი კაცი... მეტი რა უნდა გინდოდეს ადამიანს? პრობლემების გარეშე ალბათ არც ეგ ცხოვრობს, მაგრამ სხვებზე უკეთესად ნამდვილად არის. ასე რომ, ანა, მასწავლე რეცეპტი, როგორ მივაღწიო წარმატებას. გულგახსნილი“.

ახლა კი ანას შესახებ თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც რესტორანში მყოფ ანას და ალენას თავზე ანას ყოფილი ქმარი, მახო წამოადგა.

დასაწყისი — „გზა“, №11-31

მარი ჯაფარიძე

— ხედავ, სად დაგიჭირე? — მახო ჯიქურ მოიჭრა ჩვენთან და ალენას მტრულად გადახედა. — ახლა ალბათ მეტყვი, რომ საქმიანი შეხვედრა გაქვს, არა?

— არა, — მივუგე და წინ გადავუდექი. არ მინდოდა, მაგიდასთან მისვლის საშუალება მიმეცა.

— აბა, რომანტიკული ვახშამია?

— დიახ, და ძალიან გთხოვ, კომენტარისგან თავი შეიკავე.

— გამაცანი, ანა, — ალენა ფეხზე წამოდგა. უნებურად უკან დავიხიე და მამაკაცები ერთმანეთს წარვუდგინე.

— ეს მახოა, ჩემი ყოფილი მეუღლე, ეს კი... ეს კი...

— ნიკა გახლავართ, — ალენამ ხელი გაუწოდა.

— ჩემი მომავალი მეუღლე, — დავაკონკრეტე, როგორც იქნა.

— ოოო, უყურე შენ, უკაცრავად, რომ სიმშვიდე დაგირღვიეთ, მაგრამ თქვენი გაცნობა ნამდვილად ღირდა, — მახოს ხმაში გაღიზიანება დაეტყო, — ანამ უკვე გითხრათ, რომ ყოფილი მეუღლე ვარ? — მახო მაგიდასთან მოკალათდა.

— დიახ, — თქვა ალენამ და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— ისიც გითხრათ, რომ ყოველღამე თავის ყოფილ მეუღლესთან სძინავს? — თითები მაგიდაზე აათამაშა მახომ.

— მახო! — სასოწარკვეთილი ხმით წამოვიყვირე.

— რა მახო, რა მახო, ასე არ არის? წუხელ ჩემ გვერდით არ გეძინა?

— უნამუსო ხარ, — თვალებიდან ცეცხლს ვაკვესებდი, — მე კი არ მეძინა შენ გვერდით, შენ მომიწექი მძინარეს.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— ის, რომ მზია გააბრაზე, — თვალებში შევხედე მახოს. მაინტერესებდა, როგორი რეაქცია ექნებოდა.

— ?!

— რა იყო, გეგონა, ვერ გავიგებდი, არა? უკვე დიდი ხანია, ყველაფერი ვიცი, მაგრამ ფეხებზე მკიდია, სად იქნები და ვისთან. როცა მიყვარდი, მაშინ არ შეინარჩუნე ჩემი სიყვარული და ახლა აღელდი? იმას რომ ამბობ, ჩემ გვერდით გეძინაო, იმას რატომ აღარ ამბობ, ჩაცმული რომ იწექი და დიდი ხვეწნის მერე რომ დაგტოვე ჩემს ოთახში?

— ყველაფერი გასაგებია, — ჩაიბურტყუნა მახომ, — უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, მე წავალ, — თქვა და ნაცემი ძაღლივით გაიძურწა.

— მდაა, არასასიამოვნო სიტუაციაში აღმოვჩნდი, ვიფიქრე, დამეტოვებინეთ და ცოტა ხნით გავსულიყავი, მაგრამ ვერ გადავწყვიტე, რადგან არ ვიცოდი, სწორად მოვიქცეოდი თუ არა.

— კარგად მოიქეცი, რომ არ წახვედი. სიმართლე ხომ უნდა გაგეგო?

— მზია ვინ არის?

— ჩვენი გოგონას ძიძაა და რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ თურმე ერთმანეთს ეჟღურტულებიან.

— კარგი, დავანებოთ ამას თავი. შენ ის მითხარი, როდის გადახვალ ცალკე საცხოვრებლად?

— მაშინ, როცა ჩვენ დავქორწინდებით. ახლა რა აზრი აქვს გადასვლას? — ეშმაკურად გავიღიმე.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თანახმა ხარ ჩემს წინადადებაზე?

— ჰო...

— ერთი უხერხული კითხვა მინდა, დაგისვა. მაინტერესებს, რაც მახო ჩამოვიდა, იმის შემდეგ თქვენ შორის იყო რამე თუ არა.

თვალწინ იმ ღამემ გაირბინა, როცა მე და მახო ბარიდან დავბრუნდით და ერთმანეთის ალერსით გული ვიჯერეთ. ვერ გადავწყვიტე, მეთქვა ალენასთვის თუ არა.

— რატომ გაჩუმდი? — თავისი იქ ყოფნა შემახსენა.

— კი, მოხდა... ერთხელ...

ალენამ თავი გადააქნია და გაჩუმდა. მივხვდი, არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი.

— არ უნდა მეთქვა?

— უნდა გეთქვა; მაინც არ დავიჯერებდი, არაო, რომ გეთქვა. ასე რომ, სიმართლის თქმა სჯობდა.

ის დღე ისე დამთავრდა, რომ ალენას ჩვენს მომავალზე სიტყვა არ დაუძრავს. რაც იქნება, იქნება-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაინც ძალიან ვინანე, რომ მის წინადადებას დავთანხდი. მთელი ღამე ფიქრში გავათენე. მახო შინ არ მოსულა, რის გამოც მზია ძალიან ნერვიულობდა. ადგილს ვერ პოულობდა და ბოლთას სცემდა. შემეცოდა, იმ დღეს მომხდარი ამბავი მოვუყევი და ვუთხარი, რომ მისი არმოსვლა შესაძლოა, დღევანდელი საღამოს შედეგი იყო.

— მგონი, მახოს ისევ შენ უყვარხარ, — მითხრა ნაღვლიანი ხმით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უასლესი ფრანგული მოდა ნაძღვილი მამაკაცებისთვის





თავისუფალი აზრი

მარი ჯაფარიძე



ჩემი ტელეფონი (როცა ჩართული მრჩება) გამუდმებით რეკავს. ამას წინათ ქუჩაში ფეხით მიმავალს ვიღაც ქალბატონმა დამირეკა.

— მარი, გენაცვალე, რამდენიმე წუთს წაგართმევ, ჩემი გასაჭირის შესახებ უნდა მოგიყვე, — მომაყარა სათქმელი უცნობმა ქალბატონმა, — იცი, რაშია საქმე? ჩემი უქნარა ქმრის ხელში ვერ გავიხარე. არც საჭმელი მქონდა, არც ჩასაცმელი, ოჯახში ამის გამო გამუდმებით ჩხუბი გვქონდა. ჰოდა, ავდექი და მდიდარი საყვარელი გავიჩინე. უკვე 3 წელია, იმ კაცთან ურთიერთობა მაქვს და ჩემმა ქმარმა ახლა გაიგო. დიდი სკანდალი მომიწყო და ახლა მემუქრება, ყველაფერს შვილებს მოვუყვებიო. თვითონ მაიძულა, ეს ნაბიჯი რომ გადამედგა, ახლა კი უნდა, შვილებს ჩემი თავი შეაძულოს. რა ვქნა, როგორ მოვიქცე? მითხარი, ვტყუი ჩემს ქმართან?

— იცით, რა, ქალბატონო, მე ვფიქრობ, რომ თქვენ ასე არ უნდა მოქცეულიყავით, — რომელი ფსიქოლოგი მე ვარ, რჩევას რომ მეკითხება? გადავწყვიტე, სათქმელი პირდაპირ მეთქვა.

— ახლა შენც რომ მე გამამტყუნო, თავს მოვიკლავ, — ქალის ხმაში ისტერიკულმა ტონმა გაიუღერა, — ერთადერთი იმედი შენ იყავი, მეგონა, შენგან მაინც მოვისმენდი დამამშვიდებელ სიტყვებს და შენც ამას მეუბნები? — ხმამაღლა აქვითინდა. — არა, არა, ნამდვილად თავს მოვიკლავ, ჩემ მიერ გაწეული ამაგი ვერავინ დაინახა. მე ხომ ყველაფერი ოჯახში მიმქონდა?! ჩემი ადგილი სასაფლაოზე, დედაჩემის გვერდითაა...

— მათქმევინეთ, ქალბატონო, — ძალიან დავიბენი და შემეშინდა, — მინდოდა მეთქვა, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყავით, მაგრამ სწორედ თქვენმა უქნარა ქმარმა გაიძულათ, ეს ნაბიჯი გადაგედგათ და ახლა ვალდებულია, გაპატიოთ და ბედს შეეგუოს. — მძიმედ ამოვიოხრე და სათქმელს ძლივს მოვუყარე თავი, რადგან რასაც ვფიქრობდი, იმის საწინააღმდეგოს ვამბობდი.

— მართლა? გაიხარე, მარი, შენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, შენ მე გადამარჩინე და სიცოცხლე შემინარჩუნე, დიდი მადლობა ასეთი კეთილი საქმისთვის. — ქალმა ტელეფონი გათიშა.

თავი გადავაქნიე და გზა განვაგრძე.

— უსინდისო ხარ, — ჩამესმა ყურში. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ახლომახლო ვერავინ დავინახე და გზა განვაგრძე.

— უსინდისო ხარ! — ზიზღით სავსე ხმა უფრო ხმამაღლა ჩამესმა.

— შენ ვინ ხარ? — ვიკითხე შიშით.

— შენი თავისუფალი აზრი ვარ, — მიპასუხა ქირქილით, — შენ მე „მფიქრობ“...

— არა მგონია, რომ საკუთარ თავზე ასეთი ცუდი წარმოდგენის ვიყო და ვფიქრობდე, რომ უსინდისო ვარ, — შევეკამათე უხილავ აზრს.

— რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი, საშუალოსტატისტიკური აზრის მიხედვით, კარგი გოგო ხარ, მაგრამ ეს შენი აზრი არავის აინტერესებს. მე შენი „საგარეო“ აზრი ვარ, ჭკვიანური და ლოგიკური! მოძველებული მორალისგან გათავისუფლებული. აი, ნახე! — მითხრა და წინ მიმავალ, ახალგაზრდა მამაკაცს თავში წამოარტყა.

— ასე რატომ იქცევი? — ვუსაყვედურე თავისუფალ აზრს.

— იმიტომ, რომ ამის გაკეთების სურვილი თავად გქონდა, მაგრამ ვერ ბედავდი.

— სტყუი, ამის სურვილი არ მქონდა, — თავი ვიმართლე.

— როგორ არა, მისი უბეჩაჩაჩული შარვალი, ყურში გაყრილი საყურე, თხასავით წვერი, ტოპი და ნახევრად გამოჩენილი ტრუსი ხომ არ მოგწონს?

— არა, — ვაღიარე დამნაშავესავით.

— ჰოდა, ხომ გაიფიქრე, უნდა ადგე და თავში უთაქო ამისთანა კაცსო?

— ჰო, გავიფიქრე.

— ჰოდა, მივედი და ვუთაქე.

— შენი არ მესმის.

— იმიტომ, რომ ჩარჩოში მოქცეული ადამიანი ხარ, დაკომპლექსებული და ზომბირებული, — მითხრა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

— სულელი ხარ და ენა გააჩუმე! — ტუჩი ავიბზუე.

— რა თქმა უნდა, თავისუფალი აზრიც შეიძლება, სულელი იყოს. შენ კი არავითარი უფლება არ გაქვს, არსებობა ამიკრძალო. მადლობა ღმერთს, 1937 წელი არ არის და ნებისმიერ აზრს აქვს არსებობის უფლება!

ამასობაში, გადავწყვიტე, სამარშრუტო ტაქსი გამეჩერებინა და დანიშნულების ადგილამდე ისე მივსულიყავი. ცოტა ხანში, ყველა დასაჯდომი ადგილი შეივსო, მაგრამ მძღოლი მგზავრების აყვანას მაინც განაგრძობდა. კართან მოხუცი ქალი იყო ჩაჭეჭყილი, თავზე კი ფაშფაშა ქალბატონი მედგა, რომელიც თავს ვერ იმაგრებდა, რამდენჯერმე ფეხზე ფეხი დამაბიჯა, მკლავზე გადაკიდებულ ჩანთას კი დროდადრო თავში მირტყამდა და ბოდიშსაც არ მიხდიდა.

როდესაც ფეხი მეათედ დამაბიჯა და ჩანთა მეოცედ მდრუზა თავში, მაშინღა მითხრა:

— უკაცრავად, ხომ არ შეგაწუხეთ?

ის იყო, პირი დავაღე, — არა უშავს-მეთქი, უნდა მეთქვა, რომ თავისუფალმა აზრმა დამასწრო:

— შემაწუხე კი არა, სიცოცხლე გამიმწარე, ბოდიში მაინც მოიხადე. შენ კიდევ, რომ გაძეძგე ეს „მარშრუტკა“, „ურაზმერო“ ხომ არ გგონია? — ახლა მძღოლს მიუბრუნდა. — შენ კი, უზრდელი ხარ, ვიღაცა, სკამზე რომ გამოჭიმულხარ ინვალიდივით. — ხელი ჰკრა წინ მჯდომ, ჯანღონით სავსე მამაკაცს. — იმ მოხუცს ადგილი დაუთმე, ვერ ხედავ, ფეხზე ძლივს რომ დგას? — უზომოდ გაცხარდა თავისუფალი აზრი.

ხმა არავის ამოუღია. მამაკაცმა მოხუცს ადგილი დაუთმო, მძღოლმა მორიგ მგზავრს აღარ გაუჩერა და მეტად აღარც იმ ფაშფაშა ქალს შევუწუხებივარ.

— თავი დამანებე, ვუთხარი თავისუფალ აზრს, როდესაც „მარშრუტკიდან“ ჩამოვედი.

— არ დაგანებებ, თუ არ მოგწონვარ, შეგიძლია, შენი გზით წახვიდე.

— აქედან გაეთრიე, შენ ხომ ჩემი აზრი ხარ და როგორ გგონია, ჩემი აზრის ბატონ-პატრონი თავად არ ვარ?

— შენი აზრი ვარ? — გაუხარდა თავისუფალ აზრს. — მაშინ, სახალხოდ რატომ არასოდეს გამომთქვამ? შენ ხომ ჩემსავით ფიქრობ და იცი, რომ სიმართლეს ვამბობ?

— ადამიანებამდე თავად მიხვალ, რადგან ასეთი მართალი და თავისუფალი ხარ, არც ხალხის გულებამდე და გონებამდე მისვლა გაგიჭირდება, — დამნაშავესავით ჩავიბურტყუნე და გზა განვაგრძე... ●

ღამეღუეზი მექალთანის ღლიერი



I კვირა, I დღე

გადავწყვიტე, მექალთანე გავხდე. მაღაზიაში წავედი და დეზოდორანტი Axe ვიყიდე. ქუჩაში გავიარე, მაგრამ არანაირი ეფექტი! შინ დავბრუნდი და ტელევიზორს მრისხანე თვალით გავხედე. აკი axe მაგარიაო? ჩემი ბრალია, რეკლამისთვის არ უნდა დამეჯერებინა... „ბაუმ-ჩიკი, ბაუმ, ბააუმ“...

I კვირა, II დღე

იქნებ, დეზოდორანტის კონცენტრაცია უნდა გავზარდო? თეთრი პერანგი გადავიცვი და ნახევარი ფლაკონი Axe დავიცალე. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვიმგზავრე, მთელი გზა სიმპათიურ გოგონას ვეხუტებოდი, ის კი ცუდად გახდა.

დასკვნა: არ დაუჯეროთ რეკლამას!

I კვირა, III დღე

გადავწყვიტე, სხვა ფლანგიდან მოვუარო. პრიალაყდიანი ჟურნალები გადავფურცლე და შოპინგზე წავედი. თეთრი შარვალი და სტრინგი „დავაშოპინგე“. გამყიდველმა (უკაცრავად), გაყიდვების მენეჯერმა ჩემი სილამაზე შენიშნა და ენა ჩაუვარდა. ეფექტი მოვახდინე! ეს უკვე კარგია! ხვალ ქუჩაშიც გავივლი და ტესტს ჩავატარებ.

I კვირა, VII დღე

საღამო ხანს „სპეცეკიპიროვკა“ მოვირგე: სტრინგი, თეთრი შარვალი, მოტკეცილი მაისური... სასეირნოდ წავედი. გოგონები კი არ მიღიმიან, იქედნურად ხითხითებენ, მაგრამ თვალს მაყოლებენ(!). როდესაც ზოოპარკს მივუახლოვდი, ჩემ უკან ჩემნაირად ჩაცმული 3 მამაკაცი მოდიოდა. ვიფიქრე, რომ თანამოაზრენი იყვნენ.

დასკვნა: ხანდახან მშვენივრად გამოვიყურები!

II კვირა, I დღე

ფსიქოლოგიის წიგნი შევიძინე. გამიმართლა, რომ ბუკინისტებთან ის სულ რაღაც 30 ლარი დამიფასეს. გამყიდველმა დედა დაიფიცა, რომ ერთადერთი ეგზემპლარია და ეს წიგნი საოცრებებს ახდენს.

შინ დავბრუნდი და კონსპექტის შედგენა დავიწყე. წიგნს — „გოგონას გაცნობის 101 ხერხი“ ჰქვია. ახლა კონსპექტს დავასრულებ, დავიზეპირებ და მორჩა! მერე ჰარამხანისთვის მთელ შენობას ვიქირავებ.

II კვირა, IV დღე

კონსპექტი დავიზეპირე და გოგონების გასაცნობად გავემართე. გაცნობის საუკეთესო ხერხზე ისინი რაღაც, უცანაურად რეაგირებდნენ. მაგალითად, ვკითხე: რა განსხვავებაა ბიგ-მაკსა და სამეფო ბიგ-მაკს შორის. ეს ნიშნავდა, რომ მასთან ერთად ვახშმობა მინდოდა. ისინი კი უცნაურად მიღიმოდნენ და გამირბოდნენ. ახლაღა გამახსენდა, რომ წიგნი ამერიკელი ფსიქოლოგის დაწერილი იყო და ქართველ გოგონებზე არ იმოქმედებდა.

დასკვნა: ყველა წიგნი სასარგებლო არ არის. ასევე: ჩვენ, ქართველებს იდუმალებით მოცული შინაგანი სამყარო გვაქვს. ქართველ გოგონებს — მით უმეტეს.

II კვირა, VI დღე

დღეს სოფელში მივდივარ. ბებიაჩემს ბოსტანში უამრავი კიტრი დაუთესავს. კიტრის მორწყვას შევყევი. მართალია, კიტრები მალე გაიზარდნენ, მაგრამ ჯერ ვერ მოვკრეფ. მე კი უკვე თბილისში უნდა დავბრუნდე...

დასკვნა: ვიცი, როგორ განვავითარო სოფლის მეურნეობა!

II კვირა, VII დღე

კიტრი გასაყიდად ბაზარში წავიღე. ერთი კლიენტი გავიცანი, ახალგაზრდა და ლამაზი გოგოა. თურმე, ჩემი მეზობელიც ყოფილა. კვირას შინ დამპატიჟა. სასწრაფოდ მივატოვე კიტრის გაყიდვა და შინ გავიქეცი, რომ მოქმედების გეგმა შემედგინა.

დასკვნა: „სპეცეკიპიროვკამ“ გაამართლა!

VI კვირა, VI დღე

შევიძინე წიგნი — „პირველი პაემანი“. მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მხოლოდ ქართველი ავტორის წიგნს ვენდე. გულდასმით წავიკითხე ქვეთავი: „როგორ შევიტყუოთ გოგონა საწოლში“.

დასკვნა: სექსი ძალიან ვიწრო თემაა.

VI კვირა, VII დღე

მივედი, ზარის ღილაკს თითი დავაჭირე. შევედი და კარის დახურვაც ვერ მოვასწარი, რომ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყოოოოო!

ااااااا! მმმაგარია! (ცენზურა).

რომელიღაცა კვირა, რომელიღაცა დღე

აფთიაქში უკვე მესალმებიან.

შემდეგი კვირა, შემდეგი დღე

აფთიაქში ფასდაკლებისა და უროლოგთან უფასო ვიზიტის ბარათი მომცეს, ისე, ყოველი შემთხვევისთვის...

მბრუნავი ცათამბჯენი

მოსკოვში ყველაზე ამბიციური პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. ქალაქის ცენტრში მბრუნავ ცათამბჯენს ააშენებენ.







შენობის მთლიანად შემობრუნებისთვის 3 საათი იქნება საკმარისი, ხოლო ამ დროს მოხმარებული ელექტროენერგია ქალაქის ქსელს არ გადატვირთავს, რადგან ელექტროენერგიას შენობის სახურავზე დადგმული მზის ბატარეებით გამოიმუშავებენ. არქიტექტორების გათვლით, მიღებული ელექტროენერგია მთელ შენობას ეყოფა და იმდენიც დარჩება, რომ გარშემო, სხვა სახლებსაც გაუნაწილონ.

თითოეული ასეთი შენობის აგება 700 მილიონი დოლარი ეღირება. სხვა შენობებისგან განსხვავებით, ადგილზე, სადაც ცათამბჯენი აიგება, მხოლოდ ძირითად ნაწილს აღმართავენ. ეს ის ნაწილია, რომელიც სართულებს შეაკავებს. მასში შედის ლიფტები ადამიანებისთვის და მანქანებისთვის. თვითონ სართულები კი იტალიაში, ერთ-ერთ ქარხანაში დამზადდება და ადგილზე უკვე მზა სახით ჩაიტანენ. თითოეული სართულის მონტაჟს მხოლოდ 6 დღე დასჭირდება.

როგორც ამბობენ, ამ შემოდგომაზე, დუბაისა და მოსკოვში მბრუნავი ცათამბჯენების აგება ერთდროულად დაიწყება და 2010 წელს დამთავრდება. ასეთი საოცარი აპარტამენტების 1 კვ.მ-ის ფასი 3 ათასი დოლარი იქნება. ეს შესაძლოა, უცნაურად ეღერდეს, რადგან მოსკოვში უძრავი ქონების ფასი კატასტროფულად მაღალია.

მოსკოვში აგებული მბრუნავი ცათამბჯენი 70-სართულიანი იქნება, სიმაღლე — 400 მეტრი და თითოეული სართული ცალკე იბრუნებს. ცათამბჯენის მშენებლობას Mirax Group ჩაუდგება სათავეში. შენობის საერთო ფართობი 110 ათასი კვადრატული მეტრი იქნება, სადაც უამრავი ოფისი, მაღაზია და საცხოვრებელი ბინა განთავსდება.

ლასჯილი თაყვანისმცემლები და მაგდას რჩეული

ამ კვირაში მაგდამ არჩევანი უკვე გააკეთა და გინეკოლოგის მიმართ თავისი სიმპათია გამოხატა. მათ ტელეფონის ნომრები გაცვალეს და მალე შეხვდებიან კიდეც ერთმანეთს. რაღა თქმა უნდა, მათი ურთიერთობის შესახებ მკითხველი დანვრილებით შეიტყობს. მანამდე კი მაგდასთან მცირე ინტერვიუსა და მისი თაყვანისმცემლების ბოლო მესიჯებს გაგაცნობთ.

— მაგდა, როგორ გრძნობდი თავს, ასე ღიად რომ ურთიერთობდი თაყვანისმცემლებთან?

— მშვენიერად, რადგან ასე უფრო მოსახერხებელია. მათ ჩემი ტელეფონის ნომერი არ იცოდნენ და შესაბამისად, ზედმეტად ვერ მაწუხებდნენ. როცა ფავორიტი გამოიკვეთა, უკვე შიშიც აღარ მაქვს, რომ რაიმე შეცდომას დავუშვებ. თუმცა, გამორიცხული არაფერია.

— რას ეტყვი მკითხველსა და აწ უკვე ყოფილ თაყვანისმცემლებს?

— მკითხველს დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. თუმცა, ველოდი, რომ გაცილებით მეტ და სასარგებლო რჩევას მომცემდნენ. რაც შეეხება თაყვანისმცემლებს, ვიცი, რომ თითოეული მათგანი კარგი ადამიანი და შესანიშნავი მამაკაცია, მაგრამ ჩემი სიმპათია რატომღაც თავიდანვე გინეკოლოგის მხარეს გადაიხარა.

— რამ განაპირობა ეს?

— ვერ გეტყვით. ალბათ იმან, რომ აგრესიული არ იყო და მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აპასნი და კაროლი თავიდანვე მუქარით მაშინებდნენ. ადამიანის ბუნება კი ისეა მოწყობილი, რომ მუქარაზე აუცილებლად უკურეაქცია უჩნდება. მათი მესიჯების წაკითხვის შემდეგ დაახლოებით ასეთი აზრი მიჩნდებოდა: „მემუქრები? მაძალებ? მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა მუქარა". თავის თავში ზედმეტად დაჯერებულ მამაკაცებს ვერ ვიტანს. ქალს ალერსი და სითბო სჭირდება და არა — აგრესია.

— შეგიძლია, პროგნოზი გააკეთო, როგორი დასასრული ექნება შენ და გინეკოლოგის ურთიერთობას?

— პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება, მაგრამ მინდა, ურთიერთობას დასასრული კი არა, გაგრძელება ჰქონდეს. თუ ჩვენი შეხვედრა Happy end-ით დასრულდა, მთელი ცხოვრება „გზის" და შენი მადლიერი ვიქნები.

— მკითხველს ჰპირდები, რომ მოვლენების განვითარების შესახებ გულახდილად უამბობ?

— რა თქმა უნდა, ვპირდები.

„რატომ დამსაჯე, სიხარულო, რა დავაშავე? არ ვიმსახურებ შენს რისხვას. იცი, რა, ძალიან ჯიუტი ვინმე ჩანხარ და მეცოდება ის გინეკოლოგი. მის გარშემო ობობასავით მოქსოვე ქსელი და კაცი გააბი და გააბრუე შენი ლაპარაკით. მე აღარ მინდა შენთან ურთიერთობა. გემშვიდობები და ვიზიარებ გინეკოლოგის მწუხარებას. ვიცი, ბოლოს ინანებს შენთან ურთიერთობას, მაგრამ გვიანი იქნება, რადგან შენი საცეცებით უკვე მაგრად გეყოლება დაბმული. მშვიდობით, მე უფრო ღირსეულს მოვძებნი, ვინც მეც დამაფასებს და ჩემს მოწადინებასაც. ბედნიერებას გისურვებ, კარგად. კაროლი".

— მგონია, რომ შენ ზომაზე მეტად თავმოყვარე ადამიანი ხარ და როგორც კი მიხვდი, რომ ჩემი სიმპათია გინეკოლოგისკენ გადაიხარა, მაშინვე უკან დაიხიე და ვითომ ჩემი სოჯიუტის გამო თქვი ჩემზე უარი. ასე რომ, ტყუილად ბრალს ნუ მდებ. თუმცა, გული არ მწყდება იმის გამო, რაც მითხარი. დიდი მადლობა ყურადღებისთვის და იმისთვის, რომ ამდენი ხნით შემომრჩი და ჩემი ცხოვრება ოდნავ გაახალისე. კარგად.

„არ გემუქრები, პატარავ, უბრალოდ, მწყინს, ასე უყურადღებოდ რომ მტოვებ. რას გადაეკიდე ამ გინეკოლოგს? თქვი, რომ გადაწყვეტილება უკვე მიიღე, ჩვენ აღარ გჭირდებით და წავალთ, ბატონო და იჭუკჭუკეთ ორმა. „მარად შენი უარმყოფელი", მაგრად მომეწონა. ისე, ჭკვიანი გოგო ჩანხარ და მართლა მეწყინება, თუ უარმყოფ. მოდი, მოვილაპარაკოთ, მე შევიცვლები, სულ სხვანაირი გავხდები, თბილი, ტკბილი, ალერსიანი და „გემრიელი", შენ კი ჩემდამი დამოკიდებულება შეცვალე და ვიმეგობროთ. ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი ხომ არ არის, რომ ცოლ-ქმარი გავხდეთ, მეგობრობაც ხომ შეიძლება? გკოცნი. უპასუხოდ ნუ დამტოვებ. აპასნი".

— აპასნი, მგონი, გვიანია შეცვლაზე ლაპარაკი. მე გინეკოლოგს შეხვედრაზე თანხმობა ვუთხარი და ახლა მხოლოდ მასთან გავაგრძელებ ურთიერთობას. რაც შეეხება მეგობრობას, ალბათ, ჯობს, შენ და გინეკოლოგი დამეგობრდეთ, მე კი თქვენ საერთო მეგობარი ვიქნები. ამის შესახებ აზრს გინეკოლოგსაც ვკითხავ და უფრო ზუსტად შემდეგ გიპასუხებ. მაგდა".

გზა ბინილები

7.08. – 13.08.2008

თავისუფალი თემა

ფეხებიანი ლობიო და ტუტუცის შვილიშვილი ანე „დიმპიტაური“ სემესტრის ბოლოს

ამჯერად „გზაბილებს“ ერთი ქვერუბრიკა — „ყველაფერზე თემის გარდა“ გამოაკლდება, რადგან თემა ისედაც არ გვაქვს. თუმცა, როცა გვაქვს, არც მაშინ იკლავთ თავს თემის შესაფერისი მესიჯის მოწერით (ზოგიერთებს ვგულისხმობ). ასე რომ, ახლა მოემზადეთ და იცინეთ...

მარი ჯაფარიძე

უცნაური ძმები

„მინდა, მამაჩემისა და ბიძაჩემის შესახებ გიამბოთ. მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ, მაგრამ სულ კამათობენ, შემდეგ კი ისეთ ჩხუბს იწყებენ, მთელ სოფელს ესმის. რამდენჯერმე მათ ჩხუბს გულდასმით მოვუსმინე. მაინტერესებდა, რას უმტკიცებდენ ერთმანეთს. ჰოდა, აღმოვაჩინე, რომ ერთმანეთს ერთსა და იმავეს უმტკიცებდნენ. უბრალოდ, ერთმანეთს ვერ აგებინებდნენ და მთელ ხმაზე გაჰყვიროდნენ. — ეგრე კი არა, ასეო, — მამა ამბობდა. — არა, ეგრეო, — ბიძა უმტკიცებდა. ნახევარსაათიანი ჩხუბის შემდეგ, როგორც იქნა, ერთმანეთს გააგებინეს სათქმელი, მაგრამ მერე იმაზე დაიწყეს ჩხუბი, აბა, ამდენ ხანს მე რას გეუბნებოდიო, შენ კი არა, ამას მე გეუბნებოდიო და 10 წუთი კიდევ ამაზე

ჩხუბობდნენ. არადა, თითქოს ორივე ქართულად მეტყველებს?! დედა ეხუმრება ხოლმე, რომელიც უფრო ხმამაღლა იყვირებთ, ის იქნება მართალიო. მისს“.

„ყველას გაგწერთ“

„სალამი, ხალხო. პირდაპირ გურიიდან გეხმიანებით. საქმე ის გახლავთ, რომ როგორც კი ფეხი დავდგი ჩემი სოფლის მიწაზე, მაშინვე შეშფოთებული მეზობლების საუბარს მოვკარი ყური. მეტად გულმოდგინედ განიხილავდნენ ჩვენს „გზავნილებს“. განსაკუთრებით ერთ მგზავნელს ახსენებდნენ ხშირად და ჰოი, საოცრებავ, რა გაიგეს ჩემმა ყურებმა! — არა, ნენა, არა, აი, ვინცხა ბაღანაა, ნამეტანი გათავხედდა. ვერ უყურებ შენ, რა გულმოდგინედ წერს ჩვენი სოფლის ამბებს? ნეტაი, გევიგო ერთი, ვინაა და კუდით სულ ქვას ვასროლიებ. თან, რა ჰქვია, ცა? — იკუშკები... დედა, დედა, ვის ყბაში ჩავცვივდით, ხალხო... მოკლედ, მარისთან რაცხაფრად წერილი უნდა გავგზავნოთ და იმ ბაღანას პაწა რჩევა-დარიგება მივცეთ. აპა, რავა შეიძლება ასე, გუშღამ რაცხა სისულელე მომიკითხა ქალაქიდან ჩასული ბაღანა. მერე ბევრი იმსჯელეს, იკამათეს და ბოლოს გადაწყვიტეს, კიდევ ერთი შანსი მიეცათ იკუშკებისთვის. — თუ უნდა, რომ ვაპატიოთ, ერთხელ ჩვენც გაგვწეროს ბატონო, იმ ჟურნალში, რავა, ისტორიები არ გვაქვს თუ რა! — ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, ჩემმა საყვარელმა მეზობლებმა და მივხვდი, რომ მათ ის კი არ სწყინთ, ნაცნობ-მეგობრების თავს გადახდენილ ამბებს რომ ვამცნობ ქვეყნიერებას, იმაზე იბუტებიან, მათი ამბები რომ ვერ გამოვამზეურე „გზავნილებში“. ჰოდა, მივმართავ ჩემს უსაყვარლეს

გრუზინკა

ვქენი, ხვალე გამომჭიმონ „გზავნილებში“?! — გააგრძელა წუწუნი ნარგომ. — დაწეროს ბატონო, არ გიხარიათ, ჩვენს ამბებს მთელი საქართველო რომ იგებს? — გამომექომაგა ბატონი ვაჟა. გამიხარდა და რადგან ერთი დამცველი მაინც გამომიჩნდა, ამაყად შევაბიჯე ოთახში. ყველამ გულთბილად მოხუცებს: დამაცადეთ და ყველას გაგწერთ ჟურნალის ფურცლებზე. თქვენც, ჩემო ტკბილო ბებო და ბაბუ, არც თქვენ დაგწყვეტთ გულს. მთავარია, მარიკუნამ არ დაგვბლოკოს და არ დაგვჩაგროს გურულები. გაკოცეთ ყველას, მიყვარხართ უზომოდ. იკუშკები, ფრომ ლანჩხუთი“.

ღმერთი შეეცილა

„ჩემი მეზობელი მეზობელ ქვეყანაში მუშაობდა. იქ ვირი მოეწონა და გადაწყვიტა, სახლში ჩამოეყვანა. იმ ქვეყნიდან ფეხითაც შეიძლებოდა გადმოსვლა, მთების საშუალებით. წინ ვირი გამოირეკა და გამოსწია შინისკენ, ჩვენმა ახირებულმა, მაგრამ დახეთ, ბედის უკულმართობას! — ნაფერებ-ნაპატივები ვირუკელა გზაში მოუკვდა. დაეშვა მუხლებზე, ერთსანს გაირინდა, მერე ასწია თავი, აღაპყრო ხელები და ღმერთს შეჰღაღადა: — დიდო უფალო, მე ხომ მიყვარდა და მიყვარდა ეს ვირი, მაგრამ შენ ჩემზე მეტად გყვარებია, რაკი მე წამართვი და ალალი იყოს, შენზეო“.

უცნაური ეპიტაფიები

„არ ვიცი, ეს ამბავი სასაცილოა თუ არა, მაგრამ მის გახსენებაზე მე ყოველთვის სიცილით ვკვდები. შარშან ამ დროს, ჩვენი უბანი ზინობიანის ტბაზე წავედით საბანაოდ და საქეიფოდ. ჯერ ხომ გზა აგვერია და სოფელ გავაზის სასაფლაოზე ამოვყავით თავი. ის იყო გამოვბრუნდით, რომ ვიყვირე, გააჩერეთ-მეთქი. ერთმა წარწერამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ბუდიონივით ულვაშებდაფენილი, დაბღვერილი მამაკაცის ფოტოს ქვეშ, საფლავის ქვაზე ეწერა: „რა გინდოდა ტრაქტორო, ჩემთვის ჩრდილში მეძინა“. თურმე, ბრიგადირი ყოფილა და მძინარესთვის დაგორებულ ტრაქტორს გადაუვლია. კიდევ, იმ ტრაქტორის ნაწილიც ედგა თურმე ძეგლად, მაგრამ მერე მოუპარავთ. ალბათ, ჯართში ჩააბარეს. ჰო, ერთგან ეწერა: „მოფრინავდა „ვილკა“, გემშვიდობებით ნიკა“. ჩხუბში მეზობელს ჩანგლით მოუკლავს. თუ არ გჯერათ, მიბრძანდით და ნახეთ!“

ღირსშესანიშნაობა

„XX საუკუნის 50-იანი წლები იყო. სასტუმრო „ქუთაისთან“ შუახნის მამაკაცი იდგა. 14-15 წლის ყმაწვილი გულდასმით აკვირდებოდა და შემდეგ უთხრა: იცით, უკან, უხერხულ ადგილზე შარვალი გაქვთ გახეულიო. მამაკაცმა თითქოს ვერ გაიგო, ყურადღება არ მიაქცია და

ყველაზე დიდი შეცდომა, შეცდომის შიშია.

„ოჯახის უფროსი გარდაცვლილი იყო და“-

„დიადი“ საბჭოთა იმპერიის დროს ჩვენკენ რუსი მამაკაცები მოსამსახურედ საკმაოდ ბევრ ოჯახს ჰყავდა. ჰოდა, ერთმა ქვრივმა ქალბატონმა გადაწყვიტა, შეშა „რუსის ბიჭისთვის“ დაეჩეხინებინა (ასე ეძახდნენ მაშინ რუს მოსამსახურეებს, რომლებიც არაფის გულისთვის ნებისმიერ შავ სამუშაოს ასრულებდნენ). ჰოდა, დაჩეხა ჩვენმა რუსმა შეშა (აბა, ოჯახის უფროსი გარდაცვლილი იყო და...). მადლიერმა ქვრივმა არაყი შესთავაზა და თვითონვე მიუქახუნა ჭიქა (აბა, ოჯახის უფროსი გარდაცვლილი იყო და...). აუჟუჟუნდათ თვალები და საწოლიც გაიშალااا! შეუგორდა ქვრივი რუსს საწოლში (აბა, ოჯახის უფროსი გარდაცვლილი იყო და...). ბოლოს, როცა ისტუმრებდა მუშას, ქვრივმა სთხოვა, ბოლო ეპიზოდი არავის გაუმხელოო. ისიც დაპირდა. შეტრიალდა გულდამშვიდებული ქვრივი სახლში, მუშამ კი გაიხურა თუ არა კარი, ასწია ორივე ხელი და მთელი ხმით შესძახა: — „უუურررა! მე ბაბალე მ.....ი!“

ეჭვიანი ცოლი

„ნოდარს ძალიან ჯიუტი და ხოხმა ცოლი ჰყავს. ჯერ იყო და, ქათმებს არაყი დაუსხა (წყალი ეგონა) და ლამის ამოწყვიტა, ხელისგულზე გაზრდილი, ჩასუქებული ვარიები. მერე, მარილიანი საჭმელების კეთებას მოუხშირა; ნოდარის მიმართ სულ გაცივდა. ძველებურად კარგად ალარ ექცეოდა. ადრე თუ ყოველ კვირა ქათამს უკლავდა, ახლა ყურადღებას საერთოდ ალარ აქცევდა; სულ დაბნეული იყო, რაც ჭურჭელი ჰქონდა, სულ დალეწა. ნოდარს ცოლის ასეთი შეცვლა საეჭვოდ მოეჩვენა: ნუთუ ამ სიბერეში მღალატობსო? — გაიფიქრა და ქალაქში წავიდა შვილიშვილების ჩამოსაყვანად, ეგება, ნანა ცოტათი გამხიარულდესო. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ დღის შემდეგ, ბებომ შვილიშვილებს საიდუმლო გაუმხილა: თურმე ნოდარის საწოლის ქვეშ, ცოლს ძალიან ლამაზი ქალის ფოტოები უნახავს, მაგრამ ამის გამხელის შერცხვენია. ნანა ბებომ საწოლის ქვეშიდან ბრიტნი სპირსის ფოტოები გამოიღო და შვილიშვილებს გაუწოდა — აი, ნახეთ, ეს უსირცხვილო ქალი; ალბათ, ამ ნამუსგარეცხილთან მღალატობდა ჩემი ნოდარიო. შვილიშვილებმა ძლივს მიახვედრეს, რომ ეს ქალი მომღერალი იყო, ეს ფოტოები ნოდარასი კი არა, მათი იყო. ნოდარმა ეს რომ გაიგო, ბევრი იცინა და ეჭვიან ცოლს უთხრა: — ნანა, თქვენ შორის არჩევანის გაკეთების შანსი რომ მქონოდა, მაინც შენ აგირჩევდიო. ნანას ამ სიტყვებმა გული მოულბო და სიბერის ჟამს კიდევ ერთხელ შეუყვარდა ქმარუკუნა. ლუნა“.

ბაბუის ფანი

„ამ ბოლო დროს მეტისმეტად დაბნეული და გულმავიწყი გავხდი. მეზობლად ერთი ოჯახი ცხოვრობს: ბებია-ბაბუა, დედ-მამა და პატარა ბიჭი. ძალიან საყვარელი ბავშვია. ჰოდა, იმ დღეს გარეთ ვიყავი და ეს ბავშვიც ბაბუსთან ერთად აბირჟავებდა. სახელი დამავიწყდა, მაგრამ რატომღაც გავიფიქრე, ალბათ, ბაბუამისის სეხნია იქნება-მეთქი. კარგა ხანს ვეძახე — გიო, მოდი, მოგეფერო. პასუხად — ბავშვის ნული რეაქცია და ბაბუის გაფართოებული თვალები მივიღე. ნუ, არ გამეკარა ეს ბავშვი და დავანებე თავი. ცოტა ხანში ბებიამ დაუძახა: — იკა, მოდი, ბებო, საჭმელს გაჭმევ და ისევ ითამაშეო. ვინ მექაჩებოდა ენაზე? გაჩუმდი, შვილო, რაა! ბაო-ბაო“.

ახლა „ერიქსონი“ ვარ

„არ ვიცი, მე და „ჯეოსელის“ ოპერატორი თიკა ერთმანეთს ლატარიაში ხომ არ ვერგეთ? უკვე მეოთხედ დავცოფეთ ერთმანეთი. მე ვეუბნები, როდემდე უნდა იყოს ჩვენს რაიონში სწრაფი გადარიცხვა გათიშულ-გაფიცული-მეთქი? ის თავისას უბერავს: — „სამსუნგ“ X-650, თუ კიდევ დარეკავ, არ ვიცი, რას გიზამო. მე ვუხსნი: — ჯერ ერთი, ეთო მქვია, „სამსუნგ“ X-650-ს პატარაობაში მეძახდნენ. შენ კი ის გირჩევნია, კითხვაზე გამცე პასუხი, თანაც, ახლა „სონი-ერიქსონი“, K-520 ვარ უკვე-მეთქი. რა დავაშავეო, — ამოიკვნესა უმწეოდ. მე რა ვიცი, აბა, რა დააშავა?“

მონათლული

„პატარა ქეთი ახალი მონათლული იყო და ეს ძალიან უხაროდა. ყველას თავის ჯვარს უჩვენებდა. ერთხელ, დედასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა და „სასწრაფოს“ მანქანა დაინახა. როდესაც მასზე წითელი ჯვარი შენიშნა, დედას შეხედა და მხიარულად უთხრა — დედიკო, შეხედე, ეს მანქანაც მოუნათლავთო. ტოპოლინა“.

ნერვიული

„ამ ბოლოს, რაღაც, ვერ ვიყავი კარგად და დედამ ექიმთან წამიყვანა. ექიმი წამლებს რომ მიწერდა, თან დედაჩემს ჰკითხა: ნერვიული ხომ არ არისო? დედაჩემი სიხარულით აპირებდა თავის დაქნევას, როცა ამ კაცმა გააჩერა და უთხრა — ისედაც ეტყობა, რომ ნერვიულიაო. აქ კი ვეღარ გაუძლო ჩემმა ნერვებმა და ვიკივლე, ვინაა ნერვიული-მეთქი? იმან მე დამამშვიდებლები გამომიწერაააა... დღეს „მარშრუტკაში“ ვისხედით და ქალი ამოვიდა, რომელსაც 5 შვილი ახლდა თან. 2 სახლში მყავს კიდევო, თქვა და გზის ფულზე დაიწყო წუწუნი. ჩასვლისას ხურდები მოიჩხრიკა და მძღოლს გაუწოდა. ის კი მიუბრუნდა და უთხრა: ქალო, მაი ბავშვები დათვალე, არ დაგრჩეს რომელიმე, შენი კაპიკიც არ მინდაო. ნამცეცა“.

„ნაუჟმური“

„დასასვენებლად დასავლეთი საქართველო ავირჩიე და გზას გავუდექი. ჯერ გორში წავედი, სადაც ხალხმა გამაოცა. კი ვიცოდი, რომ ამბობდნენ, გორელები შუა გზაში დადიანო, მაგრამ ძროხებიც თუ ეგრე იყვნენ, არ ვიცოდი. კარგი დრო ვატარე გორში, წამოსვლისას კი ასეთი განცხადება ვნახე: „მანქანები, ხალიჩები და რეცხვა“. ეს ალბათ გორელებისთვის სხვანაირად იკითხება, მაგრამ მე ვერ გავიგე. :) გორის შემდეგ ქუთაისი, სენაკი, კასპი, ოსიაური, ზესტაფონი, სამტრედია და სურამი მოვიარე; ყველგან დავანთე სანთელი და ბოლოს, სამეგრელოში, აბაშაში გავჩერდი. მეგრელებმა გამაოცეს, მარა რა გამაოცეს! გავიგე, რომ იქ ყანებში, „ნაუჟმური“ იცის და თუ შეგხვდა, მაღალი სიცხე გექნება, სანამ არ გამოგილოცავენ. ჰოდა, მეც რომ არ შემხვედროდა, ნივრით „დამხუნძლეს“ და ისეთ „კარგ“ სუნს ვაფრქვევდი, მიმიქარავს „შანელი“. გადავრჩი, მაგრამ აი, ჩემი დეიდაშვილი კი შეიპყრო „ნაუჟმურმა“. მაშინ ახალი პატარძალი იყო და დაესია სოფელი. ბოლოს, გამომლოცველიც მოვიდა და თქვა: ამას აუცილებლად ხუის (უკაცრავად) ფოთლები უნდა დავაფინოთო (მეგრულად მხალს ჰქვია, თურმე). ეს რომ ჩემმა ნათესავმა გაიგო, გული გაუსკდა. რა უნდა დამაფინოთო? მე სიცილისგან მუცელი ამტკივდა (*სინამდვილეში, ამ მხალს ხული ჰქვია. — ავტ.*). მეგრული გინებაც მასწავლეს და აბაშის წყალშიც მანებივრეს. იქაური საქმროებიც მომიძებნეს (ჩემზე 8 ან 9 წლით დიდები), მერე კი ურეკში წამიყვანეს და ახლა ტარაკანივით შავი, „დიხლოფოსიან“ ხალხს ვემალები. :) სესი“.

„ვალი“

„ეს იყო დიდი ხნის წინათ, სოხუმში. ქართულ თეატრში გადიოდა სპექტაკლი — „ვალი“. სცენარის მიხედვით, ისრაელში წასული მეგრელი ებრაელი ხვდება საქართველოდან ჩასულ სტუმარს და სუფრა იშლება. სცენაზე, მაგიდაზე იდგა დოქი, საიდანაც, ვითომ ღვინოს ასხამდნენ. ვითომ ბევრი დავლიეთო და მასპინძლის როლის შემსრულებელმა, დიმა ჯაიანმა დოქი ცოტაზე მეტად წაუქცია და მართლა გადმოიღვარა წითელი ღვინო. დიმამ ხელი მოაფარა ჭიქას, მაგრამ დარბაზი უკვე ხარხარებდა. — ბიჭო, ასეთი ღვინო თუ გქონდა, რას მიმაკალი თეთრ ღვინოსო? შეცვალა სცენარი „სტუმარმა“. დიმა არ დაიბნა: — ეს ღვინო საქართველოს სადღეგრძელებლად მქონდა შენახულიო და ფეხზე ამდგარმა, შესანიშნავი სადღეგრძელო წარმოთქვა. დარბაზი ინგრეოდა აპლოდისმენტებისგან. მალე განგებამ გამოცდა მოუწყო ყველას და დაგვანახვა, ვის სად უყვარდა სამშობლო... მხოლოდ სუფრასთან, თუ?.. თინეიჯერი შინაბერა“.

ცეკვა „ლექტორული“

„ერთხელ, დაიწყო სექტემბერი და კვლავ ჩავეხუტე მაღლივ კორპუსს. წარმოდგენა არ გვქონდა, ვინ იქნებოდა მათემატიკური სტატისტიკის ახალი ლექტორი, რომელიც ლექციაზე აგვიანებდა. ბავშვებს ზაფხულის სიგიჟე გამოგვყვა არდადეგებიდან. გვეგონა, ლექცია ცდებოდა და მოვყევით გიჟობას. საშინლად ვხმაურობდით. მეც გავიხსენე „დიმპიტაური“ და მაგიდაზე ავტეხე ბრაგაბრუგი. ერთი უცხო ბიჭი მომიახლოვდა. — რას აკეთებო? — ბრახუნი არ შემიწყვეტია, ისე ვუთხარი, ვუკრავ-მეთქი. — ახლა მე რა ვქნაო? — მარჯვენა ხელის ორი თითი შევუთამაშე (მარცხენათი ისევ ვუკრავდი). — რა და, — იცეკვე-მეთქი. მან თავი გადააქნია და მითხრა — გაცეკვებ, სემესტრის ბოლოსო... მდაააა... ლექტორი არ ყოფილა, ის მამაძაღლი? კახელი სალომე“.

ფეხებიანი ლობიო

„ამბავი, რომელსაც მოგიყვებით, მეზობელმა მიამბო. თურმე ერთხელ სტუმრად იყვნენ. მასპინძელი ქათამს ხარშავდა. მეზობლის ბავშვმა ჰკითხა, რას აკეთებო? — ლობიოს ვხარშავო. ბავშვმა შეხედა ქვაბს და თქვა: — ფეხებიანი ლობიო პირველად ვნახეო. თურმე ქათამს ქვაბიდან ფეხები მოუჩანდა. ჩუპი“.

ცხოვრება შომ საინტერესო იყოს, ყარტლს ვრავენ ითამაშებდა.

გიჟები

„პაპიდაჩემი 85 წლის, „ანტიკვარი“ ქალია. იმ დღეს მოვიდა და მკითხა — ქა, რა ეტაკათ ამ ახალგაზრდებს, რამ დააგიჟა სულყველა, თავის თავს რომ ელაპარაკებიანო? აუ, ახლა უხსენი ამას, რომ „ნაუშნიკში“ ლაპარაკობენ და საკუთარ თავს არ ელაპარაკებიან. ვუთხარი — პაპიდ, „ნაუშნიკში“ ლაპარაკობენ-მეთქი. უარესად გაოცდა. — მოიცა, ქა, „ნაუშნიკია“ თუ რა ჯანდაბაა, მაგას სადღა იკეთებენ? სუ გადაგვარდა ეს ახალგაზრდობა, რას აღარ გამაიგონებენ, ისევ კომუნისტების დრო სჯობდაო (რა შუაში იყო, არ ვიცი). ჩაიქნია ხელი და შებრუნდა ოთახში. მის რეალი“.

მურმანი

„ეჰ, მე ერთ დაკარგულს მივტირი. არა, ნივთი არ არის, ადამიანია და მურმანი ჰქვია. 15 წელი გავიდა, რაც არ მინახავს, მაგრამ ვერ ვივიწყებ. რატომ დავშორდით? ერთად არც არასდროს ვყოფილვართ. ორივენი ერთნაირად ამაყები და თან მორცხვები ვიყავით. უფრო მეტად კი ერთმანეთის დაკარგვის გვეშინოდა... აი, შედეგი! — მტანჯველი მონატრება. მე, ქმარშვილიანი ქალი, ხშირად ვხედავ სიზმრად მშობლიური უნივერსიტეტის ეზოში მდგარ მურმანს (მე ის ლექციაზე შესული არ დამინახავს, თანაც, ოროსანი იყო). ეჰ, ისევ გადავეშვი მოგონებებში... უზომოდ მენატრება. მისი მოძებნა არც ისე ძნელია, მაგრამ თავს ვიკავებ, რადგან ვიცი, რომ ჩვენ ერთად მომავალი არ გვექნება. მაშ, რა გინდა, ქალო, მიხედე ქმარ-შვილსო, მეტყვით. ჰოდა, მეც ასე ვიზამ. წავედი. ამ აბდაუბდას არავინ დაბეჭდავს და თავსაც არ მოგაბეზრებთ. ყვავილ-ვარდო“.

ტუტუცი

„ერთ კაცს მეტსახელად ტუტუცს ეძახდნენ. ჰოდა, ერთხელ მისი შვილიშვილი, ავტობუსით მგზავრობისას, ერთ ლამაზ გოგოს დაეჯახა. ამ გოგომ უყვირა, შენ ტუტუცი ხომ არ ხარო? ეს ბიჭი მიუბრუნდა და იცით, რა აჯახა? — არა, გენაცვალე, ტუტუცის შვილიშვილი ვარო. აუუ, იმ გოგოს სახე უნდა გენახათ. 9717“.



გზავნილშვილი გიო

ფეხებდაბანილები

„თელაველი თიშკას პაპამ საქათმე გაარემონტა. იატაკზე ბეტონი დაასხა და ამის შემდეგ ყოველ საღამოს, ვიდრე ქათმებს დააბინავებდა, ფეხებს ჰბანდა. კახელი სალომე“.

„ცისფერი“ ბიძაშვილი

„მარი, პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ აფერუმ, შენს ნერვულ სისტემას! თუ რატომ, ამას თვითონ მიხვდები, ჭკვიანი გოგო ხარ. ახლა რაც შეეხება ამბავს, რომელიც ვერავისთვის გამიმხელია და მისი მოსმენის ან უკეთ რომ ვთქვათ, წაკითხვის ექსკლუზიური უფლება გხვდა წილად. მოკლედ, მყავს ბიძაშვილი ბიჭი, რომელთან ერთადაც გავიზარდე. სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა და უზომოდ გვიყვარდა ერთურთი. გარეგნულად გოგოს ჰგავდა და ძალიან განიცდიდა ამას. სულ ნერვიულობდა. დაახლოებით ათი წლის ასაკში, რუსეთში, მამიდასთან გამგზავნეს მშობლებმა. ლადო ამ დროს 11 წლის გახლდათ. 2 წლის შემდეგ ჩამოვედი და რა თქმა უნდა, ლადოც იმ დღესვე მოვიდა სტუმრად. საოცრად შეცვლილი იყო, ნაღვლიანი და სევდიანი ჩანდა. საერთოდ, როცა ერთად ვიყავით, მარტოებს ყოველთვის ერთ ოთახში გვეძინა. იმ საღამოსაც მარტო დავრჩით და თითქმის დაგვათენდა საუბარში. გამთენიისას ისეთი რამ მითხრა, მთელი 3 დღე ვტიროდი. მითხრა, რომ მათ მეზობლად გადმოვიდა ერთი ნაცხარი კაცი, რომელიც 1 წლის განმავლობაში აუპატიურებდა და გამჟღავნების შემთხვევაში, მშობლების მოკვლით ემუქრებოდა. 12 წლის ბავშვისთვის ანუ ჩემთვის, ეს ამბავი ათმაგად საშინელი გასაგები (ან რა გაგებაზეა ლაპარაკი) იყო. იმდენი შევძელი, რომ ლადო ჩემთან დავტოვე და ამასობაში, ის კაცი ისევ დაიჭირეს. გავიდა დრო. ამ თემაზე აღარც

„პაჟალუსტა“

„გურიაში ერთი მეზობელი მყავს, რომელიც კომუნისტების დროს საკმაოდ კარგ ადგილზე მუშაობდა — რაღაცის ხელმძღვანელი იყო. ერთ დღეს თანამშრომლებმა თქვეს, სამსახურში სუფთა ქართულით ვილაპარაკოთ, ვინც რუსულ სიტყვას გამოიყენებს, დავაჯარიმოთ და ყულაბაში ხურდა ჩავაგდებინოთო. ეს იდეა სულიკოსაც შესთავაზეს. მან უპასუხა: „პაჟალუსტა“! ასე რომ, პირველი დაჯარიმებულიც სულიკო გახდა. ჩუპი“.

ვსაუბრობდით და ერთმანეთზე ძველებურად ვაფანატებდით. მერე აღმოვაჩინე, რომ ლადოს ქალებით გატაცება მხოლოდ ნიღაბი იყო. მას კაცები უფრო ხიბლავდა. მალე თვითონ გამომიტყდა ამაში. ძალიან მიყვარდა და ამიტომ ვაპატიე. შარშან, ლონდონში წავიდა სასწავლებლად და 2 თვის წინ დაბრუნდა. მთელი დღე ერთად ვიყავით, ვსეირნობდით. შემდეგ, მე საქმე გამომიჩნდა სამსახურში და ბინის გასაღები მივეცი. გვიან დავბრუნდი და ვიფიქრე, არ გავაღვიძო-მეთქი და მეორე გასაღებით გავაღე კარი. საძინებელში კი ლადო და მისი (როგორც შემდეგ გავიგე, იმ დღისით გაცნობილი) პარტნიორი სიყვარულობდნენ. სხვა ოთახში გავედი და არ ვიცოდი, რა მექნა. კინაღამ შევიშალე. ლადო მალევე გამოვიდა და მხიარული საუბარი დაიწყო. ლეოც გამაცნო. კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე, მერე კი ორივენი გავყარე სახლიდან. 2 თვე გავიდა, ერთ კვირაში მიდის ლონდონში და მე ხმას არ ვცემ. იმ კადრებს ვერ ვშლი გონებიდან. მას კი უთქვამს, ალბათ, ჩემმა წარმატებამ დაბოღმაო. ბიძამ შემომითვალა, ცივი და უგულო ყოფილხარ, თურმე არ გიცნობდიო; მე კი ხმას ვერ ვიღებ ან როგორ ვთქვა ყველაფერი? მირჩევნია, ბოღმა ვეგონო ბიძას, ვიდრე შვილის მკვლელად ვაქციო. აი, ეს მინდოდა მეთქვა, თორემ გამაგიჟებდა უთქმელობა. პანდორა“.

„ბურაკი“

„დეიდაჩემის მეზობელმა ბაბულიამ ახალსოფლის ბაზრობაზე წინა კვირას ბურაკი (ბურვაკი) იყიდა. — მტრის გულის გასახეთქად, ჯიბრაზეო, — ასე ამბობდა. მოიყვანა სახლში და მაჯის სიმსხო ჯაჭვით ხეზე მიაბა. მერე მამაპაპურად გამოთვრა ჩვენი ბარბარიტა, რადგან ჩემი არ იყოს, გადაყლურწვა უყვარს და „მიბალიშდა“. ჰოდა, ეს „მტრის ჯიბრაზე“ ნაყიდი ბურვაკი დაეხვია ხეზე და... ცოტა ხანში მორბის ბარბარიტა ქოთქოთით, ბურაკმა წაკვი დაიჭირაო (ანუ მოკვდაო). ახლა მე გადამკიდებია, კარგი გოგო ხარ, „მართუშკიანი“ კაცი უნდა გაგირიგოო („მარშრუტკიანიო“). აბა, იცოდეს, რა „გავნიადინა“ ვარ! თუ გავთხოვდი ან მე ვიქნები, ან „მართუშკიანი“ კაცი და დარწმუნებული ვარ, დედამთილი რეზერვისტად წავა!“

პელაგია

„XI კლასში დამრიგებელი შეგვიცვალეს და პელო მასწავლებელი დაგვინიშნეს. ჩვენ მეხუთე კლასიდან მედიკო მასწავლებელი გვყავდა და ძალიან გვიყვარდა (ახლაც მიყვარს). არ გვინდოდა პელო და მეორე დღესვე ბიჭებმა დაფაზე დაუწერეს: „გაუმარჯოს პელაგიას, კოხტა ნიფხავ-პერანგიანს“. გასუსულები ვსხედვართ და შემოგოგმანდა პელოჩკა. მაშინვე დაფას მიახტებოდა ხოლმე და თარიღს აწერდა, ასეთი ჩვევა ჰქონდა. მივიდა მაშინაც და წაიკითხა, რა თქმა უნდა. სიბრაზისგან ცისარტყელას ყველა ფერმა გადაჰკრა. გაფითრდა და ჩემსავით დაება ენა. უნდა ეთქვა: რა, შარშანდელივით უნდა შემშალოთ და მაწამოთო? ამის მაგივრად იწივლა: რა შამჭამეთ და მამჭამეთო!“

გენიოსი სტომატოლოგი

„90-იან წლებში, როცა არც წყალი იყო, არც პური და არც დენი, ჩემმა ახლობელმა სწორედ მაშინ მოინდომა თავისი დაჟანგული კბილების შელამაზება და გამოცვლა. რაღა თქმა უნდა, ექიმიც ნახა. როცა ექიმმა ფასი უთხრა, იმ ჩემს „სარემონტო“ ახლობელს ეძვირა. ექიმმა უთხრა: თუ ფული არ გაქვს, სოფელში ცხოვრობ, მომიყვანე გოჭი, ინდაური, ყველი გექნება, ფქვილი, ხილი და იგივე ფული არ არისო? ექიმო, საჭმელს შენ მართმევ და კბილები რაღა ჭირად მინდაო? ჰკითხა საწყალმა პაციენტმა. კობრა“.

ოეეე!

„ჰო, მართლა, სკოლის თემაზე გამახსენდა, ერთი მასწავლებელი მყავდა, რომელიც დედაჩემის აღმზრდელი პედაგოგიც გახლდათ. ის ქალი 50 წელი მუშაობდა სკოლაში და ბევრი თაობა აღზარდა. თაობების განვითარების დადებით და უარყოფით გამოვლინებებს კი თავისებურად ხსნის. მაგალითად: პირველი მოსწავლეები ასე მიმართავდნენ: „პატივცემულო მასწავლებელო“; შემდეგ — „პატ. მასწავლებელო“; უფრო მოგვიანებით — „პატ. მასწ“; შემდეგ — „მასწ“ და ახლა კი — „ოეეე“. თაისი“.

შერცხვენილი თამადა

„ამას წინათ, სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ქორწილში ვიყავი მაყრად. დიდი ვაგლახისა და ტყლაპოში მანქნების გორიალის შემდეგ მივაღწიეთ დანიშნულების ადგილს. თამადამ მაყრებიდან აირჩია მოადგილე, ნამდვილი დევკაცა. თვითონ თამადა ძალზე ახალგაზრდა გახლდათ. ჰოდა, დიდად ვერ გაგვაკვირვა თავისი თამადობით. დათვრა და ღვინის თავზე დასხმა დაიწყო. ჩვენმა დევკაცამ უთხრა — წააგე, ხომ ხედავ, მეტს ვეღარ სვამ და სმა შეწყვიტეო. ამის გაგონებაზე, შეურაცხყოფილმა თამადამ ნიანგის ცრემლები ღვარა, სუფრიდან გაიქცა, ვერავინ შეაჩერა, იქვე, დაღმართზე ფეხი დაუცდა და ბზრიალით დაეშვა ქვევით, სადაც ტალახის აბაზანა ელოდა. ასე დარცხვენილი წაიყვანეს სახლში, პატარა ბავშვივით ატირებული და ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული. არადა, ძალიან შემეცოდა — ბევრი იტირა. არტემიდა“.

„გზავნილების“ მომდევნო ნომრისთვის თემად — საზაფხულო თავგადასავალს ვაცხადებ. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. „მოკლე ჩართვის“ კითხვა კი ასეთია — როგორ ვისვენებ? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

სხვების თანდასწრებით მიღებული შჩევა საყვედურს ჰგავს.

134 წლის კურტიზანი ქალის ცხოვრება

მარია-ანა გრაჰენი, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც მარიონ დე ლორმი, 1606 წელს, ქალაქ შალონში დაიბადა, რომელიც შამპანის პროვინციაში მდებარეობს.

მამამისი სასამართლოს მოურძალებული აღმასრულებელი გახლდათ. ახალდაბადებული მარიას ნათლია სრულიად შემთხვევით, გრაფინია სენტ-ევრემონი გახდა. ის შამპანში გავლით იყო. ამ მოვლენამ ახალგაზრდა მზეთუნახავის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. 16 წლის ასაკში მან სამუდამოდ მიატოვა მშობლიური სახლი და გრაფინიას მინვევით პარიზს ესტუმრა.

პირველი ნაბიჯები

მარია, გრაფინიას წყალობით, საფრანგეთის დედაქალაქში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი — წყალში. არისტოკრატი ქალბატონის მრავალრიცხოვანი, კეთილშობილი სტუმრები აღფრთოვანებული რჩებოდნენ პროვინციელი გოგონას სილამაზით. მალე ერთ-ერთმა, ყველაზე პრინციპულმა და გავლენიანმა მამაკაცმა, ჟაკ ბალედებარომ მისი ქალწულობა შეიწირა. ამბობენ, ამის შემდეგ ჟაკმა მთელი კვირა გრაფინიას სახლში გაატარაო. დღისით, სახლის უკან აშენებულ, ხის ქოხში იმალებოდა, სადაც მარიას მისთვის მალულად მიჰქონდა საკვები, ღამეს კი ახალი საყვარლის ალერსში ატარებდა. როცა ასეთი ყოფა მოსწყინდა, ჟაკმა გოგონა საცხოვრებლად თავისთან გადაიყვანა. გრაფინიას წინააღმდეგობა არ გაუწევია. გრაფმა გოგონას პროვინციული სახელი ახლით — მარიონ დე ლორმით შეუცვალა.

საყვარლების 4 კატეგორია

მარიონი უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა და მისი საყვარლების რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. მათ შორის იყვნენ კარდინალი რიშელიე, ბუკინგემის ჰერცოგი და რამდენიმე ათეული, ნაკლებად ცნობილი მამაკაცი.

არსებობს ვერსია: ბუკინგემის ჰერცოგის სიცოცხლე ნაადრევად იმის გამო დასრულდა, რომ მან 19 წლის დე ლორმი ყოვლისშემძლე რიშელიეს წაართვა. მან მარიონი 1625 წელს, პარიზში ვიზიტის დროს გაიცნო. რიშელიე კი წყენას არავის აპატიებდა და 1628 წელს, ჰერცოგი ჯონ ფელტონის ხელით მოაკვლევინა. ვიღაცამ მახვილგონივრულად შენიშნა, რომ კურტიზანი ქალის საყვარლები 4 კატეგორიად იყოფოდნენ:

1. ვისაც მარია სიყვარულით ნებდებოდა;
2. ვისაც ფულის გამო ნებდებოდა;
3. ვისაც პოლიტიკური გათვლების გამო ნებდებოდა;
4. ვისაც უსაქმურობისა და მოწყენილობის გამო ნებდებოდა.

კუჭტიზანი ქალის სალონი

1635 წელს დე ლორმს უკვე საკუთარი სასახლე ჰქონდა, რომელიც მეფის მოედანზე მდებარეობდა. იქვე იყო მისი სალონიც, სადაც სტუმრად არა მხოლოდ მისი საყვარლები, არამედ ლიტერატორები და ფილოსოფოსებიც დადიოდნენ. მათ შორის — პოეტი მილტონი, ფილოსოფიის მამად წოდებული — დეკარტი, ახალგაზრდა პოკლენი, რომელიც შემდეგ მოლიერის სახელით გახდა ცნობილი. დეკარტმა მარიონს

თავისი მეგობარი, ახალგაზრდა არისტოკრატი, სენ-მერსი გააცნო. მისი კარიერა წარმატებული აღმოჩნდა (ის ლუდოვიკო XIII-ის ფავორიტი გახლდათ), მაგრამ 1642 წელს ყველაფერი დასრულდა — კარდინალ რიშელიეს ბრძანებით დასაჯეს. პირველი შეხვედრის დროს, 20 წლის სენ-მერსს 35 წლის, შავგვრემანი ქალი არ მოეწონა, მაგრამ მალე მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. როგორც ჩანს, მარიონის ცხოვრებაში ეს ყველაზე ძლიერი სიყვარული იყო.

რიშელიესა და ლუდოვიკო XIII-ის სიკვდილის შემდეგ მარიონი პოლიტიკაში ჩაება და კარდინალ მაზარინის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას მიჰყო ხელი.

ოფიციალური ვერსიით, მარიონი 1650 წელს გარდაიცვალა, როცა მორიგი ორსულობის შესაწყვეტად, ძლიერი საშუალება მიიღო. სიკვდილის წინ კი აღსარება 10-ჯერ ჩააბარა და ყოველ ჯერზე ახალ-ახალ ცოდვებს იხსენებდა. ყველაზე საინტერესო კი ამის შემდეგ იწყება.

საიქიო ცხოვრება

ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, როგორც კი დე ლორმმა კარდინალის წინააღმდეგ წამოწყებული ინტრიგების გამო დაკავებისა და ბასტილიაში მოხვედრის საშიშროება იგრძნო, სიკვდილი გაითამაშა. გარდაცვლილის ანდერძის თანახმად, კუბოს თავი არ ახადეს. მარიონი საკუთარ დაკრძალვას ფანჯრიდან ადევნებდა თვალყურს, შემდეგ კი ინგლისში გაემგზავრა და მდიდარ ლორდს გაჰყვა ცოლად.

1661 წელს, დაქვრივებული მარიონი საფრანგეთში დაბრუნდა და კვლავ გათხოვდა. შემდეგ, ბედმა კვლავ ევროპის ჩრდილოეთით გადაისროლა, სადაც მისი მეორე ქმარი გარდაიცვალა. ის, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კრიმინალური ავტორიტეტი“ გახლდათ. დე ლორმი კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა და ახალი ქმარი, პროკურორი ლებრენი „იშოვა“.

მარიონი მესამედ 1705 წელს, 99 წლის ასაკში დაქვრივდა, ხოლო 1723 წელს მას თავის შენახვის საშუალება აღარ ჰქონდა და გადაყრუებულმა ბებრუხანამ ლუდოვიკო XIV-ს წერილი მისწერა, სადაც აღნიშნა, რომ მეფის ბაბუის ბაბუა, ბაბუის მამა და ბაბუა ჰყავდა ნანახი.

ახალგაზრდა მეფე გაოცდა, „ანტიკვარად“ ქცეული მარიონი მოინახულა და სიცოცხლის ბოლომდე პენსია დაუნიშნა.

შესაძლოა, ეს ყველაფერი ზღაპრად მოგეჩვენოთ, რომ არა ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტი. ჟამთააღმწერელთა მიერ შედგენილ დოკუმენტებში მინიშნებულია, რომ მარიონი 1741 წელს გარდაიცვალა (135 წლის შესრულებამდე სულ რაღაც 2 თვე აკლდა) და პარიზელები გააოცა, რადგან ყველას ეგონა, რომ დე ლორმი უკვდავი იყო. ●

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ზაფხული დასვენებასთან ასოცირდება. ამ დროს ხალხი მშობლიური ქალაქებიდან სხვადასხვა კურორტზე მიემგზავრება. ვისაც საშუალება არ აქვს, ის თავისი ქვეყნის ფარგლებში ცდილობს დასვენებას, ხოლო ვისაც ხელი მიუწვდება, უცხოეთში მიემგზავრება. უცხოეთში ტურისტების დახვედრა-მიღებას ყველა წესის დაცვით ცდილობენ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასული ტურისტებისთვის სპეციალურად, რუსულ ენაზე შედგენილ განცხადებებს აკრავენ. თუმცა, როგორც ჩვენ ინგლისურის, ისე მათ რუსული ენის გრამატიკულად შესწავლა უჭირთ და შეცდომებს ხშირად უშვებენ. ჯერ ერთ ფრაზას გავიხსენებ, რომელიც ბავშვობაში, მოსკოვში ყოფნის დროს, სასტუმროს კედელზე გაკრული ვნახე და დამამახსოვრდა. „თუ ეს საბჭოთა კავშირში თქვენი პირველი ვიზიტია, მაშინ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

✓ განცხადება ლიფტთან, ბუქარესტის სასტუმროში: „ლიფტი ხვალისთვის შეკეთდება. ვწუხვართ, რომ მანამდე გადაუტანელი დარჩებით“.

✓ ათენის სასტუმროს ლიფტში: „კაბინა რომ დაძრათ, დააჭირეთ ხელი საჭირო სართულის შესაბამის ღილაკს. თუ ლიფტით რამდენიმე ადამიანი მგზავრობს, ყველამ საჭირო ღილაკს დააჭიროს თითი. კაბინა ანბანის მიხედვით დაიწყებს მოძრაობას“.

✓ ტოკიოს სასტუმროს ნომერში: „სასტუმროს ნომრიდან პირსახოცების მოპარვა აკრძალულია, გთხოვთ“. წვრილი შრიფტით მინაწერი: „თუ ისეთი ადამიანი არ ხართ, ვინც ამის გამკეთებელია, გთხოვთ, ნუ წაიკითხავთ ამ განცხადებას“. იქვე, სააბაზანოში — „გთხოვთ, იბანაოთ აბაზანის შიგნით“.

✓ იუგოსლავიის სასტუმროში: „ქვედა საცვლის დაუთოებას სიამოვნებით ახდენს სართულის მორიგე“.

✓ რეკომენდაცია, მოსკოვის სასტუმროში: „სასტუმროს ახლომდებარე მართლმადიდებლური სასაფლაოს დათვალიერება, სადაც გამოჩენილი ადამიანები არიან დასაფლავებული, შეგიძლიათ ყოველდღე, ხუთშაბათის გარდა“.

✓ სამრეცხაო რომში: „დატოვეთ თქვენი ტანისამოსი ჩვენთან და საღამოს დროს სასიამოვნოდ გაატარებთ“.

✓ „სტოკჰოლმის სამკერვალოზე: „ვამზადებთ ქურქებს დამკვეთის ტყავისგან“.

✓ რომში, ექიმი ჯოვანი თავისი საქმიანობის რეკლამირებას შემდეგნაირად ახდენს: „ქალებისა და სხვა დაავადებების სპეციალისტი“.

✓ მექსიკელი სტომატოლოგი: „კბილის ამოღება უახლესი მეთოდისტებით“.

✓ კემპინგი გერმანიაში: „ჩვენს კემპინგში, სხვადასხვა სქესის ადამიანებს, მაგალითად, კაცებსა და ქალებს ეკრძალებათ ერთ ნომერში ძილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ამ მიზნით, განგებ არიან დაქორწინებული“.

რომორ ღავიმრძელოთ ფესვები

ქალების უმეტესობას სურს, რომ იმაზე გაცილებით მაღალი გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია. ამის მიღწევა კი რამდენიმე ეშმაკური ხერხით შეიძლება.

1. შეარჩიეთ ერთი ფერის ტანისამოსი, კოლეგტი და ფეხსაცმელი. თუმცა, ეს ყოველთვის არ არის გამართლებული და პრაქტიკული. მოდის ექსპერტები სხვა, გაცილებით უკეთეს მეთოდებს გვაჯარნახობენ.

2. შეარჩიე მაღალწელიანი კაბები, გაშვებული ბოლოთი. კაბა მუხლზე ოდნავ ზემოთ ან ოდნავ ქვემოთ უნდა მთავრდებოდეს. ტანზე მოტმასნილი ტანისამოსის ჩაცმისგან თავი უნდა შეიკავო.

3. არავითარ შემთხვევაში არ ჩაიცვა მოკლე შარვალი. ის თვალსა და ხელს შუა „მოგაჭრის“ ფეხებს.

4. შეიყვარე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ეს ფეხების დასაგრძელებლად უნივერსალური საშუალებაა. თუმცა კოჭთან გადაჭრილ თასმას უნდა მოერიდო. უმჯობესი იქნება, თუ საზაფხულო ფეხსაცმელს ქუსლი ღია ექნება.

5. მოკლე შორტის ჩაცმა შეგიძლია. ის არ უნდა იყოს ტანზე მომდგარი და მაღალწელიანი.

6. ნუ ჩაიცვამ მოკლე ტოპს, რომელიც მუცელს შიშვლად აჩენს. ის სხეულის ზედა ნაწილს ვიზუალურად აგრძელებს. მის ნაცვლად ჩაიცვი გრძელი, მოტკეცილი, გულამოღებული მაისური და გრძელი, ტანზე მომდგარი შარვალი.

ჯარგად დააჯვირდი ფოტოებს, რასაც ხედავ, აღწერე და ფურცელზე გადაიტანე. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები ნახე.





ძაღლის აღწერილობაში საკუთარ თავს გულისხმობ.
კატის აღწერილობაში – მეგობარს.
ვირთხის აღწერილობაში – მტერი იგულისხმება.
ყავის აღწერილობაში – რას ფიქრობ სიყვარულზე.
ოკეანის აღწერილობაში – საკუთარ ცხოვრებას გულისხმობ.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ერცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ბიჭები

1. ვარ მაღალი, თეთრი, ქერა, ცისფერთვალება, 20 წლის ქალიშვილი (მწარე ქალიშვილი!), ყოვლად აუტანელი, ავი, უზრდელი, ვირგლა, მაგრამ განათლებული (იმდენი თავი გამიხმეს). გამომეხმაურება ვინმე და გაჩენის დღეს დავაწყევლინებ. სამაგიეროდ, სერიალებს არ ვუყურებ. ჰა, როგორია?

2. ვარ ყოფილი კალათბურთელი და ცისფერთვალება. სერიოზული ურთიერთობისთვის დამიმესიჯონ 30-35 წლის, დასაქმებულმა და სიმპათიურმა მამაკაცებმა.

3. ვარ 33 წლის, წესიერი და პატიოსანი ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის მამაკაცს.

4. ვარ 40 წლის მანდილოსანი, ღია ფერებში. დაოჯახების მიზნით გავიცნობდი ღირსეულ, მორწმუნე მამაკაცს, ყველაფრით უზრუნველყოფილს, თბილისელს. მეც კარგი ვარ.

5. ნეტავ, არის ვინმე თბილისელი, ჭეშმარიტად მორწმუნე და ყველაფრით უზრუნველყოფილი ბიჭი, რომელიც ხასიათით ძალიან უბრალოა?

6. ვარ 32 წლის, პატიოსანი, წესიერი და მსურს წესიერი ოჯახის შექმნა. თუ ვინმეს სურვილი აქვს, დამირეკოს ან დამიმესიჯოს.

7. ვარ 32/170/80, უმაღლესი განათლებით, სიმპათიური. წლინახევრის გოგონას დედა გავიცნობ მამაკაცს, რომელიც ჩემს შვილს გაუწევს მამობას. შეიძლება ბავშვიანი ქვრივიც.

8. ვარ 21 წლის, შავგვრემანი, ლამაზი, სერიოზული გოგო. მინდა გავიცნო მხოლოდ ოჯახის შექმნისთვის, სერიოზული მამაკაცი, 23-30 წლამდე. უმჯობესია, იყოს დასავლეთიდან.

9. ვისაც სურს გაიცნოს თბილი, ერთგული, წესიერ ოჯახში აღზრდილი, დასაქმებული და ძალიან საყვარელი, 35 წლის, კარგი გოგო, დაუმესიჯეთ.

10. როგორც ვრწმუნდები, პატიოსანი ხალხი არ აინტერესებთ, მხოლოდ ერთობიან და სერიოზული ვერ წარმოუდგენიათ. გაიგებენ ასაკს და უკვირთ, 32 წლამდე გაუთხოვარი როგორ ხარო? ჩვენთან ხშირია გაუთხოვარი, ქალიშვილი გოგონები, რადგან ტრადიცია ჯერ არ დაკარგულა. ვისაც ქართული ოჯახის შექმნა სურს მხოლოდ ის დამიკავშირდეს. მხოლოდ პატიოსანი, მშრომელი და სუფთა სულის მქონე მამაკაცი. ვიცი, ოჯახის ფასი. კარგია დედ-მამა, და-ძმა, მაგრამ საკუთარი შვილები სჯობს, საკუთარი ოჯახი.

გადაჰყვები ძმას, ის დაქორწინდება და ცოლის გარდა არავინ ახსოვს. არც დედა. ახლანდელ გოგონებს კი მარტო ქმარი იშოვონ, სხვა არაფერი აინტერესებთ. მე 32 წლის ვარ.

მამაკაცები

11. ვარ 39/170/70/, სიმპათიური გარეგნობის, პატიოსანი მამაკაცი, რაიონიდან.

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ერთ კარგ, ლამაზ, კახელ გოგოს. ვარ 26 წლის, მაგარი მოსიყვარულე და ჯიგარი.

13. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის, 30 წლის. გავიცნობ ქალბატონს, 30-45 წლამდე. ირაკლი.

14. „გზა“ №31, მე-9 მესიჯის ავტორს გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. გმადლობთ, ლევანი.

15. ვარ თბილისელი, ტანსრული მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, ტანსრულ მანდილოსანს.



ყიოლვა შიმ ცწორად
დასვა, ჰასოხის
ნახევარი უნდა იყოდე.

16. ვეხმაურები მწვანეთვალება გოგოს. მაია, დამიკავშირდი. ვარ 25 წლის, კარგი ადამიანი.

17. ვარ საქმიანი. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით კარგი და ლამაზი გოგონა. ვარ 30 წლის, 180 სმ სიმაღლის, მწვანე თვალებით. ვარ ძალიან ერთგული.

18. ვარ 35 წლის, საცოლე მამაკაცი, 176/85 — სტანდარტით. გამომეხმაურონ სუსტი, მაღალი აღნაგობის გოგონები.

19. ვარ 40 წლის, ქვრივი, თბილისელი მამაკაცი. შვილი დაბინავებული მყავს, ცოლი მოვუყვანე და ცხოვრობს მარტო. ახლა დროა, ჩემს თავს მივხედო. ვარ მაღალი, უმაღლესი განათლებით. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო დასაქმებული, ბინიანი ქალბატონი. ვარ თბილი, დასაქმებული. გპირდებით ბედნიერებას. დანარჩენი — პირადად. არ წააგებთ.

20. ვარ 38 წლის. გავიცნობ მანდილოსანს, 25 წლიდან. მაღალსა და სიმპათიურს.

ადამ

21. ვეძებ ლადო ფიცხელაურს. ვიცი, რომ იგი ვლადიკავკაზშია. მინდა, როგორმე შეიტყოს ჩემი ნომერი. ერთხელ დავინახე იგი და იმწამს მივხვდი, თუ როგორ ძლიერ მჭირდებოდა. თავი ზღაპარში მეგონა. იგი მე სამსახურის შემდეგ სახლში მაცილებდა. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ჩემი პირველი სიყვარული ხარ, ჩემი პირველი სიხარული ხარ, ცრემლით მოხვედი, ცრემლით მიდიხარ, შენ ჩემი ბოლო სიყვარული ხარ, ჩემი ცრემლი ხარ, ჩემი დარდი ხარ. მენატრება... შეშლილივით მენატრებ... გევედრებით, მომაძებნინეთ ჩემი ლადო ფიცხელაური. ნინა პეროვსკაია, სიყვარულით.

სანდალ



• მარ, „მობილი-ზაციის“ მესიჯი არ დამიბლოკო, თორემ მართლა გადავირევი. შენი ბრალია ეს ომი და შეეცადე, მეც გამიგო. ჰოდა, არ დამიბლოკო მესიჯები, რა, გთხოვ! ლიმონა.

• გუ-ათენ, რატომღაც ხონს ახსენებ ხშირად და შემთხვევით, ხონელი ხომ არ ხარ? ლილე.

• შენს ლამაზ სულში ანგელოზს ვხედავ, მე შენი მსგავსი ვერსად ვიპოვე, არ შეგეშინდეს არაფრის ქვეყნად, მე შენზე ჩუმად ვილოცებ ღმერთთან. ლილე.

• მგზავნელებო, სატრფოს ვკარგაავ! სიყვარულს გაუმარჯოს, ჩუმსა და აუხსნელს, „მასტი“ რომ ვერ იტყვის და „როუა“ რომ გაუგებს. 9717.

• პარიჟანკას მლანძღველმა ნიკი მიაწეროს მის მესიჯს, თუ მაგარია. მის რეალს რისი სცხვენია, მაგი პირანიის გასარკვევი არაა. ილინ, სად ხარ? კავალ, მაგრად გეტყობა, მარის რომ პატივს სცემ.

• მოგესალმებით ყველას, როგორ ხართ, სიხარულებო? ბოდიში, რომ ვერ გეხმიანებით, მაგრამ მახსოვხართ და მემახსოვრებით. ბოტოტას უყვარხართ. გაკოცეთ.

• ფახაცუნა, როგორ ხარ, სიხა? პატარა ხომ არის მაგრად? მოკითხვა ყველას. ბიცოლა, ხომ ხარ, მაგრად? რა ვქნა, დავიკარგე, ტელეფონი არ მაქვს, მაგრამ მაინც მოგწერთ. ბოტოტა.

• მარი, არ დამღუპო, ბოხოს არ გადააფიქრებინო! მაგ ადამიანის გაცნობა ფანატიკურად მინდა. ძმა არ მყავს და როგორც კი ეგ ადამიანი გამოჩნდა, მის მიმართ დაძმური, საოცარი სითბო ვიგრძენი. რატომ, მე თვითონ ვერ ამიხსნია. სთხოვე, იქნებ მე მაინც გამიმხილოს ნომერი. ეჰ, ბოხო, ბოხო, თუ შენი ნომერი „მობილი-ზაციაში“ გამოჩნდა, მგზავნელები ისე „გაწიწკნიან“, კამელიას ვინღა აღირსებს მესიჯს?

• ყველა მეგობრულ სიყვარულს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს. როცა სიყვარული კვდება, ანგელოზი ტირის. მარ, გპირდები, ამ ანგელოზს არასდროს ავატირებ. აბეზარა.

• ღმერთო, ეს რა უბედურებაა? ხალხო, ასე რამ გაგაბოროტათ? მის რეალ და კამელია, უნიჭიერესები ხართ. პრინცესას და გუ-ათენს მოვიკითხავ, დიდი სიყვარულით. ხონსკი.

• მე მარტოობის დედოფალი ვარ, ტკივილისა და ნატვრის ასული. ტანზე მაცვია ტკივილის კაბა, სევდის ცრემლებით ამოქარგული. 38.

• კახას წასვლა მწყინს, მაგრამ ის სწორად მოიქცა. მე პირადად ვიცნობ მას და ვიცი, რა სულის პატრონია. კახ, სიგიჟემდე მიყვარხარ და ბოლომდე მეგობრები ვიქნებით. სვეტა.

• ბალი დაიკოა ჩემი და კი არ ვმალავ, მეამაყება! დანარჩენი ვინ არიან, არ ვიცი, მაგრამ მადლობა, გვერდში დგომისთვის. კახელო616-ს და ლიმონას შეეშვით! მის რეალი.

• მე დაცვა არავისთვის მითხოვია. უბრალოდ, არსებობს ხალხი, ვინც თეთრსა და შავს არჩევს და სიმართლისკენ დგას. გგონიათ, თქვენს ლანძღვას ყურადღებას ვაკქცევ? ეჰ! მის რეალი.

• ვკითხულობ „მობილი-ზაციას“ და გული სევდით მევსება. არ მინდა დავიჯერო, რომ სიყვარული არ შეგიძლიათ. უბრალოდ, გიყვარდეთ ერთმანეთი ხალხო და ნუ ეძებთ სხვის თვალში ბეწვს. საკუთარ თვალებში ეძებეთ დირე! არანაირი უფლება არ გაქვთ არც ერთს, ლანძღოთ მეორე. სანამ სიტყვას იტყვით, დაფიქრდით, თქვენ როგორი ხართ... უზნეო ანგელოზი.

• ო, საბრალო კავალ, იმ უმწეო ფინიას მაგონებ, შიშისგან დასველებული დიდ ნაგაზს რომ ეწკავწკავება. ნუ გეშინია, რამე დამამშვიდებელი დალიე და გამოიძინე, რაა...

• საყვარელ კამელიას: მიყვარხარ ტკბილო, სულით და გულით, სულ შენზე ვფიქრობ, დღისით და ღამით, ჩემი ფიქრები შენ გეხებიან, ჩემი ოცნების ხარ ანგელოზი. ლუნა.

• ეჰ, ხალხო, თქვენ რა იცით, განძის მაძიებელი რა თაფლი და მაგარი ადამიანია. კახ, „გზავნილებს“ უშენობა დაეტყობა. p.s. აქამდე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ საკმარისია! ლუნა.

• გრუზინკას მადლობელი ვარ იმ წუთებისთვის, შენ რომ მაჩუქე ამ ერთ კვირაში, ჩემთვის შენა ხარ არა მგზავნელი, არამედ უფრო სხვა, ზეციური. ახშხუილება გოგო ხარ. ლუნა.

• არ წახვიდე განძის მაძიებელო, თუ ძმა ხარ. ამდენი ბოღმა ერთმანეთის მიმართ, საიდან? სულს ნუ დაიმძიმებთ სხვების გაკიცხვით. არც მე ვარ უცოდველი. ამიტომ გეუბნებით. ცირა.

• არის წუთები, როცა რაღაცა გეჯავრება. არის წუთები, როცა სიყვარული გენატრება, არის წუთები, როცა სიცოცხლე გეზარება და ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა ვიღაც გენატრება.

• მე მარი ვარ, 20 წლის, თბილისელი. თუ რომელიმე მოხევეს, ხევსურს, სვანს ან ნებისმიერ მთიულს მოუნდება ჩემი გაცნობა, ძააალიან გამიხარდება. :)

• განძის მაძიებელო, 25 აგვისტოს გილოცავ დაბადების დღეს (ადრეა, მაგრამ...) ჯანმრთელობას და ცხოვრების მანძილზე ყველაფერ კარგს გისურვებ. კახა, დედიკო მომიკითხე. ედელვაისი.

• კარგი ახლა მის რეალ, გალაკტიონამდე ნამდვილად ვერ ქაჩავ... ისე, კარგი იქნება, თუ „გზაში“ გათვალისწინებული იქნება კაკუს მოწოდება, რადგან მართლა ლამაზად თქვა. თათა.

• კამელიას გავიცნობდი. რას იტყვი, ჩემო კარგუნია?

• ეს რამდენი დამცველი გამოუჩნდა მის რეალს! თვითონ ენა არ აქვს? ნუ პადხალიმობთ, რაა... ვიღაცამ თქვა, რა თქვენი საქმეა, რას დაწერსო. შენც იცოდე, რომ არავინ გეკითხება.

• ოეე, რა დღეში ხართ? ნამეტანი გაგივიდათ თავს. ცოტა ასტაროუნათ, არ გახადეს „მობილი-ზაცია“ ბოღმის ბუკეტების ბუდე? აყრა-დაყრა ნიკებს ნუ ეფარებით, რაა! კახელო616.

• პრივეტები ყველას. მე ახალი ვარ, მაგრამ ყოველთვის ვკითხულობ „გზავნილებს“ და ძალიან მომწონხართ. რო რამე იყოს, თქვენს სასტავში არ მიმიღებთ? რაჭველი.

• მის რეალ, თელაველი ვარ, მაგრამ ახლა თბილისში ვცხოვრობ. აგვისტოს ბოლოს ჩამოვალ თელავში და იმედია, გაგიცნობ. ისე, ახალი ვინაა, ძველ ნომრებს გადახედეთ! გოგა.

• მგზავნელებს იყენებსო, დას — მალავსო... ვერ აიყოლიეთ მის რეალი და ახლა ჭორებს უყრით? სადამდე დაეშვით? არ იცნობთ და რატომ ლანძღავთ? საოცარი ადამიანია. რომანტიკოსი.

• კახელო616, ლიმონა, კიკო და ყველა ის მგზავნელი, ვინც მის რეალის გვერდით ხართ, კარგები ხართ. მის რეალი არავის აქეზებს, თავად ვხედავთ, ვინ ვინ არის! კასი.

• ქუთაისელებო, სად დაიკარგეთ? თაისი, ლეო91. მგონი ეშმაკუნა და ფლამინგოც ქუთაისიდან არიან, არა? გთხოვთ, დაბრუნდით, უთქვენოდ მოვიწყინეთ. ქეთი, ქუთაისიდან.

• მადლობა კამელია, ასეთი კარგი რომ ხარ, იმიტომაც მიყვარხარ. გამიხარდა მგზავრის და შეწირულის დაბრუნება. გიუპოეტა, ხევსურო, მთიულო, ჩიპჩაპო, დაბრუნდით! მონარქი.

• განძის მაძიებელო, არ წახვიდე „გზიდან“, გთხოვ... მარტო შენ გამო ვკითხულობ „გზას“. უნახავად მიყვარხარ. scorpion girl.

• რა ვქნა გრუზინკა, როგორ არ ვეცადე და ვერ შევძელი შენთან დაკავშირება. აქ ტელეფონის ნომრებს არ აქვეყნებენ, თურმე. მარის კი გამორთული აქვს მუდამ ტელეფონი. ბოხო.

• მეე და შეეენ... რა გულიანად ვმღერით, ხანდახან. სიყვარული არ არსებობს. ის მითია და ალბათ რჩეულების ხვედრია. rock is my life. მხოლოდ სიბნელეს ვხედავ. green girl.

• ეგ რა თქვი, მის რეალ? გალაკტიონი მკვდარიაო? უკვდავია, ბოშო და ნუ კოკობზიკობ, შენი ლექსები შაირზეც ვერ გაქაჩავენ: კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი, არა იყო რაო... ჰმ!

• რამდენი ხანია, „გზაში“ არ მომიწერია. ველარ მოვითმინე და განძის მაძიებელს ვეტყვი, სხვას რას უსმენ? დაიკიდე, რა? კახა, ღმერთი გფარავდეს! ედელვაისი.

• როცა ვარდს წყვეტ, ხელთათმანი არ უნდა გაიკეთო, თორემ როგორი ლამაზი და სურნელოვანიც უნდა იყოს, მას ვერ შეიგრძნობ. ის მხოლოდ ყვავილად დარჩება შენთვის. უნდობი.

• მზემ მის რეალს სხივი სტყორცნა, აუდუღა აზრები, ნურც შენ ლიმონ, მაგ აზრებით, ნულარ დაგვებაზრები. თქვენს „სიბრძნეზე“ გვემართება გულისრევის სპაზმები! მახათი.

• დაკარგო ის, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასია, უკურნებელი სენია, რომელსაც ისეთი დიდი ექიმიც ვერ განკურნავს, როგორიც დროა. ის დროსაც დაასნეულებს. უნდობი.

• ჩიტმა ამბავი მომიტანა, მის რეალს და ლიმონას უკაცობა აწუხებთოო! რაო, ჯიგრებო, ძნელია, ჭორის მოსმენა? ახლა არ მითხრათ, ჭორი არ არისო... ენაზე კბილი არ მოიტეხოთ.

• ძნელია, როცა მოხუც ხეს ჭრიან. ახალს დარგავენ, გაივლის დრო და არავის გაახსენდება, რომ მის ფესვებზე ხარობს ახალი, რადგან მოხუცი ხე სანდო არ იყო. უნდობი.

• მარიკო და მგზავნელებო, არ გინდათ, „გზას“ დაემატოს გვერდი, სადაც მგზავნელების შემოქმედება დაიბეჭდება? ვფიქრობ, საინტერესო იქნება. თქვენ რას იტყვით? თელაველი.

• წავიკითხე ლიზის გამოხმაურება, ვინმე ბიძას რჩევა. რატომ გგონიათ, რომ ჩვენ, პატარებს არ შეგვიძლია თქვენი სიყვარული? ცდები, 20 წლის ვარ და 40 წლის ზემოთ მამაკაცები მომწონს. მიჭირს, მათზე უმცროსებზე ფიქრი. ვოცნებობ, რომ გავიცნო 40 წლის მამაკაცი, ლამაზი და საყვარელი. მე ამაში ვერც ცუდს ვხედავ ვერაფერს და ვერც სასაცილოს. აჩრდილი.

• არ დავიწყებ ჟურნალში რაიმეს მტკიცებას. ვისაც ჩემს სიტყვებში ეჭვი ეპარება, პირადად დამიკავშირდეს. ძალიან ვნანობ, რომ ამ ამბავში ჩავერიე. თქვენ არ ცდილობთ, სიმართლე დაინახოთ. შურმა დაგაბრმავათ. შეაყარე კედელს ცერცვი... ლიკას არაფერი დაუწერია ისეთი, რომ ამდენი აგრესია მიეღო. შენ მართალი ხარ, ქვა პირველად თქვენ ესროლეთ. ღვთის ბოძებულ სამყაროში სიმართლე ყოველთვის გაიტანს თავს, ლოდინი უნდა, მხოლოდ. არა, მარი? მე რა, ღმერთმა გადღეგრძელოთ, მთავარია, დაიმსახუროთ. ლიმონა.

• ქეთი, ბიცო, გეგონა, რასაც დაგპირდი, არ ავასრულებდი? ქეთი და ზაზა, მაგრად მიყვარხართ და აბა,

თავის თავსას ყველაზე მეტად მოჭადრაკეში ოფლისხილდებინან.

თქვენ იცით... უდიდეს ბედნიერებას გისურვებთ. კოკო, ვერ გიცანი, რომელი ხარ? ლუნა.

• ხალხო, არ დაიღალეთ, წყლის ნაყვით? არ მოგბეზრდათ ამდენი ლანძღვა? კახელო616 და მის რეალი უმაგრესი ხალხია. სიმართლეს ამბობენ და ეგ გამწარებთ? გოგონებო, მიყვარხართ!

• მგზავნელებო, მიყვარხართ, ამ პაწუკა გულით, სიცოცხლიდან სიკვდილამდე, ვინც ღირსია, რა თქმა უნდა. ძველი დრო მენატრება, როცა აქ სიყვარული სუფევდა. green girl.

• განძის მაძიებელო, არ მინდა, წახვიდე, რადგან ძალიან მიყვარხარ! შენნაირი ფაქიზი სულის და ლამაზი გულის ადამინს ვერ გავუფრთხილდით და ვერ დავაფასეთ. გვაპატიე. ერენიტა.

• ნუ ხურავ კარს! ნუ უშვებ ფარდას! განდევნე სევარასდროს, ისე გვჭირდება, ჩვენ ახლა განძის მაძიებელი! გვიყვარხარ! ნუ წახვალ! ერენიტა.

• ჩემო კეთილო იასამანო, შენი მოლოცვა იყო უტკბესი. დიდი მადლობა. მიყვარხარ ძლიერ. მიიღე ჩემგან კოცნა ულევი. მგზავნელებო, ასე ძაან რატომ მიყვარხართ? უკვე ერენიტა.

• ბაო, იუბილეს გილოცავ, ძვირფასო. სიყვარულს და სიხარულს გისურვებ ულევს. აუცილებლად დადგება დღე, როცა შენისთანა ფერიას გავიცნობ. მადლობა სითბოსთვის. გკოცნი. ერენიტა.

• მარ, რა იქნება, ელისოს სთხოვო და მისი პატარა გიოს სურათი დაგვიბეჭდო „გზაში“? ელისო, გთხოვ, გვაჩვენე პირველი გზავნილშვილი! შენ და გიო, ორივე მიყვარხართ! ერენიტა.

• მარიამულ, იცოდი, გმირი ხარ? არა? ჰოდა, შენ ამას ახლა გაიგებ, ხუთშაბათს კი მთელი საქართველო. მიყვარხარ და მაბოდებს შენზე! ერენიტა.

• გრუზინკა და ლუნა, ჩემი უსაყვარლესი გოგონები ხართ. მიყვარხართ ძაან, ძაან... სითბო და სიყვარულისთვის ზღვა მადლობა. თქვენ ჩემი ცხოვრება დაატკბეთ. გკოცნით. ერენიტა.

• გუშინ ჩემი სკოლის მასწავლებელი შემხვდა, ხელი ჰქონდა ყბაზე აფარებული. ვკითხე, რა მოგივიდათ, გერვასი მასწავლებელო? მან მითხრა — შვილო, არ იცი სადმე კარგი კბილის ექიმი? — გაგიუდით? კარგ კბილს რად უნდა ექიმი? სკოლაში როცა ვსწავლობდი, სისხლს ვუშრობდი ხოლმე. ძაან რომ გაბრაზდებოდა, დაიწყებდა — თქვენ სიგრძე მე 3 მაქვს ჩამოკიდებული გულზე მედალიო, მე ომის ვეტერანი ვარ, ომში გმირობა ჩავიდინე, ასე ვქენი, ისე ვქენიო... ერთხელაც, ვუთხარი: კი, მაგრამ პატივცემულო, გვიამბეთ ერთი თქვენი გმირობის შესახებ! დაიწყოო... გერმანელს, ბიძიკოებო, ფეხი მოვჭერიო. კი, მაგრამ, პატივცემულო, თავი რატომ არ მოჭერით? თავი, ბიძიკო, მოჭრილი ჰქონდაო. კიდევ, რა გმირობა გაქვთ ჩადენილი? — საშვილიშვილო გმირობა ჩავიდინე, ბრძოლის ველზე გაფუჭებულ ტანკს შევუვარდი, მერე დამიჭირეს და ჩემი დახვრეტა უნდოდათო. მერე რა ქნეს, დაგხვრიტეს? როგორც ხედავ, კიი! ჯეჯე.

• პირადი პრობლემის გამო „გზიდან“ მივდივარ. ჩემს მეგობრებს არ ვშორდები, უბრალოდ, „გზაში“ აღარ დავამესიჯებ. მე ახლა წერის გული არ მაქვს. კარგად იყავით. გრუზინკა.

• „ლაკალუტს“ რეკლამა არ სჭირდება, უშენოდაც გასაღდება, მაგრამ შენ ვერ საღდები და დღითი დღე იგრუზები. დაგრუზული მთხრელი ხარ და სხვის ნიკებს ეფარები. კახელო616.

• კოკოს დიდი მადლობა, გაიხარე! ხომ ხედავ, გიცანიი! დიდი გოგო გაიზარდე. p.s. მავნე, მაგრად მიყვარხარ, დედი. უმაგრესად! ჩემი სიცოცხლე და სიხარული ხარ. ბაო-ბაო.

• პრივეტები ყველას. როგორ ხართ? მარი, მე ახალი ვარ და ხომ მიმიღებთ? გეხვეწებით. დრეამერი.

• მარი, იცოდე, რომ

მოკლე ჩართვა

როგორ ღავვატიჟებ პრეზიდენტს ღასასვენებლაღ?

• ბატონო მიშა... ჩვენ, გურულები ნამეტანი კაი ხალხი ვართ. ჰოდა, თუ ჩამოხვალ გურიაში, პირობას გაძლევთ, არ მოგაწყენთ. სულ ცხელ-ცხელ „იუმორინებს“ მოგართმევთ ყოველდღე. ახლა, ქეიფს არ იკითხავთ? სულ თქვენს მოსაწონ სუფრებს გაგიშლით და კეცის მჭადებს და ხაჭაპურებს არ მოგაკლებთ. ჩვენებურ ადესას და ორნახად ჭაჭასაც არ დაგამადლით და სისხამ დილით ყანისკენ მიმავალ გზასაც გაგიყენებთ თოხით ხელში. მართალია, ჩვენ ვართ ყველაზე სწრაფები მსოფლიოში, მაგრამ არც თქვენი სისწრაფე გვაწყენს, ყანის გათოხვნისას... იკუშკები.

• მართალია, ჩვენთან ყველაფერი ფასიანია, მათ შორის, სასადილოც და ფრენაც, როგორც დელტაპლანით, ასევე პარაშუტით, მაგრამ მაინც, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ დასვენება გჭირდებათ. სამაგიეროდ, უფასოდ გაგიწმენდთ აურას და შეგილოცავთ „თვალის ცემაზე“. კლიკი.

• ბატონო მიხეილ, იმედია, არ გამაწბილებთ და მესტუმრებით. ჩემი ორი ოთახის კარი თქვენთვის, გიგა ბოკერიას, ბრედ პიტისა და დიმა ბილანისთვის, ყოველთვის ღია იქნება. გელით სულითა და გულით. ლუნა.

• ბატონ მიშას: გთხოვთ, მობრძანდეთ ჩემს მოკრძალებულ სახლში, სადაც სტუმრად იქნებიან თქვენი უახლოესი მეგობრები — ჯორჯ ბუში, იუშჩენკო და ალიევი, მეუღლეებით. გრუზინკა.

გარშემო გამეფებულ, უკუნ წყვდიადში ჩემი ციცინათელა ხარ და რა საჭიროა იმის მოწერა, რომ გიყვარვარ? მე ეს ისედაც ვიცი. ლუნა, მიყვარხარ! კავალა.

• წვიმა უწვეთოდ... ტირილი უცრემლოდ... ცა უმზეოდ... მთვარე უვარსკვლავოდ... ვარდი უეკლოდ... ეს ჩვენ ვიქნებით, უშენოდ... შენ არ უნდა წახვიდე, განძის მაძიებელო.

• ჯეჯე, მე ლუდის მოყვარული არ ვარ, ამიტომ შენს იუმორს უფრო ვცემ პატივს, ვიდრე ნებისმიერ ლუდს. :) იასამანი.

• ლოდინით დაღლილი, ჩურჩულით ახსნილი, თვალები დახრილი, გვაშორებს მანძილი, ოცნება-წადილი, ლამაზი-ნამდვილი, მეც მინდა თქვენს გულში პატარა ადგილი... იასამანი.

ბარბარეს



• პატარა გული სულ შენზე ფიქრობს, ნეტავ, სად არის ან ვისთან იყო? ფიქრობს, როდესაც ის რჩება მარტო და ყოველ წუთას შენს ნახვას ნატრობს. ანტონ, ძალიან მიყვარხარ.

ანანეს

• ჩვენს მონატრებულ დაიკოს, მეგი ცერცვაძეს ვულოცავთ დები, დაბადების დღეს, 5 აგისტოს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შვილების, შვილიშვილების კარგად ყოფნას. გვენატრები ძალიან. გკოცნით და გეხვევით. თინიკო, გიული და ციური.

• თაია პატარაიას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ ყველა იმ სიკეთეს, რაც უფალს მოუვლენია ქვეყნად.

• თაია პატარაიას, 7 აგვისტოს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ულევ სიხარულს, ბედნიერ მომავალს და ულამაზეს სიყვარულს. ღმერთი იყოს შენი მფარველი. დალი.

• თიანეთში, ევა ძოძიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიხარული და ღვთის წყალობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა. უსაზღვრო მონატრებით, მზია და ნანი.

• ჩემს სიხარულს, ჩემს ერთადერთ იმედს, ლუკა სეფერთელაძეს ვულოცავ 31 ივლისს, დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ბიჭი, გაახარე ჩემი გული, ჩემო პატარავ. სიგიჟემდე მენატრები შენი მონატრებული დედა, თამუნა.

• თიანეთში, კეთილშობილ მილიციელს, იური თიგინაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს შენს ოჯახთან ერთად. ნანა ჯიმშიტაშვილი.

• დაბადების დღე მინდა მივულოცო, აგვისტოს თვეში დაბადებულ, თინიკო და ნინო ხუციშვილებს, ბესიკოს და ივანეს, ელგუჯა ფუხაევს და ზოია გარჩაკოდაშვილს. გილოცავთ ყველას და გისურვებთ, მთელი სიცოცხლე არ მოგკლებოდეთ ღმერთის მფარველობა. ზაირა.

• ჩემს ტყუპისცალს, ჩემს საყვარელ დაიკოს, ნაირა მახარაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 7 აგვისტო. გილოცავ, სიხარულო, შენს 4 მერცხალთან ერთად და გისურვებ, ბედნიერი დედა ყოფილიყავი. გფარავდეთ უფალი. ზაირა.

• ქეთინო კაპანაძეს და იზა გედენიძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ღმერთი გფარავდეთ, თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. პასიოლკელებო, მენატრებით. ვანი მაგარია. ბოტოტა.

• ჩემო სოფია, შვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 9 აგვისტოს. დაესწარი მრავალს, ღმერთი იყოს შენი მფარველი მუდამ, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო გოგო. როგორ მინდა, ჩაგეხუტოთ. შენი დედიკო.

• ჩემი შვილის ნათლიას, ცირა წამალაიძეს და ეთუკა წამალაიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და უფლის წყალობას, საყვარელ მეუღლესთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მეგრელო.

• რუსთავის პირველში ნოდარ სამნიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიყვარხარ. მრავალს და მრავალს. თამო.

• იკჩოს და ბაოს დაბადების დღეს ვულოცავ მოგვიანებით. სიკეთეს, სიყვარულს და ნათელ დღეებს გისურვებთ. ქეთუსიას: არა მგონია, მოხუცი დაბრუნდეს. ის ხომ წავიდა... გრუზინკა.

• მამუკა კანდელაკს (მოხუცს) ვულოცავ იუბილეს, 8 აგვისტოს და რაც კი კარგი და საუკეთესოა ამ ქვეყანაზე, ყველაფერს შენ გისურვებ, მეგობარო. გკოცნი, შენი სულელი პრინცესა.

• მაია სეფიაშვილს და ხვიჩა კანდელაკიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გაიხარეთ! ოჯახი.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

რა აქვს საერთო ტიკინის და აფიფურ ცდეს?

თერმომეტრი ისეთ ტემპერატურას უჩვენებს, რომ კი არ გეუბნება, გიბრძანებს, დროა, შვებულებაში წახვიდეო. ზოგი ანტალიის მზეს ეფიცხება, ზოგი — აჭარის, ზოგიერთი კი თბილისის ზღვაზე ან მდინარის პირას ირუჯება. ერთნიც და მეორენიც წასვლამდე საცურაო კოსტიუმს გულდაგულ არჩევენ. მამაკაცების უმეტესობა, გამოაღებს კარადის უჯრას, ცელოფანის პარკში „პლავკას“ ჩატენის და ჰერიი! ქალები კი... მათთვის მთავარია, საცურაო კოსტიუმი ახალი, თანამედროვე მოდის შესაფერისი, ტანზე კარგად მორგებული იყოს და ნაკლსაც ფარავდეს. ორიოდე საუკუნის წინ მცხოვრებ ქალებს კი აზრადაც არ მოუვიდოდათ, რა პრობლემების წინაშე დადგებოდნენ მათი შთამომავლები.



მოდა საცურაო კოსტიუმებზე, ევროპაში, XVIII საუკუნეში, საფრანგეთსა და ინგლისში კურორტების წარმოშობასთან ერთად შეიქმნა. ასეთ კურორტებზე სანაპირო 2 ნაწილად იყო გაყოფილი — ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. ქალები ნაპირზე ჭყუმპალაობდნენ, წყალს სპეციალური ჭურჭლით ისხამდნენ და წუწაობდნენ. ეს ყველაფერი ე.წ. საცურაო კოსტიუმში ხდებოდა, რომელიც გულდახურულ, კოჭამდე კაბას მოგაგონებდათ. მოდის კარნახის საფუძველი კულტივირებული მოკრძალება გახლდათ. მაშინდელი საცურაო კოსტიუმები არაპრაქტიკული და მოუხერხებელი იყო, რადგან კორსაჟი და კრინოლინი მის აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა, რომელიც ქვედაბოლოს იმაგრებდა. გარდა ამისა, აუცილებელი იყო, პლაჟზე გასულ ქალს თხელი წინდა და ფეხსაცმელი ან თასმებით შეკრული ჩექმა სცმოდა. ეს „აღჭურვილობა“ წყალში დასველების შემდეგ ისე მძიმდებოდა, რომ ქალს უზარმაზარი ტვირთის თრევა უწევდა. ეს კი გვარიან სატანჯველს წარმოადგენდა. თანაც, ქალბატონი ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რომ ჭყუმპალაობის დროს შემთხვევით კაბა არ წამოსწეოდა და ფეხი არ გამოსჩენოდა.

ვიქტორიანული ეპოქის დასაწყისში ქალბატონები ვალდებულნი იყვნენ, სელის ან ფლანელის საცურაო კოსტიუმი სცმოდათ. 1860 წლიდან ისინი ორნაწილიანმა საცურაო კოსტიუმმა შეცვალა. ზედა ნაწილი ჟაკეტს წარმოადგენდა, ქვედა ნაწილი კი გრძელ პანტალონს, რომელიც ფეხებს მთლიანად ფარავდა. გარდა ამისა, სპეციალურად პლაჟისთვის, თასმებზე შესაკრავი ფეხსაცმელი გამოიგონეს. ამგვარად, საცურაო კოსტიუმი გაცილებით პრაქტიკული და მიმზიდველი გახდა, მაგრამ სიმძიმის გამო ქალებს მისი ტარება მაინც უჭირდათ.

XIX საუკუნის ბოლოს ცურვა ოლიმპიური სპორტის სახეობა გახდა, რამაც ქალებს საშუალება მისცა, მამაკაცების მხარდამხარ ეცურათ და მძიმე საცურაო კოსტიუმისგან გათავისუფლებულიყვნენ. 1880 წელს საცურაო კოსტიუმის ახალი მოდელი — „პრინცესა“ შეიქმნა. ის ერთმანეთზე გადაკერებულ ბლუზასა და პანტალონს წარმოადგენდა. მძიმე ქვედაბოლო ბამბის ქსოვილისგან შეკერილმა შარვალმა შეცვალა. ჩალის ქუდი საცურაო კოსტიუმის დამამთავრებელ შტრიხად იქცა.

XX საუკუნეში, კოკო შანელის მოწადინებით, საცურაო კოსტიუმების მოდაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა, რაც მოწინავე საფრანგეთის გავლენა იყო. აქ პირველებმა მიიღეს საცურაო კოსტიუმის მოკლე ვარიანტი. ქალებმა მუცლის გაშიშვლებას მოუხშირეს და საცურაო კოსტიუმის ყოველი მომდევნო, ახალი მოდელი უფრო და უფრო აშიშვლებდა სხეულს.

ნამდვილ რევოლუციად ღია საცურაო კოსტიუმის შექმნა იქცა, რომელიც 2 — ზედა და ქვედა ნაწილისგან, ტოპისა და ტრუსისგან შედგებოდა და სახელად ბიკინი ეწოდა.

1946 წელს, დიზაინერმა, ლუის რეარდმა პოდიუმზე ბიკინის დემონსტრირება მოახდინა. საცურაო კოსტიუმს სახელი რამდენიმე სამხრეთამერიკული კუნძულის — ატოლა ბიკინის პატივსაცემად ეწოდა, სადაც ამერიკა ატომურ ცდებს ატარებდა. ბიკინიმ მსოფლიო ატომური აფეთქების ტალღასავით დაიპყრო. კაცობრიობის ისტორიაში საცურაო კოსტიუმს ასეთი მინიმალური ზომებისთვის არასოდეს მიუღწევია. გარდა ამისა, იმ დროს მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ქსოვილის ეკონომია იყო საჭირო.

პურიტანულმა საზოგადოებამ ბიკინი იოლად მიიღო. XX საუკუნის 40-იან წლებში ბიკინიმ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ბაზრის 20% დაიკავა.

1960-იანი წლები გაბედულთა წლებია. რუდი ჰენრიჩმა ბაზარზე საცურაო კოსტიუმის ახალი „სახეობა“ გაიტანა — მხოლოდ ტრუსი და არავითარი ტოპი!

1980-იან წლებში რიო-დე-ჟანეიროს პლაჟებზე პირველად გამოჩნდა სტრინგი. ამერიკაში მოდურად ის ტრუსი მიიჩნეოდა, რომელიც 2 თოკით იკვრებოდა. საცურაო კოსტიუმის ქვედა ნაწილმა V-ს ფორმა მიიღო. სხვათა შორის, ახლა მოდა რეტროს სტილს უბრუნდება და ყველაზე მოდურად ტანზე მომდგარი შორტი მიიჩნევა. ●

პლასტიკური ქირურგიის მადლი



ინგა ჯაყელი

სიყვარულის გაგება, როგორც ჩანს, მართლა ძნელია, თორემ რაც თინიკომ გივისთვის გააკეთა, იმას ზოგი დედა, შვილის სიცოცხლის გადასარჩენადაც არ გარისკავდა... თან, დაფასება მაინც შეეძლოს... ისეთი მოღალატე ბუნების პატრონი, როგორიც გივია, წელიწადში ცხრა ქალს მაინც იცვლის და ცხრავეს დაუნანებლად „ისვრის“ საბოლოოდ, გვერდზე. მას ახლა ოთხი ქალისგან 5 ნაბიჭვარი ჰყავს, რომელთაც კატეგორიულად უკრძალავს „მამის“ დაძახებას და ძველ ანეკდოტს იშველიებს თავის გასამართლებლად: მონადირე ნანადირევს კბილს რომ არ აკარებდა, — ხორცი არ მიყვარს, დამიზნების პროცესზე ვგიჟდებიო! — მეც „დამიზნების პროცესზე“ მეკეტება ჭკუა, თორემ ბავშვის დანახვაზეც კი ისტერიკა მეწყებაო...

არც გარეგნობა უვარგა გივის მაინცდამაინც — ჩასკვნილია და „მოკლე“. მელოტი თავი კი, გეგონება, პირდაპირ ბეჭებიდან ამოსვლიაო, იმდენად მოკლე კისერი აქვს. ჰოდა, ვერავინ ხვდება, რატომ იგიჟებენ ქალები მისთვის თავს. არადა, ფაქტია, ვისაც ერთი ღამე მაინც გაუტარებია მასთან, სხვა კაცის ხსენება აღარ უნდათ და არიან ერთ ამბავში, ეხვეწებიან და ემუდარებიან ცოლად შერთვას, ყველაფერზე ყაბულს არიან, ოღონდაც გივიმ მათ გვერდით ყოფნა გადაწყვიტოს...

გივი კი, რომელმაც ორი თვის წინ გადააბიჯა 40 წელს, კატეგორიულად აცხადებს: 50 წლამდე არ ვაპირებ ცოლის შერთვას და მაშინაც „ძველებს“ შანსი არ გაქვთ, „წარსულის სანაგვეში“ ქექვას არ ვაპირებო...

თინიკო უბრალოდ „რიგითი ქალი“ კი არა, ოდესღაც ცოლი იყო გივისი. მართალია, მხოლოდ 9 თვე იყვნენ ერთად, კანონიერ უღელშებმულნი, მაგრამ ეს მცირე ვადა მაინც ნიშნავდა რაღაცას: სხვა ქალებთან შედარებით, მეტი პრეტენზია გასჩენოდა შეყვარებულ ქალს...

სხვათა შორის, მაშინდელი განშორება, გივის კი არა, თინიკოს ბრალი იყო: მაშინ 20 წლისებიც არ იყვნენ. თინიკოს „თვალებბრიალა“ მამა და ორი „მუტრუკი“ ძმა ედგა ზურგს უკან, გივი მიტოვებას როგორ გაუბედავდა?! მაგრამ ცოტას მაშინაც „იპარავდა“, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ბავშვი გაუჩნდათ და საერთოდ აღარ უნდოდა შინ გაჩერება, ჩვილის ღნავილით გულგაწვრილებულ „ახალგამომცხვარ“ მამას. მოკლედ, არც მეტი და არც ნაკლები, ბავშვობის მეგობართან წაასწრო თინიკომ ქმარს. ის გოგო ხომ ითრია თმით და სამუდამოდ დაკარგა, გივიც აღარ გაიკარა სიახლოვეს: ვეღარც მე მნახავ და ვეღარც ბავშვსო! — დაემუქრა. ეგონა, შვილის უნახაობით გატანჯული კაცი მუხლებში ჩაუვარდებოდა, მაგრამ... გივის არც მაშინ მოსვლია აზრად უკან მიხედვა და მით უმეტეს, მას შემდეგ...

ყოფილი ქმრის ჯიბრზე, თინიკო სამჯერ გათხოვდა. მესამედ — მართალია, ბებერ, მაგრამ მილიონერ მამაკაცზე, რომელმაც მთელი მსოფლიო მოატარა, მაგრამ ქალს ბედნიერება ვერავინ და ვერაფერმა მიანიჭა. ცხადში ხომ სულ გივიზე ფიქრობდა, სიზმარშიც სულ ის ეცხადებოდა... ჰოდა, მესამე ქმარი რომ დამარხა, 40 დღის მერე შავები გაიხადა, საქართველოში დაბრუნდა და გივი მოძებნა. არც ბევრი მიკიბ-მოკიბვა დაუწყია, პირდაპირ უთხრა: შენ გარდა არც ვინმე მყვარებია და არც ვინმე მნდომებია; თუ არ გიყვარვარ, მილიონების ხათრით მაინც შემირთე კვლავ ცოლად და თუ ჩემზე წინ მოკვდი, ოქროს კუბოთი დაგმარხავო...

არც გივის გასჭირვებია პასუხის დაბრუნება: სანამ ცოცხალი ვარ, არაფერში მჭირდები, როცა ამდენი „უპატრონო“ ლამაზმანი დადის ქვეყანაზე; რომ მოვკვდები, თუ გინდათ, სულ ნუ დამმარხავთ, ისე დამწვითო!..

ზოგიერთი ქალი ასეთ უტიფარ კაცს ზურგს შეაქცევდა, მაგრამ თინიკო პირიქით, აზარტში შევიდა და ქონების ნახევარი დახარჯა — ერთი წლის განმავლობაში 12 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა მსოფლიოს საუკეთესო კლინიკებში: სიგრძე-სიგანესა და ნაოჭებთან ერთად, ნახევარი ასაკიც „ჩამოიკლო“ — ისე, რომ საკუთარმა შვილმაც ვერ იცნო. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, მაინცდამაინც გივის მახლობლად დაიქირავა უცხოელებისთვის საგანგებოდ აშენებული მინისასტუმრო და ბოლოს და ბოლოს, კაცის ყურადღებაც მიიპყრო... კარგა ხანს ადევნინა და ახვეწნინა და სანამ ცოლად შერთვაზე არ დაითანხმა, „შიშველი წვივიც“ არ დაანახვა...

გივიმაც — ჯანდაბას, ანგელოზია, თანაც მდიდარი, კიდევ ერთხელ გავრისკავო! — და იმით გახარებული ახლობლები, რომ მის ბედს ეღირსნენ, ქორწილში (ვიწრო წრეში) დაპატიჟა...

ქორწილის შემდეგ წყვილი პირდაპირ პარიზში გაემგზავრა და როცა თინიკო „ქალწულიც“ აღმოჩნდა (ესეც პლასტიკური ქირურგიის წყალობით, რა თქმა უნდა...), გივი ირწმუნებდა კიდეც, ღვთის რჩეული ვარო, რომ არა ის საბედისწერო ტყირპი, რომელიც თინიკოს დაბადებიდან დაჰყვა მარცხენა ძუძუს ქვეშ და გივის გულის გასახეთქავად, განგებ არ მოიშორა; და რომელიც ერთკვირიანი თანაცხოვრების შემდეგ „აღმოაჩინა“ კაცმა... დაინახა და... ღამის სისხლი ჩაექცა ტვინში. არც უფიქრია, რომ დამთხვევა იყო...

— თინიკო ხარ, შე წყეულო?! — წამოხტა საწოლიდან...

ქალი დამცინავად უცქერდა... გივიმ ტანსაცმელს წამოავლო ხელი და ჩაცმა დაიწყო. სულ დაავიწყდა, პარიზის მეტრო მის უბანში რომ არ მიდიოდა...

— როგორც სასტუმროს კარს გასცდები, მაშინვე დაგაპატიმრებენ და იცოდე, თითს არ გავანძრევ შენთვის! — დაემუქრა ქალი. ჰოდა, აგერ მესამე წელია, გივი საქართველოს სიზმარში ხედავს მხოლოდ და იმისი იმედი აქვს, რომ თინიკოს ადრე თუ გვიან მოჰბეზრდება მისი თავხედობა თუ პრეტენზიები და სამშობლოს (უფრო მეტად — ქართველი ლამაზმანების) ხილვას ეღირსება. სწორედ ასე დაემუქრა ქალი: სანამ არ მომბეზრდები, ვერსად გამექცევიო!..

ასკდება გივი გულს და პლასტიკურ ქირურგებს წარამარა დედას აგინებს...

„ნევტუნის“ მიერ მაზუთიან კასრში

მონათლული მეზღვაური

ბავშვობაში ზოგი პოლიციელობაზე, ზოგიც — მეზღვაურობაზე, ექიმობაზე, მფრინავობაზე და ა.შ. ოცნებობს. მაგრამ როდესაც არჩევანის წინაშე დგებიან, ხშირ შემთხვევაში, ბავშვობის ნაოცნებარს უარყოფენ ხოლმე, რადგან ხვდებიან, ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწევენ; ან სულაც, ოჯახის წევრების გავლენის ქვეშ ექცევიან და მათ დაჟინებულ მოთხოვნას — რომ შვილმა მშობლის პროფესიას უნდა მისდიოს, ანგარიშს უწევენ. მეზღვაური ალექსანდრე ხაიდაროვიც ერთ-ერთი მათგანია, ვინც ოჯახურ ტრადიციას არ უღალატა. მართალია, მისთვის არავის არაფერი დაუძალებია, მაგრამ მან მამის მსგავსად, მეზღვაურობა გადაწყვიტა.

„ჩემი შვილი პირველად რომ ვნახე, ს�მი თვის იყო...“



ჩემს ოჯახში მესამე თაობის მეზღვაური ვარ და ზღვა ძალიან მიყვარს

თორნიკე ყაჯრიშვილი

— როდის გადაწყვიტე, მეზღვაური გამხდარიყავი?

— მეზღვაურობა ბავშვობიდანვე მინდოდა. მამაჩემიც საზღვაო კაპიტანი იყო. ორმოცი დღის, უკვე გემზე ვიყავი და აქედან გამომდინარე, აბა, სხვა ვინ უნდა გამოვსულიყავი, თუ არა მეზღვაური?! მამა ათი წელი ჩრდილოეთში მსახურობდა. ჩვენც მასთან ერთად ვცხოვრობდით. მე იქ ხუთი წელი დავყავი, მერე კი ფოთში გადმოვედით.

— როგორ გახდი მეზღვაური?

— სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სამხედრო აკადემიაში, სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტზე ჩავაბარე. მამაჩემსაც ეს ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. აკადემიიდან ლენინგრადში, ფრუნზეს სახელობის საზღვაო სასწავლებელში გამიშვეს, რომლის დამთავრების მერე შტურმანის და სამხედრო ინსტრუქტორის დიპლომი ავიღე. უნდა აღვნიშნო, რომ შტურმანს, პირველ რიგში, გემის კურსის დაგეგმვა, მარშრუტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალება და სხვათა შორის, ყველაზე ხშირად, გემის კაპიტანი სწორედ შტურმანი ხდება.

— ზღვაში უკეთ გრძნობ თავს თუ ხმელეთზე?

— მე ორივეგან კარგად ვგრძნობ თავს. სხვათა შორის, სატელიტური ანტენის საშუალებით, გემზეც არის ინტერნეტი, ტელეფონი... მაგრამ სიმართლე გითხრა, ექვსი თვის მანძილზე გამუდმებით ერთსა და იმავე ადამიანებთან ურთიერთობა ძნელია. რაც მეტი დრო გადის, სულ უფრო და უფრო მძაფრდება ოჯახის წევრების, ახლობლების მონატრება და რაღაც პერიოდის შემდეგ ყველა მხოლოდ შინ დაბრუნებაზე ფიქრობს.

— როდესაც სახიფათო სიტუაცია იქმნება, ეკიპაჟის წევრები როგორ იქცევიან — მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობენ თუ ერთმანეთზე ზრუნავენ?

— ზღვაში ერთი კაცი თავს ვერ გადაირჩენს და ამიტომაც, იძულებული ხარ, მთელი ეკიპაჟის გადარჩენაზე იფიქრო. მეზღვაური ნებისმიერ დროს მობილიზებული უნდა იყოს. გემზე ყველას თავისი მოვალეობა აკისრია და საქმეს ერთ-ერთმა მათგანმა მაინც რომ უღალატოს, ყველას დააზარალებს.

— თუ მეზღვაური დაავადდა, ამ შემთხვევაში რა ხდება?

— საერთოდ, მსგავსი რამ იშვიათად ხდება, რადგან ზღვაში გასვლის წინ, მეზღვაურები აუცილებლად გადიან სამედიცინო შემოწმებას, იკეთებენ აცრებს და დაავადებებისგან დაცულნი არიან, მაგრამ თუ ადამიანი მაინც დაავადდება, მისი შეცვლა უახლოეს პორტში მოხდება.

— ყველაზე მეტად, რას აფასებენ მეზღვაურები?

— პირველ რიგში, ალბათ, თავისუფალ დროს, რის დეფიციტსაც ნამდვილად განვიცდით. ასევე, ძალიან გვაკლია ძილი (*იცინის*).

— მეზღვაურებს რაიმე პროფესიული ჩვევები თუ გაქვთ?

— ჩვენ, შეიძლება ითქვას, განსხვავებულ ენაზე ვლაპარაკობთ, გვაქვს ჩვენი, ე.წ. ზღვის კანონები. ასევე, ახალბედა მეზღვაურებს, გამოცდილე-

ნათლობის რიგუალი

ბი მახეს ხშირად უგებენ, ეხუმრებიან. მათი „წამება“ დაახლოებით ერთი თვის მანძილზე გრძელდება. ერთხელ, მე და „სტარპომი“ (კაპიტნის უფროსი თანაშემწე) ნაპირზე ვიყავით გადასულები. გამოიარა მეზღვაურმა, რომელსაც ეტყობოდა, საქმე არაფერი ჰქონდა. „სტარპომმა“ უთხრა, — წადი და სამმეტრიანი ჯოხით წყლის სიღრმე გაზომეო. ისიც, ორი საათის განმავლობაში ცოდვილობდა (იცინის). მერწმუნეთ, რომ არა იუმორი, გემზე ყოფნა ჯოჯოხეთად იქცეოდა... ზღვაში გასვლის წინ, გემის ეკიპაჟის წევრები ერთმანეთს ზურგის ქარს და შვიდი ფუტი სიღრმის წყალს ვუსურვებთ. არის კიდევ ასეთი წესი: იმ დღეს, როცა გემი ეკვატორს კვეთს ანუ „ნეპტუნის დღეს“ კოსტიუმირებულ დღესასწაულს ვაწყობთ. კაპიტანი ნეპტუნის ფორმაში ჩაცმულ მეზღვაურს ეკითხება, — გემზე ვინმე მოუნათლავი ხომ არ არისო (იგულისხმება საზღვაო წესით მონათვლა)? და იმ შემთხვევაში, თუკი ეკიპაჟის წევრებს შორის ვინმე ასეთი აღმოჩნდება, ის აუცილებლად უნდა მოინათლოს, სხვანაირად გემი ეკვატორს ვერ გადალახავს. მინდა აღვნიშნო, რომ როცა ზღვაში პირველად გადიხარ, მაშინაც გნათლავენ — ერთ ლიტრ ზღვის წყალს გასმევენ, მაგრამ ეკვატორზე გასვლისას, ნათლობის უფრო სერიოზული რიტუალი ტარდება: მეზღვაურს მაზუთიან კასრში სვამენ, ასხამენ ლუდს, მერე კი ე.წ. საზღვაო სახელს (რომელიმე თევზის სახელს) არქმევენ და ამის დამადასტურებელ ფურცელსაც აძლევენ, რომელსაც აუცილებლად კაპიტნის ხელმოწერა და სპეციალური ბეჭედი ამშვენებს. ეს ადასტურებს, რომ შენ ეკვატორზე, ნეპტუნის მიერ მოინათლე. მე ამ წესით ორი წლის წინ მოვინათლე და მაზუთიან კასრში ფოტოც კი მაქვს გადაღებული.

— უცხო ქვეყანაში რომ ჩადიხართ, ცოტა ხნით გემის დატოვების უფლება თუ გაქვთ?

— კი, მაგრამ ამისთვის დრო არასდროს გვყოფნის, რადგან გემი ხან დასატვირთია, ხან — გადმოსატვირთი. გამუდმებით საქმე გვაქვს. სხვათა შორის, ტვირთის მოძრაობას, წონას, განლაგებას შტურმანი აკონტროლებს...

— გემზე ქალები თუ მუშაობენ?

— კი, მუშაობენ, მაგრამ მე არასდროს შემხვედრიან.

— შენი ცხოვრების წესს მშობლები, ცოლ-შვილი როგორ ეგუებიან?

— დედა ამას დიდი ხნის წინ შეეგუა, რადგან მამაც მეზღვაური იყო, მაგრამ ჩემი მეუღლისთვის, ცხადია, ამ ყველაფერთან შეგუება ძალიან ძნელია. მას, ფაქტობრივად, მარტოს უწევს შვილების აღზრდა. ბავშვები იშვიათად მხედავენ. ჩემი მეორე შვილი პირველად რომ ვნახე, სამი თვის იყო. ზღვაში თვეობით გავდივარ და ცხადია, ოჯახის წევრებს ვაკლივარ, მაგრამ რა ვქნა, სანამ ვიმუშავებ, ასე მოგვიწევს წვალება.

მეზღვაურს მაზუთიან კასრში სვამენ, ასხამენ ლუდს, მერე კი ე.წ. საზღვაო სახელს არქმევენ

იმ დღეს, როცა გემი ეკვატორს კვეთს ანუ „ნეპტუნის დღეს“ კოსტიუმირებულ დღესასწაულს ვაწყობთ

— მეზღვაურები პენსიაზე როდის გადიან?

— თუ წლების მანძილზე ერთსა და იმავე კომპანიაში მუშაობ და ეს კომპანია ფინანსურად ძლიერია, მაშინ შესაძლოა, პენსიით უზრუნველგყონ. სხვა შემთხვევაში, პენსია არ გეკუთვნის. მეზღვაურად მუშაობა სამოც წლამდეა შესაძლებელი, შემდეგ კი, თუ დიდი ხნის სტაჟი გაქვს და კარგ რეკომენდაციასაც მოგცემენ, საქმის გარეშე არავინ დაგტოვებს, რაღაცას მაინც გამოგიძებნიან.

— პროფესიას ახლა რომ ირჩევდე, გადაწყვეტილებას ხომ არ შეიცვლიდი?

— არა, ჩემს ოჯახში მესამე თაობის მეზღვაური ვარ და ზღვა ძალიან მიყვარს. საერთოდ, ყველამ თავისი საყვარელი საქმე უნდა აკეთოს. არიან მეზღვაურები, რომლებიც ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა, ზღვაში გასულიყვნენ და ალბათ, მათთვის ეს სამსახური ტანჯვის ტოლფასია.

— შენმა შვილებმაც მეზღვაურობა რომ მოინდომონ, დათანხმდები?

— თუ სურვილი ექნებათ, რატომაც არა!.. ■

გერმანელ პოლიციელ ქალებს სპეცბიუსტჰალტერებს დაურიგებენ

ქალის თეთრეულის ამ ატრიბუტის პოლიციური სახეობა უფრო საიმედოდ დაიცავს იმ 3 ათას სამართალდამცველ მანდილოსანს, რომელიც ბოროტმოქმედთა დაკავების ოპერაციებში, დემონსტრაციების მეთვალყურეობასა თუ სახელმწიფო საზღვრის დაცვაში მონაწილეობს. როგორც ამ აქციის ინიციატორმა, ოფიცერმა ქალმა — კარმენ კიბატმა განმარტა, თუ ქალს აცვია ბიუსტჰალტერი, რომელსაც ლითონის ან პლასტმასისგან დამზადებული დეტალები ახლავს, ჯავშანჟილეტში ტყვიის მოხვედრისას, მან შეიძლება, სერიოზული ტრავმა მიიღოს. აქედან გამომდინარე, „სპეცბიუსტჰალტერი მხოლოდ ისეთი მასალისგან დამზადდება, როგორიცაა: პოლიეესტრი, ბამბა, პოლიამიდი ან ელასტანი; ბრეტელები ძალზე გამძლე და ამავე დროს, რბილი უნდა იყოს“, — დასძინა კიბატმა. ფედერალური პოლიციის პრესმდივანმა რუდიგერ კარსტენსმა კი სიამაყით განაცხადა: „ქალის საცვლის ასეთი სახეობის შემუშავების შედეგად, პიონერები გავხდით და ყველას დავანახვეთ, რომ გერმანიაში ყველაფერი კეთდება მოსამსახურეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად“. ■

მრავალფერადი ნიმანი



დასაწყისი „გზა“ №24-31

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ამ ფიქრებში გართულმა ირაკლიმ კიდევ ერთხელ დაამთავრა შემოვლა, მერე ცივი წყალი გადაივლო და ძალაგამოცლილმა ლოგინს მიაშურა. თავი ბალიშზე დადო თუ არა, მაშინვე ჩაეძინა...

ნანა ესიზმრა... რამდენი ხანია, არ დასიზმრებია... სადღაც გაშლილ ველზე იყვნენ, რომელსაც მდინარე ჩაუდიოდა. ნანა იქითა ნაპირზე იდგა, სრულიად შიშველი და ბროწეულისფერ თხელ შარფს ნაზად უქნევდა ირაკლის. მორიელს საიდანღაც ახსოვდა ეს შარფი, ზუსტად ეს ფერი, სურნელიც კი დაამახსოვრდა მისი — ინგლისური დასახელების უძვირფასესი ფრანგული სუნამოსი, თუმცა სახელი სიზმარში ვერ გაიხსენა... და იგი გარბოდა ამ ქალისკენ, ამ სხეულისკენ, რადგან... მასში იყო თავმოყრილი მისი ბედნიერების თავიც და ბოლოც, დასაწყისიც და დასასრულიც... მთელი მისი ცხოვრების აზრი... მაგრამ მეორე ნაპირი თანდათან წყალში იძირებოდა. როგორც კი ირაკლი ბალახზე ფეხს დადგამდა, მიწა ნელ-ნელა რღვევას იწყებდა და მის ნაკვალევზე ჭაობი ჩნდებოდა. მამაკაცი მძიმედ ეფლობოდა მწვანე მახეში, ცდილობდა, ამომძვრალიყო, მაგრამ მისი ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ამის გამო, იძულებული ხდებოდა, ძველ ადგილს დაჰბრუნებოდა. ერთი ნაბიჯითაც ვერ შეძლო, მიახლოებოდა სანუკვარ ქალს, ის კი უქნევდა და უქნევდა შარფს, იცინოდა და იცინოდა...

შემდეგ მის სმენას გასროლის ხმა მისწვდა და მიხვდა, რომ თაკოს ესროდნენ. უკან მოიხედა... მართლაც, თაკო დალანდა. ახლა მისკენ გაქცევა გადაწყვიტა, რათა მიშველებოდა. „მახრჩობელა მინდორი“ ამის საშუალებასაც არ აძლევდა. ირაკლი დაჭაობებული ველის ტყვე აღმოჩნდა — იგი არც პირველი ქალისკენ უშვებდა მამაკაცს და არც მეორისკენ...

მოულოდნელად თვალები გაახილა... თავის საწოლში იწვა. მთელმა ღამემ თვალწინ გაურბინა. ნახევრად ძილბურანში მყოფმა, თავდაპირველად ვერც გაარჩია, რა იყო ცხადი და რა — სიზმარი, ისე აერია გონებაში ყველაფერი. ჰო, თაკოსთან იყო... ჰო, რაღაც მოხდა, მაგრამ... რა მოხდა? რა იყო ეს? რატომ მოხდა? რისთვის? გამოფიტვა, თავზარდაცემა, შეცბუნება, აღგზნება, კმაყოფილება, აღტაცება... — ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების აღრევა ხდებოდა მის სულში, სრულ ქაოსს მოეცვა იგი...

ადგომის თავი არ ჰქონდა. ფანჯარაში გაიხედა, უკვე გათენებულიყო. ყური მიუგდო. სახლში სიჩუმე გამეფებულიყო. არა, ვიღაცის ნაბიჯების ხმა ესმის... მსუბუქი, თაკოსეული... ასე მხოლოდ თაკო დადის, სხვა არავინ...

კარი გაიღო და ის შემოვიდა თხელ, გამჭვირვალე, ბროწეულისფერ პენუარში მოლივლივე. ეს ის ფერია, სიზმარში რომ ნახა, მაგრამ — შარფი?.. ის შარფი საიდან ახსოვს?.. ჰო, გაახსენდა!.. ის შარფი მერის ეკეთა ხოლმე, გურამის მეორე ცოლს... ბოლოს იმ ღამეს ნახა, აეროპორტში რომ აცილებდა, ყელზე მსუბუქად ჰქონდა შემოხვეული...

— გაიღვიძე? — ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა გოგონამ. თმაგაწეწილს სახე გაჰფითრებოდა, თვალების ირგვლივ შავი ჩრდილები გასჩენოდა.

ირაკლი საწოლზე წამოჯდა. არ იცოდა, როგორი რეაგირება უნდა მოეხდინა, თაკოს ღიმილით ნათქვამ „გაიღვიძეზე“. არ იცოდა, ელაპარაკა თუ არ ელაპარაკა ასეთი ბობოქარი, ასეთი ვნებიანი ღამის შემდეგ. ერთი რამ, რაც დანამდვილებით იცოდა, რომ უნდოდა, შეკითხვა იყო: „რატომ, რა საჭირო იყო ეს ყველაფერი? რაში სჭირდება თაკოს მისი სიყვარული?“ მაგრამ ხვდებოდა, შეკითხვა უაზრო იქნებოდა, რადგან გოგონა პასუხს არ გასცემდა, თუმცა ამწუთას ეს ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა. მას უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული თემები ჰქონდა თაკოსთან ერთად განსახილველი.

— დილა მშვიდობისა, — მისასალმებლად, პირადმა მცველმა ყველაზე ნეიტრალური ტონი აირჩია, — ადრე გაგიღვიძია, მეგონა, ჯერ შუა ძილში იქნებოდი...

თაკომ მისკენ საკოცნელად გაიწია, მაგრამ მამაკაცმა ცივად დაუხვედრა ხელი და უცნაურად გაუღიმა.

— ახლა ამის დრო არ არის. წადი, ჩაიცვი, სალაპარაკო გვაქვს! — მისდა უნებურად, მაინც გულგრილად გამოუვიდა.

გოგონას ღიმილი პირზე შეაშრა. ისედაც ჩაშავებული თვალის უპეები უფრო ჩაუშავდა. ერთხანს გაქვავებული იჯდა მის საწოლზე და თვალს ადევნებდა, როგორ იცვამდა მამაკაცი. მერე მძიმედ წამოდგა, თავი დაღუნა და ისე გავიდა ოთახიდან, სიტყვა არ დაუძრავს. ირაკლიმ ნაღვლიანი მზერა გააყოლა...

საუზმემ დუმილით ჩაიარა. ორივე უგულოდ მიირთმევდა. ირაკლის კინაღამ ყელში გაეჩხირა შემწვარი კარტოფილი.

— არ მეტყვი, რა უნდა მითხრა? — სიჩუმე გოგონამ დაარღვია, დანა-ჩანგალი დადო, თითები ერთმანეთში გადახლართა და პირად მცველს მიაჩერდა.

ჭინკები მიიმალნენ მის თვალებში. მამაკაცმა მზერა აარიდა და სადღაც შორს, სივრცეში გაიხედა.

— შენ წინასწარ უნდა გეთქვა ჩემთვის, ასე არ შეიძლება... — დაიწყო მცირე

პაუზის შემდეგ ირაკლიმ.

— რა უნდა მეთქვა? — ვერ მიუხვდა გოგონა.

— ის, რომ... ის, რომ... მე შენთვის პირველი მამაკაცი ვიყავი.

— მერე რა მოხდა? ვიღაც ხომ უნდა ყოფილიყო პირველი! — მიამიტურად გაუღიმა თაკომ.

— ეს სახუმარო არ არის, პატარავ, — ჭინკები განრისხებულნი ამოძრავდნენ თვალის გუგებში, — გესმის? ეს არ არის სახუმარო! — ხმას აუწია მორიელმა.

— სულაც არ ვხუმრობ. მერე რა? განა რამე დაშავდა ამით?!

— მომისმინე, პრინცესა... ეს აღარ უნდა გამეორდეს...

— როგორ?! — თაკოს შუბლზე კოპები დააჯდა.

— არ უნდა გამეორდეს მანამ, სანამ მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, — დაასრულა მამაკაცმა და ღრმად ამოიხვნეშა.

— რატომ? ეს რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ შენთან სიახლოვე ხელს მიშლის მოვალეობის შესრულებაში. გასაგებად ავხსენი? შეიძლება, ისეთი რამეები გამომეპაროს, რასაც მერე საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ. მე აქ შენს დასაცავად ვარ მოვლენილი და — არა...

— და არა ჩემთან სასექსაოდ... ამის თქმა გინდა?

— რაც გინდა, ის დაარქვი. მე ვმუშაობ, დროს კი არ ვატარებ.

— ა-ა-ა! აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე. მუშაობ... სამსახური სიყვარულს ხელს არ უშლის.

ამ სიტყვის გაგონებაზე ირაკლი შეცბა, ჭინკები თითქოს დაიბნნენ, აქეთ-იქით მიაწყდნენ თვალის გუგებს. თაკო ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ირაკლის რეაქცია — მისი სიყვარულის მიღებას თუ უარყოფას. დასკვნა ვერ გამოიტანა — უყვარდა მამაკაცს თუ განვლილი ღამე მხოლოდ წუთიერი სისუსტის გამოხატულება იყო.

ირაკლიმ მისი რეპლიკა უპასუხოდ დატოვა. თეფში განზე გასწია, შუბლი მოისრისა და უსიტყვოდ წამოდგა. ჯერ უაზრო ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში, მერე კი გაღიზიანებული გარეთ გავარდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად...

გოგონა მთელი დღის განმავლობაში თავისი საძინებლიდან არ გამოსულა. ირაკლიმ დაღამებამდე რამდენჯერმე სცადა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ უშედეგოდ — გოგონას მასთან საუბარი არ სურდა. „არა უშავს, გაუვლის და მიეჩვევა“, — გული დაიმშვიდა მორიელმა და გიგას დაურეკა, — რამე ახალი ხომ არ მომხდარაო?

— იყო ერთი ცრუგანგაში. მაინც გადავამოწმეთ, მაგრამ — სულ ტყუილად.

— იქნებ დააჩქაროთ ცოტა, აღარ შემიძლია უკვე ამ ბავშვის მოთოკვა, ძალიან თავნებაა, — მის ამ სიტყვებში სიმართლეც იყო და ტყუილიც.

— რა ვქნა, მეგობარო, ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია. ცოტაც მოითმინე. შენ მანდ „დარმაედი“ ფული შემოგდის, ზიხარ შენთვის, სასახლეში გამოჭიმული, მე რაღა ვთქვა, ამ სიცხეში ენაგადმოგდებული რომ დავრბივარ?! — უსაყვედურასავით ძმაკაცმა.

— კარგი, კარგი, — სასწრაფოდ დანებდა ირაკლი, — თუ რამეს გაიგებ, მაშინვე დამირეკე, შენებურად, 24 საათის შემდეგ არ შემატყობინო...

გიგასთან ლაპარაკს მორჩა თუ არა, გიოსთან დარეკა, ანგარიში ჩააბარა — ჯერჯერობით სიწყნარეა, ახალი არაფერი მომხდარაო. ეჰ... იცოდეს გიომ, რაც მოხდა წუხელ... საინტერესოა, რას იტყვის გურამი, ეს ამბავი რომ გაიგოს? ღმერთმა დაიფაროს! ირაკლის ამის გაფიქრებაც კი ზარავდა!

მოულოდნელად გამოერკვა. რა მოსდის? ეს რა სენტიმენტალური აზრები აეკვიატა?!. „ეჰ, ირაკლი, ირაკლი! ხომ არ დაგავიწყდა, სამუშაოზე რომ ხარ? მიდი, საქმეს მიხედე!“ — შეუძახა საკუთარ თავს და შემოვლა დაიწყო.

კარგა ხნის დაღამებული იყო. ეზოში გასვლა დაეზარა, ერთი საათის წინ ყველაფერი საგულდაგულოდ შეამოწმა, ახლა შევა და კამერებს ნახავს, იქიდან დაათვალიერებს გარემოს. მიდიოდა და თან, გზადაგზა ყველა ფანჯრიდან ეზოში იყურებოდა — ისე, ყოველი შემთხვევისთვის. სიმშვიდეა, ასაფორიაქებელი არაფერია. არა, ისინი მეტჯერ ვეღარ გაბედავენ გამოჩენას, მით უმეტეს — სახლში. ყველაფერს აქვს საზღვარი... კამერებს შეავლო თვალი. საეჭვო არაფერი ჩანდა. ისევ პირველ სართულზე ჩავიდა, სამზარეულოს მიაშურა. ყავა მოიდუღა და მაგიდას მიუჯდა. ფეხები გაშალა და ტაბურეტზე შემოაწყო. ესიამოვნა...

მერე კვლავ მეორე სართულზე ავიდა. თაკოს კარს მიაყურადა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მძიმედ ამოიხვნეშა და ის იყო, თავისი ოთახისკენ შეტრიალდა, რომ ოდნავ გასაგონი ხმა მოესმა, თითქოს რაღაცამ გაიშლიგინა ეზოში.

„ეს რაღაა?“ — უმსუბუქესი ნაბიჯებით გაირბინა დერეფანი და ბოლო ფანჯარას მიასკდა, ოღონდ ისე დადგა, მინას არ შეხებია, გარედან რომ არ დაფიქსირებულიყო. ერთიანად დაიძაბა, გაშეშდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და მალულად გაიხედა ნახევრად განათებულ ეზოში. არაფერი... სრულიად არაფერი. ნუთუ მოეჩვენა?! შეუძლებელია. მეორე ფანჯრისკენ გადაინაცვლა და კვლავ გაიხედა. აი, ისიც... ღანდი! წელში მოხრილი სილუეტი სწრაფად გადაადგილდებოდა სახლის ერთი კუთხიდან მეორისკენ... ისევ გაეკრა კედელს. მას ერთი უპირატესობა ჰქონდა: თავად სიბნელეში იმყოფებოდა და გარედან ადვილად ვერავინ შენიშნავდა. დაცვა საადღაა? ისე როგორ შემოიპარა ვიღაც, რომ მათ ვერ გაიგეს? საიდან შემოვიდა? საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. მექანიკურად, იარაღისკენ წაიღო ხელი. სილუეტი მოძრაობას აგრძელებდა. ამჯერად მან სარდაფის ფანჯრისკენ გადაინაცვლა.

ირაკლი სასწრაფოდ შებრუნდა თავის ოთახში და განგაშის ღილაკს მიაჭირა თითი, ამით გარეთა დაცვა გააფრთხილა, რომ „სტუმარი“ ჰყავდათ. ამასაც არ დასჯერდა და პოლიციაშიც დარეკა, შეატყობინა საშიშროების შესახებ, თუმცა მათი დროზე მოსვლის იმედი არ ჰქონდა. არა მარტო ფილმებში იგვიანებს პოლიცია, ცხოვრებაშიც ასეა, ამის დიდი გამოცდილება ჰქონდა პირად მცველს, ამიტომაც გადაწყვიტა, მარტოს ემოქმედა.

თაკოს სახლი, ირაკლის საბედნიეროდ, ისე იყო აგებული, რომ ყრუ კედელი არ ჰქონდა — ორივე სართულის ოთხივე მხარეს ფანჯრები იყო დატანებული. შუქი მხოლოდ შემოსასვლელ კართან ენთო, დანარჩენი სამი მხარე — თუ მთვარის შუქს არ ჩათვლიდით — თითქმის ჩაბნელებული გახლდათ.

ირაკლიმ ღამის განათების სათვალე მოიძია და სიბნელეს გახედა. ეს სათვალე ავღანეთიდან ჩამოიტანა, „მზითევში“ ერგო. ღანდი დასავლეთის კედლისკენ გაიქცა და უეცრად მისი თვალთახედვის არიდან გაქრა. როგორც ჩანს, კედელს აეკრა.

ეს ძალიან არ მოეწონა მორიელს. სირბილით ჩავიდა ჰოლში და შემოსასვლელი კარი უხმაუროდ გააღო. წინ გაიხედა, ჭიშკრისკენ. იქ ჩამიჩუმი არ ისმოდა. დაცვის ბიჭებს ან ეძინათ, ან უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ჭიშკრისკენ გზას ორივე მხრიდან მწვანე გაზონი გასდევდა, მოკლედ შეკრეჭილი ჩაის ბუჩქებით. სწორედ ეს ბუჩქები გამოადგა ამწუთას: მოიკუზა და ფეხის წვერებზე შემდგარი დაუყვა გაზონს. თან დაიძაბა, ანთებულ შუქზე

იგი მართლაც, კარგი სამიზნე იყო, თუკი ვინმე უთვალთვალებდა, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო. მას ახლა დისტანცია სჭირდებოდა, რათა შორიდან დაჰკვირვებოდა ეზოს უკანა მხარეს ჩასაფრებულ უცნობს, რა ჰქონდა განზრახული და რისთვის ესტუმრა ამ სახლს. არ იყო გამორიცხული, თავდამსხსმელები ორნი ან მეტნი ყოფილიყვნენ...

როგორც ჩანს, არავინ უთვალთვალებდა. მშვიდობიანად მიაღწია გაზონის გაყოლებაზე ჩარგული ვარდის ბუჩქებამდე და მათში ჩაიმალა. ცოტა ხანს ასე დაყო, გაუნძრევლად, მაგრამ სილუეტი არ გამოჩენილა. მერე მიწაზე გაწვა და სახლის უკანა მხარისკენ გახოხდა, თან ღამის განათების სათვალე შუბლზე დაიმაგრა...

სარდაფის შესასვლელთან ვიღაც ჩაკუზულიყო და ხელებს დიდი მონდომებით ამოძრავებდა. ირაკლის წამით მოეჩვენა, რომ ლანდი მიწას თხრიდა. საიმისოდ ბევრად შორს იყო, გარკვევით რომ დაენახა, რას აკეთებდა მომხდური.

მორიელი ყოყმანობდა. არ იცოდა, რამდენი დრო ჰქონდა... აფეთქებამდე...

ამაში იგი უკვე დარწმუნებული იყო: მოსული თუ მოსულები სახლის აფეთქებას გეგმავდნენ.

შეძლებდა მარტოდმარტო თავდამსხმელთან გამკლავებას? იქნებ, სხვებიც არიან სადმე ჩასაფრებულნი?

მას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჩაცუცქული შავი სილუეტი ასაფეთქებელ მოწყობილობას ამონტაჟებდა. სწრაფად უნდა გადაეწყვიტა: დასხმოდა თავს თუ ჯერ შეემოწმებინა, სხვაც ხომ არ იყო სადმე მიფარებულში, სახლის სხვა მხრიდან.



არა, ასეთ რისკს ვერ გასწევს. ამით ბევრ დროს დაკარგავს, სხვა კი შეიძლება, არც იყოს. ხოხვით გააგრძელა გზა. ახლა უკვე ათიოდე მეტრი აშორებდა ლანდს. რა ქნას, ბუჩქებს გაუყვეს და შორი გზით მიუახლოვდეს ამფეთქებელს თუ გაირბინოს ეს ათი მეტრი და ისე დაესხას თავს?

მორიელმა ხელი უკან წაიღო და წელში გაჩრილი დანა მოსინჯა. პისტოლეტი ამწუთას არ გამოადგებოდა: ხმაური ატყდებოდა, რასაც შეიძლება, თაკოს გაღვიძება და გარეთ გამოსვლა მოჰყოლოდა. ეს კი საფრთხეს შეუქმნიდა გოგონას სიცოცხლეს. გარდა ამისა, არ უნდოდა, იარაღის გამოყენებით, მეორე, სავარაუდო თავდამსხმელი შეეშინებინა.

მისი ყოყმანი დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩაცუცქული სილუეტი წამოდგა და სწორედ ირაკლის მიმართულებით გამოიქცა. თითქმის იმავდროულად, სახლის მეორე კუთხიდან, კიდევ ერთი სილუეტი გამოჩნდა და იმავე მიმართულებით, იმავე სიჩქარით წამოვიდა.

ირაკლიმ დანა მოიმარჯვა, ღამის განათების სათვალიდან დაუმიზნა პირველ ლანდს და გაუქანა. ავღანეთის გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია: სილეუტი მოსხლეტით დაეცა მიწაზე. სიჩუმე ერთ კვნესასაც არ დაურღვევია, დანა უხმაუროდ შესრიალდა ყელში. ირაკლის ნასროლი ზუსტად იქ მოხვდა, სადაც დაუმიზნა.

„დაზარალებულის“ მეწყვილე მოულოდნელად ჩაჯდა, როგორც ჩანს, დაიბნა. ალბათ ფიქრობდა, გაქცეულიყო თუ თანამზრახველს მიშველებოდა. სწორედ ამ პაუზით ისარგებლა პირადმა მცველმა. მას ზუსტად სამი ნახტომი დასჭირდა, რომ თავისი, საკმარისად მძიმე წონით თავზე დახტომოდა უცნობს და მიწაზე გაერთხა. სანამ იგი გონს მოვიდოდა, ირაკლიმ ზურგზე დასცა, ხელები გადაუგრიხა, მერე ხელბორკილები დაადო, ქეჩოში ჩაავლო ხელი და ფეხზე წამოაგდო. პირველი ბანდიტი, შორიახლოს გაუნძრევლად იწვა. ირაკლის სულაც არ სურდა, ენახა, როგორ იცლებოდა სისხლისგან ყელში დანაგარჭობილი ბოროტმოქმედი — მას ისედაც ბევრის სიკვდილი ჰქონდა ნანახი. მაგრამ მეორე არამზადისთვის აუცილებლად უნდა ეჩვენებინა, რა რისკზეც მიდიოდა იგი. მოქნილად დააძრო პისტოლეტი და ზურგზე მიაბჯინა გაკოჭილს.

— გასაგებია?!.

იმან თავი დააქნია: გასაგები იყო, რა თქმა უნდა...

— არ მომკლათ! — მუხლებზე დამხობა სცადა უცნობმა, მაგრამ ირაკლის მაგრად ეჭირა და ამის საშუალება არ მისცა.

— არ მოგკლავ, თუ მეტყვი, ვინ დაგიქირავა.

— ეს დათომ დამავალა... დავითმა... შემკვეთი ვინ არის, არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს! დათოს ჰკითხეთ.

მაგრამ დათოსთვის შეკითხვების დასმა უკვე გვიანი იყო. იგი ცოცხლების სიაში ალბათ აღარ ეწერა.

— დათო არ ვიცი მე! შენ უნდა მითხრა ყველაფერი, თუ გინდა, ცოცხალი დარჩე, — ჩაისისინა მორიელმა და მამაკაცი შეაჯანჯღარა, — მოჰყევი, რა იცი... ასაფეთქებელი შენ დაამონტაჟე?

— კი...

— რითი ხდება აფეთქება, მობილურით?

— რადიოთი... მომკლავთ?

— რა ჩემ ფეხებად მჭირდება შენი სიკვდილი, ახვარო?! — ირაკლიმ მიწაზე გადააფურთხა. — თქვი-მეთქი, გითხარი!

— მაკონტროლებელი დათოსთანაა.

პირადმა მცველმა ტყვე წინ გაიგდო და დაჭრილისკენ გაემართა. მიუახლოვდნენ თუ არა, მორიელმა ფეხი გაჰკრა მიწაზე გართხმულ ბოროტმოქმედს. იგი არ შერხეულა. კიდევ გაჰკრა ფეხი და სისხლში მოსვრილი ცხედარი გულაღმა ამოატრიალა, მერე ფრთხილად დაიხარა და თვალებგახელილ მამაკაცს ჯიბეები მოუჩხრიკა, თან თვალს არ აცილებდა მეორეს. მარჯვენა ჯიბეში რაღაც ნივთი იპოვა, ბრელოკს ჩამოჰგავდა.

— ეს არის? — კუშტად იკითხა.

— კი, ეს არის. მე არაფერ შუაში ვარ, გეფიცები, მე მხოლოდ ვეხმარებოდი.

— ნაგავი ხარ! — დაიხრიალა ირაკლიმ. — შენნაირებს ავღანეთში იცი, რას უშვრებოდნენ?!. და სწორადაც იქცეოდნენ: ნაკლები ნაგავი რჩებოდა ამქვეყნად. შენ იჯექი იმ მანქანაში, ჩვენ რომ გამოგვეკიდა? კიდევ ვინ იყო? მათი სახელები მჭირდება!

ტყვე დუმდა. მორიელი მიუხვდა: შეშინებული ბანდიტი ფიქრობდა, ტყუილი ეთქვა თუ მართალი.

— შეგიძლია, არ მიპასუხო, ახლავე ჩაგაძაღლებ! — და პისტოლეტის ლულა საფეთქელზე მიადო.

— არ ვიცი... ღმერთმანი, არ ვიცი!.. მე არ ვყოფილვარ! — იყვირა უცნობმა და მუხლები მოეკვეთა.

ირაკლის სიმწრისგან გაეღიმა. შეიძლება, სიმართლეს ამბობდა, შეიძლება, ტყუოდა. თუმცა, სიმართლეს უფრო ჰგავდა, რადგან მას შეეძლო, ახლა ყველაფერი დათოსთვის გადაებრალებინა, მაგრამ ამჯერად ეს არ გააკეთა.

— ვინ დაგიქირავა?

— არ ვიცი.

ირაკლიმ მუცელში ჩასცხო მუშტი.

— მართლა არ ვიცი, ნაღდს გეუბნები. დათოს ჰქონდა მათთან კავშირი. მე მხოლოდ ფული მომცეს.

— კარგად გადაგიხადეს?

— ოცი ათასი დოლარი.

— მარტო შენ თუ — ორივეს?

— ორივეს — ოც-ოცი ათასი. ოღონდ, დედის სულს გეფიცები, არ ვიცი, ვინ არის დამკვეთი.

მორიელს ზიზღისგან სახე დაემანჭა: ასეთ მშიშარა ტიპებს ვერ იტანდა. როგორ უშვებდნენ ამისთანებს საქმეზე, მისთვის წარმოუდგენელი იყო. ის ყველაფერს იკადრებდა, ოღონდ ცოცხალი დარჩენილიყო.

— ხმა ჩაიკმინდე! — გააწყვეტინა.

მერე კვლავ წინ გაიგდო ტყვე და სახლში შევიდა.

— თაკო! — ხმამაღლა დაიწყო ყვირილი. — თაკო, გაიღვიძე, ჩაიცვი და დაბლა ჩამოდი, სასწრაფოდ! ოცდაათ წამში აქ უნდა იყო, მეტი დრო არ გვაქვს, სახლი დანაღმულია!

პასუხისთვის არ დაუცდია, კვლავ გარეთ გაიყვანა აკანკალებული უცნობი და სახლს შემოუარა.

— მაჩვენე, სად დაამონტაჟეთ თქვენი ბომბი...

მისდა გასაკვირად, ასაფეთქებელი მოწყობილობა სახლის სამ მხარეს იყო დადებული. ირაკლის სამი, მაქსიმუმ ხუთი წუთით რომ დაეგვიანა, შენობა ჰაერში აფრინდებოდა და... მასთან ერთად — თაკოც და ირაკლიც.

— მომისმინე, ნაგავო! თუ კიდევ ერთხელ გამოჩნდები ამ ტერიტორიაზე, შენი ძმაკაცის გზას გაუყვები. გაიგე?

— გავიგე... — შეშინებულმა უპასუხა.

— ახლა კი პოლიცია მოვა და წაგიყვანს. არ გეგონოს, რომ იქ უსაფრთხოდ იქნები. თუ რამეს კიდევ გაბედავ, მიწიდან ამოგიღებ, იცოდე! გაიგე?

— გავიგე.

— მეორედ აღარ გაბედო აქ მოსვლა, თორემ ვეღარ გადამირჩები ვერც შენ და ვერც ისინი, ვინც ის ამყრალებული დოლარები მოგაშავა. ყველას გადაგივლით. თქვენ მე ვერ მომერევით, ეს კარგად დაიმახსოვრე!.. და იმათაც გადაეცი.

— დავიმახსოვრებ! — თავი დააქნია ტყვემ. — გადავცემ...

ირაკლიმ სიცილი ვერ შეიკავა. მიხვდა, რომ უცნობისთვის ეს ყველაფერი გაკვეთილი იყო.

— თქვენზე ამბობდნენ, ეშმაკის მარჯვენა ხელიაო...

— ვინ ამბობდა?

— დათო... მე კი არ მჯეროდა... ახლა მჯერა...

ესეც ასე! თურმე გაუგიათ მისი ვინაობა ვიბლიანებს...

ბოროტმოქმედი მართლა შეშინებული იყო. რადგან ცოცხალი დატოვეს, აღარაფერს ჩიოდა. აწი მისთვის სულერთი იყო, შინ გაუშვებდნენ თუ პოლიციაში მიაბრძანებდნენ — ორივეგან ერთნაირი სიხარულით წავიდოდა. რაც მთავარია, სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეორედ ამ საქმეზე წამომსვლელი არ იყო, მაშინაც კი, თუ პოლიციას ადვილად დაუძვრებოდა ხელიდან...

ამასობაში „წუთშესვენებაც“ გამოუვა მორიელს. სანამ ვიბლიანები ახალ კილერს მოძებნიან, დრო გავა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოა... ასე, ერთი ხელის მოსმით არ იშოვება დაქირავებული მკვლელი.

გიგა, პოლიციის რაზმის თანხლებით, რა თქმა უნდა, გვიან მოვიდა. მან ჩაიბარა დამფრთხალი ბანდიტი, მერე კი გამნაღმველები გამოიძახა. როცა ამ ყველაფერს მორჩა, ირაკლი განზე გაიხმო და საუბარი გააბეს. თაკო ჰოლში, ტახტზე წამოსკუპებულიყო, ნამძინარევი და შეცბუნებული სახით. მორიელს მოეჩვენა, რომ გოგონამ მადლიერი მზერა შეავლო. ამ მზერამ გაათბო იგი. დილანდელი „სუსხიანი“ დიალოგის შემდეგ, თაკოს შემორიგების შანსი თითქმის ნულის ტოლი იყო... თვითონაც თბილად შეხედა, მის თვალებში ეშმაკურად აცეკვებულმა ჭინკებმა გადარჩენილ პრინცესას საყვარლად გაულიმეს. თაკოს გააჟრჟოლა. როგორ შემოხედა! რამდენი სითბო იგრძნობოდა მის მზერაში! თუმცა... გოგონა ისევ მოიღუშა. სითბო ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიყვარულს. „ნეტავ, შეიძლება, მისი სიყვარულის მოპოვება?.. რა გავაკეთო? როგორ მოვიქცე?..“ — წარამარა ეკითხებოდა იგი ფიქრებში ვიღაცას...

და ვისაც ეკითხებოდა, ის პასუხობდა — „დაივიწყე, არაფერი გამოვა“.

„რა სასტიკი ხარ, დედა!..“ — თვალები ცრემლით აევსო გოგონას და თავი ჩაღუნა, რომ მისი ცრემლები არავის შეემჩნია.

უბედურება ის იყო, რომ მას ეს არ უნდოდა. არ უნდოდა ირაკლის დავიწყება. არ შეეძლო. იქნებ მოეხერხებინა კიდევაც, თუ წავიდოდა მისგან, მაგრამ არ უნდოდა... არადა, თავიდან ისე, ზერელედ დაუწყო ფლირტაობა, იქნებ მისი შებმა რამეში გამომადგესო?!. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თავისსავე დაგებულ მახეში გაება. რატომ არ უყვარს ამ კაცს, რატომ ვერ იგუა?.. რა არ მოეწონა მასში?..

— ბიჭები გადარჩებიან? — უეცრად ახლოს მოესმა ირაკლის ხმა და თავი მსწრაფლ ასწია, ცრემლი ხელის ზურგით მოიწმინდა და განზე შეტრიალდა, რომ მისთვის არ შეეხედა.

— მგონი, კი. ერთი ფერდშია დაჭრილი და ბევრი სისხლი დაკარგა, მეორეს ფილტვში მოხვედრია დანა. ის უკეთეს მდგომარეობაშია. ვასომ თქვა, საშიში ჭრილობები არ არისო. ისე უჩუმრად როგორ მიეპარნენ, რომ ვერაფერი გაიგეს?

— ცუდად მუშაობენ შენი ბიჭები, გიგა. მაპატიე, ძმაო, მაგრამ... — ტუჩებით გამოხატა უკმაყოფილება მორიელმა. — თავს დავდებ, რომ ეძინათ. სხვანაირად, ასე არ გაებმებოდნენ. სადაც მე მეორე სართულის დერეფნიდან გავიგონე ხმა, მათ როგორ ვერაფერი შენიშნეს?! ზურგიდან მიეპარნენ და დანა გაუყარეს... რა, მკვდრები იყვნენ?! არ მესმის, ასე როგორ შეუძლიათ...

— კიდევ კარგი, შენ მაინც გაიგონე.

— ბავშვს რამე რომ მოსვლოდა, არ ვიცი, რას ვიზამდი. ალბათ რაღაც საშინელებას ჩავიდენდი.

— ჰმ... რაღაც, სხვანაირად ჭიკჭიკებ, მეგობარო... რამე ხომ არ... — გიგამ წინადადება აღარ დაამთავრა.

თაკომ ყურები ცქვიტა.

— ის ჩემი დაცვის ობიექტია, ხომ არ გავიწყდება, ბიჭო?! — შორს დაიჭირა ბრალდება ირაკლიმ. — კლიენტთან რომანი არ მჩვევია, შენც კარგად იცი.

— კლიენტთან კი არა, საერთოდ, არ გჩვევია ქალებთან რომანი, შე ყურუმსაღო! — გადაიხარხარა გიგამ და მხარზე ხელი დაჰკრა მეგობარს. — დროა, ბიძია, დრო, ბერდები უკვე, ვერ ამჩნევ?

მორიელმა პასუხად რაღაც ჩაიბურტყუნა, რაც თაკომ ვერ გაიგონა...

არადა, ირაკლი ერთს ამბობდა და მეორეს ფიქრობდა. ხედავდა, რომ გრძნობას ვეღარ ერეოდა, თავში გამუდმებით თაკოზე ფიქრი უტრიალებდა, ვერა და ვერ მოიშორა მისი სახება გონებიდან, ვერაფრით დაივიწყა მისი ცხელი ტუჩები, გლუვი სხეული და მკვრივი მკერდის ცახცახი...

იქნებ ოდესმე მოახერხოს კიდეც მისი დავიწყება, როცა მისია ამოეწურება და ამ მოჯადოებულ სახლს მოშორდება. როცა შეწყვეტს მასთან თანაცხოვრებას, მისით სუნთქვას, როცა ისევ მარტო დარჩება, როცა მეტჯერ აღარ ექნებათ საუბარი მის ესკიზებსა და სხვა სისულელეებზე, როცა მის ტირილს აღარ მოისმენს ღამღამობით და აღარ ექნება გოგონას ნუგეშისცემის უფლება... როცა მისი შეუვალი გული თავს დაანებებს პატარა ლეკვივით ცხვირის ჩაყოფას თაკოს აქამდე თითდაუკარებელ მკერდში, როცა ვეღარ შეიგრძნობს მის ვნებიან ამოსუნთქვას, მისი გულისცემის ყოველ ფრაგმენტს...

ჯერჯერობით კი აქ უნდა დარჩეს, ეს მისი მოვალეობაა, მისი მისიაა, გარდაუვალი მისია. გამოდის, რომ მისი ფიქრები განსჯას არ ექვემდებარება. ის აქ არის იმისთვის, რომ თაკო დაიცვას...

...და ის იცავდა პატარა პრინცესას... ბანდიტებისგან, თავზე ხელაღებული ვიბლიანებისგან, მათგან მოგზავნილი კილერებისგან, ცუდი ძილისგან, უხასიათობისგან...

ეს მისი ბედისწერაა. ალბათ განგებამ არგუნა ასე — მთელი ცხოვრება ვიღაცისთვის უნდა დასდოს თავი. თუმცა... უკვე არა „ვიღაცისთვის“... აქამდე არც ერთ მის დასაცავ ობიექტს არ გამოუწვევია ისეთი მძაფრი, ისეთი ძლიერი, ისეთი ტკბილი სურვილი დაცვისა და მზრუნველობისა, როგორიც თაკოს...

ამიტომაც არ ღირს ტყუილად ტვინის ჭყლეტა. სულერთია, მაინც ვერაფერს გახდება. თაკო მას სჭირდება... და ისიც სჭირდება თაკოს. არა აქვს მნიშვნელობა, ხვდება გოგონა ამას თუ — არა.

სულ ეს არის...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. დაასახელეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომელმაც გადადგომის შესახებ განცხადება საკუთარ დაბადების დღეს გააკეთა.
2. რა არის შუსტაკი?
3. დაასახელეთ წყალბურთის სამშობლო.
4. რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე მტკვრის ყველაზე დიდი მონაკვეთი?
5. რას ეძახიან ლაბორატორიულ პირობებში დაბადებულ შავ თაგვებს, რომლებიც დროთა განმავლობაში თეთრ შეფერილობას იღებენ?
6. „პაპა ვ დეტსტვე ბილ გრუზინ“, — ვის შესახებ ამბობდა ამას პატარაობაში მისივე ქალიშვილი?
7. ვისი სასცენო ფსევდონიმი იყო აკაკია მოჩხუბარიძე?
8. რა მიზნით მუშაობდა მიქელანჯელო ქალაქის მორგში?
9. დაასახელეთ ქვეყანა, რომელსაც ევროპელები ნარკოსანაგვეს ეძახიან.
10. რა არის ზრო?
11. რა იყო ქრისტეს პირველი სასწაული?
12. „პადდერჟივატ გასუდარსტვა რასიი ვ სისტემე ნეპრერივნოი ვაინი, პადდერჟივატ ბეზნაჩალიე ვ პოლშე ი ნაკანეც პოლნოსტიუ პაკარიტ. ვმეშევატსა სილოი ი ხიტროსტიუ ვა ვსე ევრაპეისკიე რასპრიი. ვ სუპრუგი რუსსკიმ კნიაზიამ იზბერატ ტოლკა გერმანსკიხ პრინცეს. უმნაჟატ საიუზ დღია უვილიჩენია რუსსკავა ვლიანია ვ ეტაი იმპერიი“. ვინ წერდა ამ სიტყვებს თავის პოლიტიკურ ანდერძში?
13. რას ეძახდნენ მეორენაირად რესპუბლიკის მოედანზე მდგარ „ანდროპოვის ყურებს“?
14. იაპონელ სერჟანტ შიოჩი იოკოის II მსოფლიო ომის დროს თავი არაფრით გამოუჩენია. მთელმა მსოფლიომ იგი 1972 წელს გაიცნო. ამჟამად, კუნძულ გუამის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მისდამი მთელი ექსპოზიციაა მიძღვნილი. რით გამოიჩინა თავი იაპონელმა სერჟანტმა?
15. რომელ ქალაქში გაიხსნა პირველი „დისნეილენდი“?

ანეკდოტები

* * *

უბნის ინსპექტორმა მიხოს ბინაში არყის სახდელი აპარატი იპოვა და ოქმის წერას შეუდგა:



— აი, ახლა უზარმაზარ ჯარიმას რომ გადაგახდევინებ, ჭკუას ისწავლი.

— რატომ, ვითომ? მე ხომ არაყი არ გამომიხდია?

— მერე, რა, აპარატი ხომ გაქვს?!

— მაშინ აიღეთ და მარო ბროწეულაშვილის გაუპატიურებაც მე დამაბრალეთ!

— რა, მარო გააუპატიურე?!

— არა, მაგრამ აპარატი ხომ მაქვს?!.

* * *

ფანჯრის რაფაზე ქალია ჩამოკიდებული, მიხო კი თითებზე ჩაქუჩს ურტყამს, დაბლა რომ ჩააგდოს. ამ ყველაფერს შაქრომ მოჰკრა თვალი და მიხოს ასძახა:

— რას სჩადიხარ, მიხო, ასეთი რა დაგიშავა მაგ ქალმა?

— ქალი კი არა, ჩემი სიდედრია.

— მართლა?!. ნახე, ეს შობელძაღლი კატასავით რო ებღაუჭება ფანჯრის რაფასა!

* * *

სვანს ჯაჭვის პერანგი იღლიებთან დაუჟანგდა.

* * *

მიხო შინ მთვრალი მივიდა. ყველას სძინავს, სინათლე ჩამქრალია, სიბნელეში ლოგინს ვეღარ აგნებს და ღრიალებს:

— დედაკაცო, რას გაჩუმებულხარ, დაიწყე, რა, წყევლა, თორემ ლოგინს ვეღარ ვპოულობ.

* * *

— ბოსტნეულში რა შედის? — ეკითხებიან პატარა ნიკას.

— ქათამი, ინდაური, იხვი. ისე, უღელს თუ არ დაადებ, ღორიც კი შევა.

* * *

— როგორც კი დავთვრები, ტანი მილურჯდება, — ამბობს ერთი.

— ეჰ, ჩემს ცოლსაც ეგეთი ცუდი ხასიათი აქვს.

* * *

ოსს ოთხი წელი მიუსაჯეს. ზის საკანში. ატყდა ჩხუბი, ისეთი ამბავია, იქაურობა ინგრევა.

— გაცერდით, ბიწებო, თორემ აქედან ყველას გაგვყრიან.

* * *

— საჭმლის მომნელებელი სისტემის მოსაწესრიგებლად ვსვამ ლუდს, მადის მოსამატებლად — თეთრ ღვინოს, დაბალი წნევის

დროს — წითელ ღვინოს, გაცივების დროს — არაყს, გრიპის დროს — კონიაკს.

— და წყალს როდის სვამ?

— ეგეთი ავადმყოფობა ჯერ არ მქონია.

* * *

ქალი ექიმს ეკითხება:
— თქვენ ექიმი ბრძანდებით?
— დიახ!
— გინეკოლოგი?
— არა, მაგრამ შემიძლია, გაგსინჯოთ.

* * *

ჭიჭიკია მის გვერდით მჯდომ მოკლეკაბიან უცნობ ქალს მიმართავს:
— ქალბატონო, ეგებ მუხლებზე რამე გადაიფაროთ. მერწმუნეთ, ასე თქვენც გათბებით და აღარც მე ვიკანკალებ.

* * *

სვანმა კოსმონავტმა კოსმოსში თავი ჩამოიხრჩო.

* * *

ცოლი ქმარს ეუბნება:
— ძალიან მინდა, გამოჩენილი მსახიობი გავხდე და მთელი მსოფლიო ავალაპარაკო.
— მთელი ქუჩა შენზე რომ ლაპარაკობს, ეს არ გყოფნის, არა?

* * *

ქმარი სამშობიაროს ფანჯრებთან დგას და ცოლს ეკითხება:
— როგორ არის ბავშვი? ვის ჰგავს?
— შენ არ იცნობ, არა!

* * *

ტყუპი ძმა — სვანები სამხედრო კომისარიატში გამოიძახეს. ერთი ძმა გასინჯეს და ცუდი ჯანმრთელობის გამო „დაბრაკეს“. გამოდის გარეთ და ძმას ეუბნება:
— ცუდი ჯანმრთელობის გამო ჯარში აღარ მივდივარ.
— აუ, ჩემ მაგივრადაც შენ გაიარე შემოწმება და ჯარში აღარც მე წამიყვანენ! — სთხოვა ძმამ. ტყუპისცალი დათანხმდა და ისევ შევიდა სამედიცინო შემოწმებაზე. ცოტა ხანში გამოდის და ძმას ეუბნება:
— გილოცავ, შენ სრულიად ჯანმრთელი ხარ.

* * *

ახალგაზრდა ბიჭმა, მეტროს ესკალატორზე ჩარბენისას, გვერდით მდგომ სვანს შემთხვევით მხარი გაჰკრა და ინერციით გააგრძელა სირბილი, მერე კი გაჩერდა, უკან დაბრუნდა და ბოდიში მოუხადა.
— წადი, ბიძიკო, წადი. მე უკვე ზურგზე მოგაფურთხე! — უპასუხა სვანმა.

* * *

მყიდველი გამყიდველს ეჩხუბება:
— ესაა სკამი? დავჯექი თუ არა, ჩატყდა.



— თუ დაჯექი, აბა, რა მოუვიდოდა?!

* * *

სვანს ქუჩაში ოთხი ტიპი დახვდა და დაყაჩაღება დაუპირა. სვანმა ოთხივე სცემა. ამიტომაც, საქმის გასარჩევად ქურდთან აიყვანეს. ქურდი ეკითხება:
— მოჰყევი, როგორ იყო.
— მივდიოდი ქუჩაში. დამხვდა 4 კაცი, დასაყაჩაღებლად და ოთხივე ვცემე. ხომ ვარ მართალი?
— კი, რაზეა ბაზარი!
— რაზეა ბაზარი და მივდიოდი ქუჩაში. დამხვდა 4 კაცი, დასაყაჩაღებლად. ოთხივე ვცემე. ხომ ვარ მართალი?
— კი, ძმაო, რაზეა ბაზარი!
— მოკლედ, კიდევ ერთხელ აგიხსნი და თუ ვერ გაიგე, შენს თავს დააბრალე! — გაბრაზდა სვანი.

ჟონგლის საკარჩოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ვასილ მუკანაძე.
2. ფერ-უმარილის წასასმელი ქსოვილი.
3. დიდი ბრიტანეთი.
4. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.
5. მაიკლ ჯექსონებს.
6. სტალინის შესახებ.
7. ალექსანდრე ყაზბეგის (მწერალი სპექტაკლებშიც მონაწილეობდა).
8. ანატომიის შესწავლის მიზნით.
9. ჰოლანდია.
10. ისრის წვერი.
11. წყლის ღვინოდ გადაქცევა.
12. პეტრე I.
13. „ბრეჟნევის კარდიოგრამას“.
14. ის თითქმის 40 წლის განმავლობაში, კუნძულის ტყეებში პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა, ვინაიდან წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ომი დამთავრდა. 1972 წელს, როგორც იქნა, დაატყვევეს.
15. პირველი „დისნეილენდი“ კალიფორნიის შტატში, ქალაქ ანაჰაიმში გაიხსნა.

ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ფოტოგალერეა

მამაკაცი, სექსი და სიყვარული

მამაკაცებს განსაკუთრებული მგზნებარებით, 20-დან 40 წლამდე უყვართ. 40 წელს გადაცილებულები კი კვირაში 3-4-ის ნაცვლად, 1 სექსუალური აქტით კმაყოფილდებიან. ამ რეალობის წინაშე მათ გადამეტებული დროს ტარება — ქეიფები, ზომაზე მეტი სასმლის მიღება, სიგარეტის წევა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადატვირთვა აყენებს.

რაც შეეხება ქალებს, მათთან ყველაფერი პირიქითაა: 40-45 წლის ასაკში სექსუალობის მხრივ ქალის აქტიურობა პიკს აღწევს. სასიყვარულო კავშირებისას, ის მგზნებარე, გაუმაძღარი ხდება და და თითქოს ხელახლა უბრუნდება ახალგაზრდობა. ამიტომ თუკი ქმარი ბევრად უფროსია ცოლზე, მათ ინტიმურ ცხოვრებაში დისჰარმონია წარმოიქმნება, რომელსაც ორივესთვის დაძაბულობა და უკმაყოფილება მოაქვს. ცოლთან სექსუალური კავშირისას განცდილი მარცხი მამაკაცს ხშირად უბიძგებს შემთხვევითი ნაცნობობისკენ, რათა მან კვლავ განიცადოს „სასიყვარულო გამარჯვება“. მამაკაცები ამ ნაბიჯს სექსუალური შთაბეჭდილების განახლების მცდელობით ხსნიან, ამბობენ, რომ თავს კვლავაც ახალგაზრდებად და ძლიერებად გრძნობენ. თუმცა ეს მეთოდი უმეტესწილად არ ამართლებს, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული და ურთიერთმოწონება ის საფუძველია, რომელზედაც სქესთა შორის დაუოკებელი სწრაფვა აღმოცენდება.

სქესი და... სექსი

აღსანიშნავია, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ყოველთვის არსებობდა ფარული თუ აშკარა მეტოქეობა, რაც სექსუალურ სფეროზეც ვრცელდება. ხშირად ქალს ორმაგ ბუნებას მიაწერენ: თუკი ერთი მხრივ „საყვედურობენ“, რომ ის გულგრილი, თითქმის უემოციოა და ხშირად ზიზღსაც განიცდის სქესობრივი ცხოვრების მიმართ, მეორე მხრივ — მას უსაზღვრო ავხორცობას, მაცდურობასა და ორგულობას სწამებენ. მითოლოგიაში ხომ ქალი იდუმალებისა და ხიფათის საწყისად არის მიჩნეული.

ფსიქოლოგიაშიც ასეა: არსებობს მოსაზრება, რომ ქალები სექსუალურად ინერტულნი არიან, მაგრამ ამ მოსაზრებას კონტრმოსაზრებაც აქვს: ქალი ხარბი და გაუმაძღარია; ის უფრო მეტ სიამოვნებას იღებს სქესობრივი სიახლოვით, ვიდრე მამაკაცი.

მამაკაცს, რომელიც ბოლომდე ვერ აცნობიერებს ქალის როლს სასიყვარულო კავშირის დროს, ეროტიკა სრულყოფილ სიამოვნებას ვერასოდეს მიანიჭებს.

ქალის უმანკოებისა და სექსუალობის კულტი ზოგიერთ მამაკაცში (მისი ტრადიციული აღზრდიდან გამომდინარე), ფსიქიკურ იმპოტენციასაც იწვევს. როგორც ფროიდი წერდა, ამგვარად აღზრდილ მამაკაცს გარკვეულწილად ზღუდავს ქალისადმი პატივისცემის გრძნობა და ამიტომ იგი ბოლომდე მხოლოდ ე.წ. მდაბიო ქალთან ურთიერთობისას იხსნება — ე.ი. წმინდა ოჯახური ცხოვრება მას ვერ ანიჭებს განსაკუთრებულ სიხარულს და ამიტომ ის მეძავებთან კავშირით ახდენს ამის კომპენსაციას.

XX საუკუნემ, სხვა სიკეთესთან ერთად, ისიც მოიტანა, რომ ხაზი გაესვა ქალის სექსუალობასაც. სოციალურად თავისუფალი ქალი უკვე აღარ მიიჩნევს თავს მეორეხარისხოვან არსებად. ის მამაკაცთან თანასწორობას მოითხოვს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასევე სქესობრივ სფეროშიც, ხოლო მამაკაცისა და ქალის სექსუალობას შორის არსებული ბევრი განსხვავება, რაც ადრე ბუნებრივ-ბიოლოგიურად მიიჩნეოდა, სინამდვილეში, აღზრდის შედეგი აღმოჩნდა. ასე თუ ისე, თუ სქესთა შორის ურთიერთობა, მკაფიოდ გამოხატულ აგრესიულ-შეჯიბრებით ხასიათს მიიღებს, დამარცხდება ორივე მხარე — ქალიც და მამაკაციც.

ქალი მამაკაცის წინააღმდეგ!

ქალს მართლაცდა აქვს მამაკაცზე ზემოქმედების უნარი და მხოლოდ ჭკვიანმა ქალმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს.

ალბათ, ძნელია, იპოვო შესაფერისი მამაკაცი — ის ერთადერთი და განუმეორებელი, რომელიც „შენთვის დაიბადა“. მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ისეთი არ შეგხვდათ, როგორსაც იმსახურებდით, ნუ აჩქარდებით და ნუ შეეცდებით „თქვენი ერთადერთისა და განუმეორებლის“ გადაკეთებას, მის თქვენთვის მისაღებ ყალიბში მოქცევას. ეს ყველაზე დიდი შეცდომაა, რომელიც ქალს გარდაუვალ მარცხამდე მიიყვანს. „აღსაზრდელი“ მამაკაცი ჯერ გაოცდება, მერე გაბრაზდება და ბოლოს — ქალი-აღმზრდელის თავიდან მოშორებას შეეცდება.

ქალს საკმაო ჭკუა (და მოხერხებაც) აქვს იმისთვის, რათა პატარ-პატარა ეშმაკობებითა და რბილი მოპყრობით თავისას მიაღწიოს. მაგალითად, შეეცადეთ შეაჩვიოთ იგი, გიყიდოთ ძვირფასი ნივთები. იცოდეთ, როცა მამაკაცი ქალში „ფულს აბანდებს“, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ „კაპიტალის“ მფლობელი ხდება და არ დაუშვებს, მისი საკუთრებით სხვამ ისარგებლოს.

შეეცადეთ, ყოველი თქვენი გარჯა და საოჯახო საქმე დაფასდეს მის მიერ. როდესაც რაიმე საჩუქარს მოგიძღვნით, აგრძნობინეთ, რომ ძალიან გიხარიათ და უფრო რუდუნებით მოუარეთ მას და მის ტანსაცმელს. დაე, ისწავლოს თქვენი შრომის დაფასება. მამაკაცისთვის მოულოდნელობის სინდრომი მეხის დაცემაზე ძლიერია. განსაკუთრებით ეფექტური იქნება, თუ იმ სტერეოტიპს დაამსხვრევთ, რომელიც მას თქვენ შესახებ ჩამოუყალიბდა. აიძულეთ იგი, სხვა თვალით შეგხედოთ. საამისოდ, შეიცვალეთ იმიჯი, ჩაცმის სტილი, ვარცხნილობა ან ჩაიდინეთ რაიმე პატარა, იოლად გამოსასწორებელი სისულელე. ზედმეტად ჭკვიან ქალებს მამაკაცები უფრთხიან; ან პირიქით — თუკი გარეგნულად „ბარბის“ ჰგავხართ, რომელსაც მისი აზრით, სარკის წინ ტრიალის მეტი არაფერი შეუძლია, გამოავლინეთ რაიმე ფარული ტალანტი, წამოიწყეთ ლაპარაკი ფსიქოლოგიურ თემაზე; თანაც საამისოდ წინასწარ მოემზადეთ და დაანახვეთ, რომ ყველაფერზე საკუთარი მოსაზრება გაქვთ.

გვერწმუნეთ, მრავალფეროვნება ყოველგვარ ურთიერთობას ალამაზებს, მით უმეტეს — ქალისა და მამაკაცის ურთიერთკავშირს. ამიტომ, ნუ შეგეშინდებათ — დროგამოშვებით შეუქმენით პატარ-პატარა პრობლემები. ოღონდ გახსოვდეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ: მამაკაცი ვერ იტანს, როცა ქალი ყველაფერში ეწინააღმდეგება და მასთან გარბის (თუნდაც დროებით!), ვინც ყოველგვარ სურვილს შეუსრულებს. ასე რომ, ყველაფერი თქვენს ქალურ მომხიბლაობაზე, ალღოსა და ლოიალურობაზეა დამოკიდებული. ■

A ვიტამინი ხელებისათვის

ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა დიასახლისის ხელებზე უსიამოვნო ჯვალს ტოვებს. არადა, არაფერს შეუძლია ქალზე შთაბეჭდილების წახდენა ისე, როგორც მოუვლელ ხელებს: დაჯვნეტილ ფრჩხილებს, დახორკლილ ჯანს თუ ფრჩხილების გარშემო გაჩენილ ნახეთქებს – რაც არა მარტო უსიამოვნო შესახედავია, არამედ მის მიღმა ათასგვარი ინფექციის ჯერა იმალება.

ყველაზე ხშირად, ფრჩხილების გარშემო კანი იმ ქალებს უსკდებათ, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობენ ხელების მოვლას; ასევე მათ — ვინც გამუდმებით იყენებენ აგრესიულ სარეცხ საშუალებებს. ამის შედეგად, კანი ჯერ უხეშდება, შემდეგ იქერცლება, სკდება და ბოლოს ტყავდება. სამწუხაროდ, ცოტას თუ მოსდის თავში აზრად, რომ გამიზეზებული ადგილები ანტისეპტიკური საშუალებებით დაიმუშაოს და შემდეგ სქელ ფენად წაისვას მკვებავი კრემი. ზოგიერთი ამ პრობლემის მოგვარებას საკმაოდ იოლი გზით ცდილობს და გაუხეშებულ ადგილებს მაკრატლით იჭრის (ან კბილებით იკვნეტს). დაუდევრად მოკვნეტილი კანის შემთხვევაში კი სისხლიანი იარები ჩნდება, რომლებიც შესაძლებელია, დაჩირქდეს კიდეც.

ფრჩხილების გარშემო კანის დახეთქის მიზეზი შეიძლება, რომელიმე შინაგანი ორგანოს (უმეტესწილად — კუჭ-ნაწლავის ან საჭმლის მომნელებელი სისტემის) მოქმედების მოშლა ან ვიტამინების ნაკლებობა იყოს. ყველაზე გავრცელებული ვიტამინი, რომელიც მას სიმშრალისგან კურნავს, გახლავთ A ვიტამინი (რუტინოლი). ამიტომ სასურველია, ყოველდღიურ რაციონში ამ ვიტამინის შემცველი პროდუქტები შეიტანოთ.

გარდა ამისა, თქვენს კოსმეტიკურ მაგიდაზე, ფრჩხილების ლაქის გვერდით, აუცილებლად უნდა იდოს ნუნებისთვის განკუთვნილი კრემი, რომელიც ყოველდღე უნდა წაისვათ ფრჩხილების გარშემო.

როგორ მოვუაროთ ფრჩხილების გარშემო გაჩენილ ნახეთქებს

თასი აავსეთ თბილი წყლით და ჩაუმატეთ 5-10 წვეთი მცენარეული ზეთი. ჩაყავით ხელები მასში, გააჩერეთ 10-15 წუთი და რბილი პირსახოცით შეიმშრალეთ.

თუ ნახეთქი ბევრია, მაშინ მკურნალობის სპეციალური კურსის გავლა მოგიწევთ. საამისოდ, აპრეხილ-ბოლოებიანი მაკრატელი დაგჭირდებათ. სანამ მაკრატელს გამოიყენებდეთ, ხელები ორთქლით ან თბილი წყლით უნდა დაირბილოთ, შემდეგ შეიმშრალოთ და სპირტი წაისვათ. გაითვალისწინეთ, მაკრატელი კანის პარალელურად კი არა, პერპენდიკულარულად უნდა გეჭიროთ. თუ გაუხეშებული კანის მოჭრისას სისხლი წაგსკდათ, ჭრილობა დაუყოვნებლივ წყალბადის ზეჟანგით დაიმუშავეთ. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

პრესის გავრცელების საგენტო

ᲔᲚᲕᲐ

ქ. თბილისი
ოთხვიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

ქათმის მწვადი

ᲣᲚᲣᲤᲐ 4 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ:

6 ნაჭერი ქათმის ფილე;
3 ს/კ ლიმონის წვენი;
1 კოლოფი იოგურტი;
მარილი, წითელი დაფქული წიწაკა — გემოვნებით.

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:

ფილე დაჭერით ოთხკუთხედებად, დაასხით ლიმონის წვენი, დაუმატეთ იოგურტი, მარილი, წიწაკა და კარგად აურიეთ. ხორცი ამ მასაში 6-8 საათი გააჩერეთ. შემდეგ შეწვით ჰაერღუმელში. იწვება დაახლოებით 7-10 წუთი. მზა კერძს გარშემო მოუწყვეთ დაჭრილი კიტრი და სალათის ფურცლები. ■

რუბრიკა მოამზადა
ᲔᲙᲐ ᲒᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ



ღიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-31

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

აჰმედის ნათესავ-მეგობრებმა გამომწვევად მიიღეს ჰასანის სიტყვები და თავადაც ხმლებს წაეტანნენ, მაგრამ ბაღდადის ვალი მზად იყო ამისთვის. მისი ხელის აქნევა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მცველებს უმალ მიეყარათ, მოშურნეთა დასაშოშმინებლად უკვე გამოუსადეგარი ხელჯოხები და ხმალ-შუბები მოემარჯვებინათ.

— მშვიდად, ბაღდადელებო, აქ ხალიფის კანონი კანონობს და არა — უგუნური ფოლადი! — ბრაზით შესძახა ყადიმ. მერე კი ვალის გახედა და დაამატა: — ხალიფამ შენ მოგანდო წესრიგის დაცვა და მისთვის მეთაურობ ხელჯოხიანთა რაზმებს. შენით ქენ, რაც საქნელია. მე კი, როგორც ყადი, ერთ რამეს მოგთხოვ: მარჯვენა, რომელიც მახვილს ქარქაშს ამოარიდებს, მოკვეთილი მომართვი!

— გისმენ და გემორჩილები! — ამ სიტყვებთან ერთად, ვალიმ ხმალი გააშიშვლა და ქორული მზერა მიაპყრო აჰმედის გულშემატკივრებს.

სელჩუკები შეყოყმანდნენ. გაშიშვლებული ხმლების ქარქაშში ჩაბრუნება მათი წესი არ იყო. მაგრამ დავის გაგრძელებით, ყველა იქ მყოფისთვის უნდა გამოეცხადებინათ ომი — ბაღდადის ყადისთვის, რომელიც ხალიფის ნებას აღასრულებდა; დაუნდობელი კაცის სახელით ცნობილი ვალისთვის, რომელიც არათუ მარჯვენას, არამედ ნებისმიერის თავს მიართმევდა ბაღდადის მბრძანებელს და ჰასანისთვის. ის ყველაზე მეტად აფიქრებდა სელჩუკებს. ყველა იცნობდა მის ფიცხ ხასიათს და ისიც იცოდა, რომ სიცოცხლის ფასადაც არ გადავიდოდა სიტყვას და არც ხმლის მოქნევის შეეშინდებოდა.

— ჩააგეთ ხმლები! — ცივად ისროლა ვალიმ და სელჩუკებისკენ წარდგა ნაბიჯი.

სელჩუკებს ავმა ღრენამ გადაურბინა, მაგრამ მათშიც გამოერია გონიერი ადამიანი, რომელიც დროულად მიხვდა, რაც მოჰყვებოდა ჯალადინის ურჩობას.

— დაემორჩილეთ ბაღდადის ვალის! — ბრძანა ბრგე სელჩუკმა, ხმალი პირველმა ჩააბრუნა ქარქაშში და თან ყადის მიმართა: — ფოლადს არავინ მოიხმარს უგუნურად. ჩვენ ხალიფის ერთგული ყმანი ვართ და შენ განდობთ ამ დავის სამართლიანად გადაწყვეტას... ბრძანე!

ყადი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია, თითებით წვერი ჩამოიფოცხა და ბრძანა:

— ამ დავაში ტყვე გურჯს დამნაშავედ ვერ მივიჩნევ. ის აჰმედმა დაატყვევა და ჰასანს მიჰყიდა. ასე იყო თუ — არა? — ჰკითხა აჰმედის თანამებრძოლებს.

— ასე იყო, — ერთხმად დაუდასტურეს მათ.

— ამ მხრივ ოჯახის წევრები უკმაყოფილონი ხომ არ არიან? იქნებ, ჰასანმა ის საზღაური არ გადაიხადა, რომელსაც აჰმედი ითხოვდა?

— არა, — იუარეს სელჩუკებმა.

— რაც შეეხება გურჯის გათავისუფლებას: ის ჰასანის საკუთრება იყო და როგორც პატრონს, ჰქონდა ამის უფლება. ვერც ბაღდადში გურჯის თავისუფლად გაშვებას დავდებ ბრალად... — განაგრძო ყადიმ.

— გურჯი იარაღით დაძრწოდა ბაღდადის ქუჩებში! — ბრაზით შენიშნეს სელჩუკებმა. — ის ხომ ჩვენი დაუძინებელი მტერია!

— თუნდაც იარაღით! — ცივად მიუგდო ყადიმ. — ჰასანმა უკვე თქვა, რომ გურჯს სტუმრად მიიჩნევდა. სტუმარი კი თავად წყვეტს, იარაღით გავა მასპინძლის სახლიდან თუ — უიარაღოდ. ჩვენ ფრანკებს ვეომებით და არა მთელ საქრისტიანოს. თქვენ თავად ლაშქრობდით გურჯისტანში და თქვით, ვის მხარდამხარ და ვისთან საომრად მიგავლინათ ჩვენმა სულთანმა — ალაჰმა ადიდოს მისი სახელი!

— იმერთ მეფის მხარდასაჭერად, რომელიც კახთ მეფეს ებრძვის.

— მერე?.. განა იმერი და კახი, ორივე ქრისტიანი და გურჯი არ არის?! — ნიშნის მოგებით თქვა ყადიმ. — რომელი იყო მათში მტერი და რომელი — მოყვარე?!

— ეგ რა შუაშია?! — პასუხს თავი აარიდეს სელჩუკებმა.

— იმ შუაშია, რომ გურჯი და ქრისტიანი აუცილებლად მტერს არ ნიშნავს. ზოგი — მტერია და ზოგიც — მოკავშირე.

— ეგ გურჯი ჩვენ გვებრძოდა და ამხანაგებიც დაგვიხოცა!

— ეგ ომში მოხდა. ბაღდადში კი ომი არ არის. ეგ გურჯი ჰასანის სტუმარია და რამე რომ დაეშავებინა, მის მასპინძელსაც მოეკითხებოდა პასუხი!

— განა არ დააშავა?! — ბრაზით აყვირდნენ სელჩუკები.

— იქამდეც მივალთ. ახლა მარტო ერთს გეკითხებით: ქუჩაში მშვიდად მიმავალს, მტრად მიიღებდით თუ — არა? — ჰკითხა ყადიმ.

— არა... მშვიდად მიმავალს მტრად არ მივიღებდით, — უხალისოდ უპასუხეს სელჩუკებმა.

— აჰმედმა კი ასე მიიღო... — ყადი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე განაგრძო: — ამ დავაში გურჯს დამნაშავედ არ მივიჩნევ. ხალიფის კანონთა კრებული ქადაგებს: „თვალი — თვალის წილ!“ აჰმედს ხელი რომ შემოეკრა და პასუხად ხანჯალი მიეღო, გურჯს სასიკვდილო განაჩენს გამოვუტანდი. მაგრამ როგორ დავსაჯო კაცი, რომელსაც იქით მოუღერეს ხანჯალი?.. გურჯი ხომ არავის დასხმია თავს! პირიქით — მომხდურს იგერიებდა!..

— რას ამბობ, ყადი?! — ერთხმად აყაყანდნენ სელჩუკები. — მისი პატიება ხომ არ განგიზრახავს?!

— მე ხმამაღლა ვამბობ იმას, რასაც კანონთა კრებული ქადაგებს, — რისხვით წამოიძახა ყადიმ, — და ვფიცავ ალაჰს, რომ განაჩენიც სამართლიანი იქნება!

— მაშინ, შენი ბოლო სიტყვა თქვი! — ახმაურდნენ სელჩუკები.

— განაჩენი ასეთი იქნება... — ყადი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია და ყველას გასაგონად დაამატა: — აჰმედს მიზეზს ვეღარავინ მოჰკითხავს. მაგრამ რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა, ეგ ორი კაცის დავა იყო, რომელიც იარაღით გადაწყდა და ერთის სიკვდილით დამთავრდა. გურჯი თავისუფალი ადამიანია, არც ყმაა და არც მონა. თანაბარი ბრძოლის გულისთვის, სისხლის სასჯელს ვერ

დავაკისრებ. მაგრამ აჰმედის ოჯახს შეუძლია, ფულადი საზღაური მოითხოვოს. გურჯმა უნდა აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც ოჯახს აჰმედის სიკვდილით მიაყენა. ამას ქადაგებს ჩვენი კანონი და ჩემი განაჩენიც ასეთი იქნება. ახლა კი თქვენს სიტყვას ველი, — აჰმედის ნათესავებს გახედა ყადიმ, — რა საზღაურს მოითხოვთ თქვენი ნათესავის მკვლელისგან?

— რა უნდა მოვთხოვოთ გადამთიელს?.. ფული მაგას არ აბადია და ქონება! — ბრაზით ალაპარაკდნენ აჰმედის ნათესავები.

— სამაგიეროდ, როგორი მფარველი ჰყავს, — ყადიმ ჰასანს მიაპყრო მზერა, — გადამთიელი გურჯისთვის სისხლის დაღვრაზეც მზად არის და არც საზღაურის გადახდაზე იტყვის უარს!

— ჩემი სიტყვაც ეგ არის, — მაშინვე შეეხმიანა ჰასანი, — ითხოვეთ საზღაური. სიძუნწეს ვერავინ დამწამებს. თუმცა იმასაც ვერ იტყვიან. ფულის ყადრი არ იცისო. მაგრამ რამდენი ოქროც არ უნდა მოითხოვოთ, მიიღებთ!

— ერთ იმდენს კი მე დავამატებ, მაგრამ — ერთი პირობით, — სწრაფად ჩაურთო გუელმომ, — ამიერიდან მტრობა უნდა შეწყდეს. აჰმედის ნათესავებმა „ყურანზე“ უნდა დაიფიცონ, რომ ჰასანისა და მისი მეგობრებისგან სისხლის აღებას არ ეცდებიან.

— უადგილო სიტყვას ამბობ, ვენეციელო! — ცივი მზერა ესროლა ყადიმ. — მართლმორწმუნე მუსლიმანისთვის ხალიფის სასამართლოში ნათქვამი სიტყვა „ყურანზე“ დაფიცების ტოლფასია. ფიქრადაც არ გაივლო, რომ აჰმედის ნათესავები პირობას დაარღვევენ. შენ თუ შეასრულებ შენს სიტყვას?

— შევასრულებ, — უყოყმანოდ უპასუხა გუელმომ.

— მაშინ მოითხოვეთ საზღაური, — აჰმედის ნათესავებს გახედა ყადიმ.

სელჩუკებმა მცირე ხანი ითათბირეს და საზღაურად, ორი ათასი დირჰემი მოითხოვეს. დარბაზს გაოცების ჩურჩულმა გადაურბინა. ასეთი საქმისთვის ორი ათასი დირჰემი ძალიან დიდი თანხა იყო.

საზღაური უკვე დასახელებული იყო. ახლა ბოლო სიტყვა ყადის ეკუთვნოდა. მას შეეძლო, უარი ეთქვა აჰმედის ნათესავებისთვის და სხვა საზღაურის მოთხოვნა ებრძანებინა. მაგრამ ის დუმდა. აუჩქარებლად იფოცხავდა წვერს და ჰასანს აკვირდებოდა.

— ხალხი შენს გადაწყვეტილებას ელის, — ცოტა ხნის მერე თქვა ჰასანმა.

— თავად შენ რას ელი ჩემგან? — ჰკითხა ყადიმ.

— რასაც ყველა: საბოლოო სიტყვას!

— თუ — ბოლოს წინა სიტყვას?

— რას გულისხმობ, ყადი?

— ასეთი დავისთვის ორი ათასი დირჰემი ძალიან ძვირი საზღაურია.

— ნათესავები ძალიან ჰგვანან აჰმედს, — მშვიდად ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— შეიძლება. მაგრამ მაინც ნუ ელი საზღაურის შემცირებას... — ყადი მცირე ხნით დადუმდა, მერე აჰმედის ნათესავებს მიუბრუნდა და დაამატა: — ისმინეთ ბაღდადის სასამართლოს განაჩენი... აჰმედის მოკვლისთვის გურჯს ორი ათასი დირჰემის გადახდა დაეკისრება. ამ საზღაურის გადახდა ჰასანმა იკისრა. ორი ათას დირჰემს, პირობის მიხედვით, გადაიხდის

ვენეციელი ვაჭარიც. ამის შემდეგ თქვენ შორის დავა შეწყდება!.. თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ, — თავი დაუქნიეს აჰმედის ნათესავ-მეგობრებმა.

— თქვენ? — ჰასანსა და გუელმოს გახედა ყადიმ.

— თანახმა ვართ და დროზე მოვამთავროთ ეს საქმე. დღესვე მოდით ჩემთან, საზღაურის მისაღებად, — თქვა ჰასანმა, მერე კი ყადის მიუბრუნდა და მბრძანებლურად უთხრა: — გაათავისუფლე ჩემი სტუმრები!

ყადის ნიშანზე ხელჯოხიანები უკან გადგნენ. მურუჩისა და გუელმოს კი ჰასანის ღულამები ამოუდგნენ აქეთ-იქიდან და გასასვლელისკენ გაუძღვნენ. ჰასანი მათ გასვლას დაელოდა. მერე ყადის მიუბრუნდა და ჰკითხა:

— გიკვირს, ქრისტიანი გურჯისთვის ამდენი ფული რომ გავიღე?

— არა, — თავი გადააქნია ყადიმ, — შენ ხომ დაბადებით გურჯი ხარ და ჯიშით მოგდგამს სიშლეგე.

— საქმეც ეგაა, რომ დაბადებით გურჯი ვარ. გურჯი კი საზღაურის ფასად, არასოდეს შეურიგდებოდა თანამოძმისა და ოჯახის წევრის მკვლელს. სასამართლოშიც არ წავიდოდა საჩივრით. მოძებნიდა და თავად გაუსწორებდა ანგარიშს მოსისხლეს. ეს განსხვავებაა ჩვენ შორის, ყადი!.. — დამცინავად ჩაილაპარაკა ჰასანმა და უკან მიჰყვა თავის ხალხს.

მურუჩი ეჭვით ეკიდებოდა მოჭრაჭუნე, შელახულ და აფრებგაზინტლულ ხომალდს. არ სჯეროდა, რომ ის რომელიმე შორეულ ქვეყნამდე ჩაღწევას შეძლებდა, თანაც ასეთი ტვირთით. გემთუხუცესისა და მისი ათიოდ ზღვაოსნის გარდა, ხომალდზე ჰასანის ოთხი ღულამი და გვიდოს ექვსი მსახურიც იმყოფებოდნენ. ამას ემატებოდა ის ოცი ბედაური და ვაჭრების ტვირთი. ცხენები გემბანის ქვემოთ, მსახურთა სამყოფლიდან ტიხრით გამოყოფილ ბაგაში იყვნენ დაბმულნი. საქონლით გატენილი ტომრები და დიდი ფუთები კი მთელ ხომალდზე იყო განაწილებული. მურუჩი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი წონით გემი შორს ვერ გაცურავდა და ქარისა და ტალღების შემოტევისას ამოყირავდებოდა. თავადაც დაიღუპებოდა და მგზავრებსაც თან გაიყოლებდა. სამაგიეროდ, გვიდო ისე გრძნობდა თავს ხომალდზე, როგორც თევზი — წყალში. მურუჩი გაოცებული ადევნებდა თვალს ვენეციელს, რომელიც მოუღლელად წრიალებდა გემბანზე, ალ კაისის ზღვაოსნებს იალქნების გამართვაში ეხმარებოდა. უკვირდა — ხმლით და შუბით ბრძოლისას ტლანქი ვენეციელი ასე მოხერხებულად როგორ დაცოცავს ანძებზე, ერთი შეცდომაც რომ დაუშვას და გადმოვარდეს, რაღა უშველისო?.. მაგრამ გვიდო მართლაც გამოცდილი ზღვაოსანი აღმოჩნდა. არც რაიმე შეშლია და არც ანძიდან ჩამოვარდნილა. მშვიდობიანად დაეშვა გემბანზე, მურუჩის მხარზე მარჯვენა დაჰკრა და სიცილით ჰკითხა: რას იტყვი, ვვარგივარ თუ არა მეზღვაურადო?

— ჭოკებზე ცოცვა მართლაც სანაქებო გცოდნია. ეგ ჩვენში ჯამბაზებსაც ეხერხებათ. სხვა კი რა გითხრა.

ცურვაშიც თუ ასეთივე მარდი ხარ, ნურაფრის შეგეშინდება. ეს ვარცლი შორს მაინც ვერ გაცურავს და როცა ჩაიძირება, ნაპირამდე მიღწევას მაინც შეძლებ, — გაეხუმრა მუროჩი.

— ეგ ნუ გაფიქრებს. ძველი გემია, შელახულად გეჩვენება, მაგრამ ჰინდუსტანამდეც ჩააღწევს და მასზე შორსაც წავა, — უპასუხა გვიდომ, — ხედავ, როგორაა ნაგები? ერთი ნაჭერი რკინაც კი არ გამოუყენებიათ. მთელი ხომალდი ხის სოლებითაა შეკრული. ოსტატური ნამუშევარია. სისწრაფით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ კლდესავით მყარია.

— ჰასანისგან მსმენია: ვენეციელები ჩინებული ზღვაოსნებია არიანო... თქვენშიც ასეთი ვარცლებით დაცურავენ? — განაგრძო მუროჩიმ.

— არა, — თავი გაიქნია გვიდომ, — ჩვენს გალერებს ვერც ერთი ხომალდი ვერ შეედრება. ისინი ქარზე უსწრაფესია. ყველაზე მარდი თოლიაც კი ვერ შეძლებს მათთან გაჯიბრებას!

ალ კაისის ხომალდი არაფრით ჰგავდა ლაღ ფრინველს. მაგრამ როგორც კი ზღვაოსნებმა აფრები აღმართეს, მსუბუქად გასრიალდა წყალზე.

მალე გემმისადგომი უკან დარჩა. ალი ჰასანმა ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო ბაღდადის მთავარი მეჩეთის მოოქრულ გუმბათს და ცაში ატყორცნილ მინარეთებს. მერე სახეზე ჩამოისვა ორივე ხელი და ალაჰს შემწეობა შესთხოვა.

— გზა ნუ გაფიქრებს, ჰასან. თახთზე (*სილაზე გაშლილი ხის ნაჭრები, რომლებსაც მუსლიმანები სამკითხაოდ იყენებდნენ. — ავტ.*) მიმარჩიელეს, რომ ალაჰი დაგვიფარავს იბლისისგან (*სატანა. — ავტ.*) და შინაც მშვიდობით მოვბრუნდებით, — უთხრა ალ კაისმა და თავის ზღვაოსნებს შეუძახა: აფრები დაამატეთო!..

ბასრის გავლის მერე წყალმა შესამჩნევად იცვალა ფერი. ტიგროსის მომწვანო, ამღვრეული წყლიდან ხომალდმა ლაჟვარდისფერ ზვაში შეცურა. უფრო ძლიერი გახდა ქარიცა და ტალღაც. აქამდე აფრები ოდნავ თუ იყო დაბერილი და მუროჩის ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ხომალდს მდინარე მიაქანებდა წინ და არა — ქარი. ახლა კი მომძლავრებულმა ქარმა იალქნები დაბერა და ანძებს ჭრაჭუნი დააწყებინა. დროდადრო მოვარდნილი ტალღები აქეთ-იქით არწევდა და ახეთქებდა ხომალდს. ამ დროს მუროჩის ეჩვენებოდა, რომ მათი მოჭრაჭუნე ვარცლი ნამსხვრევებად იქცეოდა და თავის მგზავრებთან ერთად, ზღვის უფსკრულში ჩაიძირებოდა. თანაც, ზღვაოსანთა სიმშვიდეც აოცებდა. მათ ისე ეჭირათ თავი, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და ხომალდს არაფერი ემუქრებოდა.

— ხომალდს არაფერი ემუქრება, — ამშვიდებდა გვიდო, — და რომ იცოდე, ეს ყველაზე კარგი ამინდია ზღვაზე სამოგზაუროდ. ზღვაოსნებს ქარიშხალი და ღელვა უფრო ახარებს, ვიდრე უქარო ამინდი.

— როგორ? — უკვირდა მუროჩის. — ეს რყევა-ჯანჯღარი გირჩევნია მშვიდად ცურვას?

— ზღვა მარტო ერთ დროსაა მშვიდი — როცა ქარი არ ქრის. მაშინ კი ხომალდიც ვერსად წავა, ადგილზე დარჩება. ეს საშიშიცაა. მამისა და ბიძებისგან მსმენია უქარობისგან დაღუპული ზღვაოსნების შესახებ. ხომალდები იმდენს ხანს რჩებოდა უძრავად, რომ ზღვაოსნებს წყალი გამოლევიათ და დახოცილან. ასე რომ, იცოდე — ნებისმიერ ზღვაოსანს გრიგალი ურჩევნია, უქარო ამინდში დაშვებულ აფრას, — უხსნიდა გვიდო.

მოგზაურობის მერვე დღეს მუროჩიმ ნამდვილი გრიგალიც იხილა. მაშინ მიხვდა, რომ ის ღელვა, რომელიც ადრე ქარიშხლად ეჩვენებოდა, გრიგალთან შედარებით, რუს მიერ შემოხეთქებული, ანცი ტალღა ყოფილა.

თავიდან ქარმა დაიწყო კლება. ცა მოიქუფრა. უცნაური იყო ცის ცქერა. გეგონებოდა, თანდათან დაშორდნენ მზეს და ამიტომაც ჩამობნელდაო. მერე ქარი საერთოდ, ჩადგა და ზღვამაც შეწყვიტა ღელვა.

მუროჩი სულაც არ მიაქცევდა ყურადღებას ამინდის ცვლილებას, ზღვაოსანთა ფორიაქი რომ არა: გემთუხუცესი დიდხანს აკვირდებოდა მოქუფრულ ცას, მერე ზღვაოსნებს მიუბრუნდა და ყვირილი ატეხა.

— რამ დააშინა ალ კაისი? — გუელმოს ჰკითხა მუროჩიმ, რომელსაც არაფერი გაეგებოდა არაბული ენისა.

— გრიგალი გვიახლოვდება. ზღვა წყალნარევ თაფლს დაემსგავსა, გასქელდა. გრიგალის უტყუარი ნიშანია, — თქვა გუელმომ, მერე გვიდოს მიუბრუნდა და დაამატა: — თოკები მოიძიეთ და ანძებს მიებით!

— რად გვინდა მიბმა? — გაიკვირვა მუროჩიმ.

— ისე თავს ვერ შეიკავებთ. ტალღა ზღვაში გადაგრეცხავთ.

— დაბლა ჩავალთ, — თქვა მუროჩიმ.

— არა... არა... — ხელები გაიქნია გუელმომ. — გემმა ჩაძირვა თუ დაიწყო, დაბლა მყოფნი ვერ გადარჩებიან. გრიგალის დაწყებამდე ზღვაოსნები ყველა ჩასასვლელს საიმედოდ დაგმანავენ და ხომალდი თუ აყირავდა, ბანს ქვემოთ მყოფთა გადასარჩენად აღარავის ეცლება.

ამ დროს ზღვაოსნები გამალებული მიმორბოდნენ გემბანზე. ნაწილმა აფრები აკეცა, ნაწილმა ჩასასვლელები ჩაქოლა. მერე კი ყველამ მოიძია თოკი, რომლითაც ხომალდს უნდა მიჰბმოდა.

ცა, ზღვა და ჰაერი ერთბაშად გაშავდა. ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა. ქარი ჩადგა. ხომალდი უძრავად გაირინდა. ისე ჩამოცხა, თითქოს ზღვაში კი არა, უდაბნოში ყოფილიყვნენ. ზღვაოსნები და მგზავრები ხომალდზე მიბმულები ელოდნენ, რა მოხდებოდა.

ცაში გაკლაკნილმა ელვამ უეცრად გაანათა წყვდიადი და ცხელმა ქარმა ნაფლეთებად აქცია იალქანი. უზარმაზარმა ტალღამ ზემოდან გადაურბინა გემბანს. მეორე ტალღამ ქვემოდან ამოჰკრა ხომალდს და გაუხედნავი ცხენივით, ყალყზე შეაყენა. მერე ქვემოდან გამოეცალა და ზღვის უფსკრულისკენ დააქანა. ცოტა ხნით ხომალდი მთლიანად ჩაიძირა. მერე საცობივით ამოვარდა წყლიდან და ისევ ყალყზე შედგა. ამ დროს ალ კაისის ყვირილი გაისმა:

— საჭეს ვეღარ ვიმორჩილებ!.. დამეხმარეთ!.. ხომალდი თუ არ შევაბრუნეთ, ამოვყირავდებით!

ერთ-ერთი ზღვაოსანი ანძას მოშორდა და ალ კაისისკენ გაცოცდა. ამ დროს ხომალდს კიდევ ერთი ტალღა დაასკდა. აქაფებულმა ნაკადმა გვერდზე გაიტაცა ზღვაოსანი და მოაჯირს შეახეთქა. ზღვაოსანი თოკმა იხსნა ზღვაში გადავარდნისგან. მაგრამ მისმა მოშვებულმა სხეულმა ყველა მიახვედრა, რომ უგონოდ იყო და მესაჭეს ვეღარ დაეხმარებოდა. მაშინ გვიდომ თოკს სატევარი დაუსვა, თავი გაითავისუფლა და ალ კაისისკენ გადახტა.

— არა!.. არ გინდა... თავს ვერ... — შიშით წამოიყვირა ამის მნახველმა გუელმომ, მაგრამ დამთავრება ვეღარ მოასწრო. მისი ხმა ტალღის ღრიალმა დაფარა და გემი ისევ წყალში ჩაიძირა.

„მორჩა... ყველაფერი დამთავრდა... დაიღუპა... თოკის გარეშე ტალღა გემიდან გადაითრევს“, — გულისტკივილით გაიფიქრა მუროჩიმ. მაგრამ როგორც კი ტალღამ უკან დაიხია, გვიდოს ისევ მოჰკრა თვალი. ის ალ კაისის გვერდით იდგა და ორივე ხელით საჭეს ჩაფრენილი, ხომალდის მობრუნებაში ეხმარებოდა. საცარი სანახავი იყო ვენეციელი: ფეხები განზე გაედგა, სველი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, მკლავებზე ძარღვები დასძაგროდა. შიშის ან დაბნევის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა — პირიქით, ზღვასთან ჭიდილს ომად აღიქვამდა, საჭეს — იარ-

აღად. მთელი ძალით ექაჩებოდა მძიმე მორს და აღტყინებული უყვიროდა ქარსა და ტალღას:

— სულ ეგ არის შენი ძალა?! მიდი, თუ კიდევ რამე შეგიძლია, თორემ მაგ ნიავითა და წყლის შხაპუნით ვერაფერს დამაკლებ!..

ამასობაში ჰასანმა შეამჩნია, რომ მუროჩის წყალთან გამკლავება უჭირდა. მოაჯირს მოშორდა, გაჭირვებით მიფოფხდა მასთან და ყურში რაღაც ჩასძახა. მაგრამ ზღვის ღმუილით გაბრუებულმა და სანახევროდ გაგუდულმა ფხოველმა ვერაფერი გაიგო. ხომალდი კი ისევ აგრძელებდა შლეგურ ცეკვას — ხან შავი ცისკენ აიჭრებოდა და ხანაც ზღვის უძირო უფსკრულში ვარდებოდა. ყვირილს აგრძელებდა ჰასანიც, მაგრამ ქარი პირიდან ჰგლეჯდა სიტყვებს და მუროჩის ეჩვენებოდა, რომ ის მხოლოდ ნაპირზე გამოგდებული თევზივით აფჩენდა პირს და არაფერს ამბობდა. უნდოდა ეყვირა, — ხმამაღლა მითხარი სათქმელიო, — მაგრამ ვეღარ მოასწრო: ამ დროს გემბანს უზარმაზარი ტალღა დაატყდა. ზვავივით მოვარდნილმა ნაკადმა მუროჩი აიტაცა და ანძას შეახეთქა.



— გამაგრდი!.. — სადღაც შორიდან ჩაესმა გვიდოს ყვირილი და მაშინვე თვალთ დაუბნელდა. უკვე ვეღარ გრძნობდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მარტო ალ კაისის ყვირილი აღწევდა მის ყურამდე:

— ცოტაც... ცოტაც და გაწვიმდება!.. წვიმაა ჩვენი საშველი. თუ არ იწვიმა, ამაღამ ზღვის იფრითებთან (*ზღაპრული არსება, იგივე ჯინი. — ავტ.*) მოგვიწევს ცურვა!..

თითქოს ზეცამაც ისმინა მისი სიტყვებიო. საშინელმა გრგვინვამ ზღვის ღრიალი დაფარა. ჩაშავებული ცა ყვითელმა ელვამ გახია და ზღვის ზედაპირს კოკისპირული წვიმა დაატყდა.

მუროჩის არ სჯეროდა, რომ წვიმა რამეს შეცვლიდა. გემთუხუცესს ზღვაოსანთა გულის გასამაგრებელ სიტყვად ჩაუთვალა ნათქვამი. მაგრამ თურმე არ ტყუოდა ალ კაისი. ზღვასაც კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, თუ როდის ჩადგებოდა გრიგალი. სულ ცოტა ხანი იყო გასული, რაც გემთუხუცესმა სიტყვა თქვა და გრიგალმა მართლაც, ჩაცხრომა იწყო. კოკისპირული წვიმა სქელი საბანივით წაეფარა აქოჩრილ ტალღებს და ზღვის ზედაპირს მიაჯაჭვა. ამინდის ასეთმა სასიკეთო ცვლილებამ ზღვაოსნებიც გამოაცოცხლა. თუ აქამდე, შემოქმედს ეევედრებოდნენ გადარჩენას, ახლა სასიხარულო შეძახილებით უხდიდნენ მადლობას და ხელისგულებსა და სახეებს უშვერდნენ მაცოცხლებელ წვიმას.

ზღვაოსანთა სიხარული მუროჩისაც გადაედო. თავი გაითავისუფლა ბაგირისგან, რომლითაც ხომალდზე იყო მიბმული და ზღვის მარილიანი წყლის ჩამოსარეცხად სახე წვიმას შეუშვირა. ამ დროს გვიდოს ყვირილი ჩაესმა:

— წმინდაო ღვთისმშობელო, ჩვენ გავუძელით!.. ჩვენც და ხომალდმაც! ხედავ, ქართველო?.. შენ კი ამბობდი: ეს მოჭრაჭუნე ვარცლი ქარის პირველსავე შემოქროლებაზე დაიშლებაო!..

ორკვირიანი ცურვის შემდეგ, ხომალდი ბაჰრეინის კუნძულებს მიუახლოვდა. ალ კაისი თავად დადგა საჭესთან, რათა ხომალდი ფრთხილად გაეტარებინა კლდოვან კუნძულებსა და აუარება მცირე თუ მოზრდილ ნავს შორის.

შესანიშნავი ამინდი იდგა — ყველაზე კარგი, რაც კი ბასრას დატოვების შემდეგ ყოფილა. ზღვა გამჭვირვალე იყო. ხომალდის ქიმს ქვემოთ უცხო წყალმცენარეებით მოფენილი ფსკერი მოჩანდა. წყალმცენარეებს შორის ლაღად დასრიალებდნენ ზღვის არსებები. ზოგი მათგანი მუროჩის უკვე ენახა, ზოგსაც პირველად ხედავდა. საინტერესო და მიმზიდველი იყო ზღვის ფსკერისა და გუნდებად მოსრიალე თევზების ჭვრეტა, მაგრამ მასზე საინტერესო, მარგალიტის მაძიებლებთან შეხვედრა აღმოჩნდა.

თავიდან კუნძულებს შორის უამრავი შავი წერტილი გამოჩნდა. მიახლოებისას წერტილები გაიზარდა. მალე გაირკვა, რომ ეს წერტილები ნავები იყო. თითო ნავში რვა-თორმეტი მამაკაცი იჯდა. მუროჩის ისინი ბაღდადში ნანახი შავკანიანები ეგონა. მაგრამ ნავებთან მიახლოებისას შენიშნა, რომ ამ შავკანიანებს სახის ნაკვთები სხვანაირი ჰქონდათ.

— ჰინდონი არიან, — ჰასანს არ გამოჰპარვია მისი მზერა, — ისედაც ნახშირივით შავები, მთელ დღეებს მარგალიტის ძებნაში, ზღვაში, მზეზე ატარებენ და ამიტომაც მთლად შავკანიანებს ემსგავსებიან.

მარგალიტის მაძიებლები სევდიანი სიმღერით მართავდნენ ნავებს. როცა საჭირო ადგილს მიაღწევდნენ, სამკუთხა აფრას დაკეცავდნენ, ღუზას ჩაუშვებდნენ და ზღვაში ყვინთვას იწყებდნენ. ჩაყვინთვამდე მაძიებლები მოზრდილ კალათებს ყრიდნენ ზღვაში. მერე ფეხებზე ქვის ლოდს იბამდნენ და ფსკერზე ეშვებოდნენ. რაც ხდებოდა ზღვის სიღრმეში, მუროჩი საკუთარი თვალით ხედავდა: მარგალიტის მაძიებლები ფსკერზე დაფოფხავდნენ, ფრჩხილებით გლეჯდნენ ბრტყელ ნიჟარებს და კალათაში ყრიდნენ. როგორც კი ფილტვებში ჰაერი გაუთავდებოდათ, ფსკერს ფეხს დაჰკრავდნენ და ზედაპირისკენ ამოცურავდნენ.

— ძვირი ღირს აქაური მარგალიტი? — მუროჩიმ მზერა მოსწყვიტა მარგალიტის მაძიებლებს და ჰასანს მიუბრუნდა.

— ძალიან ძვირი.

— რატომ? — გაუკვირდა ფხოველს. — არც ისე ძნელი მოსაპოვებელი ყოფილა.

— არც ისე ძნელი მოსაპოვებელი... — გაეცინა ჰასანს. — გართობა-ჭყუმპალაობა არ გეგონოს მაგ მაძიებელთა საქმიანობა. მარგალიტის შეგროვება მძიმე და საშიში საქმეა. ზღვაში მარტო მონები ან უღარიბესი ჰინდონი ყვინთავენ. იცი, რამდენი საფრთხე ემუქრება ზღვის ფსკერზე დაშვებულ მყვინთავს?.. მათგან ყველაზე იღბლიანი თხუთმეტ-ოც წელს თუ ცოცხლობს. ბევრი პირდაპირ ფსკერზე იღუპება. მათთვის ჩვეულებრივი ამბავია, ცხვირიდან და ყურებიდან სისხლის დენა. მრავალი მათგანი, დროთა განმავლობაში საერთოდ, ყრუვდება და ზღვის მარილიანი წყალი თვალებსაც ულპობს. არც ზღვის მშვიდმა ფსკერმა შეგაცდინოს. ხომ მშვენიერები არიან ზღვის არსებები, მაგრამ მაგ სილამაზეში დიდი საფრთხე იმალება: ბევრი არსება ისეთი შხამიანია, რომ მხოლოდ შეხებით შეუძლია ადამიანის მოკვლა. თუმცა ეს არც ისე საშიშია, რადგან მყვინთავები კარგად იცნობენ იმ არსებებს და მათ სიახლოვეს მოხვედრას გაურბიან. აი, ამ ზღვების ყველაზე საშიშ მტაცებლებს — ზვიგენებს კი ვერაფერს უხერხებენ. ისინი ზღვის უფსკრულების ავაზები არიან, სწრაფები, მოქნილები, დაუნდობლები. განა სხვაგან ვერ მოიპოვებენ საზრდოს?! მაგრამ აქ, ფსკერზე

მხოხავი მყვინთავები ეგულებათ და ყველა მხრიდან მოიწევენ ბაჰრეინისკენ, ადამიანის ხორცით გასაძღომად... ასეთია, ფხოველო, მაგ მაძიებელთა ცხოვრება. შენ გაინტერესებს, რატომ ღირს ბაჰრეინის მარგალიტი ძვირი?.. ასე გიპასუხებ: მაგ მარგალიტს ვარდისფრად ამ წყლებში დაღვრილი მაძიებლების სისხლი ღებავს!.. ერთ ჩაყვინთვაზე მაძიებელი ოც ან ოცდაათ ნიჟარას მოაგროვებს. იმ დროს არც მაძიებელმა და არც მისმა ბატონმა არ იციან, თუ რა სიმდიდრე ამოიღეს ზღვის ფსკერიდან. ეს რამდენიმე დღის მერე ირკვევა.

— რატომ? — ჰკითხა მუროჩიმ. — განა მაშინვე არ შეიძლება ნიჟარის გახსნა?

— შეიძლება, — განაგრძო ჰასანმა, — მაგრამ ძნელია. ნიჟარას დაუმტვრევლად ვერ გახსნი. ამას დრო და ძალა სჭირდება. ოც და ას ნიჟარას ყველა მაძიებელი გასწვდება. მაგრამ წარმოიდგინე, რამდენი დრო დასჭირდება ათიათასობით ნიჟარის გახსნას! ამას არავინ აკეთებს, სხვაგვარად იქცევიან: ნიჟარებს მზის გულზე ყრიან. ორ-სამ დღეში ნიჟარის ბინადარი კვდება. მერე მარგალიტის ამოღება ადვილია, ბავშვი და ქალიც გაართმევენ თავს, ამიტომ ამ საქმიანობით, ძირითადად, მყვინთავთა ცოლები და შვილები არიან დაკავებული. ზოგ ნიჟარაში საერთოდ არ არის მარგალიტი, ზოგში შეიძლება, ათი ან უფრო მეტიც იყოს. მაგრამ ერთმა ნიჟარამ რა სიმდიდრეც არ უნდა მოუტანოს ბატონს, მაძიებელი მხოლოდ იმდენს მიიღებს, რომ შიმშილით არ მოკვდეს და მომდევნო დღეს ისევ შეძლოს ზღვის ფსკერზე დაშვება... აი, ასეთ სიბინძურეში იბადება, ფხოველო, ბაჰრეინის ვარდისფერი მარგალიტი — ნაზი, ელვარე, ადამიანში სხვადასხვაგვარი გრძნობის — აღტაცების, შურის, სიხარბის გამღვიძებელი... შემთხვევით როდი შეადარა ერთმა მგოსანმა მარგალიტი იმ მწვერვალს, რომლისკენაც ყველა მიილტვის და მხოლოდ ერთეულები აღწევენ... — ჰასანი ცოტა ხნით დადუმდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო და მერე წარმოთქვა:

— „როგორც დაშვრები, აღზევდები მხოლოდ იმ ზომით,

ის, ვინც ეძიებს ამაღლებას, თავად ტეხს ღამეს,

ზღვაშიგან ყვინთავს მარგალიტის მაძიებელი,

და წილად ხვდება თავადობა და ფუფუნება,

ის, ვისაც უნდა აღზევება შრომის გარეშე,

აუხდენელის ძიებაში ფლანგავს სიცოცხლეს“...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯასტინ ტიმბერლეიკი

ფობიებით შეპყრობილი PLAYBOY

როგორც ცნობილია, ვარსკვლავურ ცხოვრებას, მრავალ სიკეთესთან ერთად, ბევრი უარყოფითი მოვლენაც ახლავს თან. დევიდ ბექჰემის, ჯესიკა ალბასა და კამერონ დიასის მსგავსად, რომლებიც ე.წ. ობსესიურ-კომპულსიური დარღვევის სხვადასხვა ფორმით არიან დაავადებული (დაავადება, რომელსაც აკვიატებული ობსესიები — არასასურველი წარმოსახვა, აზრები, შიშები და კომპულსიები — სტერეოტიპულად განმეორებადი საქციელი ახასიათებს), ამ სენს ვერც ჯასტინ ტიმბერლეიკი გადაურჩა. მისი პრობლემა — წესრიგისა და სისუფთავისკენ მოჭარბებული სწრაფვაა: შეუძლია, ნივთები ჩამოამწკრივოს და მთელი საათები შესწიროს იმას, რომ ისინი „იდეალურად განალაგოს“. დაავადებით გამოწვეულ დაძაბულობას მუსიკოსის მთელი ძალა და ენერგია მიაქვს და მისი ორგანიზმი გამოფიტვამდე მიჰყავს. ცოტა ხნის წინ ტიმბერლეიკი გამოტყდა, რომ კიდევ — ყურადღების დარღვევის სინდრომს და ჰიპერაქტიურობას ებრძვის. ჰიპერაქტიურობა ხშირად, ბავშვობაში იჩენს თავს და ზრდასრულ ასაკშიც გრძელდება...

ბევრი ახალგაზრდის კერპი — ჯასტინ ტიმბერლეიკი 1981 წლის 31 იანვარს მემფისში (ტენესის შტატი) დაიბადა. ოდესღაც სწორედ ამ ქალაქში დაიწყო მუსიკის მოყვარულთა კერპების — ელვის პრესლისა და ჯერი ლი ლუისის კარიერა...

პატარა ჯასტინმა კი იდეალად და მისაბაძ მაგალითად, მაიკლ ჯექსონი დაისახა. ცეკვითა და მუსიკით გატაცებული ბიჭი ცდილობდა, სათაყვანებელი მომღერლისთვის მიებაძა. 12 წლის დამწყები მუსიკოსი სატელევიზიო შოუში — Mickey Mouse Club — მიიწვიეს, სადაც მომავალი კოლეგა — ჯეი სი ჩეისიზი (ჯგუფი M`Sync), ბრიტნი სპირსი და კრისტინა აგილერა გაიცნო, რომლებიც შოუში ჯასტინთან ერთად მონაწილეობდნენ.

დიდების მწვერვალისკენ მიმავალი გზა ჯასტინისთვის სწორედ ამ ჯგუფში დაიწყო. მუსიკალური კოლექტივის ყველაზე ახალგაზრდა წევრი სკოლაში სწავლასაც ასწრებდა და დამწყებ მსახიობთათვის განკუთვნილ, სპეციალურ კურსებსაც ესწრებოდა. 1998 წელს ჯგუფმა სადებიუტო ალბომი — N`Sync გამოუშვა, რომელმაც ოქტომბერში აშშ-ის ჰიტაღლუმზე მეორე ადგილი დაიკავა. ჭეშმარიტი წარმატება და საყოველთაო აღიარება კი ტიმბერლეიკს 2000 წელს ეწვია, როდესაც ჯგუფის სადებიუტო ალბომი მთელ მსოფლიოში 10-მილიონნიანი ტირაჟით გაიყიდა და ჯგუფმა „ბრილიანტის“ სტატუსი მიიღო. იმავე წელს ტიმბერლეიკი ბენდის წევრებს შორის ყველაზე გამოსაჩენ ფიგურად იქცა. ჯასტინის პოპულარობის ზრდას ბრიტნი სპირსთან რომანტიკული ურთიერთობაც უწყობდა ხელს.

ეს სკანდალი ორივეს ძვირად დაუჯდა

2001 წლის ივლისში გამოსული ახალი ალბომი — Celebrity — პოპმუსიკის სამყაროში უდიდეს მოვლენად იქცა. წარმატება ძირითადად, იმ სიმღერებმა განაპირობა, რომელთა ავტორი ტიმბერლეიკი იყო. სინგლი — Pop — წლის საუკეთესო სინგლად დაასახელეს და MTV VMA 2001-ის 4 ჯილდოთი აღინიშნა.

ალბომის მხარდასაჭერად გამართული მსოფლიო ტურნედან დაბრუნებულმა ჯასტინმა სოლო კარიერისთვის მზადება დაიწყო და პირველი სოლო ალბომის ჩაწერას მიჰყო ხელი. ამ პერიოდში ბრიტნი სპირსთან

ურთიერთობას წერტილი დაესვა და მათ სკანდალურ განხეთქილებას მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. 2002 წლის ნოემბერში ტიმბერლეიკის სადებიუტო ალბომი — Justified გამოვიდა, რომლის ჩაწერაში ესტრადის ვარსკვლავები — Timbaland, Bubba Sparxxx და ჯგუფის — The Neptunes — წევრები ეხმარებოდნენ. რიტმ-ენ-ბლუზის, ჰიპ-ჰოპის, როკისა და ბლუზის გავლენის გარდა, ალბომში მაიკლ ჯექსონის 80-იანი წლების შემოქმედების გავლენაც აშკარად იგრძნობოდა. ტიმბერლეიკის პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი, ჯგუფის

კამერონ დიასთან განშორებამდე ცოტა ხნით ადრე

ბრიტნი სპირსთან ერთად

— N`Sync შემოქმედებისგან გაქცევის და ზრდასრული მსმენელისთვის სერიოზული პოპ-მუსიკის შექმნის მცდელობა იყო.

მომდევნო წელს პრემიის — MTV Video Music Awards — გადაცემის ცერემონიაზე ჯასტინს 3 ჯილდო გადასცეს. ცოტა ხნის შემდეგ, ედინბურგში (შოტლანდია) MTV Europe Music Awards-ის დაჯილდოების ცერემონიაზე ჯასტინ ტიმბერლეიკი ერთადერთი შემსრულებელი იყო, რომელმაც ერთდროულად 3 ჯილდო — „საუკეთესო პოპშემსრულებელი", „საუკეთესო შემსრულებელი" და „საუკეთესო ალბომი" მოიპოვა.

2003 წელს ჯასტინ ტიმბერლეიკი ჯგუფის — The Black Eyed Peas — ალბომის Elephunk ჩაწერაში მონაწილეობს. ამ თანამშრომლობის ნაყოფი, სიმღერა — Where is The Love — Grammy-ს ნომინაციაზე „საუკეთესო რეპთანამშრომლობა" წარადგინეს. მომდევნო წლებში ჯასტინი ერთდროულად უამრავი საქმით იყო დაკავებული: მუსიკოსმა აშშ-ში რამდენიმე რესტორანი გახსნა, სამსახიობო კარიერაში სერიოზული ნაბიჯები გადადგა და მიწვეული სტუმრის რანგში, სხვა მსახიობების ტრეკებშიც ხშირად მონაწილეობდა.

2004 წლის თებერვალში ჯასტინ ტიმბერლეიკი გრანდიოზული სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა: ამერიკული ფეხბურთის სუპერთასის გათამაშებაზე, ტაიმებს შორის შესვენების დროს, ჯასტინმა ჯანეტ ჯექსონთან ერთად, საკუთარი სიმღერა — Rock My Body — შეასრულა. სიმღერის ფრივოლური შინაარსიდან გამომდინარე, მომღერალთა საეკვო მოძრაობებიც საკმაოდ თამამი იყო. ერთ-ერთ მომენტში, სიტყვების — I`m gonna have you naked by the end of this song („მინდა, ამ სიმღერის დასრულების შემდეგ, შიშველი გიხილო") შემდეგ, ჯასტინს პარტნიორისთვის სასცენო კოსტიუმის რომელიმე დეტალი უნდა მოეხსნა. მომღერალმა ცოტა არ იყოს გადაამლაშა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ, პირდაპირ ეთერში ჯანეტ ჯექსონს მკერდი მოუშიშვლა! მოგვიანებით ტიმბერლეიკმა საჯაროდ მოიბოდიშა და თქვა, თითქოს „ეს ინციდენტი მოუწესრიგებელი გარდერობის ბრალი იყო და არა წინასწარ განზრახული ქმედება". ამ განცხადების შემდგომ, პრესამ სიტყვები — „მოუწესრიგებელი გარდერობი" აიტაცა და ერთხანს ეს გამოთქმა პოპკულტურაშიც კი დამკვიდრდა... მიუხედავად იმისა, რომ ორივე Grammy-ს ნომინაციაზე იყო წარდგენილი, სკანდალის შემდგომ, ჯანეტს და ჯასტინს დაჯილდოებაზე მისვლა აეკრძალათ. ჯანეტ ჯექსონმა ოფიციალურად ბოდიშის მოხდა არ ისურვა, ჯასტინმა კი წერილობითი ბოდიში გამოაქვეყნა და „გრემის" დაჯილდოებაზე მისვლის უფლება მიიღო, საიდანაც ორი პრემიით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

ტიმბერლეიკის კინოკარიერა ეპიზოდური როლებით დაიწყო, მსახიობმა ნელ-ნელა გაიტაცა და სრულფასოვანი როლებიც მიიღო. თავდაპირველად, პოლიციურ ტრილერში — „ედისონი", ჟურნალისტი განასახიერა, 2006 წელს 3 ფილმში გამოჩნდა ეკრანზე, ხოლო 2007 წელს სუპერპოპულარულ მულტფილმში — „შრეკი" — ახალგაზრდა მეფე არტური გაახმოვანა.

2005 წელს ჯასტინმა საკუთარი ლეიბლი — JayTee Records შექმნა. პირველი მუსიკოსი, რომელმაც ლეიბლთან კონტრაქტი გააფორმა, ანდერგრაუნდული რეპერი — ჯოშუა ბი იყო. წარმატებული კინოკარიერის შემდეგ, ჯასტინი კვლავ მუსიკას დაუბრუნდა და 2006 წელს მეორე სოლო ალბომი გამოსცა, რომლის პროდიუსერები — რიკ რუბინი, ტიმბალენდი და ჯგუფის — Black Eyed Peas წევრი Will.i.am — იყვნენ. ალბომის ჩაწერაში კი სნუპ დოგი და ნელი ფურტადო მონაწილეობდნენ.

2006 წლის სექტემბერში მსმენელმა ალბომი — Future Sex/Love Sounds მიიღო. ალბომი მაშინვე ამერიკის და სხვა ქვეყნების ჰიტაღლუმების სათავეში მოექცა და პირველსავე კვირაში 684-ათასიანი ტირაჟით გაიყიდა. წარმატებით შთაგონებულმა მომღერალმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ საკუთარ გეგმებს კინოსთან ნაკლებად აკავშირებს, რადგან ამ ეტაპზე მუსიკალური ინდუსტრიის დატოვება „უკიდურესი სისულელე" იქნებოდა. საკუთარი ალბომის რეკლამირებასთან ერთად, ჯასტინი სხვა მუსიკოსებთანაც თანამშრომლობდა.

პრესისა და პუბლიკის ყურადღების ცენტრში კარგა ხანს იყო მოქცეული ჯასტინ ტიმბერლეიკისა და კამერონ დიასის სასიყვარულო ურთიერთობა. მაგრამ 2007 წლის 11 იანვარს წყვილმა პრესის ფურცლებზე გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ურთიერთობას ოფიციალურად წყვეტდა და ერთიმეორეს მეგობრულად შორდებოდა. იმავე პერიოდში ჯასტინს ხშირად ხედავდნენ ჯესიკა ბილთან ერთად, მაგრამ ახლო ურთიერთობის ფაქტი არც ერთ მათგანს არ დაუდასტურებია. 2007 წლის აპრილში იმის შესახებაც ბევრს ჭორაობდნენ, თითქოს ჯასტინი ძალზე ხშირად სტუმრობდა იმ სტუდიას, სადაც ახალ ალბომზე მადონა მუშაობდა... ზაფხულში ტიმბერლეიკმა ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა და განაცხადა, რომ პოპის დედოფლის ახალი ალბომის ჩაწერაში მონაწილეობდა. „5-6 სიმღერის ჩაწერაზე ვმუშაობთ, ზოგიერთი უკვე ჩავწერეთ, დანარჩენზე მუშაობას კი ზაფხულში დავასრულებთ", — განაცხადა მომღერალმა.

ბოლო წლებში პოპულარული ვარსკვლავი მრავალმხრივი ნიჭის გამოვლენას ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სფეროში წარმატებით ახერხებს. ცოტა ხნის წინ — MTV-ზე ახალი რეალითი შოუს — The Phone პროდიუსერად მოგვევლინა. პროექტი ერთგვარ თამაშს წარმოადგენს, რომელშიც ქალაქის სხვადასხვა მხარეს დამალული, ორი მობილური ტელეფონის პოვნის მსურველები ჩაებმებიან და გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში, ფულად პრიზს მიიღებენ. ამ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ტიმბერლეიკი კომპანიის — Reveille Studios კომედიური შოუს პროდიუსერობასაც დათანხმდა.

ქველმოქმედებით დაკავებული მრავალი მსახიობის (ანჯელინა ჯოლი, ბრედ პიტი, შაკირა, რიზ უიზერსპუნი, მაიკლ ჯექსონი და სხვა) მსგავსად, ჯასტინ ტიმბერლეიკმაც საკუთარი ფონდი შექმნა, რომლის მეშვეობით, ამას წინათ მემფისის მუსიკალურ სკოლას 200.000 დოლარი გადაურიცხა. მართალია, თანხა ძალზე შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ ახალგაზრდა მუსიკოსს ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს...

ჯესიკა ბილთან ერთად

ის ახლა ავადმყოფი და მიუსაფარი მოხუცია. ცხოვრობს მარტო, თუ შეიძლება ცხოვრება ერქვას ერთოთახიან „ხრუშჩოვკაში“ გამეფებულ სიღატაკეს და რაც მთავარია, კოშმარულ მოგონებებს, რომლის გამოც, ხშირად სიგიჟის ზღვარზეა... რომ არა „ნაციონალური მოძრაობის“ სასადილო და ყოველდღიური სადილი, ალბათ შიმშილით გასძვრებოდა სული, რადგან მეზობლები მასთან ურთიერთობას ერიდებიან, გასაგები მიზეზების გამო. დარწმუნებულია, რომ თავისი სიკვდილით ბევრს გაახარებს...

გაუხმაურებელი შემთხვევა

და კანონიერი ძურღისთვის ხახვივით შერჩენილი საქმე

ინგა ჯაყელი

85-წლიანი სიცოცხლის ლამის ნახევარი ციხეებში აქვს გატარებული: მისთვის არც ქართული ციხეა უცხო და არც რუსული, „ციმბირის სიკვდილის ბანაკების“ ჩათვლით, მაგრამ ციხეში გატარებულ დღეებსა და წლებზე შეგნებულად არ ლაპარაკობს. არ დაუმალავს: „არც იქ დამიტოვებია კარგი სახელი, ბოლოს ქურდის წოდებაც ჩამომართვეს, რამაც თავის დროზე ძალიან მანერვიულა, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია, გარდა ერთისა: ჩემგან დაღუპული ადამიანების მოჩვენებები არ მასვენებენ და ყოველღამე კოშმარად მიქციეს სიზმარეთი... ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ისევ ქურდი ვიქნებოდი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მკვლელი!“ — მითხრა ოსიკომ (არ შემიძლია ის „ბიძად“ ან „ბაბუად“ მოვიხსენიო...).

ზუსტად 5 წელია, რაც ამ კორპუსში გადმოვიდა. ვცდილობდი მასთან დაკონტაქტებას და არასოდეს გამიკარა — ხუთი წელიწადი, გინების მეტი არაფერი მიმიღია პასუხად და ერთხელ თავისი ხელჯოხიც კი მომიღერა დასარტყმელად. ჰოდა, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ერთხელ თავად მომაძახა:

— ეი, კალმის ჭიავ! კიდევ გაინტერესებს ჩემთან ლაპარაკი?

— გააჩნია, რას მეტყვი, ოსიკო!

— ბევრს არაფერს, მაგრამ ისიც საკმარისი იქნება ჭკვიანი მწერლისთვის, რომ ცოტა ფანტაზია მოიშველიოს და კარგი წიგნი დაწეროს!

მწერლობამდე ბევრი მიკლია, ამიტომ უცვლელად და ყოველგვარი გაზვიადების გარეშე გიამბობთ იმას, რაც ოსიკოს „დავტყუე“ და რაც ორი დღის ცხელ სადილად დამიჯდა, კაფეს კუპეში: ოსიკოს შინ მიმპატიჟებელი რომ არ ვიყავი და არც მის „ბუნაგში“ შევყოფდი ცხვირს, ამას თავადაც მიხვდა.

— შენნაირებს გული ერევათ, ჩემნაირი კაცის სიახლოვეს ყოფნისას, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით! — მითხრა. ამ დროს თავისი ჰიგიენური მდგომარეობაც იგულისხმა და ცხოვრების წესიც...

„მერე თავში დავუმიზნე იარაღი და ერთი გასროლით სული გავაფრთხობინე...“

ვაღიარებ: მისი ჭამის პროცესიც კი არ იწვევდა დადებით ემოციას — ეს იყო დამშეული ცხოველი, რომელმაც ზომაწონა არ იცის და რაც არ უნდა შესთავაზო, ყველაფერს მუცელში იყრის...

— ე-ეჰ, იყო დრო, საუკეთესო რესტორნებს „ვხურავდი“, ქალაქკომის და რაიკომის მდივნების გვერდით მიქეიფია და ჩემს დაკრულზეც უცეკვიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდათ... ერთს ცოლი „გავუბოზე“ და როცა გაგდება დაუპირა, სიკვდილით დავემუქრე. სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა მის გვერდით ჩემი შიშით. თუმცა ისიც მოასწრო, რომ ჩემი თავი დააჭერინა და 7 წელი მის გამო ვიჯექი ციხეში. იქიდან ვუთვლიდი: რომ გამოვალ, ღორივით დაგკლავ-მეთქი! — და ასეც იქნებოდა, ცოცხალი რომ დამხვედროდა. ინფარქტი დაემართა და ლაჩრულად მოკვდა საწოლში: ეჭვიც არ მეპარება, შიშმა გაუხეთქა გული, — იმ დღეებში მიშვებდნენ ციხიდან.

— **კაცი თუ გყავს მოკლული, ოსიკო?!**

— სწორედ იმ შემთხვევებზე მინდა ლაპარაკი, რომლებიც არ გახმაურებულა და ხახვივით შერჩა. არადა, ახლა სწორედ მაგ ამბების გამო ვიტანჯები ყველაზე მეტად...

ოსიკომ ძველი პიჯაკის ჯიბე მოიქექა და ჭუჭყიან ცხვირსახოცში გახვეული, შავთეთრი ფოტოსურათი ამოიღო, ალბათ სულ მცირე, 50-55 წლის წინ გადაღებული: ორი, 20-22 წლის მართლა ლამაზი გოგო, „დაყენებული“ ღიმილით იცქირებოდა ფოტოაპარატის ობიექტივში.

— დები არიან. ერთი წელი იყო მათ შორის სხვაობა. მე უმცროსი მიყვარდა — ლიანა, მაგრამ ის ახლოს არ მიკარებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქურდის სახელი გამივარდა უბანში. დაყვავებით რომ ვერაფერს გავხდი, დავემუქრე: არ გაბედო სხვა კაცზე ფიქრი, თორემ შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ-მეთქი!.. მილიციაში მიჩივლა. პატარა ბიჭიც აღარ ვიყავი, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ვერიდებოდი კონფლიქტს და ცოტა ხნით „გავქრი“, რუსეთს შევაფარე თავი. რაღაც წვრილმანზე ჩავვარდი, ორი წელი მომისაჯეს. იქ შემატყობინეს, რომ ლიანა გათხოვდა. დავიფიცე, ბედნიერებას არ შევარჩენდი. თუმცა, საქართველოში დაბრუნებულს, მისი მოკვლა არც მიფიქრია, უფრო საშინელი რამ ჩავიფიქრე...

მისი ქმარი მშენებელი ინჟინერი იყო, თან იმდენად მონდომებული, რომ მუშებს ხშირად თავზე ადგა. ის დრო იყო, როცა მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა დაიწყო საქართველოში. ერთხელაც, მუშებს სასადილოდ შესვენება რომ დაეწყოთ და ეზოში ჩავიდნენ, ის უბედური, დილით გაკეთებული საქმის შემოწმებას შეუდგა. მივედი და პირდაპირ ვუთხარი, რომ ჩემი საყვარელი ქალის დასაკუთრებისთვის ისჯებოდა... პატარა ბიჭივით, ცრემლები წამოუვიდა: ღმერთი არ გწამს?! რაც მოხდა — მოხდა, იმ ქალს რომ ჰყვარებოდი, მე ხომ არ გამომყვებოდა?!. ხუთი თვის ფეხმძიმეა, მუცელში ნუ დააობლებ ჩემს შვილსო!..

ამან მთლად გამაცოფა: ავწიე და მეხუთე სართულიდან გადმოვაგდე. აგურის გროვას დაასკდა... ორი წელი არ გამოვჩენილვარ საქართველოში. როცა დავბრუნდი, ლიას ბიჭი წამოჩიტული დამხვდა. ქალი ძაძებში იყო გახვეული, ქუჩაში იშვიათად გადიოდა. დედამთილ-მამამთილთან ცხოვრობდა, შვილი სულ ხელში აყვანილი დაჰყავდა, მიწაზეც არ სვამდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა და ეს რომ ვიგრძენი, ამიტომაც მომივიდა აზრად, სწორედ შვილით გამემწარებინა.

— ბავშვიც მოუკალი?!

— არა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სიბრალული ან სიყვარული ვიგრძენი — უფრო უარესი რამ ჩავიფიქრე: ერთ დღეს, აივანზე მშვიდად მძინარე პატარა მოვიპარე და იმავე დღეს, სვანეთში ჩემს ახ-

ლობლებს ჩავუყვანე და ისევე გადავმალე, როგორც ნაქურდალ ძვირფას ნივთებს ვმალავდი მათთან... ვთხოვე, ის ბავშვი ქურდად და ავაზაკად გაეზარდათ. მინდოდა, ჰგონებოდა, რომ იმ ოჯახის დიასახლისის ნაბოლარა იყო. ასეც მოხდა. ბიჭი მაშინ ორი წლისაც არ იყო და იოლად დაივიწყა მშობელი დედა. მერე კი სასტიკ დამნაშავედ იქცა და 28 წლის, მზაკვრულად რომ არ მოეკლათ, ქურდულ სამყაროში საარაკო სახელი ექნებოდა...

— ლიანას შვილის შესახებ მოგვიანებით მაინც თუ უთხარი?

— არა, თუმცა შემეძლო... მას ისე ვძულდი, მის სიახლოვეს რომ გამოვჩენილიყავი, აუცილებლად დამასმენდა. თანაც, შვილის დაკარგვამ ისე გატეხა და გაანადგურა, ულამაზესი გოგო უცებ დედაბრად იქცა და მის მიმართ ინტერესი გამიქრა... მერე მიმავიწყდა კიდევაც, რადგანაც ქეთო გავიცანი! — *ახლა მეორე სურათს მიჩვენებს, ასევე შავ-თეთრს და გაცრეცილს. ლიანაზე უკეთესი თუ არა, ნაკლებად ლამაზი არც ქეთოა.*

— უკვე კანონიერი ქურდი ვიყავი, დაცოლშვილებაზე აღარ ვფიქრობდი — არადა, 18 წლის ქეთო საყვარლობაზე ვერ დავითანხმე. მოვიტაცე და სვანეთში გადავმალე ისიც. შემეხვეწა: დედაჩემს გული გაუსკდება, თუ არ დავბრუნდი, მე კი მის მეტი არავინ მყავს, ოღონდ გამიშვი და ყველაფერს გეფიცები, თუ გიჩივლო, შენს საყვარლობაზეც თანახმა ვარო!..

შეასრულა დანაპირები. ორი წლის განმავლობაში იყო ჩემი საყვარელი, დედოფალივით ვაცხოვრებდი, ცოლობას არც ახსენებდა და ალბათ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არ ჩავვარდნილიყავი და სამი წლით ციხეში არ ამომეყო თავი.

ქეთომ იცოდა, რომ გათხოვების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ მომბეზრდებოდა და ამის ნებას მივცემდი. ამიტომ გათხოვებაზე არც უფიქრია, მაგრამ საყვარელი გაიჩინა, რაც ციხეშივე გავიგე — ამფსონებმა შემატყობინეს. თუ ვინდომებდი, ჩემს გამოსვლამდეც წააკლავდნენ ერთმანეთს და ისე გააქრობდნენ, ვერც მკვდრებს იპოვიდა ვინმე და ვერც ცოცხლებს, მაგრამ ისე ვიყავი გაცოფებული, ასეთი შურისძიება არაფრით დამაკმაყოფილებდა. მინდოდა, თავად მეძია შური...

ციხიდან გამოსული, რამდენიმე თვე არ გავკარებივარ, მაშინვე ჩემთვის რომ არ დაეკავშირებინათ. მერე ქეთოსთვისაც მოვიცალე და ერთ ღამეს, მძინარეებს დავადექი თავს. ქალი საწოლიდან თმით გადმოვათრიე და ვაიძულე, საყვარელი თავისი ხელით მოეკლა.

— ეგ როგორ?!

— თუ გინდა, გაპატიო და სიცოცხლე შეგინარჩუნო, შენი კურო ჩემ თვალწინ უნდა დაკლა-მეთქი!.. ჯერ ხვეწნა-მუდარა დამიწყო — შეგვეშვიო, მუხლებზე შემომეხვია, მაგრამ პისტოლეტი რომ დავუმიზნე, სიკვდილის შიშით ისტერიკა დაემართა — ჩემს მიწოდებულ დანას ეცა და ის კაცი ისე აჩეხა, მეც კი შემძრა მისმა სისასტიკემ. მერე პირდაპირ თავში დავუმიზნე იარაღი და ერთი გასროლით გავაფრთხობინე სული... ქვემოთ ჩემი ბიჭები მელოდნენ. დავუსტვინე და ამოვიდნენ. გვამები და სისხლიანი თეთრეული ტომრებში ჩაყარეს. მერე ქალაქგარეთ, ძველ საკირეზე ბენზინი გადაასხეს და ვიდრე ნაცარტუტად არ იქცნენ, მანამ არ გამოუნელებიათ ცეცხლი. დღესაც, თუ ვინმეა ცოცხალი მათი ნათესაობიდან, ალბათ ჰგონია, რომ ქეთო და მისი საყვარელი საქართველოდან გაიპარნენ. იმ კაცს ცოლ-შვილი ჰყავდა და ისე იუკადრისეს ქმრისა და მამის ღალატი, მისი ხსენებაც აკრძალეს. ქეთოს კი დედის მეტი არავინ ჰყავდა და არც იმას უცოცხლია დიდხანს, ერთადერთი შვილის გაუჩინარების შემდეგ...

ამ ამბის შემდეგ ქალი, შეიძლება ითქვას, აღარ შემყვარებია და არც ხანგრძლივი ურთიერთობები მქონია ვინმესთან.



ამ ამბის შემდეგ ქალი, შეიძლება ითქვას, აღარ შემყვარებია და არც ხანგრძლივი ურთიერთობები მქონია ვინმესთან

მხოლოდ ერთ შემთხვევას ვერ ვაპატიებ თავს: ერთი მდიდარი კაცის სახლის გაძარცვა დავგეგმეთ 50-იანი წლების ბოლოს. ისიც კი მახსოვს, რომ იმ დღეს ჩემი დაბადების დღე იყო, 36 წელი შემისრულდა და ასე უცნაურად გადავწყვიტე მისი აღნიშვნა. იმ კაცის გვარი რომ გავამხილო, შეიძლება, ბევრმა გაიხსენოს, რადგან საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნიდან პატიოსნებას ქადაგებდა, ნამდვილი ყაჩაღი იყო. შარაგზის ქურდბაცაცა არ გაყვლეფდა ისე უნამუსოდ მასზე დამოკიდებულ ადამიანებს, როგორც ის ყვლეფდა. ინფორმატორისგან ვიცოდით, რომ უამრავ ფულთან ერთად, ოქროს ზოდებიც კი ჰქონდა შინ. ჩვენი კაცი ერთი წლით ადრე შევგზავნეთ იმ ოჯახში, მებაღედ მუშაობდა და თან იქაურობას სწავლობდა. ძარცვა ზაფხულში დავგეგმეთ — როცა ოჯახი აგარაკზე იყო და შაბათ-კვირაობით ის კაციც ცოლ-შვილთან მიდიოდა. წესით, შინ არავინ უნდა დაგვხვედროდა დარაჯის გარდა, რომელიც ადვილად გავნეიტრალეთ. მაგრამ ერთ-ერთ საძინებელში 16 წლის ულამაზესი გოგო დაგვხვდა: იმ კაცის ერთ-ერთი ქალიშვილი ყოფილა, რომელიც იმ დღეს შინ გვიან დაბრუნებულა და აგარაკზე წასვლა მეორე დილამდე გადაუდვია. ხმაურზე გაეღვიძა და შიშისგან ლამის შეეშალა. იძულებული გავხდით, საწოლზე მიგვება, პირიც ავუკარით. სეიფებსა და სამალავებს ადვილად მივაგენით, ძვირფასი ნივთებიც შევაგროვეთ და ორ საათში დავასრულეთ საქმე. შეგვეძლო წამოვსულიყავით, მაგრამ ჩემმა „ნაპარნიკმა“ იმ გოგოს მოკვლა მირჩია: დაგვინახა და გაგვყიდის, არ დაგვინდობს, შარი არ გვჭირდებაო, — ამბობდა. იარაღი მოვიმარჯვე და მის მოსაკლავად, საძინებელში შევედი... არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ მართლა ისეთი ლამაზი იყო ის უბედური, ცდუნებას ვერ გავუძელი და... გავაუპატიურე!.. თითქმის ბავშვი იყო. გაოგნებული, შეშლილი თვალებით მიცქერდა. სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე და მისი აზრზე მოყვანა ვცადე. ვუთხარი, — თან წაგიყვან, თუ ჩემს საყვარლობას დათანხმდები და ოჯახს სამუდამოდ დაივიწყებ-მეთქი. პირი ავუხსენი და... სახეში შემაფურთხა: — სიკვდილი მირჩევნია შენნაირ ბინძურ ღორთან ერთად ცხოვრებასო! სასხლეტს თითი გამოვკარი და შუბლი გავუხვრიტე...

მაგარი ამბავი ატყდა, მაგრამ მაშინაც გავასწარით საქართველოდან. იმ ოჯახიდან გატანილი ფულითა და ოქროთი ექვსი თვე უზრუნველად ვცხოვრობდით უკრაინაში. სოფელში ვიქირავეთ სახლი და პატიოსანი გლეხებივით, პურის მოსავლის აღებაზეც ვიმუშავეთ.

— თუ ამდენი ფული გქონდა, სიბერეზე არ უნდა გეფიქრა, ოსიკო? ცოტა მაინც შეგენახა!

— ნამდვილად არ მეგონა, თუ დავბერდებოდი და ამდენ ხანს ვიცოცხლებდი. ღმერთს სულ იმას ვევედრებოდი, მანამ მოვეკალი, სანამ ისე დავუძლურდებოდი, რომ საკუთარი სხეულის ტარება მძიმე ტვირთად მექცეოდა. მაგრამ როგორც ჩანს, ჩემნაირი სულწაწყმედილის ხმა უფლამდე ვერ აღწევს და საიქიოშიც არავის ვჭირდები...

— ღმერთი თუ გწამს, ამდენი ბოროტების ჩადენა როგორ შეძელი?!.

— რაც თავი მახსოვს, მას შემდეგ ვქურდობ... სამი-ოთხი წლის ასაკიდან სულ

მოსაპარავზე მეჭირა თვალი. სკოლაშიც არ მივლია ბოლომდე. მეორეკლასელმა ხელფასი მოვპარე მასწავლებელს... არც მახსოვს, როგორ დამსაჯეს, მაგრამ ის ვიცი, რომ იმ შემთხვევის შემდეგ უფრო ფრთხილი გავხდი და კვალს აღარ ვტოვებდი... 18 წლის ვიყავი, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, მეც გამიწვიეს... იქაც სულ ძარცვა-ყაჩაღობისკენ ვიყავი მიმართული; ვდეზერტირობდი. ამისთვისაც ვარ ნასამართლები: საქართველოში დაბრუნების უფლებაც ჩამომართვეს, მაგრამ მოვახერხე გადასახლებიდან გაქცევა. მკვდარი კაცის საბუთები მოვიპარე, ჩემი იმას ჩავუდე ჯიბეში და „პირველი საფლავი“ ციმბირში მაქვს...

— დღემდე სხვისი სახელითა და გვარით ცხოვრობ?!

— ოღონდ — არა იმ კაცის. მას შემდეგ კიდევ შევიცვალე ვინაობა და ჩემს ნამდვილ ნათესავებთან კავშირი სამუდამოდ გავწყვიტე. ჩემი ძმა ომში დაიღუპა. ორი უფროსი და მყავდა, ერთი — უმცროსი. არა მგონია, ისინი ცოცხლები იყვნენ, მაგრამ შვილები ეყოლებათ ალბათ.

— იქნებ გიპატრონონ, მოგეძებნა!

— როცა მილიონებს ვატრიალებდი, მაშინ არ მიკითხავს მათი ამბავი და ასეთ მდგომარეობაში რომ მივადგე კარზე, რა ვუთხრა?!. თან, არავის სიყვარული არ მაქვს გულში, არც და-ძმა მყვარებია ოდესმე, არც — დედ-მამა. ახლა, მით უმეტეს, ზიზღი მახრჩობს, შენც ვერ გიტან და შემეშვი. ამ სადილის ფასი, მე მგონი, გადავიხადე, საკმაოზე მეტი გითხარი....

— რომ დავწერ, ხომ შეიძლება, ახლა დაინტერესდნენ შენით და იმ ძველი დანაშაულებისთვისაც მოგთხოვონ პასუხი?!

— ჯერ ერთი, რით დაამტკიცებ, რომ სიმართლეს გეუბნებოდი და ამ სადილის ხათრით არ მოგიჩმახე ათასი სისულელე?! ვგავარ ახლა მე ძლევამოსილ ქურდსა და ავაზაკს?! მეორეც, ჩემნაირებზე პოლიცია ხელს არ ისვრის, რადგან ქურდის წოდებაც ჩამომართვეს, არც „შავებს“ ვაინტერესებ...

— თავიდან რომ შეგეძლოს ყველაფრის დაწყება, თუ შეცვლიდი რამეს შენს ცხოვრებაში?

— არა! სხვა რა უნდა მეკეთებინა, ქურდად დაბადებულს?! უფრო მეტად სასტიკი ვიქნებოდი ალბათ, თან მარტო რუსეთში კი არა, მთელ მსოფლიოში „ვიგულავებდი“. ეგ კია, მკვლელობებზე ხელს აღარ გავისვრიდი: დავიტანჯე უძილობით, მოდიან და არ მასვენებენ...

— ამასი სინდისის ქენჯნა ჰქვია, ოსკო!

— რაც არის, არის... წავედი და სიახლოვეს აღარ გამეკარო, იცოდე. თუ დამჭირდი, თავად დაგიძახებ! — *მითხრა და ისე წავიდა, არც დამემშვიდობა. ფანტასტიკური ფილმის რომელიღაც მახინჯ ცხოველს ჰგავდა, ყავარჯნებზე დაყდნობილი...*

■

...ამ ადგილებში ადამიანს ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია. XII საუკუნეში სურამი ფეოდალური ქალაქი და ქართლის ერისთავთა რეზიდენცია ყოფილა. 1948 წელს ის ე.წ. „რესპუბლიკური მნიშვნელობის“ კურორტად გამოცხადდა. სურამი ზღვის დონიდან 900-1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს რეგიონი მიწისქვეშა სამკურნალო-მინერალური წყლებითაც გამოირჩევა. ერთი სიტყვით, მოუვლელობა რომ არა, დამსვენებლებისა და ტურისტებისთვის საოცრად მიმზიდველი ადგილია. მაგრამ ბუნებრივი სიმდიდრე ჯერჯერობით გამოუყენებელი რჩება. უფრო ჭრელად ამის შესახებ, დამსვენებლები და ადგილობრივები მოგვითხრობენ.

ჰაერი ნაძვნარში, ცვლილებან ამოღებული თოლი და „ძალიან“ ფრანგი ლუარსკი...

ლელა ჭანკოტაძე

თენგიზ კაპანაძე:

— ზამთარი როცა ხვავრიელია, თოვლი სურამის აღმართ-დაღმართებში ისე ჩამოწვება ხოლმე, რომ თავი ბაკურიანში გეგონებათ. ისმის ბავშვების ჟრიამული და ახალგაზრდებიც სიამოვნებით დასეირნობენ ქუჩებში. ეს ისევ ბუნებისგან ბოძებული საჩუქარია, თორემ ადამიანის ხელით აქ გასართობი და თვალსასეირო ჯერ არაფერი შექმნილა. კინოთეატრიც კი არ ფუნქციონირებს. მოსახლეობა შეჭირვებულად ცხოვრობს, ამიტომ კაფე- ბარები გახსნისთანავე იხურება. შარშან კაფე ჩემმა მეუღლემაც გახსნა, მაგრამ შიგნით, ცნობისმოყვარეების გარდა, არავის შეუხედავს.

— თავს რითი ირჩენთ?

— ჩვენს ქუჩაზე, ჩემი მეუღლის გარდა, არც ერთი კაცი არ მუშაობს. ყველა, საკურორტო სეზონის დაწყებას ელოდება, რომ ბინა გააქირაოს. სურამის ჰაერის სამკურნალო თვისებები უდავოა. აქ თავს იყრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰაერი. ფიჭვნარი და ნაძვის სურნელი დამსვენებელს იზიდავს, მაგრამ ჰაერის გარდა, სახარბიელო არაფერია. ამას ისიც ემატება, რომ სურამის მხოლოდ ერთი ნაწილია მოასფალტებული. დამსვენებელიც სწორედ ამ ადგილს ეტანება. მეორე ნაწილის მოსახლეობა, ფაქტობრივად, ზაფხულშიც შემოსავლის გარეშე რჩება. პრობლემაა წყალიც. ოჯახები, რომლებიც ოთახებს აქირავებენ, იძულებული არიან, რომ ჭები გათხარონ. თითოეულ ასეთ ოჯახს 4-5 ჭა აქვს. ამან გამოიწვია ის, რომ მიწა დაიმეწყრა. უზარმაზარი ნაპრალები გაჩნდა, სახლები დაიბზარა. ეზოში სათამაშოდ ბავშვებს ვეღარ უშვებენ, იმხელა ღრმულებია გაჩენილი. მალე ამ ოჯახებს გადასახლება მოუწევთ.

— რიკოთის უღელტეხილამდე საოჯახო სასადილოებისა და თონეების სიჭარბეა. ადგილობრივი მოსახლეობა ალბათ, თავს ვაჭრობით მაინც ირჩენს, არა?

— მოსახლეობა ცდილობს, საქართველოს სამხედრო გზა შემოსავლის წყაროდ გადააქციოს. მე თუ მკითხავთ, სასიამოვნო დასანახავიც კია, გზაზე მოფენილი, მოწნული თონეები. გამვლელებს იქვე, მათ თვალწინ უცხობენ ხაჭაპურს, პურსა და ნაზუქს. უცხოელი ტურისტები მონუსხულებივით ყეყურებენ ხოლმე, გახურებულ თონეში წელამდე ჩაკიდებულ ქალებს. თონეების სიჭარბე და ცხელი პურის სურნელი დაუვიწყარს ხდიდა სამხედრო გზის ამ მონაკვეთს. შარშან 15 ნაზუქსა და 15 პურს ვაცხობდი და 30 ლარს ვიღებდი. რაიონში დღეში 30 ლარს სად იშოვი?.. ფაქტობრივად, ცეცხლიდან ამოღებული ფულია. სურამელი მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლის წყარო ეს თონეები იყო. იქვე ვაჭრებს ტანსაცმელიც მოჰქონდათ და მეპურე ქალები თავს უფლებას აძლევდნენ, 10 ლარამდე შენაძენიც გაეკეთებინათ. ახლა ავიწროებენ. პატრული მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს გზაზე ვაჭრობის უფლებას, თუ თონეს ჯიხურის ფორმა ექნება. მაგრამ ჯიხური

გამვლელს არ იზიდავს. მანქანები თონეებთან სიამოვნებით ჩერდებოდნენ, ჯიხურებთან აღარ ჩერდებიან.

ნაძვნარში საოცარი სიმშვიდე სუფევს. დამსვენებელთაგან, ზოგს, ხეებშუა დაკიდებულ ჰამაკში ტკბილად სძინავს, ზოგი გაზეთს კითხულობს, ზოგიც უბრალოდ, ღრმად ისუნთქავს სასიამოვნო სურნელით გაჯერებულ გრილ ჰაერს. თბილისური პაპანაქება სიცხის შემდეგ, აქ ნამდვილი სამოთხეა. მიუხედავად იმისა, რომ ტყე მოუვლელი, დანაგვიანებულია და ჟანგმოდებული ძველი კარუსელებიც „საწყალობლად“ ღრჭიალებს, გარემო მაინც მომაჯადოებელი და საოცრად შთამბეჭდავია. ერთ-ერთ ადგილობრივს თავისი ცხენი შემოსავლის წყაროდ უქცევია: დამსვენებლებს უნაგირდადგმულ ცხენზე სვამს და ასეირნებს. ტყის გარშემო ერთი წრე 1 ლარი ღირს. იქვე, ტყის პირას, ოჯახური სასტუმროცაა...

ლეილა, *50 წლის:*

— გმადლობთ, რომ მობრძანდით: გვინდა, სურამის სახელმა სადმე გაიჟღეროს — იქნებ, ყურადღება მოგვაქციონ, იქნებ, ვინმემ ეს ბუნებრივი სიმდიდრე გამოიყენოს. ადამიანმა აქ ფული რომ ჩადოს, ათმაგად ამოიღებს. რაც მეტი ატრაქციონი, ინტერნეტკაფე და გართობის ცენტრი იქნება, დამსვენებელს უფრო მეტად მოვიზიდავთ. ჩვენც ამოვისუნთქავთ და ის მადლიანიც მეტ ფულს იშოვის.

სულიკო, *62 წლის:*

— აქაური ბუნებით უცხოელებიც კი იხიბლებიან. შარშან ინგლისელი დამსვენებლები მყავდნენ. გაოცებულები იყვნენ. ჩამოაბამდნენ ფიჭვნარში ჰამაკს და დაღამებამდე ჰაერზე რჩებოდნენ. შვილებთან ერთად, ჰამაკში იძინებდნენ. ჩემს მეზობლად

ერთი წყვილი ისვენებდა. ქალი ქართველი იყო, ქმარი — ფრანგი. ის კაცი გაოცებული იყო: ამდენი უმუშევარი ერთად, არსად მინახავს, სამუშაო ადგილები ჩვენს ქვეყანაშიც ჭირს, მაგრამ აქ რაც ხდება, დაუჯერებელიაო.

მარეხი, *49 წლის:*

— ერთი ისიც თქვი — ის ფრანგი რას ამბობდა ჩვენს მამაკაცებზე?

სულიკო:

— განა რასაც უცხოელები ამბობენ, ყველაფერი მართალია?! მერე რა, რომ ამბობდა, — თქვენი მამაკაცები ძალიან ზარმაცები არიანო?!. გაგიჟდა ის კაცი, წაქცეული ღობეები და შეუღებავი სახურავები რომ დაინახა. ამ კაცებს უსაქმურად ყოფნისთვის სად სცალიათ, არ სჯობს, ჩაქუჩი და ლურსმანი აიღონ და ეს ღობეები შეაკეთონო?!. ისიც კი მითხრა, — ჩვენში სახლის ფასადებსა და ღობეებს ლამაზად ღებავენ, თუ გინდათ, მე შეგიღებავთო. კარგი ქალი ვიქნებოდი, მისთვის მეთქვა: შვილო, რაც შენ ქირაში უნდა გადამიხადო, ეგ ფული ჩემი კარ-მიდამოს შეღებვას კი ეყოფა, მაგრამ ზამთარში მერე ეგ „გაპუდრული“ ღობეები მოვამტვრიო და ბუხარში შევუკეთო-მეთქი?.. შეშა თუ არ ვიყიდე, სახლში 2 წლის ღლაპი მყავს, ხომ გამეყინა სიცივით! შარშან შეშა 500 ლარი ღირდა, წელს ამბობენ, 700 ლარზე ნაკლებად ვერ იყიდითო.

ძ-ნი მარინე:

— ასე სურამი თანდათან დამსვენებელს დაკარგავს. აქ ხალხი მხოლოდ იმიტომ ჩამოდის, რომ ბინები იაფია. წავკისსა და გრიგოლეთში ნათესავები მყავს. ზაფხულში სახლებს აქირავებენ და თვითონ აქ ჩამოდიან. წელს დამირეკეს და მითხრეს, — ბინები 5.000 ლარად გავაქირავეთო. წარმოგიდგენიათ, თვეში 5.000 ლარი რამხელა შვებაა შეჭირვებული ოჯახისთვის? არადა, ჰაერი აქ რომ არის, ნურც ერთი ქართული კურორტი ნუ დაიკვეხნის. მისწრებაა, გულით დაავადებულებისთვის. ბავშვი ზედიზედ 3 წელი აქ რომ დაასვენო, მთელი წელი ავად არ გახდება.

ძ-ნი ვულიეტა:

— ასე იცხოვროს ჩემმა მტერმა, როგორც მე ვცხოვრობ! ძალიან გვიჭირს, შვილო. ჩემს ოჯახში არავინ მუშაობს. ორი პატარა შვილიშვილი მყავს. ამდენი ხალხი შემოსავლის გარეშე, გაგონილა?! მოვიდა სოციალური აგენტი, შეგვამოწმა, მაგრამ, — დიდი სახლი გაქვთო, — გვითხრა და დახმარება არ მოგვცეს. ბინა აქ ყველას აქვს, სახლები კომუნისტების დროს ავაშენეთ, ახლა ხომ არ დავანგრევთ?! ზაფხულის დადგომას მოუთმენლად ველოდებით ხოლმე. მაგრამ ჯერ ვერც ერთი ოთახი ვერ გავაქირავე, ხალხის ნაკლებობაა. ლილოდან მომაქვს სათამაშოები და აქ ვყიდი. დღეში 5 ლარი თუ ვიშოვე, ეს ნიშნავს, რომ კარგი დღე მქონდა. მაგრამ პატრული მავიწროებს. არადა, ხელს არავის ვუშლი. ტყის პირას ვდგავარ და პატარა მაგიდაზე სულ რაღაც 80-100 ლარის საქონელი მიწყვია. აბა, რა ვქნა, დავხოცო შვილვიშვილები შიმშილით?!.

ძ-ნი ნათელა:

— აქ ყველას უჭირს. ისინი, ვინც კარგ ადგილას — ტყის სიახლოვეს ცხოვრობენ, კარგ ფასში აქირავებენ და ჩვენთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშიც იმყოფებიან. ზოგი, 1.000 ლარად აქირავებს. ჩემს მეზობლებს ერთი ოთახი 700 ლარად აქვთ გაქირავებული. მე კი ჯერ დამსვენებელი არ მყავს. არადა, მეგონა, რომ ზაფხული სულს მოგვათქმევინებდა. მთელი ოჯახის შემოსავალი მხოლოდ ჩემი პენსიაა. რომ მკითხოთ, წლიდან წლამდე, თავი როგორ გაგაქვთო, ვერ გიპასუხებთ. მეც არ ვიცი, როგორ ვახერხებ სტუმრის მიღებას, ჭირსა და ლხინში წასვლას და, რაც მთავარია, ოჯახის გამოკვებას. იმედით კი ვცოცხლობ: შეუძლებელია, ჩვენმა ხელისუფლებამ ეს განძი არ გამოიყენოს; სურამი აუცილებლად აყვავდება და მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი გახდება. ვინმე მადლიანი, სურამს ისე ლამაზად რომ გააკეთებდეს, როგორც სიღნაღი გაკეთდა, მეტი დამსვენებელი ჩამოვიდოდა და მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობაც გამოსწორდებოდა.

დამსვენებელი ბათუმიდან:

— უკვე ასაკში ვარ და ჩემზე სურამის ჰაერი, ნაძვებისა და ფიჭვების სურნელი კარგად მოქმედებს. სიმშვიდეა, სიგრილე და საოცრად ლამაზი ბუნება. თან, ბინები იაფია, ბათუმსა და კვარიათთან შედარებაც არ შეიძლება. ერთი ნაკლი ის არის, რომ ახალგაზრდობა ვერ ერთობა. ამ ხალხს კარუსელები საკუთარი ხელით გაუკეთებია. ხომ ხედავთ, როგორი უბრალო გაკეთებულია, — ისეთი კარუსელებია, რომლისკენაც რევოლუციამდელ ბავშვსაც კი არ გაექცეოდა თვალი... აქაურებსა და აქაურობაზე გული შემტკივა. გალამაზდა — ბათუმი, ბორჯომი, ურეკი, სიღნაღი. ხაშურის რაიონმა რაღა დააშავა?! სურამის ჰავა და მისი სამკურნალო თვისებები როდის უნდა გამოიყენოს ჩვენმა სახელმწიფომ? რატომ არ კეთდება — შადრევნები, სპორტული მოედნები, კინოთეატრები და სასტუმროები, რატომ?..

საბურვლით დაფარული სიწმინდე, ჰაერში მიმავალი ხატი და ცხოველმყოფელი წყარო

„გზის“ №25-ში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის რამდენიმე სასწაულმოქმედი ხატის შესახებ მოგითხრობდით. ამჯერად კიდევ რამდენიმე მათგანზე გესაუბრებით.

შორენა მერკვილაძე

„ეიეოსისად“ წოდებული ხატი

ეს ხატი კვიპროსის კუნძულზე, კიკოსის მონასტერშია დაბრძანებული. ხატი ჯერ კიდევ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრებისას დაუწერია ლუკა მოციქულს თავად ღვთისმშობლის სახიდან. ლუკა მოციქულმა ეს უდიდესი სიწმინდე მარკოზ მახარებლის მიერ მოქცეულ ქრისტიანებს გაუგზავნა ეგვიპტეში. ერთხანს იქვე იმყოფებოდა. 980 წელს, ქრისტიანთა დევნის ხანაში, ლუკა მოციქულის მიერ დაწერილი ღვთისმშობლის ხატი კონსტანტინოპოლში ჩააბრძანეს.

ერთხელ კვიპროსის მმართველი — დიდებული მანუელ ვუტომიტისი სანადიროდ წავიდა, ტროდოსის ტყეებში მეუდაბნოე ბერს — ესაიას შეხვდა. იგი ლოცულობდა და დიდებულს სალამზე სალმითვე არ უპასუხა. მანუელმა ბერი მსახურებს აცემინა...

რამდენიმე ხნის შემდეგ, მანუელი ვუტომიტისი მძიმედ დასნეულდა. ავადმყოფობისას, უსამართლოდ დასჯილი ბერი გაახსენდა. მსახურები იხმო და მისი მოძებნა და ბოდიშის მოხდა დაავალა. ბერმა მიუტევა. ლოცვაც აღავლინა მისი გამოჯანმრთელებისთვის. დიდებული მართლაც, გამოჯანმრთელდა. თვითონ ეახლა მეუდაბნოეს და აღუთქვა, — რასაც მთხოვ, აგისრულებო, — თან დასძინა: ხილვა მქონდა, რომ კონსტანტინოპოლში, იმპერატორ ალექსი კომნენოსთან უნდა გაემგზავრო და კვიპროსზე ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ჩამოაბრძანო, რომელიც ლუკა მახარებელმა დაწერაო. მანუელმა იმპერატორის წინაშე წარდგომა ვერ გაბედა. ბერ ესაიას დიდძალი თანხა შესწირა, ტაძრის ასაგებად. მშენებლობა მაშინვე დაიწყო.

სულ მალე კვიპროსის მმართველმა შეიტყო, რომ იმპერატორის ქალიშვილს მისი მსგავსი სენი შეჰყრია.

კიკოსის ღვთისმშობლის ხატი

მანუელმა ეს ღვთის განგებად მიიჩნია და საიმპერატორო კარზე წარდგა. გვირგვინოსანს მეუდაბნოე მამის შესახებ მოუთხრო. იმპერატორმა ბერი თავისთან იხმო და ქალიშვილის განკურნება სთხოვა. მეუდაბნოე დაჰპირდა, რომ ილოცებდა მისი ასულის გამოჯანმრთელებისთვის. სანაცვლოდ კი ხილვაში ნანახის აღსრულება ითხოვა. მისი ლოცვის წყალობით, მეფის ასული განიკურნა, მაგრამ იმპერატორი სასწაულმოქმედი ხატის ბერისთვის გადაცემას არ ჩქარობდა, რადგან სიწმინდესთან განშორება ეძნელებოდა. ქალიშვილი კვლავ დასნეულდა. იმპერატორი სინანულმა მოიცვა. აღთქმის დარღვევა მოინანია, ბერს შენდობა სთხოვა, მაგრამ ხატის დათმობა მაინც უმძიმდა. გადაწყვიტა, სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლი დაემზადებინა და კიდევ ერთხელ გამოეცადა ბერი. მან ესაიას ორივე ხატი უჩვენა და არჩევანი მასვე მიანდო. მეუდაბნოემ ლოცვა აღავლინა. პასუხად, საკვირველმოქმედ ხატზე ფუტკარი დაჯდა. კეისარმა ეს ღვთის ნებად აღიქვა და სიწმინდე მამა ესაიას გადასცა, მაგრამ ბრძანა: ამიერიდან ვეღარავინ იხილავს ღვთისმშობლისა და ყრმის სახეებს კონსტანტინოპოლში... დაე, კვიპროსზეც ვერავინ იხილოს, სასწაულმოქმედი ხატი საბურვლით იქნება დაფარულიო.

ეს ბრძანება დღესაც სრულდება, თვით კვიპროსის მთავარეპისკოპოსი და პატრიარქიც კი ვერ ბედავენ, თვალი გაუსწორონ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და ყრმის სახეებს, სიწმინდე მათთვისაც დაფარულია.

ასე აღმოჩნდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი კვიპროსზე. იგი მეუდაბნოე ბერის აგებულ კიკოსის სავანეში დააბრძანეს. ამის გამო ხატსაც კიკოსისა ეწოდა. სიწმინდემ არაერთი სასწაული მოახდინა.

„ივერიისად წოდებული“ ღვთისმშობლის ხატი

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ქართული ხატი — „ივერიისად“ წოდებული — ამჟამად არხანგელსკის ეპარქიაში, ჩერნოგორის მონასტერშია დაბრძანებული. მისი ზუსტი ასლი კი მოსკოვში, ალექსი მიტროპოლიტის მონასტერში იმყოფება. სიწმინდე 1622 წელს გაუტანია საქართველოდან შაჰაბასს, სხვა სიწმინდეებთან ერთად. მოხდა ისე, რომ ღვთისმშობლის ხატი იაროსლავლელი ვაჭრის, გიორგი ლიტკინის ერთ-ერთმა მსახურმა, სტეფანემ შეიძინა, როცა ირანში იმყოფებოდა. ვაჭარმა სიზმრისეული ჩვენება იხილა, რომლის დროსაც შეიტყო, სტეფანეს მიერ ირანიდან წამოღებული განძის შესახებ და ებრძანა, რომ იგი არხანგელსკის ეპარქიაში, 1603 წელს დაარსებული, ჩერნოგორის მონასტრისთვის შეეწირა (მონასტერი „შავ მთად“ წოდებულ მთასთან მდებარეობს, სახელწოდებაც აქედან მიიღო). რუსეთში დაბრუნებულმა სტეფანემ ხატი ბატონს უჩვენა. გიორგის სიზმრისეული ჩვენება გაახსენდა და სიწმინდე დიდი მოწიწებით ჩააბრძანა ჩერნოგორის სავანეში. ხატმა უამრავი სასწაული მოახდინა.

1658 წელს მოსკოვში შავი ჭირი გაჩნდა. ეპიდემიამ მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. ამ ძნელბედობის ჟამს ქალაქში ღვთისმშობლის „ივერიისად“ წოდებული ხატი ჩააბრძანეს. მის წინაშე აღვლენილი ლოცვით მრავალი სნეული გადაურჩა სიკვდილს. დაიწერა ხატის ზუსტი ასლიც, პატრიარქი ნიკონის კურთხევით, რომელიც დღემდე მოსკოვში იმყოფება. მართლმორწმუნე ხალხის მტკიცე რწმენის ნიშნად, ქალაქში შავი ჭირის ეპიდემია შეწყდა.

MK

„ივერიისად“ წოდებული ღვთისმშობლის ხატის საგანგებოდ შექმნილი ხატი კრემლში მდებარე, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დააბრძანეს, რომელიც 1648 წელს იქნა აგებული, პატრიარქ ნიკონის ღვაწლით. მისივე თაოსნობით კრემლის კედელში გაიჭრა „ივერიის კარიბჭე“, სადაც რუსეთის კურთხეული მეფეები შებრძანდებოდნენ კრემლში, სახელმწიფო საქმეთა განსაგებლად.

პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი

როგორც არქიმანდრიტ ანდრიას მიერ მოძიებული მასალებიდან ირკვევა, პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამჟამად ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული, წინათ გურიაში, ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იყო დავანებული. ერთხელ ტაძრის მთავარხუცესმა სიზმრისეული ჩვენება იხილა: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ საკრებულო ტაძრიდან მისი ხატი აეღო და ქალაქიდან გაეტანა, რადგან ციხე-ქალაქს ჩაძირვა მოელოდა. მთავარხუცესმა სიზმარი ყურადღების გარეშე დატოვა. მას კიდევ ორგზის გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. იმავე უწყებით, მაგრამ ხუცესმა კვლავ უყურადღებოდ დატოვა ჩვენება. ციხე-ქალაქი მართლაც ჩაიძირა. სიწმინდე კი, ღვთის განგებულებით, გადარჩა — იგი წყალზე ამაღლებული, ჰაერში მიმავალი იხილეს.

სასწაულის ხილვით გაოცებული და შეშინებული მთავარხუცესი ხატის წინ დაემხო და ცრემლთა ღვრით შესთხოვდა მიტევებასა და შეწყალებას. შემდეგ სიწმინდეს მიუახლოვდა და მისკენ ხელი აღაპყრო. ხატი დაიძრა და მის ხელებში მიესვენა. რამდენიმე ხნის შემდეგ მთავარხუცესს კვლავ გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და უბრძანა — მისი ხატი ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაესვენებინა. სიწმინდე ქუთაისის საკრებულო ტაძარში დააბრძანეს, სადაც 1924 წლამდე იმყოფებოდა.

ღვთისმშობლის ხატი – „ცხოველმყოფელი წყარო“

ძველად, კონსტანტინოპოლის მახლობლად, ოქროს კარიბჭედ წოდებული ადგილის გვერდით, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჭადრებითა და კვიპაროსებით დაჩრდილული ადგილი იყო. მის შუაგულში სასწაულმოქმედი წყარო აღმოცენებულიყო. ადგილი უდაბური გახლდათ, ამიტომ დროთა განმავლობაში წყარო დაიშრიტა და ეკალ-ბარდებით დაიფარა.

ამ ადგილზე ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთმა მეომარმა, ლეონ მაკიელმა გაიარა, სადაც უსინათლოს გადააწყდა. მას დაქანცულობისა და ხვატისაგან ფეხზე დგომის ძალაც აღარ ჰქონდა. ლეონს შეებრალა სნეული და თან წაიყვანა, ხელში აყვანილი. ერთხანს ასე იარეს, შემდეგ, უსინათლო ძირს დასვა, თვითონ კი წყლის ძებნა დაიწყო, რათა ღონემიხდილი სნეული მოესულიერებინა. როდესაც იმედი გადაეწურა, უკან დაბრუნდა დაღონებული. ამ დროს უხილავი ხმა მოესმა: „ნუ ირჯები, ლეონ, და წყალს ნუ ეძებ. ის შენთან ახლოსაა“. მეომარმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერი იხილა. ამ დროს კვლავ მოესმა ხმა: „შედი ტყეში, აიღე წყალი, რომელსაც იქ ნახავ, წყურვილი მოუკალი სნეულს, ტალახი კი თვალებზე სცხე. მე ამ ადგილის მფლობელი ვარ... ჩემი შეწევნით, სულ მცირე დროში ჩემსავე სახელზე ტაძრის აგებას შეძლებ. მე აქ შევისმენ ყველას ლოცვას, ვინც მოვა და ჩემს სახელს რწმენით მოიხმობს“...

ლეონმა მართლაც, იხილა წყარო. თან ტალახიც წამოიღო, რომლის ცხების შემდეგაც თვალისჩინის გარეშე შობილს თვალი აეხილა. ქალაქში ჩასვლის შემდეგ, ყველას მოუთხრეს ღვთისმშობლის სასწაულის შესახებ. ეს მოხდა იმპერატორ მარკიანეს დროს.

მარკიანეს გარდაცვალების შემდეგ ლეონ მაკილეი გამეფდა. მას არ დავიწყებია ღვთისმშობლის სასწაული. გადაწყვიტა, სასწაულმოქმედი წყარო გაეწმინდა და მასზე ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აეგო. ტაძარს — ცხოველმყოფელი წყაროს ტაძარი ეწოდა.

ტაძრის შუაში გამოსახული იყო ცხოველმყოფელი წყარო და ღვთისმშობელი, ყრმით ხელში (სწორედ ისე, როგორც „ცხოველმყოფელ წყაროდ“ წოდებულ ხატზეა გამოსახული). თვით ცხოველმყოფელ წყაროსთან მოსახვედრად, რომელიც ტაძრის შუაგულში მოედინებოდა, ოცდახუთსაფეხურიანი მარმარილოს კიბე უნდა ჩაევლოთ...

რამდენიმე წლის შემდეგ ტაძარი მაჰმადიანებმა დაარბიეს. ირგვლივ ყველაფერი გადაბუგეს. წყაროც ნანგრევების ქვეშ მოჰყვა, მაგრამ იმ ადგილას რწმენითა და სასოებით მოსული მლოცველნი მაინც იღებდნენ შვებასა და კურნებას... 1834 წელს ცხოველმყოფელი წყაროს თავზე კვლავ ააგეს ქვის დიდი ტაძარი. სასწაულმოქმედმა წყარომაც კვლავ დაიწყო დინება...

მახერას ღვთისმშობლის ხატი

ლუკა მახარებელს ღვთისმშობლის 70 ხატი დაუწერია. ერთ-ერთი მათგანი კუნძულ კვიპროსზე მდებარე მახერას ღვთისმშობლის სახელობის მონასტერშია დაცული. სიწმინდე VII-IX საუკუნეებში ჩამოუბრძანებია უცნობ მეუდაბნოეს მცირე აზიიდან და მახერას მთებში გადაუმალავს. 1145 წელს მეუდაბნოე ბერებს — ნეოფიტესა და ეგნატეს საღმრთო გამოცხადებით ეუწყათ ხატის ადგილსამყოფლის შესახებ. გადმოცემის თანახმად, როდესაც იმ გამოქვაბულს მიადგნენ, სადაც ხატი ინახებოდა, ღვთის განგებით, მათ ხელში აღმოჩნდა დანა, რომლის წყალობითაც, გამოქვაბულის გარშემო მოდებული ბუჩქების გასხეპა და იქ შეღწევა შეძლეს. ღვთისმშობლის ხატს „მახერიოტისა“, „მახერა“ ეწოდა, რაც დანას ნიშნავს. ოდნავ მოგვიანებით, ხატის პოვნის ადგილზე მახერას ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი დააარსეს. სასწაულმოქმედი ხატიც იქვე დააბრძანეს. ■

ერთი კითხვა

— რომელია თქვენი საყვარელი კურორტი და როგორ ისვენებთ ზაფხულში?

გივი სიხარულიძე, *მსახიობი:*

— ზაფხულში დასვენებას — ზღვაზე, ზამთარში კი — მთაში ვარჩევ. კურორტებიდან ყველაზე მეტად, მონტე-კარლო მხიბლავს. იქ ხშირად დავდივარ. ახლა ქობულეთში ვისვენებ, ქობულეთის შემდეგ, იტალიაში წასვლას ვაპირებ. ზამთარში კი თხილამურებზე სრიალით ვერთობი. ხან ავსტრიაში ვარ, ხან — ბაკურიანში და ხან — გუდაურში.

ინტერნეტდამოკიდებული ბერები

უელსის სამხრეთ-დასავლეთით, პემბროკშირის საგრაფოში შემავალ კუნძულ კოლდიზე 100 წლის წინ აშენებული სააბატოს კათოლიკე ბერებმა ბერმონაზვნური მდორე ცხოვრების წესში ცვლილების შეტანა და მონასტრის სამრეკლოზე უსწრაფესი უსადენო ინტერნეტის მიმღების დამონტაჟება გადაწყვიტეს.

სააბატოს თხუთმეტიოდე ბერი მონასტრის შესანახ და სხვა მიმდინარე ხარჯებზე გასაღებ ფულს ძირითადად, ადგილობრივი ტურიზმით (ზაფხულობით, გარკვეული გასამრჯელოს ფასად, მათ ტურისტები კუნძულზეც თავად გადაჰყავთ და მისი დათვალიერების ნებასაც დიდსულოვნად აძლევენ) და საკუთარი ნაწარმის, მათ შორის შოკოლადის, სუნამოს, წიგნებისა და ბერების ცხოვრებაზე შექმნილი DVD-ის გასაღებით შოულობს. დაინტერესებული საზოგადოებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებაში კი მათ აგერ უკვე 6 წელია, ინტერნეტში განთავსებული საკუთარი საიტი ეხმარებათ.

„მოთმინება ბერმონაზვნური ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია, მაგრამ „დიალ-აპით“ ინტერნეტში შესვლის არნახულად დუნე ტემპმა ჩვენს ძმებსაც აუვსო მოთმონების ფიალა. აი, უსადენო ინტერნეტი კი სულ სხვა საქმეა. თუმცაღა უნდა ვაღიარო, რომ ასეთი კავშირის მისაღებად დიდი გარჯა და სოლიდური თანხის გაღებაც დაგვჭირდა. სამაგიეროდ, ახლა ჩვენც თანამედროვე მაღალსიჩქარიანი კავშირის არხით ვსარგებლობთ და ჩვენს კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით დიდ გეგმებსაც ვაწყობთ“, — კმაყოფილებას ვერ ფარავს აბატი, მამა დენიელი.

ამჟამად კუნძულ კოლდის სააბატოს საიტზე შოკოლადის — Abbot's Kitchen ხუთი ფილის 7,25 გირვანქა სტერლინგად და ორი შეკვრა ხრაშუნა პურის 7,95 გირვანქა სტერლინგად ყიდვა შეიძლება. სააბაზანო ესენციებისა და ხელის ლოსიონების ნაკრები The Lavender Collection კი მსურველს 18,95 გირვანქა სტერლინგი დაუჯდება.



ისე, თავიდან პემბროკშირელი ბერები ინტერნეტში თანამგზავრის მეშვეობით ჩართვასაც ფიქრობდნენ. მაგრამ შემდეგ დაასკვნეს, რომ ანტენა-თეფში არქიტექტურის ძეგლების სიაში შეტანილი მათი სააბატოს ისტორიულ იერს დაარღვევდა და ამიტომაც, დახმარებისთვის საგრაფოს უსადენო კავშირის სპეციალისტს მიმართეს. ამ უკანასკნელმა კი ბერებს სააბატოს სამრეკლოზე მძლავრი, მაგრამ გარედან შეუმჩნეველი მიმღებიც უპრობლემოდ დაუმონტაჟა და იმაშიც დაარწმუნა, რომ ის მათ ჩვეულ ცხოვრებაზე მხოლოდ მინიმალურ გავლენას იქონიებს. ■

რუსი არალეგალი ინგლისის დედოფალს ჩაის მიართმევდა

როგორც გაზეთ „სანისთვის“ გახდა ცნობილი, არალეგალი რუსი იმიგრანტი, 32 წლის იგორ გოლოვანოვი თითქმის ორი წლის განმავლობაში ინგლისის დედოფლის კარზე ლაქიად მსახურობდა და მასა და სამეფო ოჯახის სხვა წევრებს ჩაისა და ყავას მიართმევდა. ლაქიისა და კარისკაცის სამუშაომ გოლოვანოვს სამეფო სასახლეში, უინძორის ციხე-კოშკში, ბალმორალსა და სანდრინჰემში ყოფნის საშუალება მისცა. მთელი ამ ხნის მანძილზე ის ბუკინგემის სასახლეში ცხოვრობდა, მოოქრული ეტლებით მგზავრობდა და სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურთან და ინგლისის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნთან ურთიერთობდა.

მიუხედავად იმისა, რომ გოლოვანოვს ქვეყანაში მუშაობის ნებართვა არ ჰქონდა, რაც მას ავტომატურად, არალეგალურ იმიგრანტად აქცევდა, ის თითქმის 2 წელი ირიცხებოდა ბუკინგემის სასახლის მსახურთა შტატში, სადაც, ამასთანავე, ერთადერთი რუსიც იყო. იგორის მტკიცებით, ბუკინგემის სასახლემ მისი მონაცემები თავის დროზე სათანადოდ არ შეამოწმა და ახლა, როცა ყველაფერი გამოააშკარავდა, მათი დაუდევრობის გამო თავად ისჯება. „ჩემი სამსახურში აყვანით, მათ კანონი თავადვე დაარღვიეს, — ამბობს იგი, — ახლა კი განუწყვეტლივ მირეკავენ და ჩემგან დიდი ბრიტანეთის დატოვებასაც მოითხოვენ. მე კი ამ ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენას ვაპირებ. იმედს არ ვკარგავ, რომ ვინმე ჩემს მხარეზეც დადგება და დარჩენაში დამეხმარება“. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისის ახალი კანონების მიხედვით, არალეგალურად მუშაობისთვის ადამიანის არა მარტო დაჯარიმება, არამედ ციხეში ჩასმაც კი შეიძლება, ბუკინგემის სასახლის ყოფილ კარისკაცს წინ მაინცდამაინც ნათელი პერსპექტივა არ უნდა ელოდეს.

იგორ გოლოვანოვი დიდ ბრიტანეთში 2000 წელს, სტუდენტად ჩავიდა და მოგვიანებით იქ, ბურნემუტის უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი (სასტუმრო ბიზნესის

დარგში) აიღო. ამის შემდეგ საიმიგრაციო სამსახურმა მას ერთ-ერთ სასტუმროში სტაჟიორად მუშაობის უფლება იმ პირობით მისცა, რომ მხოლოდ იმ კონკრეტულ დამქირავებელთან ექნებოდა ურთიერთობა. მაგრამ როცა მეპატრონეებმა გამოუცხადეს, — სასტუმროს მალე დავხურავთო, — იგორმა, მიუხედვად იმისა, რომ ამის უფლება არ ჰქონდა, სხვა სამუშაოს ძებნა მაინც დაიწყო. ასე წააწყდა ბუკინგემის სასახლის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, იქ კარისკაცი ესაჭიროებოდათ და 2006 წლის იანვარში სასახლეში განაცხადიც გაგზავნა. მოგვიანებით, იგორმა ორი გასაუბრება გაიარა, რის შემდეგაც აუწყეს, რომ სამუშაოზე კარისკაცად კი არა, ლაქიად მიიღებდნენ.

„ისინი ჩემი გეგმებითაც დაინტერესდნენ, — იხსენებს იგორი, — და მეც პირდაპირ ვუთხარი, — ბრიტანეთში სამუდამოდ დარჩენის იმედი მაქვს-მეთქი... უშიშროების სამსახურის მხრიდან შემოწმებას კიდევ თითქმის 7 თვე ველოდე და მხოლოდ ამის შემდეგ მომწერეს, რომ სამსახურში ოფიციალურად მიღებული ვიყავი და ხელფასი — 13.825 გირვანქა სტერლინგი მენიშნებოდა, საიდანაც თითქმის 3.000-ს „იჯარაში“ დამიქვითავდნენ, რადგან სასახლეში, ლაქიების სართულზე ვიცხოვრებდი“.

იგორ გოლოვანოვი სამუშაოს 2006 წლის ოქტომბერში შეუდგა. თავიდან, სამეფო კარის ისეთ მაღალი დონის პერსონებს ემსახურებოდა, როგორიც მაგალითად, დედოფლის პირადი მდივანია. როცა გარკვეული გამოცდილება მიიღო, უკვე სამეფო ოჯახის წევრების — თავად დედოფლის, პრინც ფილიპისა და იორკის ჰერცოგის მომსახურება დაავალეს. „მათ საჭმელს, ჩაისა და ყავას მივართმევდი, — იხსენებს იგორი, — და ისინიც ყოველთვის ზედმიწევნით თავაზიანად მეპყრობოდნენ“.

სამეფო კარის მომსახურე პერსონალს იგორის საეჭვო იმიგრაციულ სტატუსზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, სანამ ეს მათ თავად არ შეატყობინა. ამის შემდეგ მოვლენები საკმაოდ სწრაფად განვითარდა და მალე ისიც გამოუცხადეს, რომ მისი კონტრაქტი გაუქმებული იყო, რადგან სასახლეში, ფაქტობრივად, ვიზის პირობების დარღვევით, როგორც არალეგალური იმიგრანტი, ისე მუშაობდა...

სულ ახლახან, ბუკინგემის სასახლის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამჟამად ლონდონის სამხრეთში მცხოვრებმა იგორ გოლოვანოვმა სრული შემოწმება გაიარა და ქვეყანაში ცხოვრების უფლებაც მიიღო. „მაგრამ, — დასძინა მან შემდეგ, — თავის დროზე, დამქირავებლის შეცვლისას, პროცედურები სრულად არ იყო დაცული. ამჟამად შეცდომა აღმოჩენილია და კონტრაქტიც — დარღვეული“. ■

რუბრიკა მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**



ᲛᲐᲨᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ — ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ

ჟურნალმა „ფორბსმა" აგვისტოს ნომერში რუსეთის ყველაზე ძვირად ღირებული და პოპულარული მსახიობების, მუსიკოსების, ტელეწამყვანების, სპორტსმენების, მწერლებისა და ტოპმოდელების ტრადიციული ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. შემოსავლების მიხედვით, ჯვლავ სპორტსმენები ლიდერობენ და ამ სიის ტოპ-50-ის (საიდანაც ჩვენს მკითხველს ყველაზე ცნობილ ხუთეულს ვთავაზობთ) თითქმის მესამედიც სწორედ მათ მიერაა დაკომპლექტებული.

„ფორბსის" „ყველაზე ძვირად ღირებულთა და სახელგანთქმულთა" სიას შარშანდელივით, მარია შარაპოვა უდგას სათავეში და ორივე ამ პარამეტრით მისი ლიდერობა პრაქტიკულად, უდავოა. დანარჩენებთან დაკავშირებით გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კი აქვე განვმარტავთ, რომ მსგავსი რეიტინგების შედგენისას „ფორბსი", შემოსავლის გარდა, ორიენტაციას „პრესის ყურადღებასა" და „აუდიტორიის ინტერესზეც" აკეთებს.

1. **ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ** (ჩოგბურთი) — 26 მილიონი დოლარი (შემოსავლის მიხედვით, 1-ლი ადგილი);
2. **Comedy Club** (იუმორი) — 9,8 მლნ დოლარი (მე-3);
3. **ᲓᲘᲛᲐ ᲑᲘᲚᲐᲜᲘ** (პოპმუსიკა) — 4,6 მლნ (მე-9);
4. **ᲐᲚᲐ ᲞᲣᲒᲐᲩᲝᲕᲐ** (პოპმუსიკა) — 4,4 მლნ (მე-11);
5. **ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝ** (კალათბურთი) — 13,7 მლნ (მე-2).

„ფორბსის" გამოთვლებით, რეკლამას მაშასთვის 8-ჯერ მეტი ფული მოაქვს, ვიდრე საპრიზო ადგილებზე გასვლას.

იდელური ფორმების, სწორი ქერა თმის, თამაშისას გამოცემული, ეროტიკული შეძახილებისა და მაჰიპნოზებელი გამოხედვის (და კიდევ, გარკვეულწილად, ამ მომენტისთვის მოგებული, „დიდი სლემის" ორი ტურნირის) წყალობით, მარია შარაპოვა ქალთა სპორტისთვის შეუდარებელი მარკეტინგული პოტენციალის მქონე ადამიანია. ■

გაშიშვლებული ოლიმპიელები

როგორც ცნობილია, ძველი საბერძნეთის ათლეტები ე.წ. „ნიუს“ სტილში საკუთარი სხეულების დემონსტრირებას ახდენდნენ. სხვადასხვა ეპოქაში მოქანდაკეები და ფერმწერები თავიანთ ნაწარმოებებში სიამოვნებით გამოსახავდნენ ჩამოქნილ სხეულებს და გაშიშვლებული სპორტსმენების ამსახველი ტილოები შოკში არავის აგდებდა.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა ოლიმპიური მოძრაობის აღორძინების დღიდან, როდესაც სპორტსმენები სპეციალურ კოსტიუმებში გამოწყობილნი წარდგნენ პუბლიკის წინაშე. მაგრამ ამასთანავე, სპორტსმენები ხშირად ახდენენ საკუთარი კუნთებისა და ბიცეფსების დემონსტრირებას საჟურნალო ფურცლებზე ან სხვადასხვაგვარ საკონცერტო თუ საქველმოქმედო აქციაზე.

XX საუკუნის დამლევს, სპორტული ეროტიკული ფოტოს ნამდვილი აყვავების მომსწრენი გავხდით და ეს ჟანრი სულ უფრო იმტკიცებს პოზიციებს. მაგალითად, ლატვიის ქალთა საკალათბურთო ნაკრების წევრებმა 2008 წლის კალენდრისთვის იმ მიზნით გადაიღეს შიშვლად სურათები, რათა გაჭირვებაში ჩავარდნილი, საბჭოთა სპორტის ლეგენდის — ულიანა სემიონოვასთვის გაეწიათ დახმარება: კალენდარი 50 დოლარი ღირდა, მაგრამ მყიდველი არ მოჰკლებია.

მსგავსი აქციები სპორტსმენთა პოპულარობის ზრდასაც უწყობს ხელს და სოლიდური თანხების მოპოვებასაც. საკუთარი სხეულის დემონსტრირების მსურველ ათლეტთა რიცხვი, განსაკუთრებით, დიდი სპორტული ასპარეზობების წინ იზრდება.

ბუნებრივია, არც პეკინის ოლიმპიადა აღმოჩნდა გამონაკლისი. თამაშების დაწყებამდე ამ მხრივ, იმ ბრიტანელმა სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი, რომლებსაც მედლების მოპოვების რეალური შანსი აქვთ და ჩინეთში გამგზავრებამდე საგანგებო ფოტოსესია ჩაატარეს.

ველომრბოლელმა რებეკა რომეომ, მხტომელმა ფილიპს იდოვუმ და მოცურავემ გრეგორ ტაიოტმა თავიანთი შესაშური ფიზიკური ფორმის სადემონსტრაციოდ და ფირზე დასაფიქსირებლად, სპორტის შესაბამისი სახეობებისთვის დამახასიათებელი კომპოზიციები აირჩიეს. როგორც ვარაუდობენ, ამ კადრებს სპორტული სასმლის — ოწერადე — სარეკლამოდ გამოიყენებენ: მისი მწარმოებელი ხომ პეკინის ოლიმპიადის ერთ-ერთი ოფიციალური სპონსორია. ■



ნელი ბიჩიკაშვილი: ქმარს მოჯადოებული ცოლის დაბრუნება სურს

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. თუ რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან. ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობით, ბევრი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალოდნელ უსიამოვნებას, ხალხი მასთან რაიონებიდანაც ჩამოდის.

— ამას წინათ, ჩემთან დახმარების სათხოვნელად 40 წლის მამაკაცი მოვიდა, რომელსაც სახლიდან მოსიყვარულე და ერთგული ცოლი გაექცა.

— **სად წავიდა?**

— საცხოვრებლად ქმრის უახლოეს ძმაკაცთან გადავიდა. კაცმა ცოლის საქციელი რომ ვერ ახსნა, დახმარების სათხოვნელად ჩემთან მოვიდა. იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონიათ, რომ გაკვირვებული იყო, — რატომ მიღალატაო? ვუმკითხავე და მიზეზი ვუთხარი: მისმა უახლოესმა მეგობარმა ქალი მოაჯადოვა და ქმარს დააშორა.

— **რას აპირებს გაწბილებული მეუღლე?**

— მთხოვა, — დამეხმარე, რომ ცოლი დავიბრუნოო. იმდენად უყვარს, თანახმაა, ისევ მიიღოს, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ის მის ძმაკაცთან წევს. მოკლედ, სიყვარულის სახელით ისეთი ამბები ხდება, ზოგჯერ, დაჯერება გიჭირს. ერთი თვის წინ ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ქმარი ღალატობდა და მთხოვა, — დამეხმარეო. ვუმარჩიელე და ვუთხარი, რომ მან, რამდენიმე წლის წინ, იგივე ცოდვა ჩაიდინა. ჯერ იუარა, მაგრამ შევაშინე, — თუ სიმართლეს არ აღიარებ, ვერ დაგეხმარები-მეთქი და მერე, ყველაფერი მიამბო.

— **რა ცოდვა ჩაიდინა?**

— პირველი ქმრის სიკვდილის მერე, ცოლიანი საყვარელი გაიჩინა და ოჯახი დაუნგრია.

— **ეს როგორ მოახერხა?**

— საყვარელს მეუღლე კი ჰყავდა, მაგრამ თვითონ უშვილო იყო და აყვანილ ბავშვს ზრდიდნენ. მოგვიანებით, ქვრივი დაფეხმძიმდა. კაცი აღფრთოვანებული გახლდათ. იფიქრა, — ექიმებს რაღაც შეეშალათ ან მკურნალობამ შედეგი გამოიღო და გამოვჯანმრთელდიო.

— **ქვრივმა თავი სხვისგან დაიფეხმძიმა?**

— არა, საყვარლისთვის არ უღალატია, მაგრამ როცა მოსალოგინებლად საავადმყოფოში წაიყვანეს, მუცელი ჩაეფუშა და გინეკოლოგებმა ცრუორსულობა დაუდგინეს. ქალი არ დაიბნა, საყვარელს სიმართლე დაუმალა და სამშობიაროდან მიტოვებული ბიჭი წამოიყვანა. საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა იმისათვის, რომ კაცს ბავშვი თავისი შვილი ჰგონებოდა. გახარებულმა მამამ ცოლი და აყვანილი გოგონა მიატოვა, ქვრივი შეირთო, მაგრამ რამდენიმე წლის მერე ახალგაზრდა ქალი გაიჩინა საყვარლად, რომელიც ახლა ორსულადაა.

— **ორსულობას ის ქალიც იგონებს?**

— არა, მართლა ორსულადაა. ოღონდ, ახალგაზრდა კაცისგან, რომელსაც პერიოდულად ხვდება. ქალს მდიდარი ქმარი ეყოლება, დროს კი საყვარელ მამაკაცთან ერთად გაატარებს. თანაც, მეუღლეს მის შვილს გააზრდევინებს. მართალია, სხვისგანაა ფეხმძიმედ, მაგრამ კაცს ჰგონია, რომ მუცლით მის ბავშვს ატარებს, რადგანაც მეორე ქორწინების შემდეგ მიიჩნევს, რომ ჯანმრთელია და ქალის დაორსულება შეუძლია.

— **საყვარლის შერთვას აპირებს?**

— დიახ! ერთი სიტყვით, მეორე ცოლს, რომელმაც უდანაშაულო ქალს მოტყუებით წართვა ქმარი, ღმერთმა სამაგიერო გადაუხადა.

P.S. *დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მისამართი: წერეთლის გამზირი №12, (მეტროსადგურ „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24. საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72; 8(93). 30.65.51; 8(99). 20.37.64.*

R

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 10

მტრების მიწაზე ქართველები მონასტრებს არ აშენებდნენ...

XIX საუკუნის მეფის რუსეთმა კარგად შენიშნა რელიგიურ ნიადაგზე გაჩენილი ბზარი და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იგი დიდ ნაპრალად ექცია. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ჩვენმა დიდმა ერთმორწმუნე მეზობელმა უარი უთხრა ახალციხის ოთხი სანჯაყის ქართველ ბეგს გაქრისტიანებაზე.

ანე მუვილოგიანი პასუხი მეფეებზე

ასმათ შამუგია

მაგრამ რუსეთმა ვერ მიაღწია აფხაზების ასიმილაციას იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოების წარჩინებული ნაწილი წარმატებით აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, რაც აფხაზური ანბანისა და აფხაზური ლიტერატურის შექმნამ განამტკიცა. აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი — დიმიტრი გულია ხომ ქართულ კულტურაზე აღზრდილი მოღვაწე იყო. სამწუხაროა: ის, ვინც მშობელი ხალხი წააქეზა, არ ფიქრობს — როგორც ასობით წელი ორ ხალხს ერთ მიწაზე გვიცხოვრია, კვლავაც უნდა ვიცხოვროთ, უცხო ხელი და „მესამე ძალა“ ჩვენ შორის ვეღარ ჩადგება. თავად ერთ-ერთი აფხაზის თქმით: „ჩვენ, აფხაზები ერთ სტადიონსაც ვერ გავავსებთ, როგორ შეიძლება, ქართველებს ზურგი ვაქციოთ? ხომ ვიცით — ვიდრე ქართველი ერი იარსებებს, აფხაზებიც ვიქნებით!“

მაგრამ საუბედუროდ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ბევრმა აფხაზმა რუსეთი აირჩია. ამის შედეგად, აფხაზეთის ხარჯზე რუსეთის ზღვისპირა საკურორტო ზონა იზრდება. სწორედ ასეთია ნება „მესამე ძალისა“, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან დაიწყო მოქმედება და თუმცა აფხაზურ-ქართული დრამის პერსონაჟები შეიცვალნენ, პრინციპი იგივე დარჩა — „გათიშე და იბატონე!“

ეტყობა, ცოდვისთვის ღმერთი გვსჯიდა, მაგრამ არა მგონია, ბოლომდე გაგვწიროს. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა — მშობელი დედის კუთვნილს კი არათუ ღმერთი, არამედ კაციც არ გასწირავს. ეს — იმედისათვის!..

რადგან უცოდველი ერი დედამიწის ზურგზე არ არსებობს, არც ქართველები ვართ ამ მხრივ გამონაკლისი. თუმცა ისიც ცხადია, რომ სხვა ერის მიმართ არასოდეს შეგვიცოდავს და თუ რაიმეს ვაშავებთ, ისევ — საკუთარი თავის წინაშე!

ქართველები სძულთ იმ აფხაზებს, რომლებიც ასე თუ ისე, ჩახედულები არიან ისტორიაში. სძულთ იმიტომ, რომ ისტორია მათ მიერ აკვიატებულ აზრებს არ იზიარებს და ადასტურებს, რომ აფხაზეთი ოდესმე მხოლოდ აფხაზთა სამკვიდრო იყო.

საუკუნეების მანძილზე არ ყოფილა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთდაპირისპირების არც ერთი შემთხვევა. საქართველოს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო აფხაზებთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთანაც, რასაც ადასტურებს იქ შემონახული ქართული ეკლესია-მონასტრები. მტრების მიწაზე კი ქართველები მონასტრებს არ აშენებდნენ...

„რა პატარა ხარ! (ალბათ ცრემლს თუ აღემატები?)

და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სიხარულს იტევ!“

შემთხვევით როდი შეადარა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ ლამაზი და განუმეორებელი აფხაზეთი ცრემლის წვეთს. ასე იყო ოდითგან: დიდი სიხარულიც და დიდი მწუხარებაც ცრემლს წარმოშობს უთუოდ.

ისევ შოთა ნიშნიანიძეს დავესესხები:

„ვწევარ ღმერთების ფაცხაში,
ვაზის ტოტებით მორთული,
ლოყაზე მჩხვლეტენ წვერები ყაბალახიან მორდუსი...“

ამას მოჰყვება ტკბილი მეგრული მელოდია:

საქმე საქმეზე რომ მიდგა, ბევრმა აფხაზმა რუსეთი აირჩია

ზემო აფხაზეთი და გალის რაიონი აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობისთვის დღემდე „სუსტ წერტილებად“ რჩება

„ფაცხა მიორს მარგალიში, მოუნაფილი ფარგალიში,

თექი ოკო მილარდასუ, სქვამი ცირა მარგალიში...“

ნუთუ ამ ცირებმა ფაცხაში არ უნდა იცხოვრონ?!.

„ო, აფხაზეთო! მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გავყუჩდები...

შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის სუნი და დავმშვიდდები!..“

მთელ აფხაზეთს შეიძლება, მივმართოთ ამ სიტყვებით... ჩვენს უდიდეს ტკივილს, მოუშუშებელ იარას:

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო,

ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“.

ზემო აფხაზეთი და გალის რაიონი აფხაზეთის სეპარატისტული ხელმძღვანელობისთვის დღემდე „სუსტ წერტილებად“ რჩება. კოდორის ხეობას სვანები დალის ხეობასაც უწოდებენ. მითური გმირებითა და ღვთაებებით დასახლებული დალის ხეობა ოდითგანვე კოლხური სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ სვანური ტომები. ხეობას კვეთდა სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა კავკასიის ხალხების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რიგი მეცნიერული წყაროს მიხედვით, ამ ხეობაში ანტიკური ხანიდან ჩვ.წ.აღ-ის VIII საუკუნემდე ცხოვრობდნენ მისიმიანები, რომლებიც, ჩვენს ისტორიოგრაფთა მტკიცებით, სვანური მოდგმის ქართველური ტომები იყვნენ. ზემო აფხაზეთში მისიმიანების დასახლების შესახებ კიდევ უფრო ადრინდელ ცნობას გვაწვდის რომაელი ისტორიკოსი სტრაბონი.

არსებობს ისტორიკოსთა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში კოდორის ხეობას მარუშიანთა საგვარეულო განაგებდა. XIX საუკუნეში, ისევე, როგორც მთელი საქართველო, კოდორის ხეობაც რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, მაგრამ ამ მხარეში ფეხი ვერ მოიკიდა რუსულმა მენტალიტეტმა, ვერც ხეობაში რუსების მასობრივი ჩასახლება მოხერხდა. ადგილობრივმა სვანებმა შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, ენა და ადათ-წესები...

სტაციონარული გათხრებისა და ზედაპირული დაზვერვის შედეგად, კოდორის ხეობაში 150-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლია დაფიქსირებული. ისინი მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს ხეობის ისტორიას, ქვის ხანიდან — გვიან შუა საუკუნეებამდე. ძეგლები წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის ღია სადგომებითა და ნამოსახლარებით, საწარმოო უბნებით, საკულტო ნაგებობებით, რომელთა მეშვეობით ირკვევა, რომ ძვ.წ.აღ-ის IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის მთელი ტერიტორია, მათ შორის კოდორის ხეობაც, ყველა პერიოდში წარმოადგენს ერთიანი დასავლურ-კოლხური ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილს, თავისი ვიწრო, ლოკალური თავისებურებებით. მეცნიერთა აზრით, აღნიშნული ტერიტორია ოდითგანვე დასახლებული ყოფილა ქართული (სვანები, მეგრელ-ლაზები, შესაძლოა, ქართებიც) და აფხაზური ტომებით...

დაძაბულობის გაზრდის მიუხედავად, დღეს კოდორის ხეობაში არავითარი პანიკა არ შეინიშნება. იქაური მოსახლეობა ჩვეულებისამებრ, მტკიცედ დგას მშობლიური კუთხის სადარაჯოზე და არანაირი პროვოკაციის არ ეშინია. მას ზურგს უმაგრებენ ხეობაში განლაგებული, საქართველოს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, რომლებთანაც ადგილობრივებს ძალიან თბილი ურთიერთობა აქვთ. ცხოვრებაც ხეობაში ჩვეული რიტმით გრძელდება. ზემო აფხაზეთის მიმართ გამოთქმულ ათასგვარ მუქარაზე ეს საუკეთესო პასუხია...

„საშინელი და დაუჯერებელი ამბავია... უახლოესმა აღამიანმა გამწირა..."

დაზარალებულმა ყაჩაღში საკუთარი ოჯახის წევრი ამოიცნო

ყაჩაღური თავდასხმა, რომელიც თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, შუაღამისას, ორი მცირეწლოვანი ბავშვის თვალწინ მოხდა, საშინელი სისხლის ღვრით დასრულებული უმძიმესი დანაშაულის გარდა, ყველაზე გამაოგნებელი და დაუჯერებელი ამბავია. შიშისგან გაღვიძებული ბავშვები შეესწრნენ, თუ როგორ სცემდნენ ნიღბიანი მამაკაცები დედას და ამის შემდეგ, მკვლელობასაც ცხადად უყურეს, მაგრამ დაზარალებულის თქმით, ბავშვებმა ნამდვილი შოკი სწორედ მაშინ განიცადეს, როცა დედამ, ჭიდილის დროს, ერთ-ერთ ყაჩაღს სახიდან ნიღაბი ჩამოჰგლიჯა...

დანაშაული თბილისში, გლდანის მასივში, დაახლოებით ღამის 2-დან 3 საათამდე მოხდა. ქობალიების ოჯახს „ნაგანით", ხელყუმბარითა და დანით შეიარაღებული სამი ნიღბიანი ყაჩაღი დაესხა თავს. იმ დროს სახლში დედა და შვილები, ასევე — სტუმრები (ორი ახალგაზრდა მამაკაცი) იმყოფებოდნენ. დიასახლისმა, შეგულიანებულმა იმით, რომ შინ მარტო არ იყო, უცხოებს კარი დაუფიქრებლად გაუღო. *„...კართან წამით შევყოვნდი, მაგრამ როგორც კი გავიგონე სიტყვები, — მეზობელი ვარ, მიშიკოა ცუდადო, არც დავფიქრებულვარ, კარი მაშინვე გავაღე. მერე აღვიდგინე, რომ უცხო ხმა იყო, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მიშიკო ჩემი კარის მეზობელია. ავადმყოფი კაცია, ხშირად შეტევა აქვს და კრუნჩხვებში ვარდება. მას ცოლი უვლის და საცოდავი ქალი ისეა შეშინებული, რომ რა დროც არ უნდა იყოს, საშველად გვეძახის. ამ სიტუაციას შეჩვეული ვიყავი და ამიტომაც, ეჭვი არაფერში შემპარვია. მართალია, ამჯერად არა ნელის (მიშიკოს მეუღლის), არამედ მამაკაცის ხმა იყო, მაგრამ კარი თამამად გავაღე, რადგან შინ სტუმრებიც მყავდა და თავს მარტო არ ვგრძნობდი",* — აღნიშნავს დაზარალებული **მანანა ქოგალია**.

სტუმრები კი მას ხარკოვიდან ეწვივნენ. იმ დღეს ისინი ცხოვრებაში პირველად ნახა. გიორგი ჩხეტიანი და შარდენ მაისურაძე, როგორც თავად ამბობენ, თავიანთი ბიზნესის საკითხზე საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოვიდნენ. ქობალიებს ისინი არც ენათესავებიან და მათთან არც არავითარი ახლობლობა აკავშირებთ. იცნობენ მხოლოდ ვალერი ქობალიას — დაზარალებულის მეუღლეს, რომელიც ხარკოვში გაიცნეს და დაუმეგობრდნენ. ვალერი ქობალიამ, როცა შეიტყო, რომ მისი მეგობრები საქართველოში აპირებდნენ გამგზავრებას, მათ ცოლისთვის გადასაცემად სოლიდური თანხა გაატანა და ისიც უთხრა, რომ თუკი თბილისში ღამის გათევა დასჭირდებოდათ, მისი ოჯახის კარი მათთვის მუდამ ღია იქნებოდა.

მანანა ქოგალია:

„სულ რამდენიმე თვეა, რაც ჩემი მეუღლე სამუშაოდ ხარკოვში წავიდა. ამ შემთხვევამდე მხოლოდ ერთხელ გამოგზავნა რაღაც თანხა. საერთოდ, ფულს ყოველთვიურად ვერ გვაწვდიდა. ამიტომ მოვილაპარაკეთ, რომ როცა გარკვეულ თანხას მოუყრიდა თავს, მხოლოდ მაშინ გამოეგზავნა. საერთოდ, ვალერი ბუნებით დინჯი ადამიანია, აჩქარება და დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა არ სჩვევია. ამიტომაც, არ მინერვიულია, როცა მითხრა, რომ ფულს სხვისი ხელით გამოგზავნიდა. ერთადერთი, რამაც უხერხულობა შემიქმნა, ის იყო, რომ ის მამაკაცები ჩემთვის სრულიად უცხოები იყვნენ, მე კი მათ შინ მარტო უნდა დავხვედროდი. ისიც ვიცოდი, რომ თბილისში ღამის გასათევი არ ჰქონდათ და ბუნებრივია, მათთვის დარჩენა უნდა შემეთავაზებინა. მაშინვე დავურეკე ბიძაჩემს, რომელიც ჩვენსავე უბანში ცხოვრობს და ვთხოვე, იმ საღამოს ჩვენთან დარჩენილიყო. მითხრა, რომ საქმეები ჰქონდა და როგორც კი მოაგვარებდა, აუცილებლად მოვიდოდა. შეაგვიანდა და სტუმრებს მარტო დავხვდი. როცა მივხვდი, რომ ბიძაჩემი მოსვლას ვერ ახერხებდა, სტუმრებს გავუმასპინძლდი და მისაღებ ოთახში ორივეს ლოგინიც გავუშალე. მე ბავშვებთან ერთად, საძინებელში დავწექი. უეცრად, გვიან ღამით, კარზე ზარი გაისმა. საათისთვის არ შემიხედავს, მაგრამ ღამის 3 საათი მაინც იქნებოდა დაწყებული. ზარი საკმაოდ უხეშმა კაკუნმა, თითქმის ბრახუნმა შეცვალა. ვიკითხე, — ვინ არის-მეთქი? კაცმა მიპასუხა, — მეზობელი ვარ, მიშიკოა ცუდადო... კარი გავაღე თუ არა, ოთახში სამი ნიღბიანი შემოვარდა. ერთ-ერთმა სამზარეულოს კართან მიმიმწყვდია და თვალწინ დანა დამიტრიალა. მითხრა, — ვიცი, სახლში ფული გაქვს და სწრაფად გამოიტანეო... მისი ხმა არასდროს დამავიწყდება, რადგან დამახასიათებელი, მამაკაცისთვის შეუფერებელი, უფრო ქალური ხმა ჰქონდა. ძალიან შემეშინდა, მაგრამ მაინც ვუთხარი, — შინ ფული არ მაქვს-მეთქი. გაბრაზებულმა სილა გამაწნა და უხეშად მომმართა, — რა არ გაქვს? ვიცი, ფული დღეს მოგიტანეს და გამოიტანეო! ამ დროს დავინახე, რომ მეორე ნიღბიანი, რომელსაც ხელში იარაღი ეკავა, საძინებლისკენ წავიდა. მაშინვე ყვირილი დავიწყე, — არ შეხვიდეთ, ბავშვები არ გამიგიჟოთ-მეთქი. ბავშვებს ხმაურზე ისედაც გაღვიძებოდათ და შეშინებულები ოთახიდან გამოვიდნენ... იმ კაცმა, დანით რომ მემუქრებოდა, მითხრა: თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეუბნებით, ამ ბავშვებს დაგიხოცავთო და ისე ძლიერად მკრა სახეში ხელი, რომ წონასწორობა ვეღარ შევინარჩუნე, ჯერ კედელს მივენარცხე, მერე კი ძირს დავვარდი. ბავშვებმა ტირილი დაიწყეს. უეცრად, შემოსასვლელში ხმაური ატყდა, ის ნიღბიანი მე მომშორდა და იქით გაიქცა..."

გია ჩხეტიანი, დაზარალებულის სტუმარი:

„...მე და შარდენმა სამზარეულოდან გამოსული ხმაური — კაცების ხმა და მანანას ყვირილი გავიგონეთ და მაშინვე ვიეჭვეთ, რომ რაღაც კარგი არ ხდებოდა. შემოსასვლელისკენ რომ გავედი, კართან ნიღბიანს მოვკარი თვალი. იმწამსვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მანანაც დავინახეთ — ის სამზარეულოში იდგა, შეშინებული და დაბნეული. დავიყვირე, — რა ხდება, რა ამბავია-მეთქი?! მანანამ თქვა, — ფული უნდათო. გონებაში მაშინვე გამიელვა იმ მოსალოდნელმა უსიამოვნებამ, რაც შეიძლებოდა, ამ ფაქტს ჩემთვის და შარდენისთვის მოეტანა. ფული ოჯახში ჩვენ მივიტანეთ და ამის შესახებ სხვას არავის არაფერი უნდა სცოდნოდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საათში სახლში ყაჩაღები შემოცვივდნენ და რა თქმა უნდა, არავინ დაგვიჯერებდა, რომ ეს ინფორმაცია ჩვენგან არ გასულა და ყაჩაღებთან შეკრულები არ ვიყავით. შარდენს გადავულაპარაკე: ესენი აქედან ასე არ უნდა გავუშვათ, თორემ დავიღუპებით-მეთქი. გადავწყვიტე, თავდამსხმელებისთვის არაფერი დამეთმო... ერთ-ერთი, რომელიც შემოსასვლელში იდგა, ჩემკენ წამოვიდა, იარაღის ლულას პირდაპირ მიმიზნებდა. როგორღაც მოვახერხე, ხელი იარაღიან ხელში ვტაცე და გადავუგრიხე. იარაღი იატაკზე დავარდა და მისი აღებაც მოვასწარი, მაგრამ იმ ყაჩაღმაც იმარჯვა — ხელში ჩამაფრინდა, რევოლვერის წართმევას ცდილობდა. ჭიდილის დროს, არც კი

ვიცი, ეს როგორ მოხდა, მაგრამ იარაღიდან ტყვია გავარდა. პირადად არც მიგრძნია, თითი სასხლეტზე როგორ გამომედო, მაგრამ ფაქტია, ის მე მეჭირა ხელში და ტყვიაც მაშინ გავარდა. ნიღბიანი წაიქცა, მე კი იარაღისთვის აღარ გამიშვია ხელი. პირიქით, უკეთ მოვიმარჯვე, რათა დანარჩენებისთვისაც გამეწია წინააღმდეგობა. სროლის ხმაზე სამზარეულოდან მეორე ნიღბიანი გამოვარდა და დაინახა თუ არა, რაც მოხდა, ბინიდან გავარდა. მას უკან მესამეც მიჰყვა, რომელსაც ნიღაბი არ ეკეთა, მაგრამ სახეზე არ დავკვირვებივარ...“

მანანა ქოგალია:

„...შემოსასვლელში სროლის ხმა გაისმა. ელდა მეცა და მაშინვე წამოვვარდი, რათა ბავშვები საძინებელში, შედარებით უსაფრთხო ადგილას გამეყვანა. გზა იარაღიანმა ყაჩაღმა გადამიღობა. ცალი ხელით ხელებს მიკავებდა, მაგრამ არ ვემორჩილებოდი, წინააღმდეგობას ვუწევდი და ხელებს ვითავისუფლებდი. სწორედ მაშინ მოვახერხე და სახეში ვწვდი, ნიღაბი მთელი ძალით მოვქაჩე და... ხელში საკუთარი ბიძა შემრჩა... იქვე გავქვავდი, ის კი ადგილს მოსწყდა და გაიქცა. ბავშვებს გავხედე, ისინი მე მიყურებდნენ შეშინებული და გაფართოებული თვალებით. მივხვდი, მათაც დაინახეს და იცნეს აკაკი ბიძია... ახლა, ხანდახან ვფიქრობ, ნეტავ, არ ჩამომეხსნა და მისი სახე არ დამენახა-მეთქი... შემოსასვლელში რომ გავედი, გია ჩხეტიანს ხელში იარაღი ეჭირა, იატაკზე კი ნიღბიანი მამაკაცი ეგდო, პირაღმა და არ ინძრეოდა. სისხლიც დავინახე, ხელი ჰქონდა დასისხლიანებული. ვიფიქრე, — ალბათ, ხელში დაიჭრამეთქი, მაგრამ აღარ სუნთქავდა... კართან უკვე მეზობლებიც იდგნენ. ისე ვიყავი თავზარდაცემული, მათ სახეებს ვეღარც ვარჩევდი... მე საძინებელში, ბავშვებთან შემიყვანეს, შემდეგ კი მახსოვს, ექიმებიც მეხვეოდნენ თავს...“

შემთხვევის ადგილას შეკრებილმა მეზობლებმა „სასწრაფო დახმარებაც“ გამოიძახეს და პოლიციაშიც დარეკეს. არც მათ, არც ბინაში მისულმა სამართალდამცველებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ დანაშაულში დაზარალებულის ოჯახის წევრი — ღვიძლი ბიძა მონაწილეობდა. ის შემთხვევის ადგილიდან უკვე მიმალულიყო, ისევე, როგორც მეორე თავდამსხმელი. დანაშაულის ადგილზე დახვდათ მხოლოდ დაზარალებულის ერთ-ერთი სტუმრის მიერ მოკლული ყაჩაღის — ღევან ჩაჩავას ცხედარი...

დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ მეორე ეჭვმიტანილის ვინაობაც გაირკვა. როცა სამართალდამცველებმა ბიძამისს — აკაკი გელაშვილს სახლში მიაკითხეს, ის შინ არ დახვდათ, ოჯახის წევრებმა კი აღნიშნეს, რომ შემთხვევის წინა საღამოდან მოყოლებული, გელაშვილი თვალითაც არ უნახავთ. საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა კარადაში „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის რამდენიმე ტყვია აღმოაჩინეს. სხვათა შორის, სწორედ ეს იარაღი ფიგურირებს ყაჩაღობის საქმეშიც და ექსპერტების თქმით, ასეთივე ტყვიითაა მოკლული ღევან ჩაჩავაც. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ეჭვმიტანილ გელაშვილზე კი ძებნა გამოცხადდა. მისი ადგილსამყოფლის გარკვევა სამართალდამცველებმა შემთხვევიდან 9 დღეში შეძლეს — გელაშვილი თერჯოლის რაიონში, ერთ-ერთი ნათესავის სახლში დააკავეს...

დაკავებულმა, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, ჩადენილი დანაშაული აღიარა და სამართალდამცველებს დეტალური ჩვენება მისცა, მაგრამ მოგვიანებით, სასამართლო პროცესზე ყველაფერი კატეგორიულად უარყო ისევე, როგორც მის მიერ აღიარებით ჩვენებაში მესამე ბოროტმოქმედის — ომარ კაპანაძის დასახელების ფაქტიც. აღსანიშნავია, რომ გელაშვილი წარსულში ნარკოტიკული დანაშაულისთვის გახლდათ ნასამართლები. ასეთივე დანაშაულისთვის სასჯელი მოიხადა ომარ კაპანაძემაც. თურმე, მათ ერთმანეთი სწორედ კოლონიაში გაიცნეს, დაახლოვდნენ და მეგობრობა „თავისუფლებაზეც“ გააგრძელეს. მას შემდეგ წლები გავიდა და გელაშვილს სამართალდამცველებთან პრობლემები აღარ შეჰქმნია. გამოძიების ინფორმაციით, პირველი ნასამართლეობის შემდეგ, ამ შემთხვევამდე, არც კაპანაძე მოხვედრილა ციხეში. დანაშაულში მონაწილეობა და ყაჩაღობასთან რაიმე კავშირი სასამართლო პროცესზე მანაც უარყო, მაგრამ ის დაზარალებულმა ხმით ამოიცნო. მანანა ქობალიას თქმით, მას ბოროტმოქმედის ხმა კარგად ახსოვს და დარწმუნებულია, რომ სამზარეულოში დანით სწორედ კაპანაძე ემუქრებოდა...

გელაშვილმა აღიარებითი ჩვენება სამართალდამცველთა მხრიდან ზეწოლით ახსნა. მისი თქმით, იმ დღეს დისშვილმა მართლაც დაურეკა და მასთან სახლში დარჩენა სთხოვა, მაგრამ ის პირად საქმეზე, თერჯოლის რაიონში უნდა წასულიყო. *„...საქმე გართულდა და თბილისში ვეღარ დავბრუნდი, მეორე დღეს კი ახლობლებმა შემომითვალეს, რაღაც პრობლემებია, პოლიციაში გკითხულობენო. მიუხედავად იმისა, რომ ალიბი მქონდა და შემთხვევის ღამეს თბილისში საერთოდ არ ვიყავი, გამოცდილებით ვიცოდი, პოლიციასთან ურთიერთობა რასაც ნიშნავდა. ჰოდა, ჩემი წარსულიც გავითვალისწინე და გადავწყვიტე, სიტუაციას გავრიდებოდი“,* — აღნიშნა პროცესზე განსასჯელმა. სასამართლომ მისი სიტყვები დამაჯერებლად არ მიიჩნია. პროკურატურისა და მოსამართლის აზრით, აღიარებითი ჩვენება საკმაოდ დეტალური და დამაჯერებელია, პროცესზე წარმოთქმული სიტყვა კი — ბუნდოვანი, ლოგიკას მოკლებული. განაჩენში აღნიშნულია ისიც, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში გელაშვილის დაკითხვა საპროცესო ნორმების სრული დაცვით წარიმართა, დაკითხვას მისი ადვოკატიც ესწრებოდა, მაგრამ მაშინ, არც მას და არც მისი დაცვის ქვეშ მყოფს სამართალდამცველების მისამართით რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიტანა დასკვნა და პროკურატურის პოზიციას დაეთანხმა — ორივე განსასჯელი დამნაშავედ ცნეს და თითოეულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

მანანა ქოგალია, *დაზარალებული:*

„ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ცხოვრებაში მსგავსი რამ შემემთხვეოდა და უახლოესი ნათესავი ასე გამწირავდა... ოჯახებით ძალიან ახლოს ვიყავით, მთელ დღეებს ერთმანეთის სახლებში ვატარებდით... ამ ადამიანს ძალიან ვენდობოდი და მისი საქციელი დღემდე ვერაფრით ავხსენი. მანამდე მისთვის საეჭვო არაფერი შემიმჩნევია. ერთადერთი ახსნა, რაც შეიძლება მომხდარს მოვუძებნო, ის არის, რომ როგორც თავად, აღიარებით ჩვენებაში ამბობს, იმ საღამოს უზომოდ დათვრა და გონებას ვეღარ იმორჩილებდა. მთვრალს კაპანაძესა და ჩაჩავასთან წამოსცდა, რომ ფული გამომიგზავნეს, მათაც დრო იხელთეს და ამ სიტუაციით სარგებლობა გადაწყვიტეს. ბიძაჩემის სიმთვრალეც კარგად გამოიყენეს... არ ვიცი, ნიღაბი რატომ ჩამოვხსენი, ეს გააზრებულად, ბოროტმოქმედის სახის დანახვის ან ამოცნობის მიზნით არც გამიკეთებია, იმ მომენტში ამაზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი. ჩემთვის მთავარი იყო, ამ საშინელებისგან ბავშვები გადამერჩინა... ალბათ, ამის გაკეთება რაღაც ძალამ მიკარნახა და მაიძულა. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ვერასდროს გავიგებდი სიმართლეს და არ ვიცი, როგორ უნდა მეცხოვრა მის სიახლოვეს ან თვითონ როგორ ჩამხედავდა თვალებში. ეს ყველაფერი მე გადამხდა, მაგრამ ამის დაჯერება დღემდე მიჭირს. ადამიანებისადმი ნდობა საბოლოოდ დავკარგე...“ ■

რძალ-დედამთილის დავა სასამართლომ გადაწყვიტა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ რძალ-დედამთილს შორის არსებული დავის განხილვა დაასრულა. ისინი არასრულწლოვან ბიჭზე მზრუნველობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს. როგორც ამბობენ, ბავშვი 2 წლის მანძილზე ბებიასთან ცხოვრობდა, დედა კი შვილის თავისთან წაყვანისთვის მთელი ამ ხნის განმავლობაში იბრძოდა. დედამთილი რძალს ბავშვის ცემასა და ოჯახის დანგრევაში ადანაშაულებდა, მისთვის დედობის უფლების ჩამორთმევას მოითხოვდა; რძალი კი, თავის მხრივ, დედამთილს უკანონობაში სდებდა ბრალს. ვინაიდან ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმეში ფსიქოლოგების ჩართვაც გადაწყვიტა. საბოლოოდ, სასამართლომ ორივე მხარისთვის უსიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო — ბავშვი დედასთან უნდა დარჩეს, მაგრამ პერიოდულად, კონტაქტი ბებიასთანაც უნდა ჰქონდეს... ■

მოზარდს თამაშის დროს, და შემოაკვდა



გასულ კვირას, დიდი ბრიტანეთის სასამართლომ მოზარდს დის მკვლელობისთვის განაჩენი გამოუტანა. გამოძიების ინფორმაციით, მან საკუთარი და შემთხვევით, თამაშის დროს რევოლვერით სასიკვდილოდ დაჭრა. ცეცხლსასროლი იარაღი ბავშვების დედას ეკუთვნოდა, მაგრამ გაფორმებული არ ჰქონდა და მიუხედავად ამისა, შინ თვეების მანძილზე ინახავდა. სამსახურში წასულმა დედამ ბავშვები — 16 წლის ქეიშა პენისტონი, მისი სამი და — 12 წლის კამილა და 8 წლის ტყუპი, როგორც ყოველთვის, შინ დატოვა. ბავშვები მისაღებ ოთახში, დივანზე ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. ძმამ, რომელიც სატელევიზიო გადაცემებით ვერ გაერთო, დედის საძინებელს მიაშურა და იქ რევოლვერი იპოვა. ამით გამხიარულებულმა, ხუმრობის მიზნით, იარაღი დებს დაუმიზნა. კამილამ ძმას რევოლვერის თავის ადგილზე დაბრუნება ურჩია, მაგრამ რომ ვერ დაიყოლია, მისი წართმევა დაუპირა. ჭიდილისას, იარაღიდან ტყვია გავარდა და ის კამილას პირდაპირ შუბლში მოხვდა. გოგონა ადგილზევე გარდაიცვალა...

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისთვის დედა — 33 წლის ნატაშა პენისტონი გაასამართლეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მისმა ვაჟმა — ქეიშა პენისტონმა ბრალი მთლიანად აღიარა.

აღსანიშნავია, რომ მშობლების უყურადღებობას და ცეცხლსასროლი იარაღის ბავშვების ხელში სათამაშოდ ჩაგდებას ოჯახები ტრაგედიამდე არაერთხელ მიუყვანია. მსგავსი ფაქტი სულ ცოტა ხნის წინ, რუსეთში, სვერდლოვსკის ოლქშიც მოხდა: 6 წლის ბიჭუნა, რომელიც დედამ მეზობელთან დატოვა, სწორედ მეზობლის 7 წლის შვილმა, თამაშისას, სანადირო თოფით მოკლა. დიასასახლისმა მოგვიანებით თავი იმით იმართლა, რომ არ იცოდა, იარაღი დატენილი თუ იყო. მუცელში სასიკვდილოდ დაჭრილი ბავშვი „სასწრაფო დახმარების“ მისვლამდე გარდაიცვალა. გამოძიების დროს გაირკვა ისიც, რომ ოჯახში სანადირო თოფი უკანონოდ ინახებოდა... ■

აღმოჩენილია უმცირესი გველი

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოსავლეთ კარიბის რეგიონის კუნძულ ბარბადოსზე მსოფლიოში უმცირესი ზომის გველი აღმოაჩინეს — მისი სიგრძე 10 სმ-ს შეადგენს. ბიოლოგ ბლერ ჰეჯესის განმარტებით, სულ დედამიწაზე 3100 სახეობის უსსენებელი ბინადრობს. ახალაღმოჩენილი ე.წ. ვიწროპირიანთა ოჯახს განეკუთვნება და იმით გამოირჩევა, რომ არ გააჩნია ზედა კბილები, სამაგიეროდ, ქვედა კბილები ორ რიგად აქვს განლაგებული. საინტერესოა, რომ სწორედ პროფესორმა ჰეჯესმა აღმოაჩინა დედამიწაზე უმცირესი: ბაყაყი (1996 წელს კუბაში; მისი სიგრძე 1 სმ-საც კი არ აღწევს) და ხვლიკი (2001 წელს დომინიკის რესპუბლიკაში), რომლის სიგრძე 1,6 სმ-ია. ■

ბეჭია შვილიშვილის გაყიდვისთვის გაასამართლეს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ტრეფიკინგის მუხლით სამი ქალბატონი გაასამართლა — 22 წლის გოგონა, დედამისი და შუამავალი ქალი, რომელიც დედა-შვილს ჩვილის გაყიდვაში ეხმარებოდა. საქმის მასალების მიხედვით, გოგონა ქორწინების გარეშე დაფეხმძიმდა, დედამ კი ქალიშვილისთვის უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, ახალშობილის გასხვისება გადაწყვიტა. საქმის მოსაგვარებლად ის ერთ-ერთ ნაცნობ ქალბატონს დაუკავშირდა და გარკვეული თანხის საფასურად ჩვილის გაყიდვის ორგანიზებაში დახმარება სთხოვა. შუამავალმა შესაფერისი კანდიდატურა იპოვა და ამის შესახებ ახალშობილის ბებიას შეატყობინა. გამოძიების ინფორმაციით, ქალებმა ჩვილი გაასხვისეს და სანაცვლოდ, თანხაც აიღეს. სასამართლო პროცესზე განსასჯელთა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ტრეფიკინგის მუხლი უმართებულოდ მიიჩნიეს და მომხდარი, ქართული ტრადიციებით ახსნეს. *„ოჯახი სირცხვილის დაფარვას ცდილობდა, შუამავალი კი უშვილო ოჯახს ეხმარებოდა. ამიტომაც, არ შეიძლება, ამას ტრეფიკინგი ვუწოდოთ“*, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ადვოკატმა **ეკა ლატარიამ**. აღნიშნული საქმის განხილვა სასამართლომ ამ კვირაში დაიწყო. ■

ეკოლოგიურად სუფთა „ჰონდა“

ლონდონში გამართულ საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე ახალი კონცეპტუალური როდსტერის — Honda OSM — მსოფლიო პრემიერა შედგა. იაპონურმა კომპანიამ სიახლე წარმოადგინა, როგორც „ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიური“ სპორტავტო, რომელიც პროექტის ხელმძღვანელის, ანდრეას სიტელის თქმით, იმისთვის შეიქმნა, რომ ყველა დარწმუნდეს: „ავტომობილი CO_2-ის მცირე გამონაბოლქვით, შესაძლებელია, მიმზიდველადაც გამოიყურებოდეს, იყოს სპორტული და ამასთანავე, ადვილად იმართებოდეს.“ მანქანის ტექნიკური მონაცემების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. Honda-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კონცეპტ-ავტო OSM მხოლოდ შოუავტოა და ამ ეტაპზე მისი სერიული წარმოება არ იგეგმება. ■

Renault-ის ახალი ჰეჩბეკი

კომპანია Renault-მა ლონდონში მიმდინარე მოტორშოუზე ოფიციალურად წარადგინა ჰეჩბეკის — Megane R26 — ტრეკ-მოდიფიკაცია. ავტომობილი ტრეკ-დღეების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი და მას R26.R (Radical) ჰქვია. იგი შეზღუდული ტირაჟით, სულ 450 ეგზემპლარად გამოვა. R26.R-ის ჩვეულებრივი Megane R26-ისგან 123 კგ-ით შემცირებული ძარათი განსხვავდება. მასის შემცირება კლიმატ-კონტროლის, უკანა სავარძლების, უსაფრთხოების დამატებითი ბალიშების (მხოლოდ მძღოლს დაუტოვეს), გამოუსადეგარი ხმის იზოლაციისა და მაგნიტოლას დაყენებაზე უარის თქმის; აგრეთვე, ჩვეულებრივი შუშების — პოლიკარბონატულით, ხოლო ტრადიციული კაპოტის კარბონით შეცვლის შედეგად მოხერხდა. სალონში დამონტაჟებულია Sabelt-ის ორი სპორტული სავარძელი — უსაფრთხოების ქამრებით და აგრეთვე, უსაფრთხოების კარკასი, რომელსაც კლიენტებს ოპციის სახით შესთავაზებენ. Megane R26.R-ზე 18-დუიმიან, ტრეკ-საბურავებიან ბორბლებს დააყენებენ, მაგრამ ძრავა (230 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ორლიტრიანი ტურბომოტორი) და ტრანსმისია (ექვსსაფეხურიანი „მექანიკა“) შეუცვლელად დატოვეს. ამის შედეგად, ყველაზე მსუბუქი „მეგანი“ 100 კმ/სთ სიჩქარეს მხოლოდ 6 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 237 კმ/სთ-ია. ეს ჰეჩბეკი ნიურბრუგინის „ჩრდილოეთ მარყუჟს“ 8 წუთსა და 17 წამში ფარავს, რაც წინაამძრავიანი სერიული ავტომობილებისთვის ახალი რეკორდია. ■

სადამ ჰუსეინის მანქანას აუქციონზე გაყიდიან

მუქი ბორდოსფერი Rolls-Royce Corniche-ს კაბრიოლეტი, რომელიც სადამ ჰუსეინს ეკუთვნოდა, გასაყიდად eBay-ს ინტერნეტ-აუქციონზე გაიტანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანქანის საწყისი ფასი 185 ათასი გირვანქა სტერლინგია. მანქანის ამჟამინდელი მფლობელი, დიდ ბრიტანეთში აღნიშნული მარკის ერთ-ერთი სადილერო ცენტრის ხელმძღვანელი, სტივენ ბრაუნი მზადაა, კლიენტებს წარუდგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ავტომობილის ძველი პატრონის ვინაობას დაამტკიცებს. ბრაუნის თქმით, მან პოტენციური მყიდველებისგან უკვე მიიღო რამდენიმე წინადადება. მათ შორისაა ამერიკის არმიის ერთ-ერთი პოლკოვნიკი, რომლის ვინაობაც არ მჟღავნდება. სამაგიეროდ, ცნობილია ის, რომ ამ უკანასკნელს, ავტომობილის შეძენის შემთხვევაში, სურვილი აქვს აიღოს სანომრე ნიშანი სიტყვით — „SADDAM“. გარდა ამისა, ბრაუნის გეგმაში ჰუსეინის კუთვნილი ძვირფასი სედანის — Maybach — შეძენაც შედის, რომელიც 23 კარატი ოქროთია დაფარული. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა ეღირება აღნიშნული ავტომობილი აუქციონზე გატანის შემთხვევაში. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

პრესის გავრცელების საგენტო ELVA
ქ. თბილისი
ოთხვილის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com
აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ჯემი; 2. მაყვალი; 3. გინეა; 4. ჯეზვე; 5. ჯამი; 6. არიზონა; 7. რიყე; 8. ხორუმი; 9. რაიკონენი; 10. ყადი; 11. ჯავახეთი; 12. ვალი; 13. სკა; 14. მინიმალური; 15. ნამუსი; 16. ეგიდა; 17. ჭიაღუა; 18. ჭიანური; 19. მედეა; 20. ტონიკი; 21. ნისანი; 22. ტინეიჯერი; 23. მალდინი; 24. სემი; 25. დიადი; 26. დოღი; 27. ბალადა; 28. ვილა; 29. ენიო; 30. იბერია; 31. ყუა; 32. ერბო; 33. ავიაცია; 34. ჯაბუა; 35. ჩელენტანო; 36. იატაკი; 37. კენჭი; 38. ლა; 39. პრერია; 40. კლიო; 41. იგი; 42. ბაჭია; 43. ტოგო.

სურათებზე: ჯორჯ მაიკლი; კაილი მინოუგი.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ ცხოვრებისეული წვრილმანებისადმი?

1. როცა სადმე ვრეკავ და ნომერი, რომელიც ავკრიბე, გამუდმებით დაკავებულია, ვლიზიანდები ხოლმე.
2. როცა მანქანის მართვისას ვინმე გამუდმებით ან შენიშვნას ან რჩევა-დარიგებას მაძლევს, ვბრაზდები ხოლმე.
3. ძალზე მანერვიულებს ის, როცა რაიმეს ვაკეთებ და ვამჩნევ, რომ ვიღაც თვალყურს მადევნებს.
4. ვლიზიანდები, როცა რაიმეზე ვფიქრობ და ვინმე ამაში ხელს მიშლის.
5. მაღიზიანებს, როცა ვინმესთან ჩემს კერძო საუბარში ვიღაც გამუდმებით ერევა.
6. არ მსიამოვნებს, როცა ისეთ კომბინაციას ვხედავ, რომლის ფერებიც სრულებით არ ეხამება ერთმანეთს.
7. მაღიზიანებს, როცა მისალმების ნიშნად ხელს ვუწვდი ვინმეს, და საპასუხოდ მისგან ვერანაირ რეაქციას ვერ ვგრძნობ.
8. როცა ისეთ ადამიანთან ლაპარაკი მიწევს, რომელმაც ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის, საკმაოდ ვნერვიულობ ხოლმე.

ტესტის შედეგები

6 და მეტი ქულა: წვრილმან უსიამოვნებებსაც კი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ თქვენ სიტუაციის სრულად გაკონტროლებას ცდილობთ და ვერ ეგუებით, როცა რაიმე ისე არ ხდება, როგორც ეს თქვენ წინასწარ დაგეგმეთ. ან შესაძლოა, ეძებდეთ მიზეზს, რომ გარკვეული ხნის მანძილზე თქვენში დაგროვილი ბოღმა თუ ფარული დაძაბულობა, როგორმე გადმოანთხიოთ.

4-5 ქულა: რაღაც წვრილმანებზე თქვენც ღიზიანდებით, მაგრამ ეს არც ცხოვრების ხალისს გიკარგავთ და არც ბედნიერების შეგრძნებას. გირჩევთ, წვრილმან უსიამოვნებებს ნაკლები ყურადღება მიაქციოთ, ოღონდ გაითვალისწინეთ, მეტისმეტი არ მოგვიდეთ და ყურადღების მილმა მნიშვნელოვანი დეტალებიც არ მიგრჩეთ.

3 ქულა და ნაკლები: გაითვალისწინეთ, ზოგჯერ წვრილმანი უსიამოვნება შესაძლოა, მოსალოდნელი დიდი უსიამოვნების ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. თუკი თქვენ მართლაც შეგიძლიათ, არად ჩააგდოთ ცხვირწინ მფრინავი აბეზარი ბუზი, ხოლო ქუჩაში მიმავალმა თქვენს ფეხებთან დაგდებული ბანანის ქერქი დააფიქსიროთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ყურადღების ოპტიმალურად განაწილების უნარით ხართ დაჯილდოებული. ასე რომ, გილოცავთ!

იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის — აკუტაგავას აზრით, „ცხოვრება ასანთის კოლოფივითაა. მისდამი სერიოზული დამოკიდებულება — სასაცილოა, არასერიოზული მიდგომა კი — სახიფათო“. მაშ როგორ მოვექცეთ ამ ასანთის ღერებს, პაწაწინა ჩხირებს, რომლებისგანაც ყოველწამიერად შენდება ჩვენი ცხოვრების მონუმენტური შენობა? სათითაოდ დავათვალიეროთ, აღფრთოვანება გამოვხატოთ ამ უმარტივესი, მაგრამ სრულყოფილი გამოგონების წინაშე,თუ მრისხანება გადმოვაფრქვიოთ ამ ჩხირებზე, როცა სრულიად შეუფერებელ სიტუაციაში ეს ღერები ხელში ჩაგვატყდება ხოლმე? იქნებ, საერთოდ დავივიწყოთ მათი არსებობა იმ მომენტამდე, ვიდრე ცეცხლის ანთება არ დაგვჭირდება?

ყოველი ადამიანი თავად წყვეტს, თუ როგორ უნდა მიუდგეს წვრილმანებს, რომლებისგანაც მთელი ჩვენი ცხოვრება შედგება. მაგრამ როცა უსიამოვნო წვრილმანების გამოისობით, ცხოვრება ჯოჯოხეთად გვექცევა, უმჯობესია, სერიოზულად მოვეკიდოთ მათ. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი იმ რამდენიმე უსიამოვნო სიუტაციაში, რომლებსაც ტესტში გთავაზობთ. ყოველ პასუხში — „დიახ“, დაიწერეთ ერთი ქულა, ყოველ პასუხში — „არა“ — 0 ქულა, ხოლო შედარებით გაურკვეველ პასუხში — „გააჩნია, როდის როგორ“ — 0,5 ქულა.

„არავითარ შემთხვევაში არავინ დაწყევლოთ — უკან დაგიბრუნდებათ!“

ხშირად, ადამიანებს ჰგონიათ, რომ ძალიან ცუდად არიან, ყველაფრის ხალისი დაკარგული აქვთ, შიში და უძლურება ეუფლებათ; ასევე, უჩივიან უგუნებობას, უბარაქობას და ა.შ. როგორც ქალბატონი ლია ხუციშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ ექვსი ექვსიანის ანუ ეშმაკის წლებში ვცხოვრობთ. ამ ქალბატონმა თავისი ნიჭის წყალობით და შელოცვებით არაერთი ადამიანი იხსნა მოსალოდნელი უბედურებისგან. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუბიზნესის წარმომადგენლები მასთან რჩევის საკითხავად მიდიან.

— ეშმაკი ადამიანებს იმონებს და მისი ზეგავლენით, ისინი ჯადოს გაკეთებას იწყებენ. დღეს მოსახლეობის 90%-ს ჯადო აქვს გაკეთებული. მერწმუნეთ, ვისაც მისი არსებობის არ სჯერა, სწორედ მას ებრძვის ეშმაკი. ბევრი ამბობს, — მე მარხვას ვიცავო, მაგრამ არ ასრულებს იმ წესებს, რასაც უნდა იცავდეს — სიგარეტს ეწევა, ბოროტებას სჩადის და ა.შ. ჯობია, რაც მოგინდება, ყველაფერი ჭამო, მაგრამ სულით იყო სუფთა...

— რას იტყვით წყევლაზე?

— მინდა, ყველა გავაფრთხილო — არავითარ შემთხვევაში არავინ დაწყევლოთ. ზოგი ამბობს, — მე ისეთი წყევლა ვიცი, ჩემს მტერს აუცილებლად აუხდებაო. ასე სულ ტყუილად ჰგონიათ. მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან, ეს წყევლა ყველას უკან დაუბრუნდება. ეშმაკი გვაცდენს, როცა ვიღაცას ვწყევლით, მაგრამ ამის შემდეგ, საკუთარი შეცდომის გამოსწორებას უნდა შევეცადოთ.

— როგორ?

— სანთელი ავანთოთ და ცოდვა მოვინანიოთ. გაითვალისწინეთ, რასაც ვაკეთებთ, აუცილებლად უკან დაგვიბრუნდება. მაგალითად, ცინიკოსი ადამიანები, რომლებიც სხვებს დასცინიან, ოდესმე თავად გახდებიან დაცინვის ობიექტი. თუ ადამიანს ეხმარები, მას ეს არ უნდა დაამადლო. მარტო სიკეთე თუ გადაგვარჩენს. სამწუხაროდ, ეშმაკის ზეგავლენით, ბევრი ბოროტებას სჩადის... ამას წინათ, ჩემთან წყვილი მოვიდა. კაცმა მითხრა, — მგონი, ჩემი ცოლი ჯადოს მიკეთებს, რადგან მე და ეს ქალი აქამდე ერთმანეთს ძალიან კარგად ვეგუებოდით, ახლა კი სულ ვკამათობთო. როგორც გაირკვა, კაცი ცოლს საკუთარმა დაქალმა დააშორა: საცოდავი გოგო ცოტა ხნით სოფელში წასულა და დაქალისთვის უთხოვია, — ხანდახან ჩემს ქმარს ყურადღება მიაქციეო. უკან დაბრუნებულს კი სახლში მეუღლის წერილი დახვდრია: შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ წავედი, აღარ მიყვარხარო. ეს კაცი ცოლის დაქალთან ერთად კარგა ხანს ცხოვრობდა, ბოლოს კი მიხვდა, რომ არ უყვარდა.

— პრობლემა როგორ მოაგვარეთ?

— დღეს ცოლ-ქმარი ერთადაა, ის გოგო კი მარტო დარჩა. მერწმუნეთ, ბოროტების ჩამდენი დაუსჯელი არ დარჩება. თუ თავად არა, მისი შვილი მაინც გამწარდება. და კიდევ, მინდა ერთი რჩევა მოგცეთ: ნუ უჩივით საკუთარ ბედისწერას!

— საქართველოს ახლო მომავალში რა ელის?

— პატარ-პატარა სისხლის ღვრა იქნება, მაგრამ ღმერთის წყალობით, მალე ყველაფერი მოგვარდება. უფალი მუდამ ჩვენთანაა, არ გაგვწირავს. ასევე, უნდა ველოდოთ მიწისძვრას. ეს გარდუვალია, მაგრამ ნუ შეშინდებით, ყველაფერი მსხვერპლის გარეშე ჩაივლის. მთავარია, ყველამ ვილოცოთ და როცა სანთელს საკუთარი კეთილდღეობისთვის დავანთებთ, სამშობლოც არ დავივიწყოთ.

მის: დ. გურამიშვილის №48, (მ. „ღრმაღელესთან“), II სად, VII სართ. ბ №40, ტელ: 69-60-00; 61-87-21; 8(93) 21-52-33 (ჩაწერა წინასწარ).
R

ჰოროსკოპი

(7 - 13 აგვისტო)

ვაშლი:

კარგი იქნება, თუ შეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად ახალ საქმეს წამოიწყებთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მჭრელი საგნებით სარგებლობისას, რადგან დიდია ტრავმების მიღების ალბათობა.

ყურძენი:

კარგი დროა უძრავი ქონების შესაძენად, საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად ან კრედიტის ასაღებად. შაბათ-კვირა ქალაქგარეთ გაატარეთ, ეს ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ.

ტყუპები:

ერიდეთ ფარულ სასიყვარულო ურთიერთობებს, რათა ოჯახი არ დაგენგრეთ. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მეგობრებთან ერთად, ბუნების წიაღში გაატარებთ. დრო ოჯახის წევრებისთვისაც გამონახეთ.

ქიბრიტები:

სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ბუნებაში ისეირნეთ. წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ და საქმეში წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ. ამ კვირაში ცოტაოდენი რისკი გამართლებულია.

ლომი:

ეცადეთ, სასიყვარულო პარტნიორთან გულახდილი იყოთ, რათა ეჭვიანობის ნიადაგზე დიდი ხნის კავშირი არ დაანგრიოთ. საქმეებში ნუ გარისკავთ, რადგან ეს თქვენს მომავალზე ცუდად აისახება.

ქალწული:

სჯობს, საქმეებს მიხედოთ. ნუ დაკარგავთ დროს, მაქსიმალურად მიზანდასახულად იმოქმედეთ და წარმატება გარანტირებული იქნება. შესაძლოა, კვირის ბოლოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ.

სასწორი:

ხანმოკლე მივლინებები თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება. შეეცადეთ, სკანდალურ ამბებში არ გაერიოთ. თუ შეყვარებული ხართ, შესაძლოა, დაქორწინებაზეც დაფიქრდეთ.

ბორიკები:

შესაძლოა, უცხოეთში გამგზავრებამ მოგიწიოთ. ყურადღებით იყავით, რათა საბუთებთან დაკავშირებით პრობლემები არ შეგექმნეთ. კვირის ბოლოს რომანტიკული თავგადასავალი გელით.

ღვინიფლოსანი:

ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. საუკეთესო დროა შორეული მოგზაურობისთვის, სადაც არა მარტო კარგი გართობა და დასვენება, არამედ თავბრუდამხვევი სასიყვარულო თავგადასავლებიც გელით.

თხის რქა:

დროა მიიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ცხოვრებას გაგიხალისებთ. პარტნიორებთან შეიძლება, პრობლემები გაგიჩნდეთ. ეცადეთ, მათი მიზნების შესახებ მეტი შეიტყოთ და ისე იმოქმედოთ.

მეწყვილი:

კარგი დროა შემოქმედებითი საქმიანობისთვის. თქვენი კომუნიკაბელობის წყალობით ახალ პარტნიორებსა და თაყვანისმცემლებს შეიძენთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ერიდეთ ეჭვიანობას.

თევზები:

ცვლილებების ნუ შეგეშინდებათ. კარგი დროა მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად. დრო დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობასაც, რადგან შესაძლოა, გარკვეულმა დაავადებებმა შეგაწუხოთ.

იაპონური სენსაციია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	5	9	2	6	7	3	1	8
6	3	8	9	1	4	5	2	7
2	7	1	8	3	5	6	4	9
7	8	4	6	5	1	9	3	2
1	2	3	4	7	9	8	5	6
5	9	6	3	8	2	1	7	4
3	1	2	7	9	8	4	6	5
9	6	7	5	4	3	2	8	1
8	4	5	1	2	6	7	9	3

1	4	3	9	8	5	2	7	6
9	2	8	7	6	1	4	5	3
7	5	6	2	4	3	9	8	1
6	1	9	8	5	4	3	2	7
8	3	5	1	7	2	6	9	4
4	7	2	6	3	9	8	1	5
2	9	4	3	1	7	5	6	8
5	6	7	4	2	8	1	3	9
3	8	1	5	9	6	7	4	2

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

** საშუალო

3			2					9
9				8			1	
	1		9				3	7
	2		5				6	
6			1	9				2
	5				6		9	
7	4				3		8	
	9			5				1
5					9			6

*** რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკუიიოზები

LG ის IT ტექნოლოგიების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

 კომპანია ალგორითმი

ALGORITHM

ლენინგრადის №21
ტელ: 98 50 85 / 92 09 78

ბაქოს №245
ტელ: 37 89 89 / 37 89 99